ტოტალიტარული რეპრესიებით გამოწვეული ფსიქოსოციალური ტრავმის გავლენა და თაობათაშორისი გადაცემა საქართველოს მაგალითზე

ავტორი: დარეჯან (ჯანა) ჯავახიშვილი

სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე ფსიქოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების ინტერდისციპლინური სადოქტორო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელები: ქეთევან მაყაშვილი (ხელმძღვანელი) და რობერტ ვან ვორენი (თანახელმძღვანელი)

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2017

განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

დარეჯან ჯავახიშვილი

23 თებერვალი, 2018 წელი

აბსტრაქტი

აბსტრაქტი ქართულ ენაზე:

შესავალი: ტრავმის თაობიდან თაობაში გადაცემის კვლევების დიდ მასივში უაღრესად მცირეა - ფაქტობრივად, ერთეულებია - კვლევები, რომლებიც რეპრესიული პოლიტიკური რეჟიმების შედეგად მიღებული ტრავმის ზეგავლენასა და თაობიდან თაობაში გადაცემას ეხება. არ არის გაცემული პასუხი ისეთ კითხვებზე, როგორიცაა - რა არის ტოტალიტარული რეპრესიებით გამოწვეული ტრავმის თაობიდან თაობაში გადაცემის მექანიზმები ინდივიდუალურ, ოჯახურ და საზოგადოებრივ დონეზე. მოცემული კვლევა სწორედ ამ ღიობის შევსებას ცდილობს - საქართველოს, როგორც ერთი ცალკე აღებული პოსტ ტოტალიტარული ქვეყნის მაგალითზე.

კვლევის მიზნები და ამოცანები: კვლევის მიზანია ტოტალიტარული ტრავმის გავლენისა და მისი თაობიდან თაობაში გადაცემის შესწავლა ინდივიდის, ოჯახისა და საზოგადოების დონეზე, საქართველოს მაგალითზე. ამ მიზნის განსახორციელებლად ვიკვლიე ტოტალიტარულ რეპრესიებთან დაკავშირებული ტრავმის გავლენა რეპრესირებულთა ოჯახების მეორე და მესამე თაობების წარმომადგენლებზე (1), რეპრესირებულთა ოჯახებზე (2), ქართულ საზოგადოებაზე (3) და, ამ სხვადასხვა დონეზე რეპრესიების ტრავმის თაობიდან თაობაში გადაცემის მექანიზმები (4).

კვლევის მეთოდოლოგია: კვლევა ეფუძნება ფენომენოლოგიურ მიდგომას, იყენებს თვისებრივ მეთოდებს, და შედგება ორი კომპონენტისაგან: 1) ჩაღრმავებული ინტერვიუები რეპრესირებული ოჯახების მეორე და მესამე თაობების წარმომადგენლებთან, რომელთა ანალიზიც განხორციელდა *მონაცემებზე დაფუძნებული თეორიის* (Grounded Theory) მიდგომაზე დაყრდნობით და, 2) საქართველოში მიმდინარე სოციო-პოლიტიკური პროცესების ანალიზი ფსიქოტრავმატოლოგიის პერსპექტივიდან, Vamik

Volkan-ის ფსიქოპოლიტიკური ანალიზის პარადიგმაში, Wilfred Bion-ისა და Earl Hopper-ის საბაზო დაშვებების თეორიაზე დაყრდნობით.

კვლევის შედეგები: კვლევამ გამოავლინა, რომ საქართველოში ტოტალიტარული პერიოდის რეპრესიებთან დაკავშირებული ტრავმული გამოცდილება არის დისოცირებული საზოგადოების ცნობიერებიდან, შესაბამისად გამოუგლოვებელი, და განაპირობებს ტრავმულ (*დაქვემდებარების, შებრძოლება-გაქცევის, გამრავლების, არაშეჭიდულობის*) საბაზო დაშვებებზე დაფუძნებულ სოციო-პოლიტიკურ ფსიქოდინამიკას. კვლევის საფუძველზე, ასევე, გამოიკვეთა რეპრესიის ტრავმით დაზიანებული ოჯახური სისტემის კონრეტული პატერნები, ხოლო ინდივიდუალურ დონეზე კი - რეპრესირებული ოჯახების მეორე და მესამე თაობების წარმომადგენელთა ტრავმასთან დაკავშირებული პრობლემები და აღდგენისუნარიანობის სტრატეგიები, რომელთა ურთიერთქმედებაც განაპირობებს ტრავმასთან გამკლავებასა და ცხოვრების ხარისხს. კვლევის შედეგად შემუშავებულ იქნა *ტრავმის თაობიდან თაობაში გადაცემის ფისოქო-სოციო-პოლიტიკური მოდელი*, რომელიც ერთიან ჩარჩოში განიხილავს ტრავმის ზეგავლენას ინდივიდუალურ, ოჯახურ, საზოგადოებრივ და სახელმწიფო დონეზე და აჩვენებს ამ დონეებზე მოქმედი ფაქტორების ურთიერთქმედების მნიშვნელობას ტრავმის თაობიდან თაობაში გადაცემის თვალსაზრისით. მოცემული მოდელი გამოყენებული იქნება რეპრესიების ტრავმის თაობიდან თაობაში გადაცემის კვლევების შემდგომი სერიის დასაგეგმად.

საკვანძო სიტყვები: პოსტ ტოტალიტარული ქვეყანა, ტოტალიტარული რეპრესიები, ტოტალიტარული ტრავმა, ტრავმის თაობიდან თაობაში გადაცემა, ოჯახური ტრავმა, საზოგადოებრივი (societal) ტრავმა, გამოუგლოვებელი ტრავმული გამოცდილება, საბაზო დაშვებები

Abstract

Introduction: Among the large number of studies focused on intergenerational transmission of trauma, there are very few studies exploring impact and transmission of repressive political regime-related traumas. Questions related to the impact of totalitarian traima at individual, family and societal levels, as well as mechanisms of its intergenerational transmission still have to be answered. This study tries to fill this gap and considers the case of Georgia as a post-totalitarian country.

Objectives of the study: The aim of the study is to explore impact of the traumas related to Soviet repressions and its inter-generational transmission. To achieve this, the impact of repression trauma was studied on the following levels: 1) individual level (the second- and third-generation representatives of repressed families); 2) family level (the families whose family members were repressed in 1930s); 3) societal level (concrete cases from the current socio-political life of Georgia); 4) in addition, the mechanisms of trauma transmission at these different levels were explored.

Methodology: The research methodology is based on the phenomenological approach, implies qualitative methods and consists of two components: 1) In-depth interviews with the second- and third-generation representatives of the repressed families, which were analyzed based on the *Grounded Theory* approach; 2) Analysis of the current socio-political processes of Georgia, based on the psycho-political analysis paradigm by Vamik Volkan and *Theory of Basic Assumptions* by Earl Hopper (whose work is based on Wilfred Bion's and Melanie Klein's works).

Results: The study revealed that traumatic experience related to the totalitarian traumas/past is dissociated from and incapsulated within unconscious mind of the Georgian society. Consequently, it is not mourned authentically, and causes societal regress and destructive psychodynamics, based on the basic assumption৳ of *Dependency*, *Fight & Flight*, *Paring* and *Incohesiveness*. The study

revealed assumptions-based dynamics in those families who failed to deal with repression-related traumatic experience. At individual level, repression-trauma related problems and resilience strategies were identified among the second- and third-generation representatives of the repressed families. Based on the study findings, *the psycho-socio-political model of intergenerational transmission of trauma* was elaborated, which demonstrates interplay between the different factors influencing intergenerational transmission of trauma at individual, family and societal levels. The model could be used as a foundation for initiation of a series of studies exploring different aspects of intergenerational transmission of trauma at individual, family and societal levels.

Key words: post-totalitarian country, totalitarian repressions, intergenerational transmission of trauma, family trauma, societal trauma, unmourned traumatic experience, basic assumptions

მადლობა

მინდა მადლიერება გამოვუხატო ხელმძღვანელებს - პროფესორებს ქეთევან მაყაშვილსა და რობერტ ვან ვორენს, მეთოდოლოგიური ხელმძღვანელობისა და მხარდაჭერისთვის; სირაკუზის უნივერისტეტის პროფესორს, დესა სიკო-ბერგენსა, და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს ნინო მახაშვილის, მნიშვნელოვანი მეთოდოლოგიური რჩევებისათვის; ჩემს მენტორებს - პროფესორ ემერიტუს ვამიკ ვოლკანს, რომლის ნაშრომებმა ტრავმის თაობიდან თაობაში გადაცემაზე შთამაგონეს ჩემი კვლევის იდეა, და პროფესორ ემერიტუს ბერთოლდ გერსონს, ფასეული მეთოდოლოგიური რჩევებისათვის. ასევე, დიდი მადლობა ჩემს კოლეგას, ანა მეუნარგიას, მასალის შეგროვებასა და დამუშავებაში ღირებული წვლილის შეტანისათვის; აგრეთვე, მკვლევარებს - ელენ კლემერას, ნანა აღაპიშვილსა და ლელა ცისკარიშვილს, მასალის ანალიზში საექსპერტო მონაწილეობისათვის; ფსიქიატრ ზურაბ ბებერაშვილს ლიტერატურის მიმოხილვის ნაწილზე მუშაობაში ქმედითი დახმარებისათვის; ილიაუნის პროფესორ ნინო ჯავახიშვილს, ნაშრომის კრიტიკული შეფასებისთვის და თავისუფალი უნივერსიტეტის პროფესორ გაგა ნიჟარაძეს, დისერტაციის რეცენზენტს - დადებითი უკუკავშირისა და ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი აზრთა გაზიარებისთვის. მინდა გამოვუხატო მადლიერება ილიაუნის ფსიქიკური ჯანმრთელობის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულებსა და ამჟამინდელ სტუდენტებს, ვინც აქტიურად მონაწილეობდა ილიაუნის ფსიქიკური ჯანმრთელობის სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში ჩემი ხელმძღვანელობით მიმდინარე კურსის: „სოციალური ტრავმა: ფენომენოლოგია და გამკლავება“ მუშაობაში. დიდი მადლობა ისტორიკოსებს - ოლივერ რეისნერს, ირაკლი ხვადაგიანსა და დავით ჯიშკარიანს, მულტიდისციპლინურ ფორმატში თანამშრომლობისა და, ჩემი კვლევისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციით უზრუნველყოფისათვის.

სარჩევი

განაცხადი II

აბსტრაქტი III

მადლობა VII

ცხრილების ჩამონათვალი XII

დიაგრამების ჩამონათვალი XII

აბრევიატურის ჩამონათვალი XIII

ტერმინების განსაზღვრებები XV

1. შესავალი 1

1.1. პრობლემის საფუძველი 1

1.2. პრობლემის დასმა 3

1.3. კვლევის მიზანი და ამოცანები 7

1.4. კვლევის შეკითხვები და ჰიპოთეზი 8

1.5. კვლევის კონცეპტუალური ჩარჩო 10

1.6. კვლევის მნიშვნელობა 11

2. ლიტერატურის მიმოხილვა 13

2.1. შესავალი 13

2.2. ძიების აღწერა 13

2.3. ნაშრომის კონცეპტუალური ჩარჩოს შესაბამისი ლიტერატურის მიმოხილვა 14

2.3.1. ფსიქოლოგიური ტრავმა 14

2.3.1.1. ტრავმის რაობა და მისი გაგების განვითარება 14

2.3.1.2. ტრავმის ფსიქოლოგიური თეორიები 22

2.3.1.3. ტრავმის რისკისა და დამცავი ფაქტორები 31

2.3.1.4. აღდგენისუნარიანობა (RESILIENCE) 33

2.3.1.5. ტრავმის შედეგები: სოციალურ-ინტერპერსონალური მოდელი 36

2.3.1.6. პოსტ ტრავმული ზრდა 38

2.3.2. ტრავმის თაობიდან თაობაში გადაცემა 40

2.3.2.1. ტრავმის თაობიდან თაობაში გადაცემის თეორიები 43

2.3.2.2. საზოგადოებრივი (SOCIETAL) ტრავმის თაობიდან თაობაში გადაცემის თეორიები 56

2.4. ტრავმის თაობიდან თაობაში გადაცემის კვლევების მიმოხილვა 77

2.4.1. ჰოლოკოსტის კვლევები 77

2.4.2. ვიეტნამის ომის ვეტერანთა ოჯახების კვლევები 84

2.4.3. რეპრესიული პოლიტიკური რეჟიმებით გამოწვეული ტრავმის კვლევები 85

2.5. კონტექსტის აღწერა: საბჭოთა რეპრესიების კვლევა საქართველოში ისტორიკოსების მიერ 96

2.5.1. რეპრესიების ტენდენციების ზოგადი მიმოხილვა 96

2.5.2. სიჩუმის შეთქმულება 98

2.5.3. დიდი ტერორის ალგორითმი საქართველოში 101

2.5.4. დიდი ტერორის მსხვერპლთა რეაბილიტაცია საქართველოში..... 107

3. კვლევის მეთოდოლოგია..... 116

3.1. კვლევის დიზაინი, დაშვებები და მეთოდები და მათი რელევანტურობა 116

3.2. კვლევის პროცედურა..... 119

3.2.1. კომპონენტი პირველი. ჩაღრმავებული ინტერვიუები რეპრესირებული ოჯახების მეორე და მესამე თაობების წარმომადგენლებთან..... 119

3.2.2. კომპონენტი მეორე. საქართველოს, როგორც პოსტ-საბჭოთა ქვეყნის ფსიქოპოლიტიკური ანალიზი 124

4. კვლევის შედეგების მიმოხილვა..... 129

4.1. შესავალი..... 129

4.2. კვლევის შერჩევის აღწერა 129

4.3. რეპრესირებული ოჯახების მეორე თაობის წარმომადგენელთა კვლევის შედეგები 131

4.3.1. რეპრესიების ტრავმასთან დაკავშირებული ოჯახური ატმოსფერო... 132

4.3.2. ტრავმასთან დაკავშირებული სიმტომები..... 138

4.3.3. სოციალური გარემოცვის დამოკიდებულების აღქმა 140

4.3.4. აღდგენისუნარიანობის სტრატეგიები..... 143

4.4. რეპრესირებული ოჯახების მესამე თაობის წარმომადგენელთა კვლევის შედეგები 152

4.4.1. რეპრესიების ტრავმასთან დაკავშირებული ოჯახური ატმოსფერო... 152

4.4.2. ოჯახური ნარატივები რეპრესიებზე 160

4.4.3. აღდგენისუნარიანობის სტრატეგიები..... 168

4.5. მეორე და მესამე თაობების კვლევის საფუძველზე გამოვლენილი ოჯახური სისტემის პატერნები 175

4.6. საზოგადოებრივ დონეზე ტოტალიტარული ტრავმის კვლევის შედეგები 177

4.6.1. ტოტალიტარული რეჟიმის დროს საქართველოს მოსახლეობაზე მოქმედ სტრესორთა სისტემა და მათი ზემოქმედებით მიღებული ტრავმული გამოცდილების გამოგლოვების მდგომარეობა..... 177

4.6.2. საბაზო დაშვებებზე დაფუძნებული სოციო-პოლიტიკური დინამიკა ქართულ საზოგადოებაში..... 195

4.7. შედეგების ინტერპრეტაცია/დისკუსია 211

*4.7.1. ტრავმის თაობიდან თაობაში გადაცემის ფსიქო-სოციო-პოლიტიკური მოდელი*211

4.7.2. პარადოქსი, როგორც გადარჩენის მოდუსი ტოტალიტარულ პერიოდში, და როგორც განვითარების ბარიერი პოსტ-ტოტალიტარულ პერიოდში 224

4.7.3. როგორ ვლინდება რეპრესიების ტრავმის გავლენა მეორე და მესამე თაობებზე და კონკრეტულად რა გადადის თაობიდან თაობაში..... 228

4.8. კვლევის შეზღუდვები 231

5. დასკვნა და რეკომენდაციები..... 233

6. გამოყენებული ლიტერატურა 241

7. დანართები..... 264

ცხრილების ჩამონათვალი

ცხრილი 1: მეორადი ტრავმის კლასიფიკაცია (Kira, 2004) 42
ცხრილი 2: არაავთენტური გლოვის სახეები და მათი მახასიათებლები 71
ცხრილი 3: სხვადასხვა მოდუსში მოქმედი ჯგუფის ინტერქციისა და კომუნიკაციის პატერნები და ნორმები (Hopper, 2003, გვ.33-34 და 70-75) 73
ცხრილი 4: დიდი ტერორის პერიოდში მსჯავრედებულთა რაოდენობა საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში (იუნგე, 2015ბ, გვ.48) 105
ცხრილი 5: ტოტალიტარულ რეჟიმთან დაკავშირებულ მატრავმირებელ სტრესორთა სისტემა, რომელიც ზემოქმედებდა საქართველოს მოსახლეობაზე საბჭოთა პერიოდში 178

დიაგრამების ჩამონათვალი

დიაგრამა 1: სისტემა „ადამიანი-გარემო“ (Dilts, 1994, გვ.30): 55
დიაგრამა 2: ტრავის თაობიდან თაობაში გადაცემის ფსიქო-სოციო-პოლიტიკური მოდელი 212

აბრევიატურის ჩამონათვალი

დნმ	დეზოქსირიბონუკლეინის მჟავა
ენმ	ერთიანი ნაციონალური მოძრაობა
პტსა	პოსტ ტრავმული სტრესული აშლილობები
სკკპ(ბ)	საბჭოთა კავშირის კომუნისტური (ბოლშევიკური) პარტია
სსრ	საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა
სსრკ	საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი
სუკი	სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი
შმს	შედარებით მსუბუქი სასჯელი
შინსახკომი	შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი
ACE	Adverse Childhood Experiences/ბავშვობის მძიმე გამოცდილებები
APA(a)	American Psychological Association/ამერიკული ფსიქოლოგიური ასოციაცია
APA(b)	American Psychiatric Association/ამერიკული ფსიქიატრიული ასოციაცია
CRRC	Caucasus Research Resource Center/კავკასიური კვლევის რესურსცენტრი
DSM	Diagostic and Statistical Manual of Mental Disorders/ფსიქიკური დაავადებების სადიაგნოსტიკო და სტატისტიკური სახელმძღვანელო
DVV	Deutschen Volkshochschul-Verbandes/გერმანიის სახალხო უნივერსიტეტის საერთაშორისო განყოფილება
FKBP5	FK506 Binding Protein 5/ფკ506 გენის დამაკავშირებული ცილა 5
ICD	International Classification of Diseases/დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკაცია
NDI	National Democratic Institute/ეროვნული დემოკრატიული

ინსტიტუტი

SovLab Soviet Past Research Laboratory/საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორია

КГБ Комитет Государственной Безопасности/სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი (იგულისხმება საბჭოთა კავშირის უშიშროების სამსახური)

აღდგენისუნარიანობა (Resilience): „კარგი ადაპტაციის პროცესი უბედურების, ტრავმის, ტრაგედიის, საფრთხეების, ან სტრესის მნიშვნელოვანი წყაროს - ოჯახური თუ ურთიერთობებთან დაკავშირებული პრობლემების, ჯანმრთელობის სერიოზული პრობლემების, სამსახურებრივი თუ ფინანსური სტრესორების დროს. ის გულისხმობს რთული გამოცდილებიდან „უკან ამოხტომას“ (APAb, 2012, გვ.1);

გაქრობის შიში: “ეს არის რეაქცია უსუსურობის განცდაზე, რომელიც წარმოიქმნება დანაკლისის, უარყოფისა და ზიანის დროს, მატრავმირებელი პროცესის კონტექსტში. ის გასდევს თაობებს, მოიცავს ურთიერთობას მსხვერპლს, აგრესორსა და გვერდიდან მაყურებელს შორის, და ასევე, ტრავმული რეაგირების პატერნებს.“ (Hopper, 2003, გვ.56);

გლოვა: „დანაკლისის ობიექტთან რეალური თუ სასურველი ურთიერთობების გადასინჯვის ნელი შინაგანი პროცესი, რომელიც გრძელდება მანამ, სანამ დანაკარგის რეალურობა ემოციურად მისაღები გახდება.“ (Bogensperger & Lueger-Schuster, 2014, გვ.2). თუ დანაკლისი ჯგუფურია, „გლოვის ნორმალური პროცესი განხორციელდა და გლოვა დასრულდა, ჯგუფს უვითარდება ახალი - პოსტ-ტრავმული იდენტობა, და მას შეუძლია გამოანთავისუფლოს ენერგია იმისთვის, რომ მისი ინვესტირება მოახდინოს ახალ განვითარებაში.“ (Volkan, 2006, გვ.118). გლოვის პროცესში ჯგუფი უნდა გაუმკლავდეს ემოციებს დაკავშირებულს დანაკლისთან და საზრისი ჩადოს დანაკლისში (ახსნას, თუ რა მოხდა და გაიაზროს თუ რა გამოცდილება შესძინა დანაკლისის განცდამ). ეს პროცესები დანაკლისის ემოციური მიღების საშუალებას ქმნის (Neimeyer, 2000, Neimeyer et al, 2002; Neimeyer, 2006);

დიდი ჯგუფი: დიდი ჯგუფი გულისხმობს ადამიანების დიდ გაერთიანებას ნაციონალური, ეთნიკური, რელიგიური თუ სხვა ნიშნით. ეს არის „ათეულობით, ასეულობით და ათასეულობით, ან მილიონობით ადამიანი, რომელთა უმრავლესობა არსდროს შეხვდება ერთმანეთს, და ვინც იზიარებს იგივეობის განცდას, დიდი ჯგუფის იდენტობას“ (Volkan, 2013, გვ.210);

დიდი ჯგუფის იდენტობა: „დიდი ჯგუფის იდენტობა არის პროდუქტი მითებისა და რეალობის, რომელთაც საერთო საწყისი, ისტორიული მიმდინარეობა, გეოგრაფიული არეალი, და სხვა ზიარი ლინგვისტური, საზოგადოებრივი, რელიგიური, კულტურული და პოლიტიკური ფაქტორები აქვს. ყოველდღიურ ცხოვრებაში ჩვენ გამოვხატავათ ამგვარ იდენტობებს საერთოობის გამომხატველი ისეთი ტერმინებით, როგორიცაა ‘ჩვენ ვართ აპაჩები, ჩვენ ვართ ლიტველი ებრაელები, ჩვენ ვართ ქურთები, ჩვენ ვართ სლავები, ჩვენ ვართ სუნიტი მუსლიმები, ჩვენ თალიბი ძმები ვრთ, ჩვენ კომუნისტები ვართ’“. (Volkan, 2013, გვ.210);

დიდი ჯგუფის ნარცისიზმი: „გაზიარებული ნარცისიზმის „ნორმალური” დონე გარდაუვალად ახლავს დიდი ჯგუფის იდენტობას. ნარცისიზმის ჯანსაღი ინვესტირება დიდი ჯგუფის იდენტობაში ხელს უწყობს ჯგუფის წევრებს შორის კუთვნილებისა და თაობებს შორის მემკვიდრეობითობის განცდის წარმოშობას, და ეს, თავის მხრივ, ეხმარება ჯგუფის წევრების ინდივიდუალიზებულ თვითშეფასებას.“ (Volkan, 2009, გვ. 214);

დიდი ჯგუფის გაზვიადებული ნარცისიზმი: „როდესაც დიდი ჯგუფის იდენტობა და მისი გამაძლიერებლები (amplifiers) საფრთხის ქვეშაა, შედეგად ვითარდება გაზიარებული ნარცისტული „ჭრილობა“, დაკავშირებული სირცხვილის, დამცირების, უსუსურობისა ან რევანშისტულ განცდებთან. დიდი ჯგუფის გაზვიადებული ნარცისიზმის ცნება აღწერს ჯგუფის შიგნით მიმდინარე პროცესს, რომლის დროსაც ხალხი მოცულია საკუთარი უპირატესობის განცდით ყველაფერ იმასთან დაკავშირებით, რაც კავშირშია

მათი დიდი ჯგუფის იდენტობასთან, მაშინაც კი როდესაც ამგვარი აღქმები და რწმენები არ არის რეალისტური.“ (Volkan, 2013, გვ. 222);

დიდი ჯგუფის მაზოხისტური ნარცისიზმი: „საზოგადოების მიერ ქრონიკული ვიქტიმურობის ასიმილაცია და საკუთარი განაწამებობის განცდის გამოყენება იმისთვის, რომ თავი საიდუმლოდ სხვებზე უპირატესად, ან, სულ ცოტა - ყურადღების ღირსად იგრძნონ“ (Volkan, 2013, გვ. 222);

დიდი ჯგუფის ავთვისებიანი ნარცისიზმი: „დიდი ჯგუფის ავთვისებიანი ნარცისიზმი გულისხმობს პროცესს, რომლის დროსაც დიდი ჯგუფის წევრებს აქვთ სურვილი დაჩაგრონ ან მოკლან „სხვები“ - მეტ-ნაკლებად, ამა თუ იმ ნიშნით განსხვავებული ადამიანები, ვინც იმყოფებიან ან ამავე ჯგუფის სამართლებრივ საზღვრებში, ან მის გარეთ. ეს პროცესი მოტივირებულია გაზიარებული (გამოთქმული თუ გამოუთქმელი) რწმენით, რომლის თანახმადაც „სხვები“ „აბინძურებენ“ მათ ჯგუფს, და ამით რისკის ქვეშ აყენებენ მათ უპირატესობას.“ (Volkan, 2013, გვ.222);

დიდი ჯგუფის რეგრესი: დიდი ჯგუფის რეგრესი ნიშნავს დიდი ჯგუფის გადასვლას განვითარების ნაკლებად კომპლექსურ საფეხურზე. ვოლკანი გამოყოფს დიდი ჯგუფის რეგრესის 5 ნიშანს: ლიდერის გარშემო „რსბოლა“, მასობრივი ინტროექციები (პროპაგანდის „გადაყლაპვა“ უკრიტიკოდ), მასობრივი პროექციები (მტრის ხატის პროეცირება განსხვავებულზე), მაგიური აზროვნების (მაგ., რელიგიური ფუნდამენტალიზმის) გააქტიურება, საზღვრების უკიდურესი ფსიქოლოგიზება (რის დროსაც მცირე განსხვავებები აღიქმება როგორც დიდი) და ა.შ. (Volkan, 2005);

Melanie Klein-ის მიხედვით, პარანოიდულ-შიზოიდური პოზიცია: აღწერს ფაზას ჩვილის განვითარებაში (პირველი 4-6 თვე) როდესაც „ეგო ჯერ კიდევ პრიმიტიულ მდგომარეობაშია, ჩვილს ჯერჯერობით არ შეუძლია საკუთარი თავისა თუ სხვების ინტეგრირებული იმიჯის ქონა. აქედან გამომდინარე, იგი ურთიერთობაშია ობიექტის ცალკეულ ნაწილებთან (მაგ., დედის მკერდთან

უფრო, ვიდრე მთლიანად დედასთან), და ყოფს ამ ობიექტებს ცუდ და კარგ ობიექტებად... ჩვილი აყალიბებს ორ განსხვავებულ იმიჯს ობიექტისა, და აკეთებს დაშვებას, რომ ისინი ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად არსებობენ. მაგალითად, „ცუდი მკერდი“ არსებობს მაშინ, როდესაც დედას არ შეუძლია ჩვილის კვების მოთხოვნილების უშუალო დაკმაყოფილება (ვთქვათ, მასში არ არის რძე - დ.ჯ.). ჩვილს უჩნდება „ცუდი ობიექტის“ განადგურების სწრაფვა. „კარგი ობიექტი“ არსებობს მაშინ, როდესაც ჩვილის კვების მოთხოვნილება დაკმაყოფილებულია, და ეს იწვევს სიყვარულის განცდას ობიექტის მიმართ“. (Klein, 1997, გვ.191);

Melanie Klein-ის მიხედვით, დეპრესიული პოზიცია: აღწერს ჩვილის განვითარებას იმ ეტაპზე (6 თვე +), როდესაც “ჩვილს უჩნდება იმის გაგება, რომ კარგი დედა და ცუდი დედა - ეს ერთი და იგივე ობიექტია. ამასთან, ფრაგმენტირებული ობიექტის ნაწილები უკვე აღიქმება როგორც ერთი და იგივე მთლიანი. აქ უკვე ვითარდება უნარი როგორც საკუთარი თავი, ასევე სხვა ობიექტები დაინახო როგორც ერთდროულად კარგიცა და ცუდიც. ეს აყალიბებს ბაზისს ინტეგრირებული ეგოსათვის.” (Klein, 1997, გვ.197);

Melanie Klein-ის მიხედვით, ობიექტ-ურთიერთობების თეორია: კლეინისეული ობიექტ-ურთიერთობების თეორია თავდაპირველად ეყრდნობოდა ფროიდისეულ ფსიქოდინამიკურ მიდგომას, შემდგომში მეტად განვითარდა და გულისხმობს „ადამიანის ფსიქიკის ისეთ მოდელს, რომელიც ტრანზიციას განიცდის პარანოიდ-შიზოიდურიდან დეპრესიული პოზიციისკენ, და ხაზს უსვამს ჩვილზე ზრუნვისას მზრუნველის როლის კრიტიკულ მნიშვნელობას“(Klein, M., 1997, გვ.197). ფსიქოდინამიკური ინტერაქცია პარანოიდ-შიზოიდურ და დეპრესიულ პოზიციებს შორის მიმდინარეობს მთელი ცხოვრების განმავლობაში;

ჯგუფის საბაზო დაშვებები: ტერმინი, რომელიც შემოიტანა მცირე ჯგუფებთან მომუშავე ფსიქოანალიტიკოსმა W. Bion-მა, რათა აღეწერა, თუ

როგორ უმკლავდებიან შფოთვას თერაპიული ჯგუფები სამი საბაზო დაშვების მეოხებით. ეს საბაზო დაშვებებია: დამოკიდებულება (1), შებრძოლება და გაქცევა (2) და გამრავლება (3). ჯგუფური დინამიკის პროცესში ეს სამი საბაზო დაშვება კალეიდოსკოპურად ერთმანეთს ენაცვლება. თუ ტრავმული სტრესორი ისეთი სიძლიერისაა, რომ ჯგუფის წევრებში აღვიძებს უსუსურობის გაზიარებულ განცდას, გაქრობისა და იდენტობის დაკარგვის შიშს, დაძლევის კონსტრუქციული სტრატეგიები შესაძლოა გამოვიდეს წყობიდან და საზოგადოებრივი ცხოვრება წარმართოს ამ სამმა საბაზო დაშვებამ, რასაც საზოგადოება კოლექტიურ ფსიქოზამდე მიყავს. Earl Hopper-მა ბიონის თეორია მიუყენა დიდი ჯგუფის ფსიქოდინამიკას და ამ სამ საბაზო დაშვებას დაამატა კიდევ ერთი - შეჭიდულობის არქონა, არაკოჰესიურობა (Incohession), რომელიც თავს ორი სახით ავლენს: აგრეგაცია და მასსიფიკაცია. ბიონისა და ჰოფერის თანახმად, საბაზო დაშვებები შესაძლოა აღიწეროს სამი სოციალური მახასიათებლით: კომნუნიკაცია, ინტერაქცია და ნორმირება (Bion, 1961; Hopper, 2003);

საბაზო დაშვება გამრავლებისა: გაქრობისა და იდენტობის დაკარგვის შიშებს დიდი ჯგუფი ცდილობს გაუმკლავდეს გამრავლების - ახალი წევრების წარმოშობის - გზით;

საბაზო დაშვება დაქვემდებარებისა: ჯგუფის წევრები საკუთარ თავს განიხილავენ როგორც უსუსურებს, ხოლო ლიდერს - როგორც ომნიპოტენტურს. ისინი ცდილობენ თავი აარიდონ რისკებს, ტოლერირებენ სტაგნაციას და მთელ იმედებს ამყარებენ ლიდერზე, რომლისგანაც მოელიან, რომ ის შეცვლის სიტუაციას სასიკეთოთ;

საბაზო დაშვება ინკოჰესიის/აგრეგაციისა: „ის აქცევს ჯგუფს კონგლომერატად ინდივიდებისა, ჭარბი როლური დიფერენციაციით, პოლარიზაციით, პოლარიზებულ ფრაგმენტებს შორის დაძაბულობითა და შესაბამისი კონფლიქტებით, ინკაფსულირებული ქვე-დაჯგუფებებით,

სოლიდარობის არქონით, ნორმების არქონისა ან იგნორირების გამო“ (Hopper, 2003, გვ.70).

საბაზო დაშვება ინკოჰესიის/მასსიფიკაციისა: „ის დიდ ჯგუფს აქცევს ჰომოგენურ კონგლომერატად ინდივიდებისა, რომლებიც გაერთიანებული არიან ფსევდო-სოლიდარობის გარშემო, სადაც ინდივიდუალური ავტონომია აღარც არსებობს და არც შეწყნარებადია. ამის მაგივრად, ანონიმურობა და როლთა მინიმალური დიფერენციაცია წარმოიქმნება; რწმენათა ტოტალური უნიფორმულობა, ფასეულობები და ნორმები წინასწარ არის განსაზღვრული და ნებისმიერი გადახვევა აღქმულია როგორც სახიფათო ჯგუფის იდენტობისთვის, და ამდენად, მისი შეწყნარება არ ხდება“ (Hopper, 2003, გვ.67);

საბაზო დაშვება ბრძოლა-გაქცევისა: ჯგუფის წევრები იყოფიან ორ ურთიერთდაპირისპირებულ ჯგუფად, რომლებიც ვერ იტანენ ერთმანეთს, აკეთებენ განსხვავების ხაზგასმას და, მცირედი გასნხვავება დიდ უთანხმოების საკითხად ექცევათ;

საზოგადოებრივი (Societal) ტრავმა: საზოგადოებრივი დონის ტრავმა, გამოწვეული დიდი მასშტაბის ტრავმული სტრესორის მიერ, რომლის ზემოქმედების შედეგადაც დიდი ჯგუფი და მისი წევრები განიცდიან მნიშვნელოვან დანაკლისს. დიდი ჯგუფის რეაქცია ამგვარ დანაკლისზე არის უსუსურობის განცდა, გაქრობისა და იდენტობის დაკარგვის შიში;

ტოტალიტარული ობიექტი: „ზეძლიერი ავტორიტეტები, რომლებიც ინტერნალიზებულია (ტოტალიტარულ საზოგადოებაში - დ.ჯ.) ყოველი ინდივიდის მიერ, სოციალიზაციის პროცესში. როგორც ჩანს, მშობლებს, როგორც ადრეულ ექსტერნალურ ობიექტებს, ბავშვისათვის ტოტალიტარული ხასიათი აქვთ, რამდენადაც ბავშვი ადრეულ ასაკში მათ აღიქვავს, როგორც ყოვლისშემძლეს, გამომდინარე თავისი დამოკიდებული პოზიციიდან. როგორც შინაგანი, ასე ექსტერნალური ტოტალიტარული ობიექტები ინთრუზიულია, მათ აქვთ ტენდენცია ფლონ სხვა და მისით მანიპულირება

მოახდინონ. ისინი არ უწევენ ანგარიშს ინსივიდუალობასა და ინდივიდუალურ თუ სოციალურ განსხვავებებს. ინდივიდუალური ფასეულობების ნაცვლად, ისინი ცდილობენ დაამკვიდრონ იდეოლოგია, ყველასთვის სავალდებულო. ტოტალიტარული ობიექტები შემაშინებელია, მაგრამ ამასთან ერთად, შესაძლებელია უსაფრთხოების ძიება მათ ჩრდილში, თუ ინდივიდი მათთან აიდენტიფიცირებს თავს.“ (Sebek, 1996, 289);

ტოტალიტარული სიტუაცია: ეს ტერმინი მე სპეციალურად შემომაქვს რათა ტოტალიტარულ რეჟიმში მცხოვრები საზოგადოების ფსიქოდინამიკა აღვწერო, როგორც დინამიკური ინტერაქცია სამ ურთიერთგადამფარავ სოციალურ როლს: აგრესორს, მსხვერპლსა და გვერდიდან მაყურებელს შორის (Javakhishvili, 2014);

ტოტალიტარული საზოგადოება: „ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, ტოტალიტარული საზოგადოება შეგვიძლია აღვწეროთ, როგორც ემოციურად მოუმწიფებელი საზოგადოება, რომელიც შედგება, ძირითადად, ემოციურად მოუმწიფებელი ინდივიდებისგან, რომელთა შინაგან სამყაროს განაგებს ინტერნალიზებული ტოტალიტარული ობიექტი.“ (Sebek, 1996, გვ. 289);

ტოტალიტარული ტრავმა: ეს ტერმინი შემომაქვს, რათა აღვწერო ტოტალიტარული რეჟიმის პერიოდში მოქმედი სტრესორთა სისტემის ზემოქმედების შედეგად მიღებული ტრავმების ზეგავლენა ქართულ საზოგადოებაზე. ეს ტერმინი გულისხმობს საზოგადოების მიერ გაზიარებულ ტრავმას, მიღებულს ტოტალიტარულ რეჟიმში ცხოვრების ზიარი გამოცდილებით (Javakhishvili, 2014);

ტრავმის თაობიდან თაობაში გადაცემა: გადაუმუშავებელი (გამოუგლოვებელი) ტრავმის გადაცემა მშობლიდან შვილზე (ერთი თაობიდან მეორეზე) სხვადასხვა არაცნობიერი მექანიზმით, აღზრდის სტილით, ოჯახური ატმოსფეროთი, კომუნიკაციის პატერნებით, კოგნიტური სქემებით; ოჯახში, თემსა თუ საზოგადოებაში გავრცელებული ნარატივების,

დისკურსების, ინტერაქციების და სხვა გადამცემების გზით. ამ ფენომენის აღსანიშნავად, ინგლისურენოვან ლიტერატურაში ტერმინების მთელი რიგი არსებობს. სხვადასხვა ავტორი უპირატესობას სხვადასხვა ტერმინს ანიჭებს: intergenerational transmission of trauma (Dekel & Goldblatt, 2008; Yehuda et al, 2016 და ა.შ.), transgenerational transmission of trauma (Almagor & Leon, 1989; Braga et al, 2012 და ა.შ.), multigenerational transmission of trauma (Bar-on et al, 1998; Danieli, 1998 და ა.შ.), Crossgenerational transmission of trauma (Jacoby, 2011 და ა.შ.). ყველა ეს ტერმინი ერთი თაობის წარმომადგენლების (მშობლების თაობის) შემდგომი თაობის წარმომადგენლებზე ტრავმის გადაცემას გულისხმობს.

1. შესავალი

1.1. პრობლემის საფუძველი

დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე საქართველო იმყოფება პერმანენტულ, მრავალგანზომილებიან - სოციალურ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ და ა.შ. - კრიზისში. გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან მოყოლებული, ქვეყანამ გამოიარა შეიარაღებული კონფლიქტების წყება: ეთნო-პოლიტიკური კონფლიქტები, სამოქალაქო ომი და ომი რუსეთთან. ეთნო-პოლიტიკურმა კონფლიქტებმა ე.წ. „გაყინული“ (Welt, 2010) მიმდინარეობა მიიღო, ხოლო მათთან გადაჯაჭვულმა რუსეთთან საომარმა მდგომარეობამ კი მუდმივი სამხედრო საფრთხისა და 2008 წლის შემდგომ კი ე.წ. „მცოცავი ოკუპაციის“ ხასიათი. მუდმივი საფრთხის შეგრძნება და მასთან დაკავშირებული გაქრობის (annihilation) შიში სოციეტალურ დონეზე მეტად ამძაფრებს პოსტ-ტოტალიტარული საზოგადოებისათვის დამახასიათებელ ნიშნებს (Volkan, 2002; Hopper, 2003). ამას ადგილი აქვს ქართულ სოციუმშიც: საზოგადოება უკიდურესად პოლიტიზებული და დაფრაგმენტებულია; სხვადასხვა ფრაგმენტი შეუწყნარებელია ერთმანეთის მიმართ, რაც მთლიანობაში არაჯანსაღ დაძაბულობას ქმნის; ყოველივე ეს აბრკოლებს ქვეყნის განვითარებას (Maning, 2007; Batiashvili, 2017 და სხვ.).

მოცემულ ნაშრომში ქვეყნაში მიმდინარე პერმანენტული კრიზისი, საზოგადოების ფრაგმენტაცია და საბჭოთა მემკვიდრეობის გავლენა შესწავლილია ფსიქოტრავმატოლოგიის პერსპექტივიდან, სამ სხვადასხვა - ინდივიდის, ოჯახის, საზოგადოების - დონეზე; ნაჩვენებია ამ სამ დონეზე ტრავმული გამოცდილების შედეგების ურთიერთქმედება.

ტოტალიტარული წარსულის გააზრება დღეისათვის განდევნილია საქართველოს საჯარო აზროვნების სივრციდან. ის ოჯახები, რომელთაც საბჭოთა რეპრესიების „მანქანაში“ გაიარეს, დღესაც დუმილს ამჯობინებენ ამ

თემაზე. ეს არ არის მხოლოდ ქართული ფენომენი: ტყუილად არ შეარჩია Orlando Figes-მა სათაური „მოჩურჩულენი“ თავისი წიგნისთვის, სადაც სტალინიზმის პერიოდში რუსეთში რეპრესირებული ოჯახების ნარტივები გააანალიზა (Figes, 2007). ყოველდღიური პოლიტიკური და სოციალური დაძაბულობების მიმართ ემოციური დამოკიდებულება საზოგადოებრივი ცნობიერების ჩარჩოდანაც რიყავს ტოტალიტარული წარსულის გააზრებისა და გადამუშავების ამოცანას. კრიზისში მყოფი სუბიექტის დროის აღქმა საკმაოდ სპეციფიკურად იცვლება - ხდება დროითი პერსპექტივის ერთგვარი „დამოკლება“ (ჯავახიშვილი და სარჯველაძე, 1998), რის გავლენითაც ქვეყნის უახლოესი ტოტალიტარული წარსული საზოგადოების საკვანძო დაინტერესებული სუბიექტების მხრიდან აღიქმება, როგორც უაღრესად შორეული, და ამდენად, არააქტუალური სინამდვილე. აქ, უნდა ვიფიქროთ, მუშაობს კოლექტიური განდევნისა და ურაყოფის დაცვის მექანიზმები.

ამ მხრივ, არც მეცნიერთა წრეა გამონაკლისი. ძალიან პატარა ჯგუფი პოლიტიკურ და სოციალურ მეცნიერებათა წარმომადგენლებისა, ერთეულ სამოქალაქო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, ახორციელებენ „დესტალინიზაციაზე“ მიმართულ პროექტებს. ასეთია, მაგალითად, 2009 წლიდან ჰაინრიხ ბიოლის ფონდის მხარდაჭერით მიმდინარე პროექტი *სოვლაბი*, რომელიც იკვლევს სტალინის რეპრესიების ისტორიას; ასევე, არასამთავრობო ორგანიზაცია *ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის* პროექტები, მიმართული დიდი ტერორის რეპრესიების კვლევაზე, მსხვერპლთა სიების შედგენაზე, კვლავ ჰაინრიხ ბიოლის ფონდთან და ასევე, საერთაშორისო ორგანიზაცია *მემორიალთან* თანამშრომლობაში. გარდა ამისა, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიხსნა *საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორია*. ასევე, განხორციელდა (და დღესაც ხორციელდება) საბჭოთა რეპრესიების მსხვერპლთა ოჯახების წევრთა ნარატივების შეგროვება-გამოცემაზე მიმართული პროექტები. მაგრამ, ყოველივე ეს არ

გაცდა მეცნიერთა და სამოქალაქო აქტივისტთა თუ ორგანიზაციების ვიწრო წრეს, არ გახდა საზოგადოებრივი განხილვის საგანი.

საინტერესოა, რომ უარყოფის დაცვის მექანიზმი მუშაობს ფსიქოლოგთა პროფესიული თემის დონეზეც. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ფსიქოლოგიური კვლევის მდიდარი ტრადიცია არსებობს, ჯერჯერობით, მოცემული ნაშრომის გარდა, არც ერთი აკადემიური ფსიქოლოგიური შრომა არ არის მიძღვნილი ტოტალიტარული წარსულის გავლენის შესწავლას რეპრესირებულ ოჯახებსა თუ ქართულ საზოგადოებაზე. ამავე დროს, ტოტალიტარული წარსულის გავლენა საზოგადოებრივ ცხოვრებაზე ფსიქოლოგიურ ლიტერატურაში აღიარებული ფაქტია: „საზოგადოებებში, რომლებიც დაექვემდებარნენ არაადამიანურ მოპყრობას ისეთი პოლიტიკური სისტემის გამო, როგორიცაა... ტოტალიტარული რეჟიმები ყოფილ კომუნისტურ ქვეყნებში..., მაშინაც კი, როდესაც პოლიტიკური და სამართლებრივი სისტემები იცვლება და მატრავმირებელი ელემენტები მოცილებულია საზოგადოებიდან, წარსული პოლიტიკური სისტემის მიმართ აღმოცენებული ინდივიდუალური თუ სოციალური რეაქციები არ ქრება 'ერთ ღამეში'. იმის მიხედვით, თუ რამდენი ხანი გრძელდებოდა და რა ინტენსივობისა იყო მატრავმირებელი მოვლენები, გაზიარებული ტრავმის გავლენა ვიქტიმიზებულ ჯგუფზე შესაძლოა გაგრძელდეს ათწლეულები" (Volkan, 2002, p.83).

1.2. პრობლემის დასმა

ფსიქოტრავმატოლოგიის წიაღში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ტრავმის თაობიდან თაობაში გადაცემის ფენომენის კვლევას. კვლევები ამ სფეროში მიმდინარეობს ორი ძირითადი მიმართულებით. პირველია: ტრავმის გადაცემა ინდივიდუალურ და ოჯახურ დონეზე, სადაც გადაცემის მექანიზმებად ისეთი ოჯახური ფაქტორები მოიაზრება, როგორიცაა

მიჯაჭვულობის ტიპი და პრევალირებადი დაცვის მექანიზმები (Wardi, 1992; Kogan, 2012 და სხვ.), აღზრდის სტილი და სოციალური დასწავლა (Kellermann, 2001; Maerker & Horn, 2013; Maerker & Hecker, 2016 და სხვ.), ოჯახის სისტემის ღიაობა, ოჯახური ინტერაქციის პატერნები და ოჯახური პარადიგმა (Bowen, 1976; Figley, 1988; Janoff-Bulman, 1992; Young et al, 2003). მეთოდოლოგიურ მიდგომად აქ, ერთი მხრივ, გამოიყენება თვისებრივი კვლევა - ძირითადად, კლინიკური შემთხვევების ანალიზი, რომელიც ავლენს ტრავმის გავლენას ინდივიდუალურ და ოჯახურ დონეზე; მეორე მხრივ - რაოდენობრივი კვლევები, რომლებიც შეისწავლიან ტრავმის თაობიდან თაობაში გადაცემის თვალსაზრისით ისეთ მნიშვნელოვან ცვლადებს, როგორიცაა: გავრცელებული ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები, ცხოვრების ხარისხი, ემოციური რეგულაციის უნარი, აღდგენისუნარიანობა და სხვა.

ტრავმის თაობათაშორისი გადაცემის კვლევათა მეორე მიმართულება შეისწავლის ტრავმის თაობიდან თაობაში გადაცემას სოციეტალურ დონეზე, აქ კვლევის ძირითადი მიდგომა საზოგადოებრივი პროცესების ფსიქოპოლიტიკური ანალიზია, ფსიქოდინამიკურ ჭრილში. ამ მხრივ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამერიკელი მკვლევარის - Vamik Volkan-ის შრომები, რომელსაც გაანალიზებული აქვს საომარი კონფლიქტებით (ყოფილი იუგოსლავიის კონფლიქტი, ქართულ-ოსური კონფლიქტი და სხვ.), სტიქიური უბედურებებით (აბერფანის ტრაგედია), ნაცისტური რეჟიმით (გემრანიის შემთხვევა), ტერორიზმით (11 სექტემბრის ტრაგედია, ისლამური სახელმწიფო) გამოწვეული კოლექტიური ტრავმის გავლენა დაზარალებული საზოგადოებების შემდგომი თაობების ცხოვრებაზე (Volkan, 1994; Volkan, 1997; Volkan, Ast & Greer, 2002; Volkan, 2006; Volkan, 2013, და ა.შ.). ასევე, მნიშვნელოვანია, Earl Hopper-ის შრომები, რომელიც Wilfred Bion-ის საბაზო დაშვებების თეორიაზე დაყრდნობით (Bion, 1961) განიხილავს გაქრობის

(annihilation) შიშის გამო რეგრესირებული სოციალური სისტემების დესტრუქციულ ფსიქოდინამიკას (Hopeer, 2003).

ქართულ საზოგადოებაზე ტოტალიტარული წარსულის გავლენა, არც ინდივიდუალურ თუ ოჯახურ, არც სოციეტალურ დონეზე, ფსიქოლოგიური კუთხით, დღევანდლამდე არავის შეუსწავლია.

ტრავმის თაობიდან თაობაში გადაცემის კვლევების უდიდესი ნაწილი შესრულებულია ჰოლოკოსტს გადარჩენილთა ოჯახებზე. შედარებით ნაკლები, მაგრამ მაინც დიდი რაოდენობა კვლევებისა განხორციელებულია ვიეტნამის ომის ვეტერანთა ოჯახებზე. უაღრესად მცირეა - ფაქტობრივად, ერთეულებია - კვლევები რომლებიც რეპრესიული პოლიტიკური რეჟიმების შედეგად მიღებული ტრავმის თაობიდან თაობაში გადაცემას ეხება. ჩამოთვლილი კვლევების შედეგებთან მიმართებაში, შესაძლოა დავაკვირდეთ შემდეგ დინამიკას: საკითხის კვლევა, ფაქტობრივად, დაიწყო ტრავმირებულთა შთამომავლებში ფსიქოპათოლოგიის ძიებითა და დადასტურებით (Aleksandrowicz, 1973; Danieli, 1981; Epstein, 1979; Freyberg, 1980, Katz & Franklin, 1980; Miri Scharf, 2007 და სხვ.); პასუხად, ამას მოყვა მთელი რიგი გამოკვლევებისა, რომელთაც ტრავმირებული ოჯახების მეორე და მესამე თაობებში ფსიქოპათოლოგია არ გამოავლინა და დააასკვნა, რომ ტრავმის თაობიდან თაობაში გადაცემა მითია (Baron et al, 1993; Van IJzendoorn et al, 2003; Sagi-Schwartz et al, 2008, და სხვ.). პარალელურად, ემპირიული კვლევების მთელმა რიგმა დაიწყო ტრავმის ზეგავლენის ძიება არა ფსიქოპათოლოგიის, არამედ ტრავმირებული ოჯახების შთამომავლებში ქარაქტეროლოგიური თავისებურებების, სოციუმთან დამოკიდებულების პატერნებისა (Rieck, 1994; Magids, 1998, Liceto et al, 2011) და, ასევე, ფიზიკური ჯანმრთელობის პრობლემების თვალსაზრისით (Shrira et al, 2011). კვლევათა მთელმა რიგმა გამოავლინა, რომ ტრავმირებული ოჯახების მეორე და მესამე თაობები უფრო აღდგენისუნარიანი არიან, ვიდრე მათი თანატოლები, რომელთა ოჯახებსაც არ

გამოუვლიათ ტრავმული გამოცდილება (Sigal, 1998; Zerach & Solomon, 2015;Kazlauskas & Zelviene, 2015). დაბოლოს, ლიტვის პოპულაციაში ჩატარებულმა უახლესმა გამოკვლევამ აჩვენა, რომ პოლიტიკური რეჟიმის მიერ ტრავმირებული ლიტვური ოჯახების მეორე და მესამე თაობაში სამჯერ და მეტად მაღალია პტსა-ს პრევალენტობა, ვიდრე ლიტვის ზოგად პოპულაციაში (Kazlauskas et al, 2017). როგორც ვხედავთ, კვლევის შედეგების აღწერილი დინამიკა ერთვარად ქანქარის პრინციპს მიყვება - იწყება პათოლოგიის ძიებით (და დადასტურებით), მთავრდება ტრავმის, როგორც გამაძლიერებელი ფაქტორის წარმოჩენით. უკანასკნელი, ლიტვური პოპულაციის კვლევა გვაჩვენებს, რომ ქანქარა ჯერ კიდევ მოძრაობს, და ამდენად, ტრავმის თაობიდან თაობაში გადაცემის თემა პროფესიულ საზოგადოებას ჯერ კიდევ ბევრ კითხვის ნიშანს უტოვებს.

ვფიქრობთ, რომ კვლევის შედეგების ზევით აღწერილი არათანმიმდევრულობა, გარდა მეთოდოლოგიური არაერთგვაროვნებისა, შესაძლოა აიხსნას შემდეგი ფაქტორებით: კვლევების სამიზნე ჯგუფების მრავალფეროვნებით, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავდებიან როგორც მათზე მოქმედი მატრავმირებელი სტრესორის ხასიათით (ჰოლოკოსტი, შეიარაღებული კონფლიქტები, რეპრესიული პოლიტიკური რეჟიმები და ა.შ.), ასევე მათი ოჯახებისა და სოციო-კულტურული გარემოს სხვაობასთან დაკავშირებული ცვლადებით (1); ჰოლანდიელი კოლეგების სრულიად ახალი გამოკვლევის თანახმად, აღდგენისუნარიანობა არ გამორიცხავს ფსიქოპათოლოგიურ სიმპტომატიკას, და შესაძლოა ისინი ერთსა და იგივე სუბიექტში გვერდიგვერდ არსებობდნენ (Sleijpen et al, 2017) (2); დაბოლოს, ტრავმის ზეგავლენა მეორე და მესამე თაობაზე არ ამოიწურება ფსიქოპათოლოგიური სიმპტომებით, ქარაქტეროლოგიური თავისებურებებითა თუ ფიზიკური ჯანმრთელობის პრობლემებით - აქ, შესაძლოა, ვიფიქროთ ისეთ არაფსიქოპათოლოგიურ ცვლადებზეც,

როგორიცაა ცხოვრების სტილი, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების მოტივაცია და ა.შ. (3).

გამომდინარე ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორების გაცნობიერებიდან, ჩვენ შევეცადეთ კვლევის იმგვარად დაგეგმვას, რომ სამივე ეს ფაქტორი გაგვეთვალისწინებინა. სწორედ ამიტომ, წარმოდგენილი კვლევა შეისწავლის ტოტალიტარული რეპრესიების გავლენას როგორც ინდივიდუალურ და ოჯახურ, ასევე სოციეტალურ დონეზე, ამახვილებს ყურადღებას ერთდროულად როგორც რეპრესიების ტრავმასთან დაკავშირებულ ფსიქიკური ჯანმრთელობისა თუ დამოკიდებულების პრობლემებზე, ასევე დაძლევის სტრატეგიებზე და, ცდილობს შედეგების გააზრებას ამ სამ დონეზე მოქმედი კვლევის მიერ გამოვლენილი სხვადასხვა ფაქტორის ურთიერთქმედების შუქზე.

1.3. კვლევის მიზანი და ამოცანები

კვლევის მიზანია ტოტალტიარული ტრავმის გავლენისა და მისი თაობიდან თაობაში გადაცემის მექანიზმების შესწავლა ინდივიდის, ოჯახისა და საზოგადოების დონეზე, საქართველოს მაგალითზე.

კვლევის კონკრეტული ამოცანები შემდეგში მდგომარეობს:

- რეპრესიების ტრავმის გავლენის შესწავლა რეპრესირებულთა ოჯახების მეორე და მესამე თაობაზე;
- რეპრესიების ტრავმის გავლენის შესწავლა რეპრესირებული ოჯახების ოჯახურ სისტემაზე;
- ტოტალიტარული ტრავმის გავლენის შესწავლა სოციეტალურ დონეზე: საქართველოს, როგორც ერთი კონკრეტული პოსტ ტოტალიტარული ქვეყნის, სოციო-პოლიტიკური პროცესების ანალიზის საფუძველზე, ფსიქოტრავმატოლოგიის პერსპექტივიდან;

- პოლიტიკური რეპრესიის ტრავმის თაობიდან თაობაში გადაცემის მექანიზმის შესწავლა.

ამ ამოცანების განსახორციელებლად კვლევა მოიცავს ორ ნაწილს:

კვლევის პირველი ნაწილი შეისწავლის ტოტალიტარული ტრავმის გავლენას მიკრო-სოციალურ (ინდივიდისა და ოჯახის) დონეზე, რეპრესირებული ოჯახების მეორე და მესამე თაობების წარმომადგენლებთან ჩაღრმავებული ინტერვიუების მეთოდით (Boyce, 2006; Smith, 1996), რომლის ანალიზიც განხორციელდა *მონაცემებზე დაფუძნებული თეორიის* (Grounded theory, Charmaz, 1995) მიდგომაზე დაყრდნობით;

კვლევის მეორე ნაწილი ახდენს თანამედროვე საქართველოს, როგორც პოსტ-საბჭოთა ქვეყნის შემთხვევის ანალიზს, Vamik Volkan-ის ფსიქოდინამიკური ფსიქოპოლიტიკური ანალიზის პარადიგმაში, Wilfred Bion-ისა და Earl Hopper-ის *საგაზო დაშვებების* (დამოკიდებულების, შებრძოლება-გაქცევის, გამრავლებისა და არაშეჭიდულობის) *თეორიაზე* დაყრდნობით (Hopper, 2003), დისკურსის ანალიზის მეთოდით (Fairclough, 2003; Potter & Wetherell, 1995).

1.4. კვლევის შეკითხვები და ჰიპოთეზი

იმისთვის, რათა ნათელი მოვფინოთ საქართველოს ტოტალიტარული მატრავმირებელი წარსულით გამოწვეულ მიკრო- და მაკროსოციალურ ფსიქოდინამიკას, შემდეგი საკვლევი შეკითხვები ჩამოვაყალიბეთ:

კვლევის პირველი კომპონენტი (მიკროსოციალური დონე):

- შეკითხვა პირველი: როგორი ზეგავლენა მოახდინა ტოტალიტარულმა რეპრესიებმა რეპრესირებულთა ოჯახების მეორე თაობის წარმომადგენელთა ცხოვრებაზე?

- შეკითხვა მეორე: როგორი ზეგავლენა მოახდინა ტოტალიტარულმა რეპრესიებმა რეპრესირებულთა ოჯახების მესამე თაობის წარმომადგენელთა ცხოვრებაზე?
- შეკითხვა მესამე: როგორი ზეგავლენა მოახდინა ტოტალიტარულმა რეპრესიებმა რეპრესირებული ოჯახების ფსიქოდინამიკაზე, ოჯახურ სისტემაზე?
- შეკითხვა მეოთხე: გადადის თუ არა რეპრესიების ტრავმა ერთი თაობიდან მეორეზე და თუ გადადის, კონკრეტულად როგორ?

კვლევის მეორე კომპონენტი (მაკროსოციალური დონე):

კვლევის მოცემული კომპონენტისთვის ჩვენ ჩამოვაყალიბეთ შემდეგი ჰიპოთეზი:

საქართველოზე, ტოტალიტარული რეჟიმის პერიოდში, მოქმედებდა მატრავმირებელ სტრესორთა მთელი სისტემა, რომელთაც გამოიწვიეს საზოგადოების ტრავმირება საზოგადოებრივ დონეზე; ტოტალიტარულ რეპრესიებთან დაკავშირებული საზოგადოებრივი ტრავმა ქვეყანაში არ არის გამოგლოვებული; გამოუგლოვებელი ტოტალიტარული ტრავმა თავს იჩენს დაქვემდებარების, შებრძოლება-გაქცევის, გამრავლებისა და არაშეჭიდულობის (მასსიფიკაცია/აგრეგაცია) საბაზო დაშვებებით წარმართული დესტრუქციული ფსიქოდინამიკის შესაბამისი სოციო-პოლიტიკური პროცესების სახით.

გამომდინარე მოცემული ჰიპოთეზიდან, კვლევის მეორე კომპონენტისთვის ჩამოყალიბებულ იქნა დამატებით სამი შეკითხვა:

- ტოტალიტარულ რეჟიმთან დაკავშირებულ მატრავმირებელ სტრესორთა რა სისტემა ზემოქმედებდა ქართულ საზოგადოებაზე ტოტალიტარულ პერიოდში;

- რამდენად არის გამოგლოვებული ამ მატრავმირებელ სტრესორთა ზემოქმედებით მიღებული საზოგადოებრივი ტრავმა;
- რა ბარიერებია ამ ტრავმის გამოგლოვების გზაზე;
- როგორ ვლინდება დესტრუქციული საბაზო დაშვებების დინამიკა საქართველოს დღევანდელ სოციო-პოლიტიკურ ცხოვრებაში.

1.5. კვლევის კონცეპტუალური ჩარჩო

კვლევის პირველი კომპონენტი ეფუძნება *მონაცემებზე დაფუძნებული თეორიის* მიდგომას (Grounded theory, Charmaz, 1995). აქ ვცდილობდით რეპრესირებული ოჯახების მეორე და მესამე თაობების წარმომადგენლები შეგვესწავლა თეორიული წინასწარგანწყობის გარეშე, და ჩაღრმავებული ინტერვიუების შედეგების მიუკერძოებელი ანალიზის საფუძველზე აგვეგო თეორია, რომელიც მოგვცემდა შესასწავლი ფენომენების გაგების საშუალებას.

კვლევის მეორე კომპონენტის კონცეპტუალური ჩარჩო ეფუძნება ფსიქოდინამიკურ პარადიგმას, კერძოდ: Melani Klein-ის ობიექტ-ურთიერთობების თეორიას (Melanie Klein, 1946; Melanie Klein, 1984), Vamik Volkan-ის თეორიას საზოგადოებრივი ტრავმის თაობიდან თაობაში გადაცემის შესახებ (Volkan, 1997; Volkan 2002; Volkan 2004a; Volkan , 2004b; Volkan , 2005; Volkan, 2006; Volkan, 2009), და ასევე, Wilfred Bion-ისა და Earl Hopper-ის თეორიას საბაზო დაშვებების შესახებ, რომლებიც წარმართავენ ტრავმირებული საზოგადოების ცხოვრების ფსიქოდინამიკას (Bion, 1961; Hopper, 2003). პოსტ-ტოტალიტარული საზოგადოების ფსიქოდინამიკის გასაანალიზებლად, აგრეთე, ვიყენებ Michal Sebek-ის ინტერნალიზებული ტოტალიტარული ობიექტის კონცეფციას (Sebek, 1996). როგორც Sebek-ი, ასევე Bion-ი და Hopper-ი, მიუხედავად იმისა, რომ არა ინდივიდუალურ, არამედ ჯგუფურ ფსიქოდინამიკურ ფენომენებზე მსჯელობენ, თავისი იდეების ამოსავალში, ფაქტობრივად, ეყრდნობიან Melani Klein-ის, იდეებს. ამიტომ,

კვლევის კონცეპტუალური ჩარჩო, ფაქტობრივად, დგას Melani Klein-ის ობიექტ-ურთიერთობის იდეებსა და Vamik Volkan-ის თეორიაზე ტრავმირებული სოციალური სისტემის (ოჯახის, თემის, საზოგადოების) ფსიქოდინამიკის თაობაზე.

1.6. კვლევის მნიშვნელობა

რაოდენობა სამეცნიერო კვლევებისა, რომელიც საქართველოს საბჭოთა პერიოდს შეისწავლის, ძალიან ცოტაა. კვლევების უმრავლესობა შეისწავლის პრობლემას ისტორიის, სოციოლოგიის, ან პოლიტიკური მეცნიერებების პერსპექტივებიდან. პრობლემა სრულიად შეუსწავლელია ფსიქოლოგიის კუთხით, მაშინ როცა საბჭოთა მემკვიდრეობის ფსიქოლოგიური განზომილება უაღრესად სოლიდურია. მოცემულ კვლევას ამ ღიობის შევსებაში შეაქვს წვლილი.

კვლევა მნიშვნელოვანია, უპირველეს ყოვლისა, ქართული საზოგადოებისათვის, რამდენადაც აწვდის სამეცნიერო ინფორმაციას ტოტალიტარული წარსულის ზეგავლენის გაცნობიერებისათვის და ქვეყნის დღევანდელ სოციო-პოლიტიკურ ცხოვრებაში საბჭოთა მემკვიდრეობის კვალის გააზრებისათვის. ეს წვლილს შეიტანს ტოტალიტარული წარსულიდან გაკვეთილების გამოტანაში, წარსულთან გამკლავებაში და, შესაბამისად, საზოგადოებრივი ენერგიის განთავისუფლებაში წარსულზე მიჯაჭვულობიდან. კვლევა არანაკლებ მნიშვნელოვანია საერთაშორისო მასშტაბით, რამდენადაც იძლევა ახალ ინფორმაციას ტოტალიტარული ტრავმის გავლენაზე ინდივიდუალურ, ოჯახურ და საზოგადოებრივ დონეზე; ასევე, კვლევის საფუძველზე შემუშავებულ იქნა მოდელი, რომელიც ნათელს ჰფენს ტრავმის თაობიდან თაობაში გადაცემის მექანიზმებს და საკითხის შემდგომი კვლევისათვის საფუძველს ქმინს.

კვლევის რესპონდენტთა ერთერთი ჯგუფია რეპრესირებული ოჯახების მეორე თაობების წარმომადგენლები, რომლებიც 80-90 წლის ასაკში არიან. ეს მოცემულ კვლევას კიდევ უფრო დიდ მნიშვნელობას სძენს, რამდენადაც იძლევა „პირველი ხელის“ ინფორმაციას მოცემული თაობის ცხოვრების ფსიქოდინამიკაზე. მეორე თაობის რესპონდენტები დიდი ენთუზიაზმით მონაწილეობდნენ კვლევაში, და ხაზს უსვამდნენ, რომ დუმილი რეპრესიების თაობაზე ჯერ კიდევ მნიშვნელოვანი საკითხია მათი თაობისთვის.

გარდა ამისა, კვლევა აქტუალურია ფსიქოტრავმატოლოგიის - ინტერდისციპლინური, სწრაფად განვითარებადი სამეცნიერო დარგისთვის, რამდენადაც წვლილი შეაქვს პოლიტიკური რეპრესიებით გამოწვეული ტრავმული გამოცდილების გავლენისა და მისი თაობიდან თაობაში გადაცემის თავისებურებებზე. 2012 წლიდან ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში მოქმედებს ფსიქიკური ჯანმრთელობის სამაგისტრო პროგრამა, რომლის ერთერთი მიმართულებაა ფსიქოტრავმატოლოგია. მოცემული კვლევის შედეგები უკვე შესულია ფსიქოტრავმატოლოგიის სამაგისტრო პროგრამის კურსში „სოციალური ტრავმა: ფენომენოლოგია და გამკლავება“ და ამდენად, მომავალი ფსიქოტრავმატოლოგების აღზრდის საქმეში შეაქვს წვლილი.

ნაშრომის სიახლე მდგომარეობს იმაში, რომ ის ავლენს პოლიტიკურ რეპრესიებთან დაკავშირებული ტრავმის გავლენას ინდივიდუალურ დონეზე - როგორც ურთიერთსაწინააღმდეგოდ მიმართული აღდგენისუნარიანობის სტრატეგიების ინტერაქციას; რეპრესირებული ოჯახის სისტემის სპეციფიკურ პატერნებს; რეპრესიებთან დაკავშირებული ტრავმის გავლენას საზოგადოებრივ დონეზე; დაბოლოს, გვთავაზობს ტრავმის თაობიდან თაობაში გადაცემის მოდელს, რომელიც ნათელს ფენს ამ სამი დონის ურთიერთქმედებას და შესაბამისად, ტრავმის თაობიდან თაობაში გადაცემის მექანიზმებს.

2. ლიტერატურის მიმოხილვა

2.1.შესავალი

ნაშრომის მოცემული თავი, რომელიც ეძღვნება ლიტერატურის მიმოხილვას, იწყება შრომაში გამოყენებული ძიების მექანიზმების აღწერით, შემდგომ აშუქებს კვლევის კონცეპტუალურ ჩარჩოსთან დაკავშირებულ თეორიულ პოსტულატებს და, აღწერს ძირითად ფენომენებს, რომელთა შესწავლაზეც არის კვლევა ფოკუსირებული, კერძოდ - ფსიქოლოგიურ ტრავმას, ტრავმის თაობიდან თაობაში გადაცემას, ტრავმირებული ჯგუფის ფსიქოდინამიკას Vamik Volkan-ის მიხედვით, Melanie Klein-ის ობიექტ-ურთიერთობების თეორიასა და Bion-ისა და Hopper-ის ტრავმირებული ჯგუფის საბაზო დაშვებების თეორიას. შესაბამისად, მასში ასახულია ამ ავტორების ძირითადი ნაშრომები. მოცემული თავის ბოლო ნაწილში განხილულია ტრავმის თაობიდან თაობაში გადაცემისა და ტოტალიტარული ტრავმის თაობაზე როგორც ეტაპური, ასევე უახლესი მაღალი ხარისხის სამეცნიერო პუბლიკაციები.

2.2.ძიების აღწერა

ძიება განხორციელდა ელექტრონულ ბაზებში ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ასევე, კარდიფის უნივერსიტეტის. ამ უკანასკნელის ელექტრონული ბაზები გახდა მისაწვდომი Erasmus+ აკადმიური გაცვლითი პროგრამის ფარგლებში, 2016 წლის ივლისისა და 2017 წლის ივლისში. ძირითადი ელექტრონული ბაზები, რომელიც გამოვიყენე საძიებლად, იყო შემდეგი: Cochrane, Jstore, PsycINFO, PsycEXTRA, PRO-Quest, Web of Science. ძიების სტრატეგია მოიცავდა ინდივიდუალური, ოჯახური, სათემო და საზოგადოებრივი ტრავმის ცნებებთან დაკავშირებული ტერმინების გამოყენება; ასევე, ტოტალიტარული რეჟიმის საზოგადოებაზე გავლენასთან დაკავშირებული საძიებო სიტყვების გამოყენება. საძიებოდ გამოყენებეული

იყო სიტყვათა შემდეგი კომბინაციები: Transgenerational Transmission of Trauma, Intergenerational Transmission of Trauma, Historical Trauma, Collective Trauma, Cultural Trauma, Family Trauma, Totalitarianism, Totalitarian Object და Resilience. საკვანძო სიტყვებით ძიების პარალელურად, ასევე ვახდენდი იმ ავტორთა ნაშრომების მოძიებას, რომელთა კვლევებიც ეხება ტრავმის თაობიდან თაობაში გადაცემას ინდივიდუალურ, ოჯახურ და სოციალურ დონეებზე, კერძოდ: Wilfred Bion, Yael Danieli, Earl Hopper, Rachel Yehuda,Vamik Volkan. მათი საკვანძო შრომების ბიბლიოგრაფიები, ასევე, გამოვიყენე შესაბამისი თანამედროვე პუბლიკაციების მოსაძიებლად.

2.3.ნაშრომის კონცეპტუალური ჩარჩოს შესაბამისი ლიტერატურის მიმოხილვა

მოცემულ ქვევთავში გადმოცემულია ფსიქოლოგიური ტრავმის რაობა, მისი ახსნითი თეორიები, ტრავმასთან დაკავშირებული ისეთი საკვანძო ფენომენების დახასიათება, როგორიცაა: აღდგენისუნარიანობა (resilience), პოსტ ტრავმული ზრდა და ტრავმის თაობიდან თაობაში გადაცემა; ასევე, გაშუქებულია ტრავმის თაობიდან თაობაში გადაცემის თეორიები. რამდენადაც ჩემი ნაშრომის კონცეპტუალური ჩარჩო დაფუძნებულია Wilfred Bion, Earl Hopper, Melanie Klein, Michal Sebek and Vamik Volkan-ის ნაშრომებზე, დისერტაციის მოცემულ ნაწილში, ასევე, მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ამ ავტორების მიხედვით ტრავმის თაობიდან თაობაში გადაცემის ახსნასა და გაგებას.

2.3.1. ფსიქოლოგიური ტრავმა

2.3.1.1. ტრავმის რაობა და მისი გაგების განვითარება

ფსიქოტრავმატოლოგია მულტიდისციპლინური სამეცნიერო დარგია, რომელმაც სწრაფი განვითარება პოსტ ტრავმული სტრესული აშლილობების (პტსა) დიაგნოზის აღწერისა და ამერიკის ფსიქიატრთა ასოციაციის მიერ

დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკაციაში შეტანის შემდგომ მოხდა (APA, 1980).

პოსტ ტრავმული სტრესული აშლილობები (პტსა) გულისხმობს ინდივიდის პრობლემურ ბიო-ფსიქო-სოციალურ მდგომარეობას, რომელიც ვითარდება, როგორც რეაქცია მატრავმირებელ სტრესორზე. მატრავმირებელი სტრესორი დაკავშირებულია „აქტუალურ სიკვდილთან ან სიკვდილის საშიშროებასთან, თუ სერიოზული დაზიანების საშიშროებასთან, თავისი თუ სხვისი“ ”actual or threatened death or serious injury, or a threat to the physical integrity of self or others” (Bessel van Der Kolk et al, 1996, pp.427) და ადამიანში შიშს, უსუსურობისა და სიტუაციის უკონტროლობის განცდებს იწვევს. ასეთია ძალადობა, სხვაზე ძალადობის მოწმეობა, უბედური შემთხვევები, ბუნებრივი თუ ადამიანის მიერ ჩადენილი კატასტროფული მოვლენები - მაგალითად, მიწისძვრა, ომი და ა.შ.

ტრავმის, როგორც ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის გააზრება, მნიშვნელოვნად არის გადაჯაჭვული ადამიანის უფლებების დაცვისა და ანტიძალადობრივი მოძრაობების განვითარებასთან. ამ მოძრაობებმა, ფაქტობრივად, როგორც საზოგადოების, ასევე პროფესიული თემის (ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის პროფესიონალების) ყურადღება გაამახვილეს ისეთ ტაბუირებულ თემებზე, როგორიცაა ქალთა გაუპატიურება, ბავშვებზე სხვადასხვა სახის ძალადობა, და ა.შ. პტსა-ს, როგორც დამოუკიდებელი დიაგნოზის გაფორმებას (APA, 1980), უშუალოდ ოთხი მნიშვნელოვანი წინაპირობა უძღოდა წინ, 70-იან-80-იან წლებში:

- ვიეტნამის ომის ვეტერანთა ომისშემდგომი ფსიქიკური ჯანრმთელობის პრობლემების აღიარება (ომის შემდგომ წლებში თვითმკვლელობით გარდაცვლილი ყოფილი ამერიკელი სამხედროების ოდენობამ მნიშვნელოვნად გადააჭარბა ომში დაღუპულთა რიცხვს, რამაც ფსიქიატრების ყურადღება მიიზიდა) (Figley, 1978; Ochberg, 1988);

- ფემინისტების მიერ ქალებზე განხორციელებული ძალადობის გარშემო დუმილის შეყწვეტა და მის წინააღმდეგ გალაშქრება, რამაც ძალადობის მსხვერპლი ქალების ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების კვლევებს მისცა დასაბამი (Holsrom & Burgess, 1974; Herman, 1981) და ა.შ.;
- ოჯახურ ძალადობაზე, ბავშვების ფიზიკურ დასჯასა და მათ მიმართ ძალადობის სხვადასხვა ფორმის თაობაზე დუმილის შეწყვეტა და შესაბამისი კვლევები (Carmen & Munson, 1978, Gelles & Strauss, 1979, Kampes, 1978; Strauss, 1977; Walker, 1979 და ა.შ.);
- ტერორიზმის მსხვერპლთა და ტერორისტული აქტების ჩამდენთა ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემებისა და მსხვერპლი-ტერორისტის დიადაში ურთიერთობის სპეციფიკის შესწავლის საჭიროება, 70-იან წლებში ე.წ. *სტოკჰოლმის სინდრომის* აღწერა და ა.შ. (Ochberg, 1982).

ფსიქოტრავმატოლოგიის ისტორიული წანამძღვრები, ასევე, მჭიდროდ არის დაკავშირებული დიდი მასშტაბის ომების ისტორიასთან: *ტრავმული ნევროზის* ცნება ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო ომის დროს გაჩნდა, მისი გაგება კიდევ უფრო გაღრმავდა მეორე მსოფლიო ომის დროს, და შემდგომ.

ფროიდმა, რომელიც ტრადიციულად კონცენტრირებული იყო ინტრაფსიქიკურ კონფლიქტებზე, პირველი მსოფლიო ომის პერიოდში, *ტრავმული ნევროზით* შეპყრობილი ადამიანების მკურნალობის ფონზე, ვერ აუარა გვერდი სიტუაციური ფაქტორების ზემოქმედების აღიარებას. შედეგად, მის შრომებში შესაძლოა გამოვადიფერენციროთ ტრავმის ორი მოდელი: პირველი - *მიუღებელი იმპულსის მოდელი* („unacceptable impulse“ model), რომელიც ყურადღებას ინტრაფსიქიკურ ცხოვრებაზე და შესაბამისად - შინაგანი, ცნობიერებისათვის მიუღებელი იმპულსით გამოწვეულ პრობლემურ მდგომარეობაზე ამახვილებს და, მეორე - *აუტანელი სიტუაციის მოდელი* („unbearable situation“ model), რომელიც ყურადღებას გარეგანი

სტრესორით გამოწვეულ რეაქტიულ მდგომარეობაზე ამახვილებს (Freud, 1920; Krystal, 1978). ეს უკანასკნელი, ფაქტობრივად, ფსიქოლოგიური ტრავმის თანამედროვე გაგებას შეესაბამება.

გარე ინცინდენტის შედეგად განვითარებული ტრავმული მდგომარეობები წლების მანძილზე ყურადღების მიღმა რჩებოდა (Van Der Kolk, 2007), მიუხედავად იმისა, რომ პირველი მსოფლიო ომიდან მოყოლებული, ამერიკელი ფსიქიატრი Abram Kardiner-ი მკურნალობდა „ომის ტრავმული ნევროზით" დაავადებულ პაციენტებს და, ფროიდის „აუტანელი სიტუაციის მოდელზე" დაყრდნობით, უაღრესად დიდი სიზუსტით აღწერა ტრავმული მდგომარეობა 1941 წელს გამოქვეყნებულ წიგნში „ომის ტრავმული ნევროზი" (Kardiner, 1941). კერძოდ, მან გაამახვილა ყურადღება ისეთ სიმტპომებზე, როგორიცაა: ზეაღგზნებადობა, შიშის რეაქციის ადვილად აღმოცენება, ატიპიური სიზმრები, ქრონიკული გაღიზიანებადობა, შეკრთომა, აგრესიული შეტევები, დისოციაციური მდგომარეობები, ფლეშბეკები და ა.შ. ყველაფერი ის, რაც 80-იან წლებში შევიდა დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკაციაში, როგორც პოსტ ტრავმული სტრესული აშლილობის სინდრომი (APA, 1980).

მეორე მსოფლიო ომმა ტრავმული სტრესის მიმართ ყურადღების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ტალღა წარმოშვა. მთელი რიგი ფსიქიატრები და ფსიქოლოგები - Roy Grinker, Lawrence Kolb Lawrence Kubie, Walter Menninger, Herbert Spiegel, John Spiegel - ტრავმული მდგომარეობების მკურნალობის პარალელურად, იკვლევდნენ ამა თუ იმ მკურნალობის მოდელის ეფექტურობას, რამაც მნიშვნელოვანი მასალა დააგროვა ტრავმაზე ცოდნის გაღრმავებისათვის (Van Der Kolk, 2007). ერთერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მასივი კვლევებისა, ამ თვალსაზრისით, იყო ჰოლოკოსტს გადარჩენილი ებრაული მოსახლეობის კვლევა - ე.წ. „საკონცენტრაციო ბანაკის სინდრომის" (Eitinger & Storm, 1973, და სხვ.) კვლევა, რომელიც ამახვილებდა ყურადღებას არა მარტო პოსტ ტრავმულ სტრესულ აშლილობაზე როგორც ასეთზე, არამედ

მატრავმირებელი გამოცდილებით გამოწვეულ პიროვნულ ცვლილებებსა და ტრავმის თაობიდან თაობაში გადაცემაზე.

1980-იანი წლებისთვის, კვლევის საფუძელზე, დაგროვდა მნიშვნელოვანი მტკიცებულება, რომლის საფუძელზეც პტსა შეტანილ იქნა დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკაციაში, რაც, ფაქტობრივად, ფსიქოტრავმატოლოგიის დარგის აღიარება გახდა. დარგის წიაღში ინტენსიურად მიმდინარე კვლევის საფუძველზე მოპოვებული ახალი ინფორმაციის გასათვალისწინებლად პტსა-ს დიაგნოზი რამდენჯერმე იქნა გადახედილი. DSM კლასიფიკაციაში დიაგნოზის გადახედვა მოხდა ოთხჯერ: DSM III (R) (APA, 1987), DSM IV (APA, 1997), DSM IV (TR) (APA, 2000) და DSM5 (APA, 2013). რაც შეეხება დაავადებათა ევროპულ კლასიფიკაციას, რომელსაც ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია კურირებს, აქ დიაგნოზი პირველად შეტანილ იქნა კლასიფიკაციაში 1994 წელს (ICD-10, 1994), ხოლო ბოლო რამდენიმე წელი კი მიმდინარეობს ინტენსიური მუშობა მის გადახედვაზე, და დაგეგმილია, რომ 2019 წელს ICD-11 კლასიფიკაციაში ის უკვე შეცვლილი სახით იქნება წარმოდგენილი, კვლევის თანამედროვე შედეგებზე დაყრდნობით.

DSM5-ში პოსტ ტრავმული სტრესული აშლილობების დიაგნოზი აღწერილია ხუთი (A, B, C, D, E) კრიტერიუმის მიხედვით, რომელთაგანაც A კრიტერიუმი აღწერს მატრავმირებელი სტრესორის სპციფიკას, ხოლო დანარჩენი ოთხი კი სიმპტომთა 4 ერთმანეთზე დაუყვანად კლასტერს:

- A კრიტერიუმი ეხება ტრავმული სტრესორის მიმართ პირდაპირ ან ირიბ ექსპოზიციას. მატრავმირებელი სტრესორი უნდა დაკავშირებული იყოს სასიკვდილო საშიშროებასა და/ან დაზიანების სერიოზულ რისკთან. ინცინდენტი, შესაძლოა, ადამიანს ან თავად გადახდეს, ან იგი გახდეს მისი მოწმე, ან გაიგოს ინცინდენტის შესახებ რომელიც გადახდა მის ახლობელ ადამიანს (ოჯახის წევრს). ახალ კლასიფიკაციაში

დამატებულია ექსპოზიციის ტიპი, რომლის დროსაც ადამიანს სისტემატურად უხდება ტრაგედიებთან შეხება თავისი საქმიანობის გამო (მაგალითად, პოლიციელს, მეხანძრეს, თუ სასწრაფოს ექიმს, რომელთაც სისტემატურად უხდებათ მკვლელობის ან უბედური შემთხვევის ადგილზე მისვლა, ადამიანის გვამ(ებ)ის ნაწილების შეგროვება და ა.შ.);

- B კრიტერიუმი ეხება ტრავმული მოვლენის განმეორებად განცდას ინთრუზიული მოგონებების, სიზმრების, ფლეშბეკების, ტრავმული თამაშისა თუ მსგავს სტიმულებით აღძრული დისტრესული რეაქციების სახით;
- C კრიტერიუმი ეხება ტრავმულ გამოცდილებასთან დაკავშირებული ფიქრების, ემოციების, საგნების, ადგილების და ა.შ. თავის არიდებას ან არიდების მცდელობას;
- D კრიტერიუმი ეხება ისეთ ნეგატიურ ცვლილებებს კოგნიციებსა თუ გუნება-განწყობილებაში, რომელიც ვლინდება ცუდის მუდმივ მოლოდინში, უნდობლობაში, დაბალ თვითშეფასებაში, გაღიზიანებადობაში, ბრაზში, ნეგატიურ გუნება-განწყობილებაში, დადებითი ემოციების განცდის უუნარობაში, სხვებისგან გაუცხოებაში და ა.შ.;
- E კრიტერიუმი ეხება ისეთ ცვლილებებს რეაქტიულობასა და აგზნებაში, როგორიცაა: ყურადღების კონცენტრაციის სირთულეები, ძილის დარღვევები, ბრაზის აფეთქებები, შეკრთომის რეაქციები და ა.შ.

თუ ზემოთ აღწერილი კრიტერიუმების შესაბამისი სიმპტომები ადამიანს ტრავმული მოვლენის ზემოქმედებიდან ერთი თვის გასვლის შემდგომაც უგრძელდება და იწვევს „კლინიკურად მნიშვნელოვან დისტრესს ან დისფუქნციას სოციალურ, პროფესიულ ან ფუნქციობის სხვა მნიშვნელოვან სფეროში“ (APA, 2013), შესაძლებელია ვიფიქროთ პტსა-ს დიაგნოზზე.

პტსა არ არის ფსიქიკური ჯანმრთელობის ერთადერთი კონდიცია, რომელიც შესაძლოა განვითარდეს მატრავმირებელი სტრესორის ზემოქმედების შედეგად. ტრავმატიზაციის შედეგად შესაძლოა განვითარდეს ფსიქიკური ჯანმრთელობის ისეთი გავრცელებული პრობლემები, როგორიცაა პანიკური აშლილობები, გენერალიზებული შფოთვა, დეპრესია, ფსიქოაქტიურ საშუალებათა ავადმოხმარება, პიროვნების მოსაზღვრე მდგომარეობის აშლილობა (Carmen, 1984; Makhashvili et al, 2014, Makhashvili et al, 2017).

Lenore Terr-მა 1991 წელს განასხვავა პირველი (Type I Trauma) და მეორე (Type II trauma) ტიპის ტრავმა (Terr, 1991). Terr-ი იკვლევდა ფსიქოლოგიური ტრავმის სპეციფიკას ბავშვებში და მისი კლასიფიკაცია ბავშვების ტრავმატიზაციას ეხება. პირველი ტიპის ტრავმა მატრავმირებელი მოვლენის ერთჯერად ზემოქმედებას გულისხმობს. მეორე ტიპის ტრავმა გულისხმობს ბავშვობის პერიოდში მრავლობითი ძალადობისა და უარყოფის გამოცდილებას, რომელიც კუმულირდება და დაღს ასვამს პიროვნულ განვითარებას.

ბავშვობაში განცდილი მძიმე ტრავმატიზაცია, კერძოდ ე.წ. ბავშვობის მძიმე გამოცდილებები (Adverse Childhood Experiences, ACE), როგორიცაა სექსუალური თუ სხვა სახის ძალადობა, მძიმე ფსიქიკური ჯანმრთელობის მქონე მშობლის ყოლა, მშობლების გაცილება და სხვ., ადამიანის ცხოვრებაზე მნიშვნელოვან კვალს ასვამს. ამჟამად უკვე კლასიკად მიჩნეული ლონგიტუდური ეპიდემიოლოგიური კვლევის თანახმად, ის ადამიანები, ვინც ბავშობის მძიმე გამოცდილებებს დაექვემდებარა, განიცდიან მნიშვნელოვან ემოციურ, ქცევით და სოციალურ პრობლემებს, უფრო ხშირად მიმართავენ ჯანმრთელობისთვის სარისკო ქცევებს, რის საფუძველზეც მათ უვითარდებათ ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები და შედარებით ადრე კვდებიან (Felitti et al, 1998).

ამერიკაში მოღვაწე ფსიქიატრი Bessel van der Kolk-ი წლების მანძილზე მუშაობს იმაზე, რომ ბავშვობის მძიმე გამოცდილების გამო განვითარებული ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობის სპეციფიკური სურათი დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკაციაში შევიდეს, როგორც ცალკეული - ე.წ. „განვითარების ტრავმის“ (“developmental trauma”) დიაგნოზი. ჯერჯერობით, ამ დიაგნოზმა ვერ ჰპოვა ასახვა ვერც 2013 წელს მიღებულ DSM5-ში, და ვერც ICD-11-ის პროექტში, რომელიც ამჟამად შემუშავების პროცესშია. სამაგიეროდ, უკვე მიღებულია გადაწყვეტილება ICD-11-ში ისეთი ახალი დიაგნოზის შეტანაზე, როგორიცაა კომპლექსური პტსა (Maerker et al, 2013). კომპლექსური პტსა წარმოადგენს ძლიერი და პროლონგირებული მოქმედების სტრესორ(ებ)ის ზემოქმედებით გამოწვეულ რთულ პოსტ-ტრავმულ კონდიციას, რომელიც ეხება არა მარტო ბავშვობის დროს გამოვლილ მძიმე გამოცდილებებს, არამედ ზრდასრულობაში გადატანილ ისეთ ძალადობრივ გამოცდილებებს, როგორიცაა იძულებითი ადგილნაცვალობა, ოჯახური ძალადობა, ადამიანების გატაცება, მძევლად აყვანა და ა.შ. როგორც კომპლექსური ტრავმის მკვლევარი, ფსიქოტრავმატოლოგიის ცოცხალი კლასიკოსი, Judith Herman-ი წერს - „განსხვავებით ერთხელობრივი ტრავმული მოვლენისგან, გახანგრძლივებული, განმეორებადი ტრავმა შესაძლოა განვითარდეს მხოლოდ იქ, სადაც მსხვერპლი არის მძევლის მდგომარეობაში, მდევნელის კონტროლის ქვეშ. ძალადობრივ კონტროლს დაქვემდებარების ფსიქოლოგიურ ზეგავლენას აქვს მრავალი საერთო მახასიათებელი, მიუხედავად იმისა, თუ სად ხდება ის: საჯარო სფეროში, პოლიტიკაში, თუ სექსუალური და ოჯახური ურთიერთობების პრივატულ სფეროში“ (Herman, 1992, გვ.377).

თუ დიაგნოზის აღწერის პირველ ეტაპზე პტსა განხილული იყო შფოთვითი აშლილობის კატეგორიაში, DSM5-ში ის შედის „სტრესთან დაკავშირებული აშლილობების“ კატეგორიაში (APA, 2013). წინასწარი

მონაცემების მიხედვით, DSM5 და ICD-11-ს შორის სხვაობა 50%-ზე მეტია (Linderman, 2017). დიაგნოზის კატეგორიის წანაცვლება, კომპლექსური პტსა-ს დიაგნოზის დამატება, მნიშვნელოვანი განსვლა DSM 5-სა და ICD-11-ს შორის - ყოველივე ეს მიგვანიშნებს დიაგნოზის ფარდობითობაზე და იმაზე, რომ იგი კიდევ შეიცვლება თანამედროვე კვლევების მონაცემების გათვალისწინებით.

ასევე, საგულისხმოა, რომ დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკაციები ვერ იტევს ყველა იმ პრობლემას, რომელიც მოყვება ადამიან(ებ)ის ტრავმირებას. რიგი პრობლემებისა, რომელიც წარმოიშვება მატრავმირებელი სტრესორ(ებ)ის ზემოქმედების შედეგად, არ აისახება დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკაციებში, მაგრამ მნიშვნელოვნად აქვეითებს ადამიანის ცხოვრების ხარისხს, და ამდენად, მოქმედებს როგორც ინდივიდის, ასევე ოჯხის, თემისა და საზოგადოების კეთილდღეობასა და ცხოვრების დინამიკაზე (Linden & Maerker, 2011; Volkan, 2007).

2.3.1.2. ტრავმის ფსიქოლოგიური თეორიები

სხვადასხვა ფსიქოლოგიური სკოლა ტრავმის სხვადასხვა თეორიას გვთავაზობს.

ფსიქოდინამიკური მიდგომა

ძალიან დიდია ფსიქოდინამიკური სკოლის დამსახურება ტრავმის თანამედროვე გაგებაში. ტრავმის ზევით ხსენებული „აუტანელი სიტუაციის“ მოდელის ფარგლებში ფროიდის მიერ ჩამოყალიბებული პოსტულატები, ფაქტობრივად, შეკუმშული სახით მოიცავს თანამედროვე ფსიქოტრავმატოლოგიაში ტრავმის გაგების თანამედროვე საკვანძო პრინციპებს:

- ფროიდი ტრავმას ახასიათებს, როგორც ფიქსაციას ტრავმულ ინცინდენტზე („აუტანელ“ სიტუაციაზე);

- ის ხაზს უსვამს იმას, რომ ფსიქიკას არა აქვს დასრულებული („დახურული“) მუშაობა ამ ინციდენტთან დაკავშირებით;
- რამდენადაც ინციდენტი „აუტანელია“, მასთან დაკავშირებული შინაარსები განდევნილია (რეპრესირებულია) ცნობიერებიდან;
- რამდენადაც განდევნილია, ამ შინაარსებს ახასიათებთ აქტუალიზების სწრაფვა;
- რამდენადაც ფსიქიკის მუშაობა ტრავმულ გამოცდილებასთან „დახურული“ არ არის, ისინი აქტუალიზდება არა წარსულის მოგონებების, არამედ აქტუალური შემაწუხებელი მდგომარეობების სახით.

გამომდინარე ამ პოსტულატებიდან, გარეგანი სტრესორის ზემოქმედებით გამოწვეულ ტრავმას ფროიდი კვლავ შინაგანი კონფლიქტის ჭრილში განიხილავდა. კერძოდ, ტრავმის შემთხვევაში, ის უსვამდა ხაზს კონფლიქტს ორ ურთიერთსაპირისპიროდ მიმართულ ტენდენციას შორის: (ა) ტენდენცია ნეგატიური ტრავმული მოგონებების გახსენებისა და გამოცდილების კვლავ განცდისა, მისი ასიმილაციის მიზნით, წინააღმდეგ (ბ) ტენდენციისა ამ ტრავმული მოგონებების განდევნისა და უარყოფისა, ნეგატიური ემოციების თავიდან ასაცილებლად (2).

მოგვიანებით, Judith Herman-მა, ფროიდის მიერ აღწერილ ტრავმის შინაგან კონფლიქტს ტრავმის ძირითადი დიალექტიკა უწოდა: „კონფლიქტი უარყო ის საშინელებანი, რაც თავს გადაგხდა, და ამავე დროს, ხმამაღლა განაცხადო მათ თაობაზე - არის ცენტრალური დიალექტიკა ფსიქოლოგიური ტრავმისა... უარყოფა, განდევნა და დისოციაცია მოქმედებს როგორც სოციალურ, ასევე ინდივიდუალურ დონეზე“ (Herman, 1992, გვ.388).

ამავე შინაგან კონფლიქტზე ააგო ტრავმის ფსიქოლოგიური გაგების ერთერთი პირველი თეორია ამერიკელმა ფსიქიატრმა Mardi Horowitz-მა. მან თავის თეორიას *სტრესზე პასუხის თეორია* (Stress Response Theory) უწოდა. ამ

თეორიის მიხედვით, ტრავმირებულ ადამიანში ერთმანეთს ებრძვის ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ტენდენცია: ერთია - ტენდენცია ადამიანის დაცვისა დისტრესული შინაარსებისაგან, რაც ტრავმასთან დაკავშირებული ინფორმაციის ცნობიერებიდან განდევნითა და ტრავმის გახსენების თავიდან არიდებით ხდება. მეორეა, ტენდენცია ამ შინაარსების გადამუშავებისა და ასიმილირებისა, რის გამოისობითაც ადამიანს უბრუნდება განდევნილი შინაარსები ფლეშბეკების, დისტრესული მოგონებების, ღამის კოშმარების სახით. ტრავმის გამკლავების თვალსაზრისით, ადამიანის ამოცანაა ამ ორი ურთიერთსაპირისპირო ტენდენციის ერთმანეთთან შერიგება ტრავმული შინაარსების გადამუშავება-ასიმილაციის გზით (Horowitz, 1987).

ტრავმის თანამედროვე ფსიქოდინამიკური გაგება, ფაქტობრივად, ეყრდნობა ფსიქოანალიტიკურ ego-ფსიქოლოგიას, რომელსაც დასაბამი ფროიდის მიერ პიროვნების სტრუქტურის აღწერამ მისცა. ამ მიდგომის თანახმად, მატრავმირებელი სტრესორის ზემოქმედებისას ფსიქოლოგიური ტრავმა ვითარდება იმ შემთხვევაში, თუ მატრავმირებელი სტრესორი არღვევს, აზიანებს ego-ს დაცვის სისტემას. ანუ, თუ ego-ს ჩვეული დაცვისა და გამკლავების მექანიზმები ვერ ართმევს თავს ტრავმულ გამოცდილებას, ვითარდება ტრავმული მდგომარეობა, რომლის დროსაც ადამიანი რეგრესირებს ფუნქციობის უფრო დაბალ დონეზე. აქ ხდება აქტუალური ტრავმული გამოცდილების ზედდება ადრეულ შინაგან კონფლიქტებთან (ფროიდის ტერმინოლოგია რომ გამოვიყენოთ, მიუღებელი იმპულსით გამოწვეულ ტრავმასთან), რამაც შედეგად შესაძლოა მოიტანოს ადამიანის სოციალურ მიჯაჭვულობათა სისტემის რღვევა. ის, თუ რამდენად გაუმკლავდება ადამიანი მატრავმირებელი სტრესორის ზემოქმედებას დამოკიდებულია „ადამიანის ინტრაფსიქიკურ უნარზე სინთეზირება გაუკეთოს და დაძლიოს როგორც გარეგანი, ასევე შინაგანი სტიმულების მოქმედებით გამოწვეული ემოციური ზეგავლენა.“ (Chertoff, 1998, გვ.36).

დღესდღეობით, მიუხედავად იმისა, თუ რომელი პარადიგმის შუქზე ვუყურებთ ტრავმას (ფსიქოდინამიკურის, კოგნიტურ-ბიჰევიორულის, ეგზისტენციალურის და ა.შ.), ფსიქოდინამიკური ფსიქოლოგიის მიერ შემოთავაზებული ტრავმის გაგების ძირითადი პრინციპები ყველა სკოლის მიერ აღიარებულია და ყველა მიდგომისათვის რელევანტურია. ეს პრინციპებია (Brewin & Holmes, 2003):

- ტრავმის სიმპტომების განხილვა არა მხოლოდ როგორც დაავადების სიმპტომებისა, არამედ როგორც საზრისის მქონე სიმპტომებისა, და როგორც ტრავმულ გამოცდილებასთან გამკლავების მცდელობისა;
- ტრავმის დაძლევისთვის მისი განდევნილი, და ამდენად, გაუცნობიერებელი ასპექტების გაცნობიერების მნიშვნელობა;
- სიმპტომებსა და ტრავმულ გამოცდილებას შორის კავშირის დამყარების მნიშვნელობა;
- ტრავმირებული კლიენტის მიერ თერაპევტზე გაკეთებული ტრანსფერის, და ასევე, თერაპევტის კონტრტრანსფერის გაანალიზების მნიშვნელობა;
- ტრავმირებული ადამიანის მიერ საკუთარ ტრავმულ გამოცდილებაში საზრისის ჩადების მნიშვნელობა.

კოგნიტურ-ბიჰევიორული მიდგომა

კოგნიტურ-ბიჰევიორულ მიდგომაზე დაშენებულია ტრავმის ფსიქოლოგიური თერაპიების დღეისათვის ერთერთი ყველაზე გავრცელებული მტკიცებულებითი მეთოდი - *ტრავმაზე ფოკუსირებული კოგნიტურ-ბიჰევიორული თერაპია* (Trauma Focused Cognitive Behavioral Therapy - TF-CBT). კოგნიტურ-ბიჰევიორული თერაპიის ეფექტურობის შესაფასებლად უკანასკნელი ორი ათწლეულის მანძილზე კვლევათა დიდი მასივი ხორციელდება (Bisson et al, 2004), რაც ამ პარადიგმის წიაღში

წამოყენებული თეორიების შემოწმების საშუალებას იძლევა. ამ მიზეზით, ტრავმის კოგნიტურ-ბიჰევიორული ფსიქოლოგიური თეორიები დღეისათვის ყველაზე მეტად განვითარებული და მრავალრიცხოვანია.

კოგნიტურ-ბიჰევიორული მიდგომა ფსიქოლოგიურ ტრავმას განიხილავს ორი საკვანძო პარადიგმის: ბიჰევიორიზმის და კოგნიტივიზმის კვეთის შუქზე. ბიჰევიორიზმისათვის საკვანძო ცნებებია დასწავლა და განპირობება (conditioning), მაშინ როცა კოგინიტივიზმისთვის - ინფორმაციის გადამუშავება.

ბიჰევიორიზმის თვალსაზრისით, ტრავმა შესაძლოა განისაზღვროს, როგორც მატრავმირებელი მოვლენის ზეგავლენით დასწავლილი ფსიქო-ემოციური მდგომარეობა. ბიჰევიორისტულ პარადიგმაში ნაცადია შფოთვითი აშლილობების ასახსნელად შემუშავებული *განპირობების თეორიების* (Conditioning Theory) მიყენება პტსა-ს ასახსნელად (Keane et al, 2006). კერძოდ, განპირობების თეორიების თანახმად, მატრავმირებელ სიტუაციაში, სტრესორზე შიშისა და შფოთვის რეაქცია გენერალიზდება ამ სიატუაციასთან დაკავშირებულ (მიმსგავსებულ, მასიმბოლოვებელ და ა.შ.) სტიმულთა ფართო სპექტრზე, რომლებიც შემდგომში, თავის მხრივ, აღძრავენ სტრესულ რექციებს.

შფოთვით მოცვის თეორიის (Anxiety Apprehension Theory) (Jones & Barlow, 1990) *თანახმად*, ტრავმული სტრესორის ზემოქმედების მომენტში ხდება აღძრული ზეძლიერი საბაზო ემოციების - ე.წ. „ჭეშმარიტი განგაშისა“ და სხვა დისტრესული ემოციების (ბრაზი, რისხვა, შიში და ა.შ.) მყისიერი დასწავლა, რაც შემდგომში ვლინდება ე.წ. „დასწავლილი განგაშის“ სახით. აქედან გამომდინარე, ნებისმიერი ნეიტრალური (შინაგანი თუ გარეგანი) სტიმული, რომელიც მსგავსია ან ასიმბოლოვებს ტრავმულ გამოცდილებას, ადამიანში იწვევს განგაშის რეაქციას. შესაბამისად, ადამიანი ცდილობს განერიდოს ამგვარ სტიმულებს.

კოგნიტური ფსიქოლოგიის თანახმად, ტრავმა შესაძლოა განისაზღვროს, როგორც ადამიანის მარცხი გადაამუშავოს ტრავმულ გამოცდილებასთან დაკავშირებული ინფორმაცია. ტრავმის კოგნიტური თეორიებიდან შესაძლოა გამოვყოთ რამდენიმე, იმის მიხედვით, თუ რაზე აკეთებენ ისინი აქცენტს ინფორმაციის გადამუშავების თვალსაზრისით.

ინფორმაციის გადამუშავების თეორიების მიხედვით, რომელიც Lang-ის შიშისა და ფობიის პირობითრეფლექსური აღმოცენების კვლევებს ეყრდნობა (Lang, 1979), ტრავმის შემთხვევაში ადამიანი ვერ ახერხებს ტრავმული მოგონებების ინტეგრაციას მეხსიერების სისტემაში. არაინტეგრირებული მეხსიერების შინაარსები ქმნიან ასოციაციური პრინციპით მოქმედ მეხსიერების ქსელებს - ე.წ. „შიშის ქსელებს“. შიშის მეხსიერება შედგება სამი ტიპის „მეხსიერების კვანძისგან“: მოგონებები მატრავმირებელ სიტუაციაზე (ვიზუალური ხატები, ხმები, სუნი, გემო და ა.შ.), მოგონებები საკუთარ ემოციურ თუ ფიზიოლოგიურ რეაქციებზე მატრავმირებელ სიტუაციაში, დაბოლოს - მოგონებები იმ მნიშვნელობაზე/ინტერპრეტაციაზე, რასაც მატრავმირებელ სიტუაციაში ადამიანი ანიჭებდა აღქმულს (Brewin & Homes, 2003). შედეგად, მატრავმირებელი სიტუაციის მსგავს ან მასიმბოლვებელ სტიმულებზე ადამიანში ხდება „შიშის მეხსიერების“ აქტივაცია, რასაც მოყვება შფოთვის, განმეორებადი სიმტპომების (მოგონებები, ფლეშბეკები და ა.შ.) და თავის არიდების რეაქციები.

„დამსხვრეული“ საბაზო დაშვებების თეორიის (Shatered Assumptions Theory) მიხედვით (Janoff-Bulman, 1992), ტრავმა იწვევს ადამიანის საბაზო რწმენათა და დაშვებათა სისტემის შერყევასა და რღვევას, რამდენადაც ტრავმული გამოცდილება არ შეესაბამება ადამიანის ცხოვრების მანძილზე ჩამოყალიბებულ კოგნიტურ სქემებს. Ronnie Janoff-Bulman-ის მიხედვით, სამი ყველაზე მნიშვნელოვანი საბაზო დაშვება, რომელიც ზიანდება ტრავმის შემთხვევაში, ეხება სამყაროს კეთილგანწყობილებას, სამყაროს აზრიანობას

(საზრისით გაჯერებულობას) და საკუთარი თავის ფასეულობას. ტრავმირების შემთხვევაში, ადამიანი ორი სახის გამოწვევის წინაშე დგება: გაუმკლავდეს საბაზო დაშვებების ნგრევასთან დაკავშირებულ ნეგატიურ ემოციებს, და ასევე, შეცვალოს „ვადაგასული“ კოგნიტური სქემები, თავისი ახალი (მატრავმირებელი) გამოცდილების საფუძველზე.

ტრავმის სამი ყველაზე თანამედროვე ფსიქოლოგიური თეორია კოგნიტურ-ბიჰევიორული პარადიგმის ზევით აღწერილ თეორიებზე დაყრდნობით განვითარდა, და წარმოადგენს ტრავმაზე ფოკუსირებული კოგნიტურ-ბიჰევიორული თერაპიის თანამედროვე მეთოდების საყრდენ თეორიულ ბაზას. ესენია:

Edna Foa-ს ხელმძღვანელობით შემუშავებული ტრავმის *ემოციური გადამუშავების თეორია* (Foa et al, 1998), რომელიც *გახანგრძლივებული ექსპოზიციის* მისივე მეთოდის თეორიული საფუძველია. მეთოდი, ძირითადად, გაუპატიურების ტრავმის მქონე პაციენტების კვლევის საფუძველზე ჩამოყალიბდა. თეორია ეყრდნობა მეხსიერების „შიშის ქსელების“ იდეას (Foa et al, 1989). აქ ძირითადი აქცენტი კეთდება ტრავმამდელ, ტრავმის პროცესში და ტრავმის შემდგომ აღმოცენებული კოგნიციების სპეციფიკაზე და ურთიერთქმედებაზე, რასაც შეუძლია ადამიანში საკუთარი არაკომპეტენტურობისა და საფრთხის განცდის ნეგატიური სქემების აქტივაცია და ამით პტსა-ს წარმოშობის ხელშეწყობა. მაგალითად, Foa-მ და მისმა კოლეგებმა კვლევის საფუძელზე აღმოაჩინეს კავშირი ტრავმამდე საკუთარ თავსა და სამყაროზე შეხედულებათა (არა აქვს მნიშვნელობა, პოზიტიურ თუ ნეგატიურ) რიგიდობასა და პტსა სიმპტომების გაჩენას შორის. ასევე, მათ გამოავლინეს ტრავმირების პროცესში საკუთარი ქცევის (პასიურობის, გაშეშების და ა.შ.) უარყოფითი შეფასების კავშირი პტსა-ს სიმპტომების წარმოშობასთან.

Brewin-ის ხელმძღვანელობით წამოყენებული *ორმაგი რეპრეზენტაციის თეორიის* (Dual Representation Theory, Brewin & Holmes, 2003) თანახმად, ტრავმის თაობაზე ინფორმაციის შენახვა ხდება მეხსიერების ორ განსხვავებულ სისტემაში. ერთს თეორიის ავტორები უწოდებენ „ვერბალურად მისაწვდომ მეხსიერებას“, რომელიც ინახავს იმ ინფორმაციას, რომელიც ადამიანის მიერ ცნობიერად აღიქმებოდა ტრავმირების პროცესში. ეს ინფორმაცია თანმიმდევრულია - მოიცავს ტრავმამდელ წარსულს, ტრავმისდროინდელ და ასევე, ტრავმის შემდგომ მოგონებებს, და ამდენად, ინტეგრირებადია ადამიანის ავტობიოგრაფიულ მეხსიერებაში. პარალელურად ამისა, თეორიის თანახმად, ადამიანს ტრავმული ინფომრაცია აქვს შენახული მეხსიერების მეორე სისტემაში - „სიტუაციურად ხელმისაწვდომ მეხსიერებაში“, რომელიც არ ექვემდებარება ნების კონტროლს, ირთვება უნებლიედ, მხოლოდ გარკვეულ სიტუაციებში, კონკრეტული „ჩამრთველი ბერკეტების“ (სტიმულების) საპასუხოდ. სიტუაციურად ხელმისწავდომი მეხსიერება მოიცავს ინფორმაციას იმ გარე გამღიზიანებლებზე, რომლებიც ქვეზღურბლოვანი იყო მატრავმირებელ სიტუაციაში და ასევე, ინფორმაციას მაშინდელ სხეულებრივ/ფიზიოლოგიურ შეგრძნებებზე. ამ თეორიის მიხედვით, ფსიქოთერაპიის ამოცანებია ვერბალურად ხელმისაწვდომი ტრავმის მეხსიერების ინტეგრაცია ავტობიოგრაფიულ მეხსიერებაში და, ასევე, სიტუაციურად მისაწვდომი მეხსიერების მართვის უნარის გამომუშავება.

Anke Ehler-ისა და Clarck-ის *კოგნიტური მოდელი* (Dunmore, Clark & Ehler, 2001) ამახვილებს ყურადღებას იმაზე, რომ ტრავმირებული ადამიანები განიცდიან აქტუალური საფრთხის განცდას, და მიიჩნევს, რომ ეს ხდება, ერთი მხრივ, მათ მიერ ტრავმული გამოცდილების, ტრავმის შემდგომი საკუთარი მდგომარეობისა და სხვების მათდამი დამოკიდებულების ნეგატიური შეფასების გამო. მეორე მხრივ, ამას განაპირობებს ტრავმული მეხსიერების

სპეციფიკა, რომელიც კონტექსტს მოკლებულია და არ არის ინტერგირებული ავტობიოგრაფიული მეხსიერების სისტემაში.

ეგზისტენციურ-ჰუმანისტური მიდგომა

ეგზისტენციურ-ჰუმანისტური სკოლის წარმომადგენლები ტრავმას განიხილავენ, როგორც განცდილი ტრავმული გამოცდილებისათვის საზრისის მინიჭების მარცხს და ამ ფონზე განვითრებულ ეგზისტენციურ კრიზისს (Sarfati, 2016). ეგზისტენციურ-ჰუმანისტური სკოლის წარმომადგენელთა მიხედვით, ტრავმული გამოცდილებისთვის საზრისის მინიჭება ანუ, საზრისის რეკონსტრუქცია (Neimeyer, 2000) გამოიხატება ორ-საფეხურიანი ფენომენოლოგიური აქტით: 1) ტრავმული გამოცდილების ახსნა - რელიგიურ, სამედიცინო, თუ სხვა ნებისმიერი პარადიგმის შუქზე (რა მოხდა, რატომ მოხდა, როგორ მოხდა, რას ნიშნავს ის, რაც მოხდა) და 2) ტრავმის მტკივნეულ გამოცდილებაში სარგებელის აღმოჩენა პიროვნული ზრდის თუ ღირებულებების გადაფასების თვალსაზრისით (Davis et al, 1998; Gillies & Neimeyer, 2006; Bogensparger & Luerger-Schuster, 2014).

პოსტ-მოდერნული მიდგომა

პოსტ-მოდერნული აზროვნებისთვის დამახასიათებელი ეკლექტური, ან ე.წ. ინტეგრირებული მიდგომა აერთიანებს ზემოთ აღწერილ სამ მიდგომას ჰოლისტურ მრავალდონიან ჩარჩოში, რომელიც ერთობლიობაში განიხილავს ტრავმის ზემოაღწერილ ფსიქოდინამიკურ, კოგნიტურ, ემოციურ, ბიჰევიორალურ და ეგზისტენციურ ასპექტებს. პოსტ-მოდერნულ მიდგომის მაგალითია Berthold Gersons-ის *პტსა-ს მოკლე ეკლექტური ფსიქოთერაპია.* მისი კომპონენტებია: ტრავმული გამოცდილებისთვის საზრისის მინიჭება, რაც ემყარება ფსიქოდინამიკურ და ეგზისტენციურ-ჰუმანისტურ მიდგომებს; წარმოსახვითი ექსპოზიცია, რაც ემყარება ფსიქოანალიზს, ბიჰევიორიზმსა და

ჰიპნოთერაპიას; წერილობითი დავალებები, რაც ემყარება კოგნიტურ-ბიჰევიორულ მიდგომას; ტრავმის მასიმბოლოვებელი ნივთის (ე.წ. მემორაბილიას) გამოყენება, რაც ემყარება გლოვის დირექტიულ თერაპიას, დაბოლოს, ფსიქოგანათლება, რაც ემყარება კოგნიტურ მიდგომას (Gersons, 2011).

2.3.1.3. ტრავმის რისკისა და დამცავი ფაქტორები

Anna Freud-მა 1967 წელს გამოყო ფაქტორები, რომლებიც ტრავმის მიმართ მოწყვლადობას განაპირობებს, ესენია: თავად მატრავმირებელი სტრესორის სიძლიერე (1), წინა ისტორია ტრავმატიზაციისა, რომელმაც ადამიანი, შესაძლოა, შემდგომი ტრავმის მიმართ უფრო მოწყვლადი გახადოს (2), შეძენილი ან მემკვიდრეობითი პრობლემები, რომელიც ზღუდავს ego-ს დამცველობით ფუნქციებს (3), ასაკი და განვითარების ფაზა ტრავმატიზაციის მომენტში (4), გარემო და გარემოს მხარდაჭერა ტრავმირების მომენტში (5) (Freud A, 1967). ამერიკელმა ფსიქოტრავმატოლოგმა Bassel van der Kolk-მა, 1987 წელს, ამ 5 ფაქტორს დაამატა მეექვსე: ხასიათობრივი ნიშნები, რომლებიც პიროვნული განვითარების პროცესში ყალიბდება და ასევე აშუალებენ ტრავმის გავლენას (Van der Kolk, 1987).

Anna Freud-ის მიერ გამოყოფილ ფაქტორებს ნაწილობრივ ფარავს Terence Keane-ის, Amy Marshall-ისა და Casey Taft-ის გაკეთებული კლასიფიკაცია პტსა-ს რისკისა და დამცავი ფაქტორებისა. თუმცა, რამდენადაც მათი კლასიფიკაცია თანამედროვე კვლევების დიდ მასივს ეყრდნობა, ის ბევრად უფრო ამომწურავია. კერძოდ, Keane და მისი კოლეგები რისკისა და დამცავ ფაქტორებს სამ კატეგორიად აჯგუფებენ: ტრავმამდე არსებული, ტრავმის დროს არსებული, დაბოლოს - ტრავმის შემდგომი რისკისა და დამცავი ფაქტორები (Keane et al, 2006).

ტრავმამდე არსებული ფაქტორებია: მემკვიდრეობითი (ოჯახური) ფსიქოპათლოგია, დემოგრაფიული ფაქტორები (ასაკი, სქესი), ადრეული ტრავმირებისა და ძალადობის გამოცდილება, ტრავმამდელი ფსიქოპათოლოგიის ისტორია, ტრავმამდელი არაადაპტური კოგნიციები (Brewin et al, 2000, Briant & Guzri, 2005, Lloyd & Turner, 2003, Norris et al, 2002, Ozer et al, 2003, Pitman et al, 2002). ანუ, მტკიცებულების თანახმად, თუ ადამიანის უახლოეს ნათესავებს, ან თავად მას, აქვს ფსიქოპათოლოგია, თუ ის არასრულწლოვან ან მოხუცებულობის ასაკში მყოფი ქალია, თუ მას ტრავმამდე ძალადობის ან ტრავმატიზაციის გამოცდილება აქვს, და აგრეთვე, არაადაპტური კოგნიციები ახასიათებს, იგი პტსა-ს განვითარების უფრო მაღალი რისკის წინაშე დგას.

ტრავმის დროს არსებულ ფაქტორებს მიეკუთვნება, უპირველეს ყოვლისა, თავად მატრავმირებელი მოვლენის სიძლიერე და სახე. მტკიცებულების თანახმად, ადამიანის ხელით ნაწარმოები კატასტროფები - ომები, გაუპატიურება, ძალადობა, და ასევე, ტრავმული მოვლენები, რომელიც ფიზიკურ დაზიანებას იწვევს, უფრო მეტად არის დაკავშირებული პტსა-ს განვითარების რისკთან (Norris et al, 2003, Rosenman, 2002, Tucker et al, 2000). ასევე, მნიშვნელოვანია თუ რამდენად აღიქმება სტრესორი, როგორც სასიცოცხლო საფრთხის შემცველი ადამიანის მიერ. დაბოლოს, მნიშვნელოვანია, თუ რამდენად აღეძრა ადამიანს ტრავმირების მომენტში პერიტრავმული ემოციური პასუხები (უსუსურობის განცდა, შიში, სირცხვილი, ბრეალეულობა და ა.შ., და მათთან დაკავშირებული ნეგატიური კოგნიციები) და ასევე, პერიტრავმული დისოციაცია (Dunmore et al, 2001, Ozer et al, 2003, Schnurr et al, 2004). ანუ, თუ ადამიანი დაექვემდებარა ძალადობასთან დაკავშირებულ სტრესორს, ზემოქმედების მომენტში გაუჩნდა შეგრძნება რომ მის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება, და განიცადა დისოციაცია, ის პტსა-ს განვითარების უფრო მაღალი რისკის წინაშე დგას.

ტრავმის შემდგომი ფაქტორები: აქ მნიშვნელოვანია, თუ რამდენად დაცულ გარემოში ცხოვრობს ადამიანი ტრავმული გამოცდილების მიღების შემდეგ და რამდენად ინტენსიურად და ხშირად ექვემდებარება იგი სიღარიბესთან, დაუცველობასთან თუ ჯანმრთელობის რისკთან დაკავშირებულ ყოველდღიურ სტრესორებს (Schock et al, 2016). მეტა-ანალიზმა გამოავლინა, რომ ტრავმის შემდგომ ყველაზე მნიშვნელოვანი დაცვითი ფაქტორია აღქმული სოციალური მხარდაჭერა, რომელიც უარყოფით კორელაციაშია პტსა-ს სიმპტომების სიძლიერესთან (Brewin et al, 2000, Ozer, 2003). Prati-სა და Pietrantoni-ს მიერ ჩატარებულმა მეტა-ანალიზმა, ასევე, აჩვენა, რომ არა მარტო აღქმული, არამედ, რეალურად გაწეული სოციალური მხარდაჭერაც უარყოფით კორელაციაშია ტრავმის შემდგომ პტსა სიმპტომების სიძლიერესთან (Prati & Pietrantoni, 2010). რომ დავაჯამოთ, თუ ადამიანი ტრავმის შემდგომ ცხოვრობს ღარიბ, დაუცველ გარემოში, ამასთან თვლის, რომ სოციალური გარემოცვა მას მხარს არ უჭერს, და ეს აღქმა სინამდვილეს შეესაბამება, იგი პტსა-ს განვითარების უფრო მაღალი რისკის წინაშე დგას.

2.3.1.4. აღდგენისუნარიანობა (Resilience)

Ann Masten-ის განმარტებით, აღდგენისუნარიანობა (Resilience) არის „დინამიური სისტემის უნარი წარმატებით ადაპტირდეს იმ ხელის შემშლელ ფაქტორებთან, რომელიც უქმნის საფრთხეს სისტემის ფუნქციობას, სიცოცხლისუნარიანობას, თუ განვითარებას.“ (Masten, 2014, გვ.10).

აღდგენისუნარიანობის კვლევები დაიწყო შიზოფრენიით დაავადებულთა ოჯახებში, ბავშვების ადაპტაციის უნარის შესწავლით. კერძოდ, Norman Gamrezy-მ აღწერა შიზოფრენიით დაავადებულ დედათა შვილების კარგი ადაპტაციის უნარი იმ პირობებში, სადაც, დედის ავადმყოფობის გამო, ბავშვები განვითარების ტრაექტორიის დარღვევის დიდი რისკის წინაშე იდგნენ (Gamrezy, 1985).

ფსიქოტრავმატოლოგიაში აღდგენისუნარიანობის ფენომენს განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა, რამდენადაც, ეპიდემიოლოგიური კვლევები, ისევე როგორც ემპირიული დაკვირვება, გვიჩვენებს თუ რაოდენ უფრო მაღალია მატრავმირებელი სტრესორების მიმართ ექსპოზიციის სტატისტიკა, შედარებით პტსა-ს შემთხვევებთან. მაგალითად, ჩრდილოეთ ამერიკაში მატრავმირებელ სტრესორს დაქვემდებარების ალბათობა მოსახლეობაში ვარირებს 50-90%-ის ფარგლებში, მაშინ როდესაც ზოგად მოსახლეობაში პტსა-ს პრევალენტობა ვარირებს 8-12%-ის ფარგლებში (Norris & Slone, 2007). გარდა ამისა, განვითარებული პტსა-ს შემთხვევებში მაღალია სპონტანური რემისია, რაც აგრეთვე აღდგენისუნარიანობაზე მიუთითებს (Maerker & Hecker, 2016).

ამერიკის ფსიქოლოგთა ასოციაცია აღდგენისუნარიანობას განსაზღვრავს, როგორც ადამიანის კარგი ადაპტაციის ზოგად უნარს - როგორც სტრესულ პირობებში, ასევე უკიდურესად მძიმე მატრავმირებელი სტრესორების ზემოქმედების დროს. ასოციაციის სატრტეგიული დოკუმენტი აღდგენისუნარიანობის კვლევების დიდი მასივის ანალიზის საფუძველზე გამოყოფს ამ ფენომენის განმაპირობებელ ოთხ ისეთ ძირითად ფაქტორს, როგორიცაა: რეალისტური გეგმების შედგენისა და განხორციელების უნარი, საკუთარი თავის როგორც უნარიანისა და პოზიტიურის განხილვა, ეფექტური კომუნიკაციისა და პრობლემების მართვის უნარი, დაბოლოს, ძლიერი გრძნობებისა და იმპულსების მართვის უნარი. ასევე, ასოციაცია გამოყოფს აღდგენისუნარიანობის 10 საკვანძო ნაბიჯს, ესენია: სოციალური კავშირების დამყარება და გამყარება, როგორც ოჯახში, ასევე თემში (1), კრიზისული სიტუაციის როგორც გადაუჭრელის ხედვის თავიდან აცილება (2), ცვლილებების მიღება, როგორც ცხოვრების მოცემულობისა (3), მიზნების დასახვისა და განხორციელების მიმართულებით ორიენტაცია და მოძრაობა (4), გადამწყვეტი ქმედებების განხორციელება წინააღმდეგ პრობლემის

გადაჭირს თავიდან აცილების მცდელობისა (5), საკუთარი თავის გაცნობიერების ამაღლებისათვის შესაძლებლობების ძიება და გამოყენება (6), საკუთარი თავის პოზიტიური ხედვის წახალისება (7), მოვლენების განხილვა კონტექსტში და პერსპექტივაში, წინააღმდეგ მათზე ვიწროდ ფოკუსირებისა (8), იმედიანობა (9), საკუთარ თავზე ზრუნვა (10) (APA, 2012).

Michal Ungar-ი ეჭვის ქვეშ აყენებს აღდგენისუნარიანობას, როგორც ადამიანის მახასიათებელს, და განსაზღვრავს მას, როგორც ადამიანისა და გარემოს ურთიერთქმედების ფუნქციას. თავის მიერ ჩამოყალიბებულ *აღდგენისუნარიანობის ეკო-სოციალურ მოდელში* იგი ხაზს უსვამს, რომ აქცენტი „ადამიანის სტრესის მიმართ მოწყვლადობიდან“ უნდა გადავიტანოთ იმაზე, თუ ადამიანის ეკო-სოციალური გარემო რამდენად უზრუნველყოფს მისთვის სოციალურ რესურსების ხელმისწავდომობას. Ungar-ის თანახმად, აღდგენისუნარიანობა ადამიანისა და მისთვის მისაწვდომი რესურსების ურთიერთქმედების ფუნქციაა (Ungar, 2011). Ungar-ის მსგავსად, Andreas Maerker-იც ტრავმის სოციო-ინტერპერსონალური მოდელის აღწერით, ამტკიცებს, რომ ადამიანის აღდგენისუნარიანობა მნიშვნელოვანწილად არის განსაზღვრული მისი ურთიერთქმედებით მის სოციო-კულტურულ გარემოსთან (Maerker & Hecker, 2016). Maerker-ის ხედვას ადასტურებს აღდგენისუნარიანობის უახლესი კვლევა, ჩატარებული ჰოლანდიელ მკვლევართა გუნდის მიერ მიგრანტ მოზარდებში. კვლევის შედეგად, მათ განსაზღვრეს აღდგენისუნარიანობა, როგორც დინამიური პროცესი, რომლის სპეციფიკაც განსაზღვრულია კონკრეტული კონტექსტით (კერძოდ, ამ კონტექსტში ხელმისწავდომი მხარდაჭერის სისტემებით) და დროის მსვლელობასთან ერთად მიმდინარე ცვლილებებით (Sleijpen et al, 2017).

2.3.1.5. ტრავმის შედეგები: სოციალურ-ინტერპერსონალური მოდელი

Andreas Maerker-მა და Tobias Hecker-მა ჩამოაყალიბეს ტრავმის სოციალურ-ინტერპერსონალური მოდელი, რომლის შუქზეც აანალიზებენ ტრავმის შედეგებს სოციალურ და ინტერპერსონალურ დონეზე (Maerker & Hecker, 2016). კერძოდ, მათ გამოყვეს სამი დონის ფაქტორები, რომლებიც აშუალებენ ტრავმის გავლენას სოციალურ დონეზე. ეს დონეებია: სოციალური აფექტები (1), ახლო ურთიერთობები (2), საზოგადოება და კულტურა (3).

სოციალური აფექტები წარმოიშვება სხვა ადამიანების (იქნება ეს ცალკეული ადამიანი, ადამიანთა ჯგუფი, თემი თუ საზოგადოება) მიმართ. მტკიცებულების თანახმად, ისეთი სოციალური აფექტები, როგორიცაა დანაშაულის გრძნობა, სირცხვილი და აგრესია, მჭიდროდ არის ასოცირებული პტსა-სთან (Dutra et al, 2008; Lee et al, 2001; Maercker & Horn, 2013; Marsee, 2008; Taft et al, 2011; Saile et al, 2014; Hecker et al, 2015). მაშინ, როცა სირცხვილი და ბრალეულობა ადამიანს სოციალური იზოლაციისკენ უბიძგებს, პტსა-სთან ასოცირებული რეაქტიული და პროაქტიული აგრესია, ფაქტობრივად, ძალადობრივ ციკლში აქცევს ადამიანსა და მის გარემოცვას, რაც რისკის ქვეშ აყენებს დაზარალებულის მკურნალობის გამოსავალს (იმ შემთხვევაში, თუ იგი მკურნალობს) და სოციალურ ინტეგრაციას (Annan et al, 2009).

ახლო ურთიერთობების დონეზე Maerker-ი და Hecker-ი ამახვილებენ ყურადღებას იმაზე, თუ როგორ მიმდინარეობს ტრავმირებულ ადამიანსა და მის უახლოეს სოციალურ გარემოცვას (მეუღლეს, პარტნიორს, ოჯახის წევრს) შორის ურთიერთობა/გაზიარება ტრავმული გამოცდილების თემაზე. რამდენადაც, ტრავმული გამოცდილების გაზიარება „მნიშვნელოვან სხვასთან“ ურაყოფით კორელაციაშია პტსა სიმპტომების სიმძაფრესთან (Grey et al, 2012), მკვლევარებმა ყურადღება გაამახვილეს დისფუნქციურ გაზიარებაზე. Pielmaier-მა და კოლეგებმა გამოყვეს დისფუნქციური გაზიარების სამი სახე: ა)ტრავმირებული ადამიანის მხრიდან დუმილი („მნიშვნელოვანი სხვას“

შემთხვევაში - მოსმენის თავიდან არიდება), რასაც თავის დროზე Yael Danieli-მ „სიჩუმის შეთქმულება“ უწოდა (Danieli, 1981) ტრავმირებული ადამიანის მხრიდან ზეჭარბი გაზიარება („მნიშვნელოვანი სხვას“ შემთხვევაში - გაზიარების ჭარბი სტიმულირება) და გ) გაზიარება ჭარბი ემოციური რეაგირების თანხლებით (იგივე „მნიშვნელოვანი სხვას“ შემთხვევაში). მათ შეისწავლეს პტსა-ს სიმპტომების გამოხატულების კავშირი გაზიარების სახეობასთან. შედეგად, გამოვლინდა, რომ პტსა სიმპტომების გამოხატულება კავშირშია როგორც ტრავმირებული ადამიანის, ისე „მნიშვნელოვანი სხვას“ გაზიარების სახეობასთან, და ასევე, მათი სახეობების ურთიერთქმედებასთან. კერძოდ, რაც უფრო მაღალია გაზიარების დისფუნქციობა, მით უფრო გამოხატულია პტსა სიმპტომები (Pielmaier et al, 2013). ამდენად, ის, თუ რა სახით ხდება კომუნიკაცია ტრავმულ გამოცდილებაზე ადამიანის უახლოეს სოციალურ გარემოცვაში, შესაძლოა თამაშობდეს ან რისკის, ან დამცავი ფაქტორის როლს პტსა-ს განვითარების თვალსაზრისით. ამ უკანასკნელის შემთხვევაში ის აღდგენისუნარიანობას შეუწყობს ხელს.

საზოგადოებისა და კულტურის დონეზე Maerker-ი და Hecker-ი ამახვილებენ ყურადღებას ორ ისეთ ფაქტორზე, როგორიცაა: საზოგადოების მხრიდან აღიარება (ტრავმის, მიყნებული ზიანის, დაზარალებულის პოზიციის სისწორის) და ფასეულობები. კვლევის თანახმად, აღქმული სოციალური აღიარება უარყოფით კორელაციაშია პტსა-სთან, და ამგვარად, მნიშვნელოვან დამცავ ფაქტორს წარმოადგენს - რაც, ისევ და ისევ, აღდგენისუნარიანობას შეუწყობს ხელს (Mueller et al, 2008; Maercker et al, 2009; Schumm et al, 2014). რაც შეეხება ფასეულობებს, კვლევა ადასტურებს, რომ მოდერნული ფასეულობები (ჰედონიზმი, თვით-განსაზღვრა, სტიმულირება) და ტრადიციული ფასეულობები (ძალაუფლება, მიღწევა, მორჩილება) განსხვავებულად აშუალებენ ტრავმის ზეგავლენას ინდივიდებზე. კერძოდ, ტრადიციული მკაცრი ფასეულობები აძლიერებს პტსა სიმპტომების გამოხატულებას, მაშინ

როცა მოდერნული ფასეულობები დამცავი ფაქტორის როლს ასრულებენ, და ხელს უწყობენ აღდგენისუნარიანობას (Maerker et al, 2008; Zimmermann et al, 2014). Burri-მ და Maerker-მა იკვლიეს ევროპის ქვეყნებში პტსა-ს გავრცელება, ომში დაღუპულთა სტატისტიკა (მეორე მსოფლიო ომისა და ყოფილი იუგოსლავიის ომების), ფასეულობების ცვლილება და ამ ფაქტორებს შორის ურთიერთკავშირი. კვლევის შედეგების თანახმად, რაც უფრო მაღალია ომში დაღუპულთა რაოდენობა, მით მეტია ტრადიციულ ფასეულობებთან დაბრუნების ტენდენცია და მაღალია პტსა-ს გავრცელება (Burri & Maerker, 2014).

2.3.1.6. პოსტ ტრავმული ზრდა

აღდგენისუნარიანობის მსგავსად, პოსტ ტრავმული ზრდის ფენომენი ფსიქოტრავმატოლოგიაში თანამედროვე კვლევების ინტენსიური ყურადღების ფოკუსშია. თუ აღდგენისუნარიანობა გულისხმობს, რომ მიუხედავად მატრავმირებელი სტრესორის ზემოქმედებისა, ადამიანი ადაპტირდება და ფაქტობრივად, უბრუნდება იმ მდგომარეობას, რომელშიც ექსპოზიციამდე იყო, პოსტ ტრავმული ზრდა გულისხმობს რომ ადამიანი კიდევ უფრო წინ მიდის: „(პოსტ ტრავმული - დ.ჯ.) ზრდის პროცესები გულისხმობს მოძრაობას ტრავმამდელი ადაპტაციის დონის ზევით, ეს არის მიმდინარე განვითარება როგორც შედეგი“ (Alexander & Oesterreich, 2013, გვ. 832).

კვლევების თანახმად, პოსტ ტრავმული ზრდა მნიშვნელოვნად არის დაკავშირებული იმასთან, თუ რამდენად მოახერხა ადამიანმა ჩაედო საზრისი ტრავმულ გამოცდილებაში. საზრისის რეკონსტრუქცია ორნაბიჯიანი პროცესია. პირველი ნაბიჯი გულისხმობს ტრავმული მოვლენის ახსნას ამა თუ იმ ახსნით სისტემაში (სამეცნიერო, რელიგიურ, თუ სხვა). მეორე ნაბიჯი, რომელსაც ყველა ვერ ახორციელებს, არის იმის აღმოჩენა, თუ რა სარგებელი მოუტანა ტრავმულმა გამოცდილებამ ადამიანს პიროვნული ზრდის

თვალსზრისით (Neimeyer et al, 2002; Neimeyer et al, 2006; Bogensperger & Lueger-Schuster, 2014).

ემპირიული კვლევების შედეგებზე დაყრდნობით, შესაძლოა გამოვყოთ ადამიანის ფსიქოსოციალური ფუნქციობის ის დონეები, რომელიც განიცდის ტრანსფორმაციას პოსტ ტრავმული ზრდის შემთხვევაში: (Alexander & Oesterreich, 2013; Tedeschi, & Calhoun, 2004; Tedeschi, & Calhoun, 2006; Bogensperger & Lueger-Schuster, 2014; Alexander & Oesterreich, 2013):

მე: ადამიანი თავის თავს განიხილავს, როგორც უფრო ძლიერს („რაც არ მკლავს, მაძლიერებს“);

სოციალური ურთიერთობები: სხვა ადამიანებთან ურთიერთობის ხარისხის გაუმჯობესება, მეტი სიახლოვის განცდის გაჩენა;

მსოფლმხედველობა: ადამიანი ახერხებს საზრისის რეკონსტრუქციას, მას ეცვლება დამოკიდებულება საკუთარი თავის, სიცოცხლისა და გარშემომყოფთა მიმართ; ის მეტად აფასებს სიცოცხლეს, უფრო ადვილად განსაზღვრავს პრიორიტეტებს, ცდილობს ყოველი დღე სავსე ცხოვრებით იცხოვროს;

სოციალური აქტივობა: ადამიანი იკავებს უფრო აქტიურ სოციალურ პოზიციას, ის ცდილობს დაეხმაროს სხვებს, იმუშავოს ცვლილებებზე რომელიც შეამცირებს სოციალურ უსამართლობას;

სულიერების განზომილება: ადამიანმა ტრავმის შემდგომ შესაძლოა გადააფასოს/შეიცვალოს თავისი რელიგიური, სულიერი, ფილოსოფიური შეხედულებები/ფასეულობები, უფრო მეტი დრო და ენერგია მიუძღვნას სულიერების განზომნილებას.

დღესდღეობით არ არსებობს ერთმნიშვნელოვანი მტკიცებულება იმის თაობაზე, არის თუ არა კავშირი, და თუ არის, როგორი სახის, პოსტ ტრავმულ ზრდასა და პოსტ ტრავმული აშლილობების სიმპტომებს შორის. ზოგიერთი კვლევის შედეგი მიუთითებს დადებითი კორელაციის არსებობაზე, თუმცა

ორი უახლესი რაოდენობრივი კვლევა ამგვარი კავშირის არსებობას უარყოფს (Sleijpen et al, 2016; Michélsen et al, 2017). ამგვარი განსხვავებები შესაძლოა გამოწვეული იყოს, ერთი მხრივ, მეთოდოლოგიური არაერთგვაროვნებით, ხოლო მეორე მხრივ იმით, რომ მოცემული კვლევები ჩატარებულია სხვადასხვა კულტურულ კონტექსტში და განსხვავებულ ტრავმირებულ ჯგუფებზე, რომლებიც გასხვავებულ სტრესორებს დაექვემდებარა (დაწყებული სექსუალური ძალადობითა და სიმსივნური დაავადებებით, დამთავრებული იძლებითი ადგილნაცვალობითა და ბუნებრივი კატასტროფებით).

მტკიცებულების თანახმად, პოსტ ტრავმული ზრდის წინასწარმეტყველი ფაქტორი/პრედიქტორი ინდივიდუალურ დონეზე არის დისპოზიციური ოპტიმიზმი (Koutrouli et al, 2012), ხოლო სოციალურ დონეზე კი - სოციალური მხარდაჭერა (Shand et al, 2014).

2.3.2. ტრავმის თაობიდან თაობაში გადაცემა

ტრავმულ მოვლენას შესაძლოა ჰქონდეს ინდივიდუალური სახე (მაგ., უბედური შემთხვევა, რომელიც ერთ ადამიანს ემართება), ინტერპერსონალური (მაგ., ძალადობა) ან კოლექტიური ხასიათი (მაგ., სტიქიური უბედურება, ომი და ა.შ.). მაშინაც კი, როდესაც ტრავმა ინდივიდუალური ხასიათისაა, ის გავლენას ახდენს არა მარტო უშუალოდ ტრავმირებულ ადამიანზე, არამედ მის სოციალურ გარემოცვაზე - ოჯახზე, თემზე, საზოგადოებაზე. სოციალური ფაქტორები კი, თავის მხრივ, გავლენას ახდენს ინდივიდუალური, ოჯახური თუ კოლექტიური ტრავმის შედეგებსა და გამოასავალზე (Maerker & Hecker, 2016).

ტრავმის სოციალური ეფექტების გაცნობიერების თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის ამერიკელ ფსიქიატრს, ოჯახურ ფსიქოთერაპევტს, Charles Figley-ს, რომელმაც ჯერ კიდევ 1980-იან წლებში

გაამახვილა ყურადღება იმაზე, რომ ოჯახის წევრის ტრავმა გავლენას ახდენს ოჯახურ სისტემაზე მთლიანად: „ისევე, როგორც კატასტროფები ახდენს გავლენას ინდივიდებზე, ისინი ახდენენ გავლენას დაზარალებულის ოჯახებზე: ეს ოჯახები უნდა განხილულ იქნან, როგორც „კატასტროფის ოჯახები“ (Figley, 1988, გვ.129). მანვე შემოიტანა მეორადი ტრავმატიზაციის ცნება, რომლითაც აღწერა ფაქტი, რომ ტრავმის სიმპტომები თავს იჩენს არა მარტო იმ ადამიანში, რომელიც მატრავმირებელი სტრესორის ზეგავლენას დაექვემდებარა, არამედ სხვა ადამიანებში, რომელნიც მასთან ახლო კონტაქტში არიან - ოჯახის წევრები, მზრუნველები, პროფესიონალები, რომელნიც მუშაობენ მასთან და ა.შ. პროფესიული დახმარების შემთხვევაში ტრავმის გადაცემას Lisa McCann-მა და Laurie Anne Pearlman-მა „გადადებული ტრავმა“ (Vicarious traumatization) უწოდეს, ტრავმის გადამდები ხასიათის ხაზგასასმელად (Lisa McCann & Pearlman, 1990). მეორადი ტრავმატიზაციზაციის ერთერთი მექანიზმი დაახასიათა ფსიქოტრავმაგტოლოგიის კლასიკოსმა, Lenore Terr-იმ, რომელმაც 1990 წელს აღწერა ბავშვების განმეორებადი ტრავმული თამაშები. კერძოდ, მან აჩვენა, რომ ტრავმულ თამაშში ჩართული ის ბავშვები, რომელნიც უშუალოდ არ დაექვემდებარნენ მატრავმირებელი სტრესორის ზემოქმედებას, აგრეთვე ავლენდნენ ტრავმულ სიმტპომებს, რამდანადაც იყვნენ ჩართული ერთობლივ აქტივობაში (თამაშში) ტრავმირებულ ბავშვებთან (Terr, 1990).

ამერიკელი მკვლევარი Ibrahim Kira გვთავაზობს მეორადი ტრავმატიზაციის კლასიფიკაციას, რომელსაც ცხრილის სახით წარმოადგენს (იხ. ცხრილი 1):

ცხრილი 1: მეორადი ტრავმის კლასიფიკაცია (Kira, 2004)

	ტრავმის ტიპი	გადაცემის მექანიზმი	ერთ-ნაბიჯიანი	მრავალნაბიჯიანი	ეფექტები	პასუხები
ინდივიდი ინდივიდს	ნებისმიერი	ყმეტია	---	---	პროფესიული გადაწვა	სუპერვიზია
ინდივიდი ოჯახს	ოჯახური ტრავმა	მიჯაჭვულობა, პროექციული იდენტიფიკაცია	---	ოჯახური ტრავმის თაობიდან თაობაში გადაცემა	ტრიანგულაცია, როლების რეჟერსია,	ოჯახური თერაპია
ინდივიდი თემს ან/და თემი ინდივიდს	კოლექტიური	იდენტობა	---	კოლექტიური ტრავმის გადაცემა თაობიდან თაობაში	სოციალური/ სტრუქტურული დისფუნქცია, ბანდები, ტერორისტული დაჯგუფებები,	სოციო-პოლიტიკური აქტივიზმი, ჯგუფური ინტერვენციები, ჯგუფური დინამიკა

როგორც ცხრილიდან ვხედავთ, ტრავმის გადაცემა შესაძლებელია ორი მიმართულებით: ჰორიზონტალურად - ტრავმირებული ადამიანიდან მის ოჯახის წევრებზე, ან თემზე (რასაც Ibrahim Kira „ერთნაბიჯიან გადაცემას“ უწოდებს), ასევე ვერტიკალურად - ოჯახში, თემში ან საზოგადოებაში, ერთი თაობიდან მეორეზე (რასაც Kira „მრავალნაბიჯიან“ გადაცემას უწოდებს).

ვერტიკალური გადაცემის თვალსაზრისით, Ibrahim Kira ანსხვავებს ტრავმის ორ ტიპს:

- ისტორიული ტრავმა, რომელიც ეთნიკური, რასობრივი, რელიგიური, თუ რაიმე სხვა ნიშნით გაერთიანებულ დიდ ჯგუფს ემართება თავისი არსებობის მანძილზე და განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ამ ჯგუფის იდენტობის ჩამოყალიბების თვალსაზრისით (მაგალითად, ჰოლოკოსტის ტრავმა ებრაელებისთვის, ან სერბი ერის ტრავმა დაკავშირებული მე-14-ე საუკუნეში ოტომანების იმპერიის მიერ სერბეთის დაპყრობასა და მასზე ექვს-საუკუნოვან ბატონობასთან, რომელიც გაანალიზებული აქვს ამერიკელ ფსიქოანალიტიკოს Vamik Volkan-ს (Volkan, 1997);

- სტრუქტურული ძალადობის ტრავმა, რომელიც ამა თუ იმ საზოგადოებაში თუ საზოგადოების ფენის/კლასის მიმართ სოციალური

უსამართლობით (მაგალითად, უკიდურესი სიღარიბით) გამოწვეულ ტრავმათა კუმულირების საფუძველზე ვითარდება, გადაეცემა შემდგომ თაობებს, და, სათემო ძალადობისა და ფსიქოაქტიური ნივთერებების ავადმოხმარების რისკს ზრდის (Schwebel, 1998).

2.3.2.1. ტრავმის თაობიდან თაობაში გადაცემის თეორიები

ტრავმის თაობიდან თაობაში გადაცემის კვლევას ნიადაგი მოუმზადა, ერთი მხრივ, ჰოლოკოსტს გადარჩენილი ებრაული ოჯახების წევრებთან, და მეორე მხრივ, ვიეტნამის ომიდან მობრუნებულ ვეტერანთა ოჯახების წევრებთან კლინიკურმა მუშაობამ. კლინიცისტებმა აღმოაჩინეს, რომ ჰოლოკოსტისა და ვიეტნამის ომის ვეტერანთა ოჯახებში განსაკუთრებული ფსიქოლოგიური ატმოსფერო სუფევდა, რომლის საფუძველზეც მათ შვილებს (ან, მთლიანობაში, ოჯახებს) უჩნდებოდათ მშობელთა ტრავმის სიმპტომები (Figley, 1988, Danieli, 1998). ამ კლინიკურმა აღმოჩენებმა, თავის მხრივ, ბიძგი მისცა ტრავმის თაობიდან თაობაში გადაცემის კვლევების დიდ მასივს.

ტრავმის თაობიდან თაობაში გადაცემის მექანიზმებს სხვადასხვა ფსიქოლოგიური სკოლა სხვადასხვანაირად ხსნის და აღწერს:

ტრავმის გადაცემის ფსიქოდინამიკური მიდგომა

ტრავმის გადაცემის ფსიქოდინამიკური მოდელი შემდეგნაირად გამოიყურება: ტრავმირებული მშობელი ცნობიერებიდან დევნის ტრავმასთან დაკავშირებულ მოუნელებელ, გამოუხატავ, გამოუგლოვებელ და ამდენად, გადაუმუშავებელ განცდებს; ტრავმის დიალექტიკის თანახმად (Herman, 1992), განდევნილი განცდები მიისწრაფვიან აქტუალიზაციისკენ; აქტუალიზაციის ტენდენციის გამო, მშობელთა განდევნილი განცდები პროეცირდება ოჯახურ ურთიერთობებზე, შვილ(ებ)ზე. შედეგად, შვილი გაუცნობიერებლად (პროექციული იდენტიფიკაციის, ინტროექციის გზით) ახდენს ამ განცდების ასიმილაციას, შედეგად, გადაუხვევს თავისი განვითარების ტრაექტორიიდან

და განაგრძობს არსებობას მშობლის ტრავმულ რეალობაში (Rowland-Klein & Dunlop, 1997).

მშობელთა განდევნილი განცდებისა და მათი გამომწვევი ფსიქოლოგიური ფენომენების ერთერთი თვალსაჩინო ილუსტრაციაა ე.წ. *საკონცენტრაციო ბანაკის სინდრომი*, რომელიც ჰოლოკოსტის მკვლევარებმა აღწერეს გადარჩენილთა ფსიქოლოგიური მდგომარეობის შესწავლის საფუძველზე (Wardi, 1992, გვ. 18):

„1. ***საკუთარი თავით მოცულობა.*** დეპრესიული მდგომარეობა, ქრონიკული გადაუმუშავებელი გლოვის მდგომარეობა, რომელსაც თან ახლავს ბრალეულობისა და შინაგანი სიცარიელის განცდები;

2. ***ემოციური დაჩლუნგება და ინჰიბიცია.*** ეს არის ქრონიკული შფოთვის მდგომარეობა, რომელიც მომდინარეობს საბაზო ნდობისა და ჯანსაღი ნარცისიზმის დაკარგვიდან. შფოთვა ხელს უშლის ეგოს ფუნქციონირებას და ემუქრება პიროვნების ემოციურ არსებობას, ის აზიანებს ემოციების სიტყვიერად და სიმბოლურად გამოხატვისა და ფანტაზირების უნარებს;

3. ***სხვადასხვა ფიზიკური და ფსიქოსომატური დარღვევები.*** ღამის კოშმარები, გუნება-განწყობილების დრამატული ცვლილებები და სხვა სიმპტომები;

4. ***სუპერეგოს დეფექტური ფუნქციონირება.*** ხდება გახლეჩა ეგოსი და ობიექტებისა, რომლებიც ასახულია სუპერეგოში. ეს დეფექტები გამოწვეულია ნაცისტურ მორალთან იდენტიფიკაციითა და მისი ერთდროული გაკიცხვით;

5. ***ეგოს ფუნქციები ხდება ავტომატური.*** სხვა ადამიანებთან დაკავშირებულობის უნარი საგრძნობლად შესუსტებულია, ისევე როგორც ემფატიის უნარი, იმ ფონზე, რომ ხდება თავის არიდება გლოვის შინაგანი გადამუშავებისგან. ეს იწვევს სხვა ადამიანებთან დაკავშირებულობის უნარის დაკარგვას;

6. ***საკუთარი სხეულის ხატის დაზიანება.*** ეს გამოწვეულია ფიზიკური წამებით, დამცირებითა და ინტიმურობის დეფიციტით. ზოგჯერ ამას თან ახლავს იდენტიფიკაცია ნაცისტურ იმიჯთან ებრაელების შესახებ; ეს გზავნილი ნაწილობრივ ინტერნალიზებული იყო ზოგიერთი გადარჩენილის მიერ და მათი მსოფლმხედველობის ნაწილი გახდა."

ჰოლოკოსტის მკვლევარი, Haim Dasburg-ი, მოკლე ფორმულირებით აჯამებს იმ ფსიქოლოგიური ატმოსფეროს ფსიქოდინამიკურ ხედვას, რომელშიც იღზრდებოდნენ *საკონცენტრაციო ბანაკის სინდრომის* მქონე მშობელთა შვილები: „ისინი იზრდებოდნენ ჩრდილში *ფსიქიკური კონფლიქტებისა,* რომელიც მოდიოდა მათი, ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად, შეუქცევადად დაზიანებული მშობლების გლოვიდან, ბრალეულობის განცდიდან, ექსტენსიური შფოთვიდან, ზემეურვეობიდან და გადაჭარბებული მოლოდინებიდან" (Wardi, 1992, გვ. xi). ამგვარ ატმოსფეროში აღზრდილი თაობის დასახასიათებლად, Dina Wardi-ს მიერ შემოთავაზებული მეტაფორა - „მემორიალური სანთლების თაობა" - ამჟამად ფსიქოტრავმატოლოგიაში ქრესტომათიულ მეტაფორად იქცა.

ფსიქოდინამიკური მიდგომის თანახმად, ტრავმის თაობიდან თაობაში გადაცემა ხორციელდება შემდეგი სამი მექნიზმის მეშვეობით: პროექციული იდენტიფიკაცია, პრიმიტიული იდენტიფიკაცია და დეპოზიტირება.

პროექციული იდენტიფიკაცია Melanie Klein-ის აღწერილი დაცვის მექანიზმია, რომლის დროსაც ადამიანი თავის განდევნილ მიუღებელ მხარეს ხედავს (აპროეცირებს) სხვა ადამიანში, და თავისი ქცევით, ფაქტობრივად, აღვიძებს ამ მეორე ადამიანში ამ მხარის შესაბამის განცდებსა და ქცევას. ამ შემთხვევაში მეორე ადამიანი მაპროეცირებელი ადამიანის კომპლიმენტარული ხდება და ამის საფუძველზე შესაძლოა იმდენად დაშორდეს თავის რეალურ self-ს, რომ დაკარგოს დამოუკიდებლობა (Klein, 1946).

პრიმიტიული იდენტიფიკაცია გულისხმობს ბავშვის მიერ მშობლის დაზიანებული თვით-იმიჯის არაცნობიერ ინტორეცირებასა და ასიმილაციას მასთან ურთიერთობის პროცესში. როგორც წერს ებრაელი ფსიქოანალიტიკოსი ILany Kogan-ი, „ეს არის (შვილის - დ.ჯ.) მცდელობა განკურნოს მშობელი და დაეხმაროს გამოჯანმრთელებაში. ასეთ იდენტიფიკაციას ბავშვი მიჰყავს საკუთარი self-ის დამოუკიდებელი შეგრძნების დაკარგვამდე და უუნარობამდე ერთმანეთისგან გამოარჩიოს/გამოყოს საკუთარი თავი და დაზიანებული მშობელი... იდენტიფიკაციის ეს სახე საკვანძო როლს თამაშობს შვილის უუნარობაში მიაღწიოს self-ის დიფერენციაციას და თავისი საკუთარი/დამოუკიდებელი ცხოვრება ააშენოს.“ (Kogan, 2012, გვ.7).

დეპოზიტირების მექანიზმი აღწერა Vamik Volkan-მა (Volkan, 1987, გვ. 73). მის თანახმად, მშობელი ახდენს თავისი გადაუმუშავებელი განცდების „დეპოზიტირებას“ შვილებში. განსხვავებით იდენტიფიკაციის ფენომენისგან, რომელსაც შვილი, როგორც აქტიური სუბიექტი ანხორციელებს, დეპოზიტირება შვილს მშობლის განდევნილი განცდების ზემოქმედების ობიექტად აქცევს. აქ მშობელი შვილს გადასცემს არა მარტო გადაუმუშავებელ განცდებს, არამედ გარკვეულ ამოცანებს, რომელიც მან თავად ვერ განახორციელა (გლოვის დასრულება, ღირსების აღდგენა და ა.შ.). შვილი ახდენს მშობლის გადაუმუშავებელი განცდების ინტროეცირებას, რაც მას მშობლის დადეპოზიტებული ხატების, გრძნობების, განცდების რეზერვუარად აქცევს.

ტრავმის გადაცემის სოციო-კულტურული მიდგომა

ამ მიდგომის თეორიული საყრდენი ანთროპოლოგიის, სოციოლოგიისა და სოციალური ფსიქოლოგიდან მოდის. სამივე მეცნიერების წიაღში დაგროვილია მტკიცებულება კულტურული თუ სოციალური ნორმების, ჩვევების, ფასეულობების, რწმენების, რიტუალების, მითების გავრცელებისა და თაობიდან თაობაში გადაცემის შესახებ.

მშობლის ტრავმის შვილზე გადაცემის თვალსაზრისით, სოციო-კულტურული მიდგომა ხაზს უსვამს ორ მექანიზმს: *აღზრდის სტილსა* და *სოციალურ დასწავლას* (Kellermann, 2001). Maerker-ისა და Hecker-ის უკანასკნელ წლებში ჩამოყალიბებული პტსა-ს სოციო-ინტერპერსონალური მოდელის თანახმად (Maerker & Horn, 2013; Maerker & Hecker, 2016), ტრავმირებული ადამიანი ახდენს გავლენას თავის უახლოეს სოციალურ სინამდვილეზე სოციალური აფექტების (ბრაზი, ბრალეულობა, სირცხვილი) და ტრავმის გაზიარების სტილის (დუმილი/დაფარვა ან ჭარბი გაზიარება, და/ან გაზიარება ჭარბი ემოციური თანხლებით) მეშვეობით. თუ ოჯახი ტრავმირებული მშობლის სოციალური აფექტების სამიზნე ხდება, და/ან მშობელი მიმართავს ტრავმის დისფუნქციური გაზიარების სტრატეგიას, ოჯახში ზიანდება აღზრდის სტილი; ამ შემთხვევაში, ასევე, მშობლები წარმოადგენენ არაადაპტურ როლურ მოდელებს შვილებისათვის, სოციალური დასწავლის თვალსაზრისით. ეს, თავის მხრივ, შესაძლოა ხელს უწყობდეს ტრავმის შედეგების გადაცემას თაობიდან თაობაში.

ტრავმის გადაცემა ოჯახური სისტემის თეორიის შუქზე

ოჯახური სისტემის თეორიის ერთერთი ფუძემდებლი და კლასიკოსი, Murrey Bowen-ი ოჯახს განსაზღვრავს, როგორც „მრავალთაობიან ემოციურ სისტემას, რომელიც შედგება ოჯახის წევრი ინდივიდებისგან, ბირთვი (ნუკლეარული) ოჯახისაგან და ასევე, გაფართოვებული ოჯახისაგან. ის მოიცავს ოჯახის ყველა ცოცხალ წევრს, ჩვეულებრივ სამ თაობას და შესაძლოა მეტს“ (Titelman, 2014, გვ.22).

ოჯახური სისტემის თეორიის თანახმად, ოჯახი რეაგირებს ტრავმაზე, როგორც ერთიანი სისტემა. სისტემის უკლებლივ ყველა წევრი, თვალსაჩინოდ თუ უხილავად, ჩართულია ერთმანეთთან დინამიკურ ინტერაქციაში და ამგვარად ზემოქმედებს ერთმანეთსა და ოჯახურ სისტემაზე. ტრავმა არღვევს ოჯახური სისტემის ჰომეოსტაზს და ამდენად, მოითხოვს სისტემის

რეორგანიზებას, ცვლილებას. ის, თუ რამდენად მოახერხებს სისტემა შეიცვალოს ტრავმულ გამოცდილებაზე საპასუხოდ, ისე, რომ ფუნქციური დარჩეს, განსაზღვრავს მის მიერ ტრავმული გამოცდილების დაძლევა-არდაძლევასა და შესაბამისად, ტრავმის თაობიდან თაობაში გადაცემას (Bowen, 1976; Murrey et al, 2005; Titelman, 2014).

ტრავმის დაძლევისა თუ თაობიდან თაობაში გადაცემის თვალსაზრისით, ოჯახური სისტემის თეორია განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ისეთ ცვლადებს, როგორიცაა: *ოჯახური სისტემის ღიაობა, ოჯახში არსებული კომუნიკაციის პატერნები, ოჯახის შეჭიდულობა, ოჯახის ადაპტაციისუნარიანობა* და *ოჯახის რწმენათა სისტემა ანუ ოჯახური პარადიგმა* (Bowen, 1976; Figley, 1988; Janoff-Bulman, 1992; Young et al, 2003).

ოჯახური სისტემის ღიაობა. ჰოლოკოსტს გადარჩენილთა ოჯახების კვლევის თანახმად, თუ ტრავმის ზემოქმედების შედეგად ოჯახური სისტემა დაეხშო, და ოჯახის წევრები ჭარბად არიან ერთმანეთზე კონცენტრირებული, ეს ზრდის ოჯახის პათოლოგიზაციისა და ტრავმის გადაცემის რისკს. Nathan Kellermann მიუთითებს, რომ „(ფსიქოტრავმატოლოგიურ პუბლიკაციებში - დ.ჯ.) შედარებით უფრო პათოლოგიური ოჯახები არიან აღწერილი, როგორც მცირე ზომის კუნძულები, სადაც ბავშვები შედიან კონტაქტში მხოლოდ თავის მშობლებთან, და-ძმებთან და სხვა გადარჩენილებთან. ასეთ უკიდურესად დახშულ სისტემებში მშობლები სრულად უძღვნიან თავს შვილებს, ხოლო შვილები სრულად არიან მოცული წუხილით საკუთარი მშობლების კეთილდღეობაზე, ორივე მხარე ცდილობს ერთმანეთის დაცვას მტკივნეული გამოცდილებებისაგან“ (Kellermann, 2001, გვ. 262).

ოჯახური კომუნიკაციის პატერნები. კლინიკური დაკვირვებებისა და კვლევების თანახმად, ტრავმირებული მშობლები ხშირად ახორციელებენ შვილების მიმართ „ორმაგი დამბის“ ტიპის კომუნიკაციას, რომელიც სისტემების თეორიის კლასიკოსმა, Gregory Beitson-მა აღწერა შიზოფრენიით

დაავადებულთა ოჯახების შესწავლის საფუძველზე (Bateson, 2000). ორმაგი დაბმა მდგომარეობს იმაში, რომ ავტორიტეტული პირი აძლევს მასზე დამოკიდებულ ადამიანს ორ ან მეტ ურთიერთგამომრიცხავ მითითებას, მაშინ როდესაც ადამიანს არა აქვს საშუალება გავიდეს კომუნიკაციის ველიდან და დაუმორჩილებლობის შემთხვევაში ემუქრება დასჯა (რეალური თუ სიმბოლური). ავტორიტეტული პირისგან წამოსული ამგვარი ურთიერთგამომრიცხავი გზავნილები და მათი როგორც შესრულების, ასევე შეუსრულებლობის შეუძლებლობა, ადამიანში შფოთვასა და შინაგან გახლეჩას იწვევს. ტრავმის მკვლევარი Gerald Fromm-ი გვთავაზობს ამ ფენომენის ილუსტრაციას წიგნის "Lost in Transmission. Studieng Trauma Across Generations" შესავალში. კერძოდ, მას მოყავს მაგალითი, თუ როგორ მიიყვანეს 11 სექტემბრის ტრაგედიის წლის ბოლოს ამერიკელმა მშობლებმა შვილები საშობაო დღესასწაულზე როკფელერის ცენტრში, მაგრამ ამავე დროს, სანტა კლაუსის დანახვაზე, ნერვიულად უჭერდნენ ბავშვებს ხელზე ისე, რომ ისინი სანტასთან ვერ მისულიყვნენ (Fromm, 2012, გვ. xvii). ჰოლოკოსტის მკვლევარები აღწერენ სეპარაციის სირთულეებს ტრავმირებულ ოჯახებში: მაგალითად, Felice Zilberfein-ის კვლევაში ჰოლოკოსტს გადარჩენილთა ოჯახებში, საკონტროლო ჯგუფთან შედარებით, მნიშვნელოვნად მეტი იყო სეპარაციასთან დაკავშირებული სირთულეები როგორც მშობლების, ასევე შვილების მხრიდან (Zilberfein, 1996). ამ კონტექსტში, ჰოლოკოსტის მკვლევარები ყურადღებას ამახვილებენ მშობლისგან წამოსულ ორმაგ გზავნილებზე, მიმართულზე, ერთი მხრივ, შვილის დამოუკიდებლობის წახალისებაზე და მეორე მხრივ, მშობელთან დარჩენაზე (Danieli, 1981; Kellermann, 2001; Lichtman, 1984).

ოჯახის შეჭიდულობა. ოჯახური სისტემის თეორეტიკოსების თანახმად, ერთერთი მნიშნელოვანი ცვლადი, რომელიც აღწერს ოჯახურ სისტემას, არის მისი კოჰესიურობა. ანუ, ის, თუ რამდენად შეუძლია ოჯახს დააბალანსოს

ოჯახის წევრთა სეპარაციისა და ამავე დროს, ერთად ყოფნის დიალექტიკურ წინააღმდეგობაში მყოფი ტენდენციები. თუ ოჯახი აბალანსებს ამ ტენდენციებს იმგვარად, რომ ოჯახის წევრებს აქვთ საკმარისი ავტონომიურობა და, ამავე დროს, ერთიანობაც, ეს მნიშვნელოვანი დაცვითი ფაქტორია სტრესისგან. თუ ბალანსი დარღვეულია და ოჯახი ჭარბადაა გადახრილი სეპარაციის მიმართულებით, ასეთ ოჯახს გათიშულ ოჯახს უწოდებენ. თუ ოჯახი ზედმეტადაა გადახრილი საპირისპირო - გაერთიანების მიმართულებით, ასეთ შემთხვევაში საუბრობენ ოჯახის წევრთა შერწყმაზე (Figley, 1988; Olson et al, 1983; Olson, 1985) და self-დიფერენციაციის დეფიციტზე (Titelman, 2014). მტკიცებულების თანახმად, შერწყმა ოჯახურ სისტემაში ტრავმის თაობიდან თაობაში გადაცემის ერთერთი მნიშვნელოვანი ფსიქოლოგიური მექანიზმია (Figley, 1988; Kira, 2004).

ოჯახის ადაპტაციისუნარიანობა, ანუ, ცვლილებებზე რეაგირების უნარი. ეს ცვლადი ეხება იმას, თუ როგორ რეაგირებენ ოჯახები განვითარებისა თუ სხვა გენეზისის ცვლილებებზე. თუ ოჯახი რიგიდულად ეწინააღმდეგება ცვლილებებს, ის მყიფე ხდება და, შესაძლოა დაინგრეს. თუ ოჯახი მეორე უკიდურესობაში ვარდება და ისე იცვლება, რომ თავის იდენტობას კარგავს, ამას ოჯახური სისტემის თეორეტიკოსები ქაოტურ ოჯახს უწოდებენ. თუ ოჯახს გააჩნია უნარი, გარეგანი ცვლილებების შესაბამისად, ისე შეცვალოს თანაცხოვრების წესები, ძალთა თანაფარდობა და შესაბამისად, როლები, რომ არ დაკარგოს ფუნქციურობა, ეს მნიშვნელოვანი დაცვითი ფაქტორია სტრესულ ვითარებაში. ოჯახური სისტემა შედგება ქვესისტემებისგან: ოჯახის წევრთა დიადებისგან და ტრიადებისგან, რომელთა შემადგენლობა იცვლება ოჯახის განვითარების მანძილზე. ტრავმის შემთხვევაში, ოჯახის ქვესისტემები შესაძლოა გახევდეს და რიგიდული გახდეს. ჰოლოკოსტის კვლევების თანახმად, ტრავმირებულ ოჯახში შესაძლოა განვითარდეს მშობლისა და შვილის იმგვარი სიმბიოზი, რომლის დროსაც ხდება როლების წანაცვლება, და

შვილის „პარენტიზაცია“ - როდესაც შვილი თავისი ტრავმირებული მშობლის მშობლობას ეწევა. ამ ფენომენს Felice Zilberfein-ი „მშობელი-შვილის როლურ დიფუზიას“ უწოდებს (Zilberfein, 1996).

ოჯახური პარადიგმა. ოჯახის გამკლავებაზე ტრავმასთან მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ოჯახის რწმენათა სისტემა. იმ რწმენებს, რომელიც ოჯახს სამყაროსა და საკუთარი თავის აღქმისათვის კონცეპტუალურ ჩარჩოს აძლევს, *ოჯახურ პარადიგმას* უწოდებენ. Janoff-Bulman-ი „სამყაროს სამართლიანობის რწმენას“ აღწერს, როგორც ერთერთ გავრცელებულ პარადიგმას. ამ პარადიგმის თანახმად, სამყარო სამართლიანია, ოჯახის წევრები ღირსეული, ხოლო ცხოვრება პროგნოზირებადი, რამდენადაც თუ ისინი კარგად მოიქცევიან, მიიღებენ იმას, რასაც დაიმსახურებენ (Janoff-Bulman, 1992). ოჯახის პარადიგმა, აქედან გამომდინარე, უზრუნველყოფს სამყაროს მიმართ ნდობის ხარისხს, უსაფრთხოების განცდას, ოჯახის წევრთა თვითშეფასებას და ა.შ. ტრავმული გამოცდილება, რომელიც ეწინააღმდეგება ოჯახურ პარადიგმას, არღვევს მის რწმენათა სისტემას. ჰოლოკოსტის მკვლევარები მიუთითებენ მშობლების ტრავმის შედეგად ფორმირებული არაადაპტური პარადიგმის („არავის ენდო!“) გავლენას შვილების თაობაზე, მათში საფრთხის მუდმივი მოლოდინის ფორმირებაზე (Kellerman, 2001). Luciana Braga, Marcelo Mello-სა და Jose Fiks-ის კვლევის შედეგების თანახმად, რომელიც ბრაზილიაში ემიგრირებულ ჰოლოკოსტს გადარჩენილთა ოჯახებში ჩაატარეს, „მშობლებმა ვერ უზურნველყვეს შვილები უსაფრთხო, სტაბილური, წინასწარმეტყველებადი გარემოს განცდით; ამის მაგივრად, ბევრმა გადარჩენილმა შვილებს გადასცა სამყაროს შემაშინებელი აღქმა. ამ მშობლების შვილები გრძნობენ მუდმივ საჭიროებას იყვნენ მზად გარდაუვალი კატასტროფისთვის და მოსალოდნელი საფრთხეებისათვის“ (Braga et al, 2012, გვ.5).

ტრავმის თაობიდან თაობაში გადაცემა მიჯაჭვულობის თეორიის შუქზე

Dan Bar-On-ი, მკვლევართა გუნდთან ერთად, სამ ქვეყანაში (ჰოლანდიაში, კანადასა და იზრაელში) ჩატარებული, ჰოლოკოსტის სამი კვლევის მეტა-ანალიზის საფუძველზე, მივიდა დასკვნამდე, რომ Bowlby-ს მიჯაჭვულობის თეორია წარმოადგენს ეფექტურ პარადიგმას ტრავმის თაობიდან თაობაში გადაცემის კვლევებში მიღებული მრავალფეროვანი, ზოგჯერ წინააღმდეგობრივი შედეგების ინტეგრაციისთვის (Bar-On et al, 1998). კერძოდ, ავტორებმა მიზანში ამოიღეს სამივე კვლევაში დადასტურებული ორი პარადოქსული მომენტი ჰოლოკოსტს გადარჩენილი პირველი და მეორე თაობის ურთიერთობაში და შეეცადნენ აეხსნათ ეს მომენტები მიჯაჭვულობის თეორიის შუქზე. პირველი მომენტი გულისხმობს პარადოქსს მშობლის ზემზრუნველობასა და შვილის პარენტიფიკაციას შორის. Bar-On-ის მიხედვით, აქ მექანიზმი ასეთია: გამომდინარე მაღალი შფოთვიდან, რომელიც დაკავშირებულია ტრავმასთან, მშობელი გადაჭარბებულად ზრუნავს შვილზე და უზღუდავს მას თავისუფლებას, რაც შვილს ხელს უშლის სეპარაციასა და ინდივიდუაციაში. თავის მხრივ, შვილი, რომელმაც ვერ მოახერხა სეპარაცია, ზრდასრულობაშიც მიჯაჭვულია მშობელზე და მშობლის შფოთვის საპასუხოდ, მისი მფარველის, ფაქტობრივად „მშობლის“ როლს იღებს თავის თავზე. Bar-On-ის მიხედვით, ამგვარი ურთიერთობა შესაძლოა აიხსნას შფოთვით-ამბივალენტური მიჯაჭვულობით. მეორე პარადოქსი მდგომარეობს წინააღმდეგობაში მშობლის მხირდან შვილის დაზოგვის (და შესაბამისად, ჰოლოკოსტის წარსულის დაფარვის) მისწრაფებასა და შვილში საპასუხოდ აღმოცენებულ დაუცველობის განცდას შორის (მშობლის აუხსნელი არავერბალური სიგნალებისა თუ სიმპტომების გამო). ამგვარი სიტუაცია Bar-On-ის თანახმად, დეზორგანიზებულ მიჯაჭვულობას იწვევს. შფოთვით-ამბივალენტური თუ დეზორგანიზებული მიჯაჭვულობა არ გულისხმობს ფსიქოპათოლოგიასა თუ დეზადაპტაციას, პირიქით, ეს შესაძლოა

ოპტიმალური მიჯაჭვულობის სტრატეგიები იყო აღზრდის იმ პირობებში, რომელშიც მეორე თაობა გაიზარდა; მაგრამ სტრესულ სიტუაციებში მიჯაჭვულობის დაუცველი სტრატეგიების მქონე ადამიანები უფრო მოწყვლადი არიან.

ტრავმის გადაცემის ბიოლოგიური/ეპიგენეტიკური მოდელი

ეს მოდელი ყურადღებას ამახვილებს ტრავმის ბიოლოგიურ შედეგებსა და ამ შედეგების ზეგავლენით, ტრავმის მიმართ ადამიანის ბიოლოგიურ და გენეტიკურ მოწყვლადობაზე.

2000-იანი წლების დასაწყისში ამერიკელმა მკვლევარმა Rachel Yahuda-მ დაადგინა, რომ პტსა-ს მქონე ვიეტნამის ომის ვეტერანების შვილებსა და ჰოლოკოსტს გადარჩენილი, ასევე პტსა-ს მქონე მშობლების შვილებს ჰორმონი კორტიზოლის ერთნაირად დაბალი დონე ახასიათებთ, რაც განაპირობებს მათ მოწყვლადობას პტსა-სა და რიგი სხვა ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების განვითარების მიმართ (Yehuda, 2000).

უახლეს ეპიგენეტიკურ კვლევაში, Yahuda-მ, კოლეგებთან ერთად, მოიპოვა მტკიცებულება იმის თაობაზე, რომ არსებობს ასოციაციური კავშირი მშობლის ტრავმასა და როგორც მშობელში, ასევე შვილებში, ეპიგენეტიკურ ცვლილებებს შორის. ეპიგენეტიკური პროცესები ცვლის გენის ექსპრესიას დნმ-ის ბმის ცვლილების გარეშე. ერთერთი ასეთი პროცესია დნმ-ის მეთილაცია (გენომის რეგულაციის ფორმა დნმ-თან მეთილის მოლეკულების შეერთებისა თუ გათიშვის გზით), რომელიც ცვლის კონკრეტული გენის „წაკითხვას“. მკვლევარების ჯგუფმა, Yahuda-ს ხელმძღვანელობით, დაიჭირა კავშირი, ერთი მხრივ, ჰოლოკოსტს გადარჩენილ მშობლებში პტსა-სა და, მეორე მხრივ, როგორც მშობლებში, ასევე შვილებში დნმ FKBP5-ს მეთილაციას შორის. კვლევის შედეგების თანახმად, FKBP5-ს მეთილაცია ტრავმირებულ მშობლებში უფრო მაღალია, ვიდრე საკონტროლო ჯგუფში, ხოლო ტრავმირებული მშობლების შვილებში უფრო დაბალია, ვიდრე შესაბამის

საკონტროლო ჯგუფში, რაც ტრავმის თაობიდან თაობაში გადაცემის გენეტიკურ საფუძველს ადასტურებს (Yehuda, 2016).

ინტეგრირებული მიდგომა

ზევით აღწერილი თეორიები ნაწილობრივ ფარავს ერთმანეთს - მაგალითად, ოჯახური პარადგიმის, ანუ რწმენათა სისტემის თაობათაშორისი გადაცემა სოციო-კულტურული ახსნითი მოდელის ბირთვია; ასევე, ოჯახური სისტემის თეორეტიკოსების მიერ აღწერილი „შერწყმის“ მექანიზმი, ფაქტობრივად, ფსიქოდინამიკური ხედვის საკვანძო ასპექტებს - ობიექტ-ურთიერთობების დაურეგულირებლობასა და მე-ს დიფერენციაციის დეფიციტს აღწერს. Nathan Kellermann-ი ხაზს უსვამს ჰოლისტური ხედვისა და ინტეგრირებული მიდგომის მნიშვნელობას, რაც გულისხმობს ტრავმის თაობათაშორისი გადაცემის გააზრებას, როგორც სხვადასხვა დონეზე ერთდროულად მიმდინარე ბიო-ფსიქო-სოციალური პროცესისა. აქ მნიშვნელობა აქვს როგორც გენეტიკურ მოწყვლადობას, ასევე სოციალურ დასწავლას, ოჯახში არსებულ კომუნიკაციურ პატერნებსა და მშობელი-შვილი დიადაში ურთიერთობების ფსიქოდინამიკას (Kellermann, 2001).

სისტემების თეორიაა ტრავმის თაობიდან თაობაში გადაცემის ინტეგრირებული ხედვის შემუშავებისა და ყველა ზემოთ გადმოცემული თეორიის ერთ ჩარჩოში განხილვის საშუალებას იძლევა. მოცემული თეორია ადამიანს განიხილავს, როგორც სისტემას, ჩართულს უფრო მსხვილ (სოციო-კულტურულ) სისტემებში. თითოეულ სისტემას გააჩნია ლოგიკური დონეები. ამა თუ იმ ლოგიკურ დონეზე ცვლილება იწვევს მთლიანი სისტემის ტრანსფორმაციას, რომელიც ხორციელდება არა სწორხაზოვნად (ლინეარულად, წრფივად), არამედ სისტემის ბმის ხასიათის ტრანსფორმაციის გზით (Beitson, 2000). გრეგორი ბეიტსონის სქემა, მოდიფიცირებული რობერტ

დილტსის მიერ (Dilts, 1994), თვალსაჩინოდ გამოხატავს აღწერილ მიმართებებს (იხ.დიაგრამა 1):

დიაგრამა 1: სისტემა „ადამიანი-გარემო“ (Dilts, 1994, გვ.30):



დიაგრამის ფუძეს წარმოადგენს ადამიანის საცხოვრისი - მისი არსებობის ფიზიკური გარემო. ქვედა სამკუთხედი ასახავს თავად ადამიანს. Bateson-ი და Dilts-ი გამოყოფენ ადამიანის, როგორც სისტემის, შემდეგ ლოგიკურ დონეებს: ქცევა, უნარ-ჩევები, საბაზო რწმენები და იდენტობა (და ამ ყველაფერზე დაფუძნებული ემოციები). თავის მხრივ, ადამიანი, სქემის მიხედვით, ჩართულია ისეთ უფრო მსხვილ სისტემებში, როგორიცაა: ოჯახი, თემი, საზოგადოება, კულტურა და ა.შ. Beitson-ისა და Dilts-ის თანახმად, მოცემული მსხვილი სისტემის რომელ ლოგიკურ დონეზეც არ უნდა განხორციელდეს ცვლილება (ქცევის, უნარ-ჩვევების, თუ, გნებავთ - საზოგადოებისა თუ სახელმწიფოს დონეზე), ეს იწვევს სისტემის მთლიანობით ცვლილებას/ტრანსფორმაციას. სისტემურ მიდგომაზე დაყრდნობით გასაგები ხდება, თუ ერთი ადამიანის ტრავმირებამ როგორ შეიძლება შეცვალოს მისი

სოციალური გარემო, და ასევე, ოჯახურმა თუ სათემო ტრავმამ როგორ შეიძლება შეცვალოს ადამიანის საბაზო რწმენები, იდენტობა თუ ქცევა. ამდენად, სისტემური მიდგომა ტრავმის როგორც ჰორიზონტალური, ასევე ვერტიკალური (თაობიდან თაობაში) გადაცემისათვის შესაბამისი კონცეპტუალური ბაზაა.

2.3.2.2. საზოგადოებრივი (Societal) ტრავმის თაობიდან თაობაში გადაცემის თეორიები

საზოგადოებრივი ტრავმა და მისი გადაცემა Vamik Volkan-ის მიხედვით

საზოგადოებრივი ტრავმის, ფსიქოპოლიტიკისა და კონფლიქტის ფსიქოდინამიკის კვლევების ერთერთი ფუძემდებლის, ამერიკელი ფსიქოანალიტიკოსი Vamik Volkan-ის შესწავლის ობიექტია/ერთეულია ე.წ. „დიდი ჯგუფი". Volkan-ი განმარტავს დიდ ჯგუფს, როგორც ზიარი იდენტობის მქონე, დიდი რაოდენობის („ათასეულობით, ან მილიონობით") (Volkan, 2013, გვ.210) ადამიანების ერთობლიობას.

Volkan-ი დიდ ჯგუფს ფსიქოდინამიკურ პარადიგმაში განიხილავს, მის ლიდერს - როგორც ოიდიპალურ მამას („პიროვნება, რომელიც ფუნქციობს, როგორც ზიარი „ტრანსფერის ფიგურა" დიდი ჯგუფის ბევრი წევრისთვის" (Freud, 1921: Volkan, 2013, p.223), ხოლო თავად დიდ ჯგუფს, როგორც იდეალიზებულ (ძუძუთი მკვებავ) დედას, რომელსაც ნარცისტული ჭრილობების მოშუშების პოტენციალი აქვს (Kernberg, 1980, Kernberg, 1998).

Volkan-ის მიხედვით, შემდეგი სამი ზიარი პროცესი წრმოადგენს დიდი ჯგუფის იდენტობის მნიშვნელოვან მარკერებს: დიდი ჯგუფის მიერ საკუთარი არასასურველი იმიჯისა და მისი შესაბამისი განწყობების, ემოციების, და ა.შ. პროეცირება „სხვა" დიდ ჯგუფზე (1), ლიდერი-მიმდევართა ურთიერთობის დინამიკა, სადაც ლიდერი განსაზღვრავს იმას, თუ რამდენად ადაპტური იქნება ჯგუფის პასუხი იმ სიტუაციებში, რომელიც დიდი ჯგუფის იდენტობას ემუქრება (2) და, ჯგუფური მენტალური რეპრეზენტაცია რეალისტური თუ

მითოლოგიზებული ისტორიული მოვლენებისა, რომელიც გამარჯვებას (ე.წ. „რჩეული დიდება“) თუ ტრავმულ გამოცდილებას (ე.წ. „რჩეული ტრავმა“) ეხება და, ფაქტობრივად, „კვებავს“ დიდი ჯგუფის ნარცისიზმს (Volkan, 1991; Volkan, 1997; Volkan, 2009).

საზოგადოებრივი ტრავმა წარმოადგენს საზოგადოებრივ რეაქციას დიდი მასშტაბის მატრავმირებელი მოვლენაზე, და/ან მოვლენათა რიგზე, და/ან სოციო-პოლიტიკურ პირობებზე, რომელიც საზოგადოებრივ კეთილდღეობას ემუქრება, ზემოქმედებს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა - სოციალურ, კულტურულ, პოლიტიურ - დონეზე და, გავლენას ახდენს დიდი ჯგუფის იდენტობაზე (Volkan, 1991; Volkan 1997; Volkan, 2004 და ა.შ.). საზოგადოებრივი ტრავმა ჯგუფის გაზიარებული ტრავმული იდენტობის ჩამოყალიბების პირობებს ქმნის, ინტეგრირდება კოლექტიურ ნარატივში და კოლექტიური მეხსიერებით თაობიდან თაობაში გადაეცემა (Volkan, 1997).

შეიარაღებული კონფლიქტებისა და პოლიტიკური რეჟიმების შედეგად განვითარებულ სოციეტალურ ტრავმას, ბუნებრივი კატასტროფების შედეგად გამოწვეულ ტრავმასთან შედარებით, თაობიდან თაობაში გადაცემის უფრო მაღალი პოტენციალი აქვს: “როდესაც მასობრივი ტრავმა არის ომის, ომის მაგვარი მდგომარეობებისა თუ არსებული დამანგრეველი პოლიტიკური სისტემის შედეგი, მაშინ არსებობს იდენტიფიცირებადი მტერი, ან დამთრგუნველი ჯგუფი, რომელმაც განზრახულად მოახვია თავს ტანჯვა და უსუსურობა მსხვერპლთ. ამგვარი ტრავმის ზეგავლენა ვიქტიმიზებულ საზოგადოებაზე განსხვავდება იმ ტრავმისგან, რომელიც ხდება სტიქიური უბედურებებისა თუ ლიდერის მოულოდნელი დაკარგვის გამო. სირცხვილის, დამცირების, დეჰუმანიაციისა და ბრალეულობის გაზიარება, ასერტიულობის უუნარობა, და აგრესორთან იდნტიფიკაცია ართულებს დიდი ჯგუფის გლოვას და ეს გართულება ხდება ტრავმის თაობიდან თაობაში გადაცემის ძირითადი მიზეზი” (Volkan, 2009, გვ.1).

Volkan-ის მიხედვით, როდესაც დიდი ჯგუფი პოლიტიკური თუ ადამიანის მიზეზით გამოწვეული სხვა სახის აგრესიის სამიზნე ხდება, მას უვითარდება მთელი რიგი დესტრუქციული ფსიქოლოგიური ფენომენებისა, რომლებიც სოციო-პოლიტიკური ცხოვრების ფსიქოდინამიკას განსაზღვრავს: ზიარი ვიქტიმობის (მსხვერპლობის) განცდა (1), ზიარი დამცირების განცდა ტრავმული სტრესორის წინაშე უსუსურობის გამო (2), ზიარი ბრალეულობის განცდა გადარჩენის გამო, მათ წინაშე ვინც დაიღუპა (3), ასერტიულად მოქმედების ზიარი სირთულეები (4), გაზრდილი ზიარი პროეცირება საკუთარი მიუღებელი და შესაბამისად, „ცუდი“ ნაწილისა „სხვა“ დიდ ჯგუფზე (5), გაზრდილი ზიარი ნარცისტული ინვესტირება საკუთარი ჯგუფის იდენტობაში (6), ზიარი შური აგრესორის მიმართ და თავდაცვითი იდენტიფიკაცია მასთან - აგრესორთან იდენტიფიკაციის დაცვის მექანიზმით (7), ჯგუფის დონეზე ტრავმის გამოგლოვების სირთულეები (8), და, ყოველივე ჩამოთვლილის საფუძვლზე - ტრავმასთან დაკავშირებული გადაუწყვეტელი ფსიქოლოგიური ამოცანების გადაცემა შემდგომ თაობაში, გადაცემის ზიარი მექნიზმებით (9) (Volkan, 1997; Volkan, 2006; Volkan, 2013).

ვოლკანის თანახმად, თაობიდან თაობაში გადადის არა მარტო ტრავმის ფსიქოპათოლოგიური სიმპტომები, არამედ ბევრი სხვა ფსიქოლოგიური ფენომენი და პატერნი: „არსებობს თაობიდან თაობაში გადაცემის მრავალი ფორმა. შფოთვის, დეპრესიის, აწეული გუნება-განწყობილებისა და ფანტაზიის გარდა, მშობელმა შესაძლოა შვილს გადასცეს სხვადასხვა ფსიქოლოგიური ამოცანა. ზრდსრულმა შესაძლოა „დეპოზიტის სახით ჩადოს“ ბავშვში საკუთარი დაზიანებული თვით-იმიჯი, იმ ადამიანების იმიჯებთან ერთად, ვინც ჩართული იყვნენ ტრავმულ ინცინდენტში - ზოგჯერ აგრესორის იმიჯიც კი - და გადასცეს თავდაპირველი ტრავმიდან მომდინარე ტკივილის დაძლევის ან ტრავმის შედეგების კონტროლის ფსიქოლოგიური ამოცანა“. (Volkan, 2013, გვ.233).

ტრავმის თაობიდან თაობაში გადაცემის თვალსაზრისით, Volkan-ი, ისევე როგორც რიგი სხვა ფსიქოანალიტიკოსებისა (მაგ., Klein, 1946; Bion, 1961; Hopper, 2003 და სხვ.), განაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს დანაკლისის გამოგლოვებას. იმ შემთხვევაში, თუ დიდმა ჯგუფმა ვერ მოახერხა ტრავმის „ნორმალური გლოვა“ (მაგ., იმის გამო, რომ გლოვა რისკის ქვეშ აყენებდა თვითგადარჩენას (Volkan, 1997), მაშინ დიდი ჯგუფი ახდენს გამოუგლოვებელ ტრავმასთან დაკავშირებული ფსიქოლოგიური ამოცანების „დეპოზიტირებას“ შემოდგომ თაობაში (Volkan, 2013). დეპოზიტირება, Volkan-ის თანახმად, ახლოა იდენტიფიკაციასთან, მაგრამ თუ იდენტიფიკაციისას შვილი აქტიური სუბიექტია და მშობელთან იდენტიფიკაციის აქტს თავად ახორციელებს, ტრავმის თაობიდან თაობაში გადაცემის კონტექსტში, „დეპოზიტირებისას“ მშობელს აქვს აქტიური სუბიექტის როლი. შვილი, ამ შემთხვევაში, მშობლის ტრავმული გამოცდილების პასიური „რეზერვუარი“ ხდება (Volkan, 1997). ვოლკანი დეპოზიტირების ანალოგად Melanie Klein-ის *პროექციული იდენტიფიკაციის* დაცვის მექანიზმს ხედავს (Klein, 1946).

დიდი ჯგუფის კონტექსტში დეპოზიტირებას Volkan-ი აღწერს, როგორც „პროცესს, რომელიც გაზიარებულია ათასობით ან მილიონობით ადამიანის მიერ, იწყება ბავშვობაში და ხდება თავისებური „ფსიქოლოგიური დნმ-ი, რომელიც ქმნის (დიდ ჯგუფთან - დ.ჯ.) კუთვნილების განცდას. კოლექტიური კატასტროფის შემდგომ... ინდივიდები რჩებიან მსგავსად (მაგრამ არა იდენტურად) ტრავმირებული თვით-იმიჯებით. ათეულობით ათასი ან მილიონობით ინდივიდი დეპოზიტირებს ამგვარ იმიჯებს თავის შვილებში და აძლევს მათ ამოცანას: „აღადგინე ჩემი დაკარგული ღირსება!“, „დააყენე ჩემი გლოვა სწორ გზაზე!“, „იყავი იმდენად ასერტიული, რომ შური იძიო!“ (Volkan, 2013, გვ. 234). თუ მეორე თაობა ვერ გაუმკლავდება ამ „დეპოზიტირებულ“ ამოცანებს, ისინი გადაეცემა შემდგომ თაობას. ამა თუ იმ თაობაში გადაცემული ამოცანები სხვადასხვაგვარად აქტუალიზდება, მაგრამ ყველა

თაობისათვის საერთო ისაა, რომ ისინი იზიარებენ გასული თაობის ტრავმის მენტალურ რეპრეზენტაციას. Volkan-ის მიხედვით, ეს დიდი ჯგუფის იდენტობის ყველაზე მნიშვნელოვანი მარკერი ხდება, და იგი მას „რჩეულ ტრავმას“ უწოდებს. ზოგიერთი დიდი ჯგუფის რჩეული ტრავმის იდენტიფიკაცია რთულია, რამდენადაც ის არ არის მიბმული ერთ კონკრეტულ მატრავმირებელ მოვლენაზე.

Volkan-ი თვლის, რომ თუ კატასტროფა ადამიანის (მტრის) ხელით იყო შექმნილი, მაშინ გადაცემის პროცესს ადგილი აქვს აგრესორთა ჯგუფშიც. მაგრამ თუ ვიქტიმიზებულ ჯგუფში თაობიდან თაობაში უსუსურობის გამო სირცხვილისა და დამცირების განცდები გადადის, აგრესორთა ჯგუფში - ცნობიერი თუ გაუცნობიერებელი ბრელეულობისა. საერთო ამ ორი ჯგუფის მდგომარეობას შორის არის მარცხი წარსულში მომხდარი კატასტროფის გამოგლოვების საქმეში (Volkan, 1997; Volkan, 2006a; Volkan, 2013 და ა.შ.).

Volkan-ის თანახმად, ყველა დიდი მასშტაბის კატასტროფული მოვლენა არ ხდება რჩეული ტრავმის განვითარების საბაბი თუ მიზეზი. რჩეულ ტრავმას, გარკვეულწილად, აკონსტრუირებს თავად დიდი ჯგუფი, თაობიდან თაობაში გადაცემული ნარატივების საფუძველზე, და ასევე, პოლიტიკური ლიდერები - ჯგუფური იდენტობის კონსტრუირებისას, წარსული ტრავმ(ებ)ის უტილიზაციის გზით. ამ მხრივ Volkan-ის რჩეული ტრავის კონცეპტი ახლოა Jefrey Alexander-ის კულტურული ტრავმის კონცეპტთან (Alexander et al, 2004).

დიდ ჯგუფს გააჩნია გამოგლოვების როგორც ცნობიერი, ასევე არაცნობიერი მექანიზმები. გამოგლოვება შესაძლოა ხდებოდეს სხვადასხვა გზით. მაგ., სოციალური პროცესების გაუცნობიერებელი ცვლილების სახით (მაგალითისთვის Volkan-ს მოჰყავს აბერფანის (სოფელი უელსში) ტრაგედია, სადაც გასულ საუკუნეში, სტიქიური უბედურების გამო, 116 ბავშვი და 28 ზრდასრული დაიღუპა, ხოლო მომდევნო 5 წელიწადში მნიშვნელოვანწილად გაიზარდა სოფლის თემის შობადობა), ან დანაკლისის რეალური თუ

სიმბოლური ძეგლების შექმნა-აღმართვის სახით, ან წარსულზე რეფლექსიის, მისი გადაფასების, გაგების მცდელობის, მასში საზრისის ჩადების სახით და ა.შ. თუ ჯგუფმა განახორციელა და დაასრულა გლოვის ნორმალური პროცესი, მაშინ მისი ენერგია წარსულ ტრავმასთან მიჯაჭვულობიდან თავისუფლდება და ხდება ამ ენერგიის ინვესტირება საზოგადოებრივ პროგრესში (Volkan, 2006ბ).

თუ გლოვის ნორმალური პროცესი ამა თუ იმ მიზეზით ვერ განხორციელდა, გლოვა რთულდება, და ამ შემთხვევაში ხდება ჯგუფის ნარცისტული რეგრესი (Volkan, 2009ბ). Volkan-ი ანსხვავებს ე.წ. პრობლემურ ნარცისიზმს „ნორმალური ნარცისიზმისგან“ (ეს უკანასკნელი დიდი ჯგუფის დადებითი თვითშეფასებისა და თაობათა შორის მემკვიდრეობითობის უზრუნველყოფის პირობაა). პრობლემური ნარცისიზმის დროს, დიდი ჯგუფი კარგავს რეალობასთან კონტაქტს. Volkan-ი გამოყოფს დიდი ჯგუფის პრობლემური ნარცისიზმის სამ გრადაციას - გაზვიადებულ, მაზოხისტურ და ავთვისებიან ნარიცისიზმს. გაზვიადებული ნარცისიზმის დროს ჯგუფს უვითარდება განსაკუთრებულობის ილუზია და იგი ყველაფერს თავისას აღიქვამს, როგორც განსაკუთრებულს და უკეთესს, მიუხედავად იმისა, თუ რამდენად რეალურია ეს; მაზოხისტური ნარცისიზმი გამოიხატება ჯგუფის საიმაყით იმ ტანჯვის გამო, რომელიც მან გამოიარა; ავთვისებიანი ნარცისიზმი ჯგუფის ტრავმულ წარსულში დამნაშავე სხვა ჯგუფის განადგურების იმპულსს შეიცავს (Volkan, 2009ბ).

Volkan-ი ჯგუფის ნარცისტული რეგრესის შემდეგ მახასიათებლებს აღწერს: ლიდერის გარშემო „რბოლა“ საკუთარი ინდივიდუალობის გარკვეული ასპექტების დათმობის ხარჯზე (1), ლიდერის მხრიდან მანიპულირება, სოციეტალურ ტრავმაზე პედალირებით ან მისი კონსტრუირებით (2), მასობრივი ინტროექციები - საზოგადოება „იკვებება“ (უკრიტიკოდ იღებს) პოლიტიკური ლიდერის/ელიტის მხრიდან წამოსული პროპაგანდით (3),

მასობრივი პროექციები - ჯგუფი თავის არასასურველ, განდევნილ, „ცუდ“ ნაწილებს აპროეცირებს „სხვაზე“ (4), ამის საფუძველზე ხდება დაყოფა - „ჩვენ“ და „ისინი“ (5), ჯგუფის შიგნით არსებული სხვადასხვა ქვეჯგუფის საზღვრების ფსიქოლოგიზება, რის გამოც მცირე განსხვავებები აღიქმება, როგორც დიდი პრობლემა და არ ხდება მათი შეწყნარება (6) (Volkan, 2009ბ).

Volkan-ი, ასევე, აღწერს დიდი ჯგუფის პროგრესის ინდიკატორებს: საზოგადოების ყველა სუბიექტს შორის ისეთი ურთიერთდამოკიდებულება, რომლის დროსაც ყოველ სუბიექტს შეუძლია წავიდეს კომპრომისზე საკუთარი მორალური კოდექსის დარღვევის გარეშე; ინდივიდუალობის პატივისცემა და დაცვა; სამართლიანი და ფუნქციური საჯარო ინსტიტუტები, განსაკუთრებით, სამართლიანი სასამართლო სისტემა; სტაბილური ოჯახები; ქალების, ბავშვებისა და მოხუცების დევალვაციის შეწყვეტა; კარგი მდგომარეობა ადამიანის უფლებების თვალსაზრისით არა მარტო ღია საზოგადოებაში, არამედ დახურულ ინსტიტუციებშიც (ფსიქიატრიულებში, ციხეებში); გაზრდილი აქცენტი სიტყვის თავისუფლებაზე; პროფესიული გაერთიანებების ჩამოყალიბება და საკუთარ დარგში მუშაობის ეთიკისა და ხარისხის უზრუნველყოფა, სამოქალაქო პასუხისმგებლობა და აქტივიზმი და ა.შ. (Volkan, 2007).

საზოგადოებრივი ტრავმა და ჯგუფური შეჭიდულობა

მოცემულ ქვეთავში განხილული იქნება, თუ რა გავლენას ახდენს საზოგადოებრივი ტრავმა დიდი ჯგუფების ფსიქოდინამიკასა და შეჭიდულობაზე. ამ ანალიზში ვეყრდნობი Earl Hopper-ის იდეებს (Hopper, 2003). Hopper-ი თავის შრომებში ეფუძნება Wilfred Bion-ის საბაზო დაშვებების თეორიას (Bion, 1961). Bion-ი, თავის მხრივ - Melanie Klein-ის მეტა-ფსიქოლოგიას (Klein, 1984). ამიტომ, მოცემულ თავში მოკლედ ჩამოვაყალიბებ ჯერ Melanie Klein-ის იდეებს ინდივიდუალური განვითარების თაობაზე,

შემდგომ - Bion-ის საბაზო დაშვებების თეორიას, რომელიც მან მცირე ჯგუფებზე შეიმუშავა, დაბოლოს - აღვწერ Earl Hopper-ის იდეებს ტრავმირებული სოციალური სისტემების შეჭიდულობასა და ფსიქოდინამიკაზე, რომელიც მან ამ ორი ავტორის შრომების საფუძველზე შეიმუშავა.

ინდივიდის განვითარება Melanie Klein-ის მიხედვით

Melanie Klein-ის თანახმად, რომელიც ობიექტ-ურთიერთობების ერთერთი საკვანძო თეორეტიკოსია, ობიექტ-ურთიერთობების ჩამოყალიბების პროცესში ჩვილი გადის ე.წ. *ნაწილობრივი ობიექტის სტადიას*, რომლის დროსაც მისი ობიექტი არა დედაა, როგორც მთლიანი, არამედ დედის მკერდი/ძუძუ. თუ მკერდში რძეა, რომელიც მას კვებავს, ჩვილი მას „კარგ“ ობიექტად აღიქვამს. თუ მკერდში რძე არ არის, მაშინ იგი მას განსხვავებულ, „ცუდ“ ობიექტად აღიქვამს. განვითარების ამ ფაზას Klein-მა *პარანოიდულ-შიზოიდური* უწოდა. ეს არის ფაზა, როდესაც „კარგი“ და „ცუდი“ ობიექტი ადამიანისთვის ერთმანეთისაგან გამოყოფილია. ამ ფაზისთვის დამახასიათებელია ისეთი პრიმიტიული დაცვის მექანიზმი, როგორიცაა *პროექციული იდენტიფიკაცია* - რომლის დროსაც ადამიანი თავისი მიუღებელი, „ცუდი“ ნაწილის პროეცირებას ახდენს ობიექტზე და, ამავე დროს, იდენტიფიცირდება ამ ობიექტთან და მასთან ერთგვარი სიმბიოზის მდგომარეობაშია. განვითარების შემდგომი ფაზა მაშინ დგება, როდესაც ბავშვს უვითარდება იმის აღქმა, რომ მიუხედავად იმისა, უკმაყოფილებს მას ობიექტი ამა თუ იმ მოთხოვნილებას თუ არა (ანუ, ცუდია ის თუ კარგი), ობიექტი იგივეობრივია. ობიექტის იგივეობრიობის აღქმა საკუთარი თავის იგივეობრიობის განცდის განვითარებას უწყობს ხელს. ამ ფაზაზე ობიექტი, და მაშასადამე, თავადაც, შესაძლოა იყოს ერთდროულად კარგიცა და ცუდიც. ამ ფაზას Klein-ი *დეპრესიულ ფაზას* უწოდებს. რამდენადაც ობიექტის ინტეგრაცია ego-ს

ინტეგრაციას უწყობს ხელს, ამ ფაზაში ჩვილი უფრო მოწიფული ხდება; ასევე, აქ მოქმედებენ უფრო მოწიფული დაცვის მექანიზმები - განდევნა, რაციონალიზაცია და ა.შ. ორი ეს აღწერილი ფაზა არ არის ერთმანეთთან ქრონოლოგიურ მიმართებაში და არ ახასიათებს ადამიანს მხოლოდ ჩვილობაში. მათ შესაძლოა ადგილი ჰქონდეს ადმიანის მთელი ცხოვრების მანძილზე, პარანოიდულ-შიზოიდური ან დეპრესიული *პოზიციის* სახით, რაც განაპირობებს ადამიანის როგორც ხასიათის, ასევე შესაძლო ფსიქოპათოლოგიის სპეციფიკას.

Klein-ის თანახმად, ადმიანის ფსიქიკურ ცხოვრებას წარმართავს ორი საბაზო - სიყვარულისა და სიკვდილის - ინსტინქტის ურთირთქმედების დინამიკა. განვითარების თვალსაზრისით, ადამიანის ერთერთი ძირითადი ამოცანაა ამ ინსტინქტების კონტროლის ათვისება. მაშინ, როდესაც ბავშვი თავის „ცუდ“ ნაწილს დედაზე აპროეცირებს (პარანოიდულ-შიზოიდური ფაზის დროს), ის ფქტობრივად, თავს არიდებს სიკვდილის ინსტიქტს, ახდენს მის ექსტერიორიზაციას, რამდნადაც, ჯერ არ არის მზად რომ მართოს/აკონტროლოს იგი. ხოლო მაშინ, როდესაც, დეპრესიულ ფაზაში, ადამიანი აცნობიერებს თავის „ცუდ“ ნაწილს, მას უკვე აქვს ამ ნაწილის გამო ბრალეულობის განცდის უნარი. როდესაც ჩვილი დედის რძეს მიირთმევს, იგი, ფაქტობრივად, „კარგი“ ობიექტის ინტროეცირებას ახდენს, რაც ego-ს ბირთვს, ფუნდამენტს ქმნის. ამავე დროს, სიკვდილის ინსტინქტის ზემოქმედებით, ჩვილში იღვიძებს შური და სიხარბე „კარგი“ ობიექტის მიმართ, და ამ იმანენტური შურის გამოისობით, იგი ორალურ და ანალურ სადიზმს მიმართავს (კბენს, ექსკრემენტებით სვრის მკერდს და ა.შ.). Klein-ი, განსხვავებით Freud-სგან, თვლიდა, რომ განვითარების ორალურ, ანალურ და ფალურ ფაზებს არა აქვთ ქრონოლოგიური ბმა, და რომ ისინი ადამიანის ცხოვრებაში დაბადებიდანვე ერთდროულად არის წარმოდგენილი. მას მერე, რაც შურის გამოისობით, ორალური თუ ანალური სადიზმის გზით, „კარგი

ობიექტი“ წაბილწულია, და გადაიქცა „ცუდ ობიექტად“, დედის ძუძუ მაინც უბრუნდება ჩვილს, ისევ პირვანდელი, „კარგი“ სახით. და აქ სიყვარულის ინსქტინქტი და მასთან დაკავშირებული მადლიერების რესურსი აძლევს ჩვილს საშუალებას, რომ აღდგეს კავშირი „კარგ ობიექტთან“, გაგრძელდეს მისი ინტროეცირება და, შესაბამისად, ეგოს კონსტრუირება-ინტეგრცია (Klein, 1984).

Wilfred Bion-ის საბაზო დაშვებების თეორია

Bion-ის თანახმად, მცირე ჯგუფის (10-15 ადამიანი) დინამიკა გულისხმობს ორ ფსიქიკურ პროცესს - ერთს უფრო დახვეწილსა და კომპლექსურს, და მეორეს უფრო მარტივსა და პრიმიტიულს. პირველ მოდუსს იგი „მუშა-ჯგუფს“ უწოდებდა, ხოლო მეორეს - „საბაზო დაშვებებით მოქმედ ჯგუფს“ (Bion, 1961).

მუშა-ჯგუფი - ეს არის ღია სტრუქტურირებული სისტემა ინდივიდებისა, რომელთაც გააჩნია საერთო მიზნის ცნობიერება, და ამ მიზნის მისაღწევად თანამშრომლობის უნარი, როგორც სისტემის შიგნით, ასევე მის გარეთ არსებულ სუბიექტებთან.

საბაზო დაშვებებით მოქმედი ჯგუფი, შესაძლოა, მუშა ჯგუფის ფსიქოდინამიკის პარალელური გაუცნობიერებელი ნაკადი იყოს. ის პერიოდულად, ამა თუ იმ ფაქტორის ზეგავლენით, აქტუალიზდება, აქტუალიზაციის დროს ჯგუფს უქვეითებს რეალობის პრინციპს, და ერგვარ ფსიქოტურ მდგომარეობაში გადაყავს. ფსიქოტური მდგომარეობის ქვეშ Bion-ი გულისხმობს მდგომარეობას, რომელსაც Isabel Menzies-Lyth-ი უწოდებს „რეალობასთან ეფექტური კონტაქტის დაკარგვას“ (Menzies-Lyth, 1981, გვ.663).

Bion-ი ამტკიცებს, რომ როდესაც ადამიანები ერთიანდებიან ჯგუფებში, ისინი რეგრესირებენ ჩვილის მდგომარეობამდე, და აქედან გამომდინარე, ჯგუფის ფსიქოდინამიკის გაგება შესაძლებელია ჩვილის განვითარების Klein-ისეული იდეების საფუძველზე. Bion-ი თვლის, რომ ჯგუფის რეგრესი ხდება

სამი განსხვავებული სახით. თითოეულ ამ სახეს საფუძვლად უდევს ჯგუფის წევრთა ცნობიერად თუ არცნობიერად გაკეთებული საბაზო დაშვება იმის თაობაზე, თუ რა გადაარჩენს მათ იდენტობას. Bion-ი გამოყოფს სამი ტიპის ამგვარ დაშვებას, და შესაბამის ჯგუფის დინამიკას:

1) *დაქვემდებარების საბაზო დაშვება* (Dependency basic Assumption). აქ ჯგუფის წევრები იხსნიან პასუხისმგებლობას ჯგუფური პროცესისა თუ შედეგის თაობაზე, გადააქვთ იგი ლიდერზე; საკუთარ თავს აღიქვამენ, როგორც უსუსურს, რესურსებისგან დაცლილსა და მოუმწიფებელს, მაშინ როცა ლიდერს - როგორც ომნიპოტენტურს, და მისგან ელიან ყოველგვარი რესურსის მიღებას. ეს შეესაბამება Klein-ისეულ პარანოიდულ-შიზოიდურ პოზიციას, შიზოიდური ხაზის ხარჯზე ლიდერის პრიმიტიული გაიდეალებით. პარალელურად, აქვე მოქმედებს სიკვდილის ინსქტინქტიდან მომდინარე შური ლიდერის მიმართ, და შურთან დაკავშირებული სიხარბე. ჯგუფის წევრებს იმდენად ბევრის მიღება სურთ ლიდერისაგან, რომ ისინი მუდმივად ხარბ და ამავდროულად, დაუკმაყოფილებელ მდგომარეობაში არიან. ლიდერს არ შესწევს უნარი დააკმაყოფილოს ამ ზემაღალი „მიღების“ მოთხოვნილება. ჯგუფის წევრები პირველ ეტაპზე უარყოფენ ამ სინამდვილეს, არ უსწორებენ მას თვალს, ხოლო შემდგომ კი ხდება იმედგაცრუება და ლიდერის უკუაგდებისა და განადგურების სურვილი;

2) *შებრძოლება-გაქცევის საბაზო დაშვება* (Fight & Flight Basic Assumption). ლიდერისგან იმედგაცრუებული ჯგუფის ნაწილი ახალ ლიდერს ირჩევს, ჯგუფი იყოფა ორად, ეს ორი ნაწილი ერთმანეთს არ იწყნარებს, მტრობს და ერთმანეთის განადგურება უნდა. შებრძოლება-გაქცევას შესაძლოა ადგილი ჰქონდეს გარეგანი მტრის არსებობის შემთხვევაში და მაშინ ჯგუფი ლიდერის გარშემო ერთიანდება მტრის გასანადგურებლად. ეს არ გამორიცხავს შინაგან გახლეჩასაც. აქ ლიდერის მიმართ რეალურ თუ აღქმულ მტერზე გამარჯვებისა და რევანშის მოლოდინია. პრევალირებს პროექციისა და პროექციული

იდენტიფიკაციის დაცვის მექანიზმები; ეს მდგომარეობა, კვლავ, Klein-ისეულ პარანოიდულ-შიზოიდურ პოზოციას შეესაბამება. საერთო ატმოსფერო ხასიათდება ეჭვიანობით, აგრესიით, შეუწყნარებლობითა და კონფლიქტით;

3) *გამრავლების საბაზო დაშვება* (Paring Basc Assumption). აქ ჯგუფი თავისი იდენტობის დაცვაზე ზრუნავს გამრავლების გზით; კერძოდ, ფსონი იდება ჯგუფიდან კონკრეტული წყვილის გამრავლებაზე; ამასთან დაკავშირებით, ჯგუფი ცდილობს მათი ფლირტის, არშიყის, დაწყვილების წახალისება-ხელშეწყობას. ამ გზით, ასევე, ჯგუფი ცდილობს აიცილოს დაქვემდებარებისა და შებრძლება-გაქცევისათვის დამახასიათებელი კონფლიქტები. Bion-ის მიხედვით, განსხვავებით დაქვემდებარებისა და შებრძოლება-გაქცევისაგან, გამრავლების საბაზო დაშვება არის მანიაკალური დაცვა დეპრესიული პოზიციიდან მომდინარე იმდგაცრუებისაგან (იმის გაცნობიერებიდან, რომ არაფერია იდეალური, რადგან ობიექტი იმავდროულად კარგიცაა და ცუდიც).

Bion-ის მიხედვით, აღწერილი საბაზო დაშვებები ჯგუფური ფსიქოდინამიკის პროცესში კალეიდოსკოპურად ცვლის ერთმანეთს. მუშა ჯგუფმა შესაძლოა გამოიყენოს საბაზო დაშვებები ჯგუფური დინამიკის კატალიზაციისათვის და დასახული მიზნის მისაღწევად. მაგრამ, შესაძლოა საუარესო სცენარიც, რომლის დროსაც საბაზო დაშვებებით მოქმედი ჯგუფი წყდება რეალობას და რეგრესირებს.

Bion-ის თანახმად, საზოგადოებაში გარკვეული სოციალური ინსტიტუტები ჩამოთვლილი სამი საბაზო დაშვებიდან თითოეულს ასიმბოლოვებს: მაგალითად, ეკლესია - დაქვემდებარების საბაზო დაშვებას, ჯარი - შებრძოლება-გაქცევის საბაზო დაშვებას, ხოლო არისტოკრატია კი - გამრავლების საბაზო დაშვებას.

Otto Kernberg-მა განავითარა Bion-ის იდეები და სხვა საკითხებთან ერთად, აღწერა, თუ რა ტიპის სიმბოლური ლიდერობაა დამახასიათებელი აღწერილი სამი საბაზო დაშვებიდან თითოეულისათვის: დაქვემდებარების საბაზო

დაშვებისას ჯგუფი უპირატესობას ანიჭებს ინფანტილურ, ნარცისტულ, შესაძლოა ფსიქოპათიურ ლიდერებს, შებრძოლება-გაქცევის საბაზო დაშვებისას - პარანოიდულს, ხოლო გამრავლების დაშვებისას - ისტერიულს (Kernberg, 1998).

Bion-ის თეორიამ იმდენად დიდი გავლენა მოახდინა ჯგუფების ფსიქოდინამიკის შესწავლაზე, რომ მას ბევრი ინტერპრეტატორი გამოუჩნდა: ფსიქოანალიტიკოსთა მთელი რიგი შეეცადა მისი იდეების განვრცობას - მაგალითად, იმის ჩვენებას, რომ დაქვემდებარების საბაზო დაშვება ორალურ ფაზას შეესაბამება, შებრძოლება-გაქცევისა - ანალურს, გამრავლებისა - ფალურს; ასევე, სხვადასხვა ავტორი ცდილობდა ახალი (მეოთხე, მეხუთე) საბაზო დაშვებების დამატებას, რათა განევითარებინა მისი თეორია (Turquet, 1975; Menzies-Lyth, 1981; Kernberg, 1998 და სხვ.). ფსიქოტრავმატოლოგიის თვალსაზრისით, ყველაზე საინტერესოა Earl Hopper-ისეული ინტერპრეტაცია და შემდგომი განვითარება Bion-ის იდეებისა, რომელსაც ქვევით აღვწერ.

Earl Hopper-ის იდეები სოციალური სისტემების ტრავმასა და შეჭიდულობაზე

Hopper-ი აკრიტიკებს Bion-ს იმაში, რომ ეს უკანასკნელი არასაკმარისად ითვალისწინებს გარემოდან მომდინარე სტრესორებს, ზოგადად, სოციალურ სინამდვილეს, და შესაბამისად, მის მატრავმირებელ ზეგავლენას ჯგუფზე. ეს ძალიან ჰგავს, თავის დროზე, Judith Herman-ის მიერ Freud-ისათვის წაყენებულ საყვედურს იმის თაობაზე, რომ Freud-ი იმდენად იყო კონცენტრირებული შინაგან კონფლიქტებზე, რომ ყურადღების მიღმა დარჩა ქალებზე სექსუალური ძალადოების რეალური ფაქტები (Herman, 1992). ანალოგიურად, Hopper-ი ამტკიცებს, რომ დიდი ჯგუფის ან ჯგუფის მაგვარი სოციალური სისტემის ფსიქოდინამიკაში აგრესიის აღმოცენებას განსაზღვრავს არა იმანენტური ავთვისებიანი შური, რომელიც Bion-ის აზრით სიკვდილის

ინსტინქტიდან მომდინარეობს, არამედ გარემოში არსებული რეალური საფრთხეები, რომელიც დიდი ჯგუფის გადრჩენას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს, იწვევს იდენტობის დაკარგვისა და გაქრობის შიშს, და შესაბამისად, ტრავმატზაციას (Hopper, 2003). დიდი ჯგუფის ქვეშ Hopper-ი გულისხმობს თექვსმეტი და მეტი წევრის მომცველ სოციალურ სისტემას, ზედა ზღვარი მას განსაზღვრული არა აქვს, თუმცა თავის თეორიას ის ასაბუთებს მცირე ფიქოთერაპიული ჯგუფების წაყვანის საკუთარი გამოცდილებიდან.

Hopper-ი აყალიბებს ჯგუფებისა და ჯგუფისმაგვარი *სოციალური სისტემების არაშეჭიდულობის/არაკოჰესიურობის (Incohession) თეორიას*, და Bion-ის მიერ აღწერილ სამ საბაზო დაშვებას ამატებს მეოთხეს. ამ თეორიის თანახმად, არაშეჭიდულობა არის ჯგუფის პრიმიტიული რეაქცია ტრავმატოგენურ/მატრავმირებელ სიტუაციაზე, რომელიც ჯგუფში იდენტობის დაკარგვისა და გაქრობის (*Annihilation*) შიშს იწვევს.

Hopper-ი გაქრობის შიშს განმარტავს, როგორც რეაქციას „უსუსურობის განსაკუთრებით ძლიერ გამოცდილებაზე, რომელსაც იწვევს დანაკლისი, უგულებელყოფა და ზიანი ტრავმატოგენური პროცესის კონტექსტში, რომელიც გრძელდება თაობების მანძილზე, მოიცავს ურთიერთობას მსხვერპლს, მდევნელსა და გვერდიდან მაყურებელს (Bystander) შორის და ტრავმაზე რეაგირების შესაბამის პატერნებს“ (Hopper, 2003, გვ.55).

Hopper-ი გვთავაზობს კლასიფიკაციას მატრავმირებელი სტრესორებისა, რომელთაც შესაძლოა გამოიწვიონ გაქრობის შიში:

(1) *ყოველდღიური დაძაბულობა:* დაძაულობის გამომწვევი სტრესორები (Hopper-ს აქ მაგალითად თავში დამიზნებული წვეთი წყლით ჩინური წამება მოყავს (Hopper, 2003, გვ.54);

(2) *კუმულაციური სტრესორები:* უსიამოვნო ხდომილებები, რომელთა ზემოქმედება კუმულირდება;

(3) *კატასტროფული სტრესორები:* სტრესორები, რომელიც დარტყმას აყენებს უშუალოდ ადამიანის თავდაცვის სისტემასა და უსაფრთხოებას.

ის, თუ რა ზემოქმედებას იქონიებს მატრავმირებელი ინტერპერსონალური სტრესორი ადამიანზე, Hopper-ის თანახმად, დამოკიდებულია ამ სტრესორის სიმძლავრეზე, ზემოქმედების რეგულარობასა და ხანგრძლივობაზე, ego-ს მოწიფულობაზე, სუბიექტის არაცნობიერ ფანტაზიებზე ტრავმული გამოცდილების მიღების მომენტში, სუბიექტისა და აგრესორის ურთიერთმიმართებაზე, ტრავმულ გამოცდილებასთან დაკავშირებული სირცხვილის მასშტაბზე, სათემო მხარდაჭერაზე, და ასევე, ჩართული სუბიექტების - „აგრესორისა“ და „გვერდიდან მაყურებლის“ პოზიციებზე. ამ უკანასკნელ შემთხვევაში მნიშვნელოვანია, თუ რამდენად მზად არის აგრესორი, რათა აღიაროს ზარალი, რაც მიაყენა მსხვერპლს, და რამდენად მზად არის გვერდიდან მაყურებელი, გააკეთოს ვალიდიზაცია: დაადასტუროს, რომ რაც მსხვერპლს თავს გადახდა, ამას ნამდვილად ჰქონდა ადგილი (Balint, 1969; Garland & Hopper, 1980; Hopper, 2003, გვ.56).

როდესაც ზევით ჩამოთვლილი ფაქტორები არაკეთილსაიმედოდ ლაგდება, Hopper-ის თანახმად, ხდება ტრავმული გამოცდილების *ინკაფსულირება*, და/ან მისგან *დისოციირება*. ორივე შემთხვევაში, ხდება მისი გადასვლა ჯგუფის არაცნობიერ ფსიქიკურ ველში, როგორც ტრავმული გამოცდილების არაკონტროლირებადი ფრაგმენტებისა. ამის შედეგად, ტრავმული გამოცდილება ხელმიუწვდომელი ხდება გამოგლოვებისათვის.

ტრავმის გადამუშავებისათვის ავთენტური გლოვის მნიშვნელობის აღიარებაში, როგორც Hopper-ი, ასევე Bion-ი ეყრდნობიან Melanie Klein-ს, რომელმაც ჯერ კიდევ 1940 წელს გაუსვა ხაზი ტრავმის დაძლევაში გამოგლოვების როლს (Klein, 1940). Hopper-ი, თავის მხრივ, ხაზს უსვამს ნებისმიერი რეალური თუ სიმბოლური რესურსის დაკარგვის გამოგლოვების აუცილებლობას: „ყველა დანაკლისი უნდა გამოგლოვებულ იქნას. არა

მხოლოდ სიკვდილი... დაკარგვა თვით-შეფასებისა, გარკვეულობისა, ჯგუფური ქარიზმისა, ფიზიკური ძალაუფლებისა, უფლებებისა და პრივილეგიებისა დაკავშირებულისა ცხოვრების გარკვეულ ფაზასთან... უნდა იყოს აღიარებული“ (Hopper, 2003. გვ.62).

ავთენტური გლოვა შეაძლოა ჩაანაცვლოს არაავთენტურმა, რაც დანაკლისის გამოგლოვების საშუალებას ზღუდავს. Hopper-მა აღწერა არაავთენტური გლოვის სამი სახე, რაც, ფაქტობრივად, რეალური გლოვით გამოწვეული შფოთვისგან თავდაცვის სახეებია (Hopper, 2003, გვ. 61). თითოეულის დახასიათება იხ. ქვევით (ცხრილი 2):

ცხრილი 2: არაავთენტური გლოვის სახეები და მათი მახასიათებლები

არაავთენტური გლოვის სახე	**ემოცია**	**რიტორიკა**	**ქცევა**
სენტიმენტალური და მაზოხისტური	სევდა	საკუთარი თავის შეცოდება, მსხვერპლად წარმოჩენა, სენტიმენტალური და ამავე დროს, ოპტიმისტური კლიშეები	ტირილი, კვნესა, ოხვრა
რევანშისტული და სადისტური	ბრაზი, გამწარება	მიუტევებლობა და რევანშის სულისკვეთება	მუქარა, აგრესია, რევანშის გეგმების დაწყობა და განხორციელება
ტრიუმფალური	ჰიპომანიკალური	„ჩვენ გავიმარჯვეთ“	ზეიმი
არაავთენტური გლოვის სახე	ემოცია	რიტორიკა	ქცევა
სენტიმენტალური და მაზოხისტური	სევდა	საკუთარი თავის შეცოდება, მსხვერპლად წარმოჩენა, სენტიმენტალური და ამავე დროს, ოპტიმისტური კლიშეები	ტირილი, კვნესა, ოხვრა
რევანშისტული და სადისტური	ბრაზი, გამწარება	მიუტევებლობა და რევანშის სულისკვეთება	მუქარა, აგრესია, რევანშის გეგმების დაწყობა და

			განხორციელება
ტრიუმფალური	ჰიპომანიკალური	„ჩვენ გავიმარჯვეთ“	ზეიმი

Hopper-ი ამტკიცებს, რომ გამოუგლოვებელი (ან, არაავთენტურად გამოგლოვებული) ტრავმა იწვევს ჯგუფის რეგრესსა და ცხოვრებას ზევით აღწერილი საბაზო დაშვებებით, რაც გადაეცემა თაობიდან თაობაში, და აქვს განმეორების ტენდენცია სოციალური სისტემის ყველა დონეზე.

Hopper-ის თანახმად, Bion-ის აღწერილი სამი საბაზო დაშვების პარალელურად (რომლიდან ორი შეესაბამება განვითარების პრე-ოიდიპალურ, ხოლო ერთი კი - ფალურ ფაზას), არსებობს კიდევ უფრო პრიმიტიული სტადია ჯგუფის რეგრესისა, რომელსაც ის *არაშეჭიდულობის საბაზო დაშვებას* (Incohesiveness Basic Assumption) უწოდებს. რეგრესის ეს ფორმა დაქვემდებარების საბაზო დაშვების ფრუსტრაციის შედეგად ვითარდება და წარმოადგენს ჯგუფის არქაულ პასუხს სტრესულ სიტუაციაზე. ამ არქაულ რექციაში Hopper-ი გამოყოფს ორ პოლუსს: დანაწევრება/განმარტოვებას, ანუ *აგრეგაციას* - „კირჩხიბის“ ტიპის რეაქციას („crustacean“), ანუ „საკუთარ დაცვით ბაქანში შეძრომის“ ანალოგს, რაც ჯგუფის დონეზე ფრაგმენტაციაში ვლინდება (1), და მიწებება/შერწყმას, ანუ *მასსიფიკაციას* - ამებოიდური ტიპის რექციას („amoeboid“), რაც ჯგუფის დონეზე ერთ შედუღაბებულ მასად გადაქცევაში, ანუ მასსიფიკაციაში ვლინდება (2). Hopper-ის თანახმად, მეოთხე საბაზო დაშვება სწორედ ამ ორ პოლუსს შორის ჯგუფის რყევაში ვლინდება. რყევას განაპირობებს თითოეულ პოლუსზე ყოფნასთან დაკავშირებით აღმოცენებული სპეციფიკური შფოთვები - საკუთარი თავის დაკარგვის შფოთვა მასსიფიკაციის პოლუსზე და მარტოობის შიში აგრეგაციის პოლუსზე.

აგრეგაციის შემთხვევაში ჯგუფი ფრაგმენტირებულია, ფრაგმენტები უკეთეს შემთხვევაში გაუცხოებულია, ხოლო უარეს შემთხვევაში კი ერთმანეთის მიმართ შეუწყნარებელია და კონფლიქტშია; ფრაგმენტებს შორის არ არსებობს გაზიარებული ნორმები, არსებობს რიგიდული იერარქია.

განსხვავებით შებრძოლება-გაქცევის საბაზო დაშვებისაგან, აგრეგაციას არა აქვს ბინარული ხასიათი - აქ ფრაგმენტები რაოდენობრივად ბევრად უფრო მეტია, ვიდრე ორი ურთიერთდაპირისპირებული მხარე, და ის უფრო ექსტენსიურია. რაც შეეხება მასსიფიკაციას, აქ ფსევდო-სოლიდარობის ატმოსფეროა, ნორმები მტკიცეა, მყიფეა და რიგიდული, ჯგუფი არ ტოლერირებს ჯგუფის წევრის მიერ ამ ნორმებიდან გადახვევას. აქ ჯგუფის წევრებში არ არსებობს აშკარა იერარქია, ჯგუფის ყველა წევრი განხილულია როგორც თანაბარ პოზიციაში მყოფი - ლიდერის მიმართ; თუმცა, ვინც ლიდერთან უფრო ახლო დისტანციაზეა, აშკარად თუ შეფარვით განიხილება, როგორც მორალური უპირატესობის მქონე ჯგუფის სხვა, პერიფერიაზე მყოფ, წევრებთან შედარებით. განხვავებით დქვემდებარების საბაზო დაშვებისგან, აქაც, მსგავსად აგრეგაციისა, პროცესი უფრო ექსტენსიურია.

წიგნში „Traumatic Experience in the Uncouncious Life of Groups" Hopper-ი აკათებს მუშა ჯგუფისა და საბაზო დაშვებებით მოქმედი რეგრესირებული ჯგუფის მოდუსების შედარებით დახასიათებას (იხ. ცხრილი ცხრილი 3):

ცხრილი 3: სხვადასხვა მოდუსში მოქმედი ჯგუფის ინტერქციისა და კომუნიკაციის პატერნები და ნორმები (Hopper, 2003, გვ.33-34 და 70-75)

ჯგუფის მოდუსი	ინტერაქცია	ნორმები	კომუნიკაცია
დაქვემდებრება	„ძალიან მცირე ინტერაქცია ჯგუფის წევრებს შორის და ამავდროულად, მერყევი მონაწილეობა" (Hopper, 2003, გვ.34)	„იმგვარი ფასეულობების გამოხატვა, რომელიც ახალისებს მორჩილებას, რისკის არიდებას, კონსერვატიზმს ყველას და არა ინდივიდის სახელით, ავტორიტეტების მორჩილებას" (Hopper, 2003, გვ.34)	„დისკუსია იმაზე, რომ ჯგუფი ერთ ადგილასაა გაყინული, მაგრამ დარწმუნებულია, რომ ლიდერი მალე წინსვლაში დაეხმარება, შერწყმული სიჩუმის ხანგრძლივ პერიოდებთან" (Hopper, 2003, გვ.34)
შებრძოლება-გაქცევა	„ორი სხვადასხვა	„გამოხატვა	„მსჯელობა ორი

	ფრაქციის სახელით, ორ წევრს შორის შეურიგებელი კამათი, რაც არაფრიდან წარმოიშვა.“ (Hopper, 2003, გვ.33)	ფასეულობების, რომელიც ანიჭებს უპირატესობას დებატებსა და პრინციპებისადმი ერთგულებას“ (Hopper, 2003, გვ.33)	განსხვავებული ჯგუფის ფორმირების შესაძლებლობაზე და, ამ ორ ჯგუფს შორის „დიდ“ განსხვავებებზე“ (Hopper, 2003, გვ.33)
გამრავლება	„მამაკაცსა და ქალს შორის ფლირტის წახალისება ჯგუფის სხვა წევრების მიერ“ (Hopper, 2003, გვ.33)	„გამოხატულება ფასეულობებისა, რომელიც წინ სწევს პიროვნების მსხვერპლშეწირვას ჯგუფის ინტერესებისათვის“ (Hopper, 2003, გვ.33)	„ენთუზიამით აღსავსე, იმედიანი და, შესაძლოა, არარეალისტური დისკუსია მომავალი პროექტებისა და გეგმებისა“ (Hopper, 2003, გვ.33)
არაშეჭიდულობა/ აგრეგაცია	დეზინტეგრაცია, დიალოგის არქონა, იზოლაცია, მარგინალიზებული ჯგუფებისა და ანკლავების წარმოშობა	სოლიდარობის დეფიციტი, ნორმების არცოდნა/ვერგაგება, ექსტრემალურ ვითარებაში: სრული უწესრიგობა, უწესობა და განუკითხავობა	გაუცხოება, ემფატიის და თანაგრძნობის დეფიციტი, ცივი ინტელექტუალიზება, აგრესია, შეტევა, ირონია, სარკაზმი
არასეჭიდულობა/ მასსიფიკაცია	წესების უკრიტიკო მექანიკური მორჩილება, „ანონიმიზაცია“ - წევრების ინდივიდუალობის შეზღუდვა, დეჰუმანიზაცია, იმათი გარიყვა და განდევნა, ვინც ცდილობს, რომ ინდივიდუალობა შეინარჩუნოს	ფსევდო-სოლიდარობა, ფსევდო-მორალი, ფანატიზმი, ფუნდამენტალიზმი, კერპების შექმნა და თაყვანისცემა, „კულტურული ჰომოგენურობა განიხილება, როგორც საერთო მიღწევა“ (Hopper, 2003, გვ. 72)	მაგიური აზროვნება და რიტუალიზაცია, „თავისიანის“ მიმართ კეთილგანწყობა და „სხვის“ მიმართ შეუწყნარებლობა, ფსევდო-მორალის ჭარბი არტიკულირება, აფექტის გადამდებობა, ჭორები და ხმების გავრცელება, იუმორის დეფიციტი, ბანალობების არტიკულირება.

მუშა ჯგუფი	ინტეგრაცია, პასუხისმგებლობის აღება საკუთარ გრძნობებზე და ინტერპრეტაციებზე	ავთენტური სოლიდარობა, ტოლერანტობა და პატივისცემა განსხვავებების, ინდივუალობისა და, ამავე დროს, ჯგუფის ფასეულობების პატივისცემა	ურთიერთპატივის-ცემასა და ღირსების გაფრთხილებაზე დაფუძნებული არამანიპულაციური კომუნიკაცია, ზოგადი კეთილგანწყობილება, იუმორი და თვით-იუმორი

Hopper-ის თანახმად, აგრესია განსაკუთრებულ როლს თამაშობს არაშეჭიდული (მასსიფიცირებული თუ აგრეგირებული) ჯგუფის ფსიქოდინამიკაში. კერძოდ, ის აგრეგაციასა და მასსიფიკაციას ტრავმული გამოცდილების საპასუხოდ აღმოცენებული აგრესიის გამოხატულებად მიიჩნევს. აგრესია აგრეგაციის განუყოფელი მახასიათებელია. მასსიფიკაცია, Hopper-ის თანახმად, ამ აგრესიასთან გასამკლავებლად აღმოცენებული ჯგუფური პროცესია. მასსიფიცირებულ ჯგუფში ხდება აგრესიის ინსტრუმენტალიზება ჯგუფის წევრების მორჩილების უზურნველსაყოფად ჯგუფის იმ ნორმების მიმართ, რომელთა დარღვევაც ჯგუფში იდენტობის დაკარვის შიშს აღვიძებს. Hopper-ი აღწერს მასსიფიცირებულ ჯგუფში აგრესიის ოთხ ფორმას, რომელიც ჯგუფის ნორმების დაცვას უზრუნველყოფს:

(1) ჯგუფის ბირთვის, როგორც მორალური უპირატესობის მქონეს, წარმოჩენა, ჯგუფის პერიფერიაზე მყოფ წევრებთან, და ასევე, ჯგუფის გარეთ, სოციალურ გარემოში მყოფ სუბიექტებთან შედარებით. ამ უკანასკნელ პროცესს Hopper-ი ხსნის Erik Erikson-ის ფსევდო-სახეობის (Pseudo-species, Erikson, 1968) ცნებით, რომლის თანახმადაც, ადამიანთა ჯგუფებს ახასიათებს სხვა ჯგუფების განხილვა, როგორც მათზე დაბლა მდგომისა (დამოკიდებულება, რომელიც ანალოგიურია ცხოველთა სამყაროში სხვადასხვა სახეობას შორის არსებული დამოკიდებულებებისა);

(2) ე.წ. *ანონიმიზაციის* პროცესი, ანუ ჯგუფის წევრებისათვის საკუთარი, ჯგუფისაგან დამოუკიდებელი იდენტობის უფლების „ჩამორთმევა“, ფაქტობრივად, ჯგუფის ჰომოგენიზაცია, მასად ქცევა;

(3) გარიყვა, იგნორირება ჯგუფის იმ წევრებისა, ვინც საკუთარი იდენტობის შენარჩუნებას ცდილობს, მათი შერაცხვა ამორალურად, და ა.შ. ამ შემთხვევაში, ჯგუფის „ურჩი“ წევრი განტევების ვაცის როლშია - ჯგუფის „ორთოდოქსი“ წევრები მასზე აკეთებენ ყველა თავისი მიუღებელი გრძნობისა და აზრის პროექციას და ამგვარად, „ურჩი“ წევრი მათი მე-ს მიუღებელი ნაწილის რეზერვუარი ხდება;

(4) ამგვარი წევრების გაგდება ჯგუფიდან, მათი სიმბოლური მკვლელობა („ის ჩემთვის/ჩვენთვის მოკვდა“), ჯგუფის „წმენდა“. აქ „სოციალური კონტროლის ზოგადი პროცესი ხდება დასჯის ფორმა.“ (Hopper, 2003, გვ. 75)

უკიდურესად ავთვისებიანი განვითარების შემთხვევაში, აგრესიის რეალიზციის აღწერილ საფეხურებს შესაძლოა დაემატოს კიდევ ერთი, ექსტრემალური საფეხური:

(5) მკვლელობა, რაც უფრო ხშირია საზოგადოების (ანუ, დიდი ჯგუფის), ვიდრე მცირე ჯგუფის დონეზე. აქ შესაძლოა ორი განსხვავებული სცენარი: ლიდერის მკვლელობა, რომელიც ჯგუფის წევრთა იდეალიზებული მე-ს რეერვუარია (ა), ან „განტევების ვაცის“ მკვლელობა, რომელიც ჯგუფის წევრთა მიუღებელი, ჩრდილოვანი ნაწილის რეზერვუარია (ბ). მკვლელობა მასიფიცირებულ ჯგუფს აგრეგაციის ბიძგს აძლევს; აგრეგაციის მიღწევასთან ერთად კვლავ აღმოცენდება მასთან ასოცირებული შფოთვები, რაც ჯგუფს კვლავ მასსიფიკაციის მიმართულებით წარმართავს. Hopper-ის თანახმად, ჯგუფის ეს მოძრაობა არ არის განვითარებაზე მიმართული დიალექტიკური პროცესი, არამედ სოციალური სისტემის სტაგნაციაა.

Hopper-ის თანახმად, თუ ტრავმა ავთენტურად არის გამოგლოვებული დიდი ჯგუფის მიერ, ეს ჯგუფს აჯანსაღებს. ამ შემთხვევაში საბაზო დაშვებების ფსიქოდინამიკის მანკიერი ციკლის გარღვევა ხდება და სოციალური სისტემა გადადის ე.წ. *მუშა-ჯგუფის* მდგომარეობაში. როდესაც სოციალური სისტემა *მუშა ჯგუფის* მდგომარეობაშია, საბაზო დაშვებების მოდუსი ჯგუფში კვლავ ვითარდება, მაგრამ მათ არა აქვთ ავთვისებიანი დინამიკა და ისინი მუშა ჯგუფის კონსტრუქციული დინამიკის კატალიზაციას უწყობენ ხელს.

2.4.ტრავმის თაობიდან თაობაში გადაცემის კვლევების მიმოხილვა

მეთოდოლოგიურად, ტრავმის თაობიდან თაობაში გადაცემის კვლევა დიდ სირთულეებს აწყდება, რამდენადაც ამ ფენომენზე მრავალი ცვლადი ზემოქმედებს: ერთი თუ ორივე მშობელი დაექვემდებარა ტრავმის ექსპოზიციას, განვითარდა თუ არა ექსპოზიციის შედეგად მათში პტსა, როგორი იყო მათი პრემორბიდული მახასიათებლები, როდის დაიბადა შვილი - მშობლის ტრავმირებამდე თუ მას მერე, რა სქესისაა ის, რა ასაკის, როგორია მისი დაბადების რიგითობა, რამდენად არის ამჟამად ოჯახი სოციალურად დაცული, როგორი იყო ოჯახის სოციალური კაპიტალი ტრავმამდე, როგორია ტრავმის მერე, როგორი დამოკიდებულებაა სოციუმში მათი ტრავმის მიმართ, რამდენად არის ის აღიარებული და ა.შ. ცვლადების ამგვარი სიმრავლე ქმნის როგორც მეთოდოლოგიურ სირთულეებს, ასევე ზღუდავს ამა თუ იმ კვლევის შედეგების განზოგადების საშუალებას. მაგალითად, ჰოლოკოსტს გადარჩენილთა ოჯახებზე ჩატარებული კვლევის შედეგებს ვერ განვაზოგადებთ ვიეტნამის ომში გადარჩენილ სამხედროთა ოჯახებზე და ა.შ.

2.4.1. ჰოლოკოსტის კვლევები

ტრავმის თაობათაშორისი გადაცემის კვლევა ჰოლოკოსტს გადარჩენილთა ოჯახების შესწავლიდან იღებს სათავეს. პირველი ასეთი

კვლევა სპეციალურ ლიტერატურაში 1967 წელს გამოქვეყნდა (Rakoff et al, 1967) და მას მერე ეს სფერო ინტენსიური შესწავლის საგანი გახდა. ამჟამად იკვლევენ არა მარტო მეორე, არამედ მესამე თაობასაც (Scharf, 2007).

საწყის ეტაპზე, ტრავმის თაობათა შორის გადაცემის პრობლემის წარმოსაჩენად, სჭარბობდა კლინიკური კვლევები, ხშირი იყო კლინიკურ შემთხვევათა ანალიზი. რამდენადაც კლინიკური შემთხვევები შედარებით უფრო რთულ ფსიქოლოგიურ თუ ფსიქიატრიულ პრობლემებს გულისხმობს, პროფესიულ თემს ახასიათებდა ჰოლოკოსტის პრობლემის კატასტროფიზაციისა და ფსიქიატრიზაციის ტენდენცია. ამ მხრივ საილუსტრაციოა Bergmann-ისა და Jucovy-ს ციტატა: „გვესმის, რომ ამგვარი პესიმისტური ხედვა კრიტიკას გამოიწვევს, მაგრამ, ჩვენი გამოცდილებით, შეუძლებელია, რომ ჰოლოკოსტით დომინირებულ ფსიქიკურ რეალობაში გაზრდილი ბავშვი შეშინებული არ იყოს. შემთხვევათა უმრავლესობაში, გადარჩენილთა შვილების ფსიქიკური ჯანმრთელობა საფრთხის ქვეშაა. ჩვენს თემს მართებს გამოჯანმრთელების მეორე შანსი მისცეს მათ ფსიქოლოგიური მკურნალობის გზით“. (Bergmann & Jucovy, 1982, გვ. 312).

ამ განწყობის შესაბამისად, მთელ რიგ კლინიკურ გამოკვლევებში, ავტორებმა დაადასტურეს ჰოლოკოსტის მეორე თაობაში ისეთი პრობლემების არსებობა, როგორიცაა: მშობლებთან სეპარაციის, ავტონომიის მიღწევისა და იდენტიფიკაციის სირთულეები, არაადაპტური კოგნიციები, დეპრესია, დაბალი თვითშეფასება, შფოთვა, და ა.შ. (Aleksandrowicz, 1973; Danieli, 1981; Epstein, 1979; Freyberg, 1980, Katz & Franklin, 1980 და სხვ.). 1981 წელს ამერიკელმა ფსიქიატრმა Norman Solkoff-მა თავის სტატიაში „Children of Survivors of the Nazi Camps: Critical Review of the Literature” მკაცრად გააკრიტიკა ეს კვლევები მეთოდოლოგიური შეზღუდვების გამო - კონკრეტული შემთხვევების არასწორი ანალიზის, ინტერპრეტაციისა და განზოგადებისთვის, ხოლო ექსპერიმენტული კვლევები კი ცდის პირთა მცირე

რაოდენობის, შერჩევის სელექციურობის, საკონტროლო ჯგუფების არქონისა და სხვა მეთოდოლოგიური გაუმართავობის გამო. მან, ფაქტობრივად, დაადანაშაულა კოლეგები იმაში, რომ ისინი მთელი თაობის უსაფუძვლო სტიგმატიზებას ახდენენ (Solkoff, 1981).

ასევე, გაჩნდა კრიტიკა ჰოლოკოსტის მეორე თაობის, როგორც ჰომოგენური ჯგუფი განხილვის თაობაზე: „ჩვენ დაჟინებით ვამტკიცებთ, რომ გადარჩენილთა შვილებს არ უნდა ვუყურებდეთ ისე, როგორც ჰომოგენურ ჯგუფს, და უნდა გავისიგრძეგანოთ, რომ ყველა თემა (პრობლემა - დ.ჯ.) არ იქნება საერთო მთელი ამ ჯგუფისთვის“ (Rowland-Klein & Dunlope, 1997, გვ. 368).

80-90-იან წლებში განხორციელდა დიდი მასივი როგორც კლინიკური, ასევე არაკლინიკური, მათ შორის კონტროლირებადი დახვეწილი ექსპერიმენტული კვლევებისა. Nathan Kellerman-მა თავის ეტაპურ სტატიაში “Transmission of Holocaust Trauma: An Integrative View” დააჯამა ამ კვლევათა მთელი მასივი და გამოყო შემდეგი პრობლემური სფეროები, სადაც ჰოლოკოსტის მეორე თაობაში შესაძლოა მშობელთა ტრავმის შედეგების დაკვირვება (Kellerman, 2001, გვ. 259):

„მე. დაზიანებული თვითშეფასება იდენტობასთან დაკავშირებული პერსისტენტული პრობლემებით, ჭარბი იდენტიფიკაცია მშობლის „მსხვერპლი-გადარჩენილის“ სტატუსთან, ზემაღალი მიღწევებისადმი სწრაფვა მშობლების დანაკლისის კომპენსაციისთვის, და დაღუპული ნათესავების „ჩამნაცვლებლის“ ტვირთი;

კოგნიცია. კატასტროფის მოლოდინი, შემდგომი ჰოლოკოსტის შიში, ჭარბი ფიქსაცია სიკვდილზე, სტრესის რეაქცია ჰოლოკოსტის მასიმბოლოვებელ სტიმულებზე, შინაგან სამყაროში (მშობლებისგან) გადადებული ჰოლოკოსტის ტრავმული გამოცდილების დომინირება;

აფექტურობა. გაქრობის შიში, დევნის ღამის კოშმარები, ხშირი დისფორიული გუნება-განწყობილება დაკავშირებული დანაკლისისა და გლოვის განცდებთან. გადაუჭრელი კონფლიქტები, დაკავშირებული ბრაზთან, გართულებული ბრალეულობის განცდით; გაზრდილი მოწყვლადობა სტრესული მოვლენების მიმართ;

პიროვნებათაშორისი ფუნქციობა. გაზვიადებული ოჯახური მიჯაჭვულობები და დამოკიდებულება, ან ჭარბი დამოუკიდებლობა და სირთულეები ინტიმური ურთიერთობების დამყარებასა და პიროვნებათაშორის კონფლიქტებთან გამკლავებაში."

დღეისათვის, ჰოლოკოსტის ტრავმის თაობიდან თაობაში გადაცემის მთელ რიგ გამოკვლევებში, დასტურდება მშობლების ტრავმის გავლენა შვილების თაობაზე (Scharf, 2007; Iliceto et al, 2011; Yaroslawitz et al, 2015; Yehuda, 2016, და სხვ.). მაგალითად, Rachel Yehuda-მ და კოლეგებმა ჰოლოკოსტის მეორე თაობაში ჰორმონი კორტიზოლის შედარებით დაწეული დონე გამოავლინეს, და შესაბამისად, მოწყვლადობა პტსა-სა და ფისიქიკური ჯანმრთელობის სხვა პრობლემების მიმართ; ასევე, მრავლისმთქმელია Yehuda-ს უახლესი ეპიგენეტიკური კვლევები, რომელთაც ტრავმის შედეგად დნმ-ის დონეზე ეპიგენეტიკური ცვლილებები დაადასტურეს (Yehuda et al, 1998; Yehuda et al, 2001; Yehuda et al, 2016). ჰოლოკოსტის ტრავმის გავლენა მეორე და მესამე თაობის ახალგაზრდა მამაკაცების ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე გამოავლინა Miri Scharf-მა. მან შეისწავლა ჰოლოკოსტის ტრავმის გავლენა ჯარში გაწვეული ახალგაზრდა მამაკაცების ფსიქო-სოციალურ ფუნქციობაზე. კვლევამ გამოავლინა, რომ იმ ახალგაზრდებს, რომელთა ორივე მშობელი დაექვემდებარა ჰოლოკოსტის ტრავმას, ჰქონდათ უფრო დაბალი თვითშეფასება და მიჯაჭვულობის ამბივალნეტური ტიპი; ისინი აღიქვამდნენ თავის მშობლებს როგორც დამოუკიდებლობის ნაკლებად წამახალისებლებს, ვიდრე მათი თანატოლები, რომელთა მშბობლები არ იყვნენ ჰოლოკოსტს

გადარჩენილი ან ის თანატოლები, რომელთა მხოლოდ ერთი მშობელი იყო ჰოლოკოსტს გადარჩენილი. გარდა ამისა, თანატოლები აღიქვამდნენ ახალგაზრდებს, რომელთა ორივე მშობელი დაექვემდებარა ჰოლოკოსტს, როგორც უფრო ცუდად ადაპტირებულებს ჯარის სტრესთან. მოცემულმა კვლევამ აღზრდის სტილი გამოვლინა, როგორც გამაშუალებელი ცვლადი ერთი მხრივ, ოჯახის ჰოლოკოსტის გამოცდილებასა და მეორე მხრივ, მიჯაჭვულობის ტიპსა და ასევე, თვითშეფასებას შორის (Scharf, 2007).

ამის საწინააღმდეგოდ, „ქანქარის პრინციპის" შესაბამისად, განხორციელებულია კვლევები, რომელიც უარყოფს ტრავმის თაობიდან თაობაში გადაცემას. Lisa Baron-მა და მისმა კოლეგებმა შეადარეს ინტერპერსონალური ადაპტაციის უნარი, ნარცისიზმის დონე და გამკლავების სტრატეგიები ჰოლოკოსტს გადარჩენილი მშობლების შვილებსა და იმ ებრაული ოჯახების შვილებს შორის, რომელთაც ემიგრაციაში გაასწრეს ჰოლოკოსტს. კვლევამ არ დაადასტურა რაიმე მნიშვნელოვანი განსხვავება ექსპერიმენტულ და საკონტროლო ჯგუფს შორის (Baron et al, 1993). 2000-იან წლებში ჩატარებული რიგი მეტა-ანალიზური კვლევების თანახმად, ტრავმის *ფსიქოპათოლოგიური* შედეგების გადაცემა არ დადასტურდა არც მეორე, არც მესამე თაობაში (Van IJzendoorn et al, 2003; Sagi-Schwartz et al, 2008).

როგორც Luciana Braga და მისი თანაავტორები მიუთითებენ, „არ არსებობს კონსენსუსი კლინიკულ დაკვირვებებსა და ემპირიულ კვლევას შორის ჰოლოკოსტს გადარჩენილთა შთამომავლობაში გრძელვადიანი ფსიქოლოგიური შედეგების არსებობაზე. მაშინ, როდესაც კონკრეტული შემთხვევების ანგარიშები ავლენს ტრავმის თაობიდან თაობაში გადაცემას, სისტემური კვლევები ვერ პოულობს ტრავმის *ფსიქოპათოლოგიურ* (იტალიკით გამოყოფა - დ.ჯ.) მანიფესტაციებს ჰოლოკოსტს გადარჩენილთა შვილებში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ისინი სასიცოცხლოდ საშიში მოვლენების წინაშე დგებიან." (Braga et al, 2012, გვ.2).

რიგმა ექსპერიმენტულმა კვლევებმა დაადასტურა განსხვავებები, მაგრამ არა *ფსიქოპათოლოგიაში*, არამედ *ქარაქტეროლოგიურ* თავისებურებებში და სოციალური გარემოცვის მიმართ დამოკიდებულებებში (Rieck, 1994; Magids, 1998, Liceto et al, 2011). მაგალითად, Paolo Iliceto-მ და კოლეგებმა შეადარეს ჰოლოკოსტის მესამე თაობის წარმომადგენლების ჯგუფი საკონტროლო ჯგუფს, რომელსაც არ ჰქონდა ჰოლოკოსტთან დაკავშირებული წარსული. შედარება ტარდებოდა ტრავმის შედეგებთან დაკავშირებული ისეთი ფსიქოლოგიური ცვლადების მიხედვით, როგორიცაა: უიმედობა, ტემპერამენტი, პიროვნება, განწყობები და ინტერპერსონალური მოლოდინები. კვლევამ გამოავლინა, რომ ჯგუფები არ განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან თვითშეფასების, აფექტური ტემპერამენტისა და უიმედობის თვალსაზრისით, მაშინ როდესაც ნაპოვნი იყო მნიშვნელოვანი განსხვავება გაღიზიანებადობის, ბრაზისა და სხვების მიმართ დამოკიდებულების თვალსაზრისით. კერძოდ, მესამე თაობაში უფრო მაღალი იყო ტემპერამენტის გაღიზიანებადობის მახასიათებელი და ბრაზიანობა, როგორც ხასიათის ნიშანი; სხვა ადამიანებს მესამე თაობის წარმომადგენები აღიქვამდნენ, როგორც უფრო მტრულს, უარმყოფელს, კონკურენტულს, დაუცველს, დაქვემდებარებულსა და არასანდოს (Iliceto et al, 2011).

90-იანი წლებიდან, ასევე, დაიწყო ჰოლოკოსტს გადარჩენილთა აღდგენისუნარიანობისა (resilience) და აღდგენისუნარიანობის თაობიდან თაობაში გადაცემის კვლევა (მაგ.,Carmil & Breznitz, 1991; Major, 1996; Sigal, 1998; Valent, 1998; Greene, 2002; Shrira, 2011; Braga et al, 2012, და სხვ.). Carmil-მა და Breznitz-მა გამოავლინეს, რომ ჰოლოკოსტს გადარჩენილი ევროპაში მცხოვრები მოსახლეობა უფრო ოპტიმისტურად უყურებს მომავალს, ვიდრე იზრაელში მცხოვრები ჰოლოკოსტის გამოცდილების არმქონე ებრაელები (Carmil & Breznitz, 1991). Ellinor Major-მა, ჰოლოკოსტს გადარჩენილი ნორვეგიელი ებრაელების მეორე თაობის შესწავლის საფუძველზე

გამოავლინა, რომ ეს ჯგუფი უკეთესად არის ადაპტირებული ლოკალურ კულტურასთან და სოციუმთან, ვიდრე ისინი, ვისაც ჰოლოკოსტი არ გამოუვლია (Major, 1996). John Sigal-ის მიერ ჰოლოკოსტს გადარჩენილთა მეორე და მესამე თაობის სათემო კვლევისას გამოვლინდა, რომ მათი ფსიქოსოციალური ფუნქციობა უფრო ეფექტურია, ვიდრე საკონტროლო ჯგუფისა (Sigal, 1998). Amit Shrira-მ და კოლეგებმა ისრაელის საშუალო ასაკის ხალხის ეროვნული მასშტაბის გამოკითხვის შედეგების დამუშავების საფუძველზე გამოავლინეს, რომ 50 წლისა და ზევით ასაკის ჰოლოკოსტის მეორე თაობა ბევრად უფრო მაღლა აფასებდა თავისი კეთილდღეობის ხარისხს, უფრო ოპტიმისტური და კმაყოფილი იყო ცხოვრებით, ვიდრე ამავე ასაკის დანარჩენი მოსახლეობა. ამავე დროს, მათ ჰქონდათ მეტი პრობლემები ფიზიკური ჯანმრთელობის თვალსაზრისით, რაც შესაძლოა მიუთითებდეს პრობლემების სომატიაზციაზე (Shrira et al, 2011).

Gadi Zerach-მა და Zahava Solomon-მა შეადარეს პტსა-ს და შფოთვის დონე ისრაელის იმ მოსახლეობის წარმომადგნლებში, რომელთა მამებიც 2008 წლის Yom Kippur ომის ვეტერანები იყვნენ. ექსპერიმენტულ ჯგუფს წარმოადგენდა ჰოლოკოსტს გადარჩენილთა მესამე თაობა, ხოლო საკონტროლო ჯგუფს ადამიანები, ვისაც არ ჰქონდა ჰოლოკოსტთან დაკავშირებული წარსული. აღმოჩნდა, რომ ჰოლოკოსტის მესამე თაობის წარმომადგენლებში, საკონტროლო ჯგუფთან შედარებით, ნაკლები იყო როგორც პტსა-ს, ასევე შფოთვის დონე, დამოუკიდებლად იმისგან, იყვნენ მათი მამები ტყვეობაში ომის დრო თუ არა. ავტორები ამას ხსნიან, როგორც ჰოლოკოსტის წარსულთან დაკავშირებული აღდგენისუნარიანობის ეფექტს (Zerach & Solomon, 2015). Braga და მისი გუნდი, ბრაზილიაში მცხოვრები ჰოლოკოსტს გადარჩენილთა კვლევის საფუძველზე, აკეთებენ დასკვნას, რომ ისევე როგორც ტრავმა, აღდგენისუნარიანობაც გადაეცემა თაობიდან თაობაში. აღდგენისუნარიანობის ხელშემწყობ ფაქტორებად კვლევამ გამოავლინა

კომუნიკაციის ღია სტილი ოჯახში, და ასევე, ტრავმული შინაარსების მიმართ იუმორის გამოყენებისა და მისი სიმბოლურად წარმოდგენის (მაგ., ხელოვნების ნიმუშში და სხვ.) პრაქტიკა (Braga et al, 2012). ამჟამად აღდგენისუნარიანობის მექანიზმების კვლევა ფსიქოტრავმატოლოგიაში ერთერთი დომინანტური დისკურსი გახდა (Maerker & Hecker, 2016).

2.4.2. ვიეტნამის ომის ვეტერანთა ოჯახების კვლევები

ვიეტნამის ომის ვეტერანთა ტრავმის გადაცემა, ჰოლოკოსტის მსგავსად, ტრავმის თაობიდან თაობაში გადაცემის კვლევების ერთერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა, თუმცა არ არის ისე ინტენსიურად ნაკვლევი, როგორც ჰოლოკოსტის ტრავმა.

Rachel Dekel-მა და Dadass Goldblatt-მა 2008 წელს მოახდინეს ამ საკითხზე განხორციელებულ კვლევათა სისტემური ანალიზი. კვლევამ გამოავლინა, რომ აქაც, ისევე როგორც ჰოლოკოსტის შემთხვევაში, კვლევების შედეგები არაერთმნიშვნელოვანია (Dekel & Gldblatt, 2008). მაგალითად, კვლევათა მთელი რიგი აჩვენებს, რომ ვიეტნამის ვეტერანების შვილებში ადგილი ჰქონდა დეპრესიის, შფოთვისა და ქცევითი პრობლემების უფრო მაღალ დონეს, ვიდრე საკონტროლო ჯგუფებში (Jordan et al, 1992; Jacobsen et al, 1993; Ahmadzadeh & Malekian, 2004 და სხვ.). უნდა აღინიშნოს, რომ ნაწილი ამ კვლევებისა კლინიკური შემთხვევების ანალიზი იყო (მაგ. Jacobsen et al, 1993). სხვა კვლევები ამგვარ კავშირს არ ადასტურებს (Souzzia & Motta, 2004; Davidson & Mellor, 2001). ასევე, არ დადასტურდა კავშირი მამის ომში მონაწილეობასა და შვილების თვითშეფასებას შორის (Dekel & Goldblatt, 2008).

კვლევის შედეგებმა ცხადჰყო, რომ ვიეტნამის ომის ვეტერანების ოჯახებში, საკონტროლო ჯგუფთან შედარებით, უფრო დისფუნქციური ატმოსფერო იყო. ეს გამოიხატებოდა მამების მხრიდან მომთხოვნი, მაკონტროლირებელი, ზემზრუნველი აღზრდის სტილის განხორციელებაში

(Harkness, 1993). უფრო პრობლემური იყო იმ ოჯახების ატმოსფერო, სადაც მამებს აწუხებდათ პტსა, რომელიც მიმდინარეობდა ან ჰიპერაღგზნებადობის სიმპტომებით (და მისგან მომდინარე, ოჯახური ძალადობით), ან განრიდების სიმპტომებით (და მისგან მომდინარე, შვილისგან გაუცხოებით) (Harkness, 1993; Ruscio et al, 2002).

აღდგენისუნარიანობის ეკო-სოციალური მოდელი (Ungar, 2011) და ტრავმის სოციო-ინტერპერსონალური მოდელი (Maerker & Hecker, 2016) გვაძლევს საშუალებას ერთიანობაში გავიაზროთ ვიეტნამის ტრავმის გადაცემის კვლევის შედეგები: ვეტერანთა ოჯახებში კვლევების შედეგად აღწერილი დისფუნქიური ატმოსფერო ერთმნიშვნელოვნად ვერ განაპირობებს შვილების თაობაში ფსიქოპათოლოგიურ სიმპტომებს, რამდენადაც შვილების აღდგენისუნარიანობას მთელი რიგი სიციო-კულტურული ფაქტორები და მათი ურთიერთქმედება განაპირობებს.

2.4.3. რეპრესიული პოლიტიკური რეჟიმებით გამოწვეული ტრავმის კვლევები

პოლიტიკური რეჟიმებით განპირობებული ტრავმა არ არის საკმარისად ნაკვლევი არც ინდივიდუალურ, არც ოჯახურ, არც სოციეტალურ დონეზე. ლიტერატურის მოკვლევის პროცესში სულ რამდენიმე კვლევის იდენტიფიცირება მოხეხრდა ამ საკითხზე. ერთერთი კვლევა ეხება ჩილეში 1973-1983 წლებში პინოჩეტის ხუნტის რეპრესიებით გამოწვეულ ტრავმასა და მის გადაცემას შვილების თაობაში, მეორე კვლევა ეხება არგენტინაში 1974-1983 წლებში სამხედრო დიქტატურის მიერ განხორციელებული რეპრესიების ტრავმის გავლენას არგენტინული ოჯახებისა და საზოგადოების ცხოვრებზე. სულ ერთი კვლევის მოძიება მოხერხდა სტალინის დიდი ტერორით გამოწვეული ტრავმის თაობათაშორისი გადაცემის თაობაზე, და ორი კვლევისა უკრაინის გოლოდომორის ტრავმის შედეგების თაობათაშორის გადაცემაზე. შედარებით უფრო ინტენსიურადაა ნაკვლევი ლიტვაში საბჭოთა რეპრესიების

ზეგავლენა და თაობათა შორის გადაცემა, რამდენადაც ვილნიუსის უნივერსიტეტში ამ საკითხებით დაინტერესებული მკვლევართა გუნდი მუშაობს, რომელიც, ამასთან ერთად, ლიტვის ფსიქოტრავმის საზოგადოების საკვანძო/ბირთვი ჯგუფია. ლიტველი კოლეგების ოთხი უკანასკნელი პუბლიკაცია ასახავს ამ კვლევების შედეგებს. ქვევით მიმოვიხილავ ჩამოთვლილი კვლევების ძირითად შედეგებს. უნდა აღინიშნოს, რომ ლათინოამერიკული კვლევების მეთოდოლოგია, ძირითადად, კლინიკური შემთხვევების ანალიზსა და საზოგადოებრივი პროცესების ფსიქოდინამიკურ ანალიზს ეფუძნება; რუსული კვლევა შერეული მეთოდოლოგიისა და როგორც თვისებრივ, ასევე რაოდენობრივ ანალიზს ეყრდნობა; უკრაინული კვლევებიდან ერთი თვისებრივი ხასიათისაა, ხოლო მეორე რაოდენობრივი. ლიტვური კვლევები რაოდენობრივ მეთოდოლოგიას ეფუძნება.

პოლიტიკური რეჟიმის ტრავმა ჩილეში და მისი თაობიდან თაობაში გადაცემა

David Becker-მა და Margarita Diaz-მა შეისწავლეს ჩილეში 1973-90 წლებში პინოჩეტის რეჟიმის მიერ ჩადენილი რეპრესიების გავლენა რეპრესირებულთა შვილების თაობაზე რამდენიმე კლინიკური შემთხვევისა და საზოგადოებრივი პროცესების ანალიზის საფუძველზე. უპირველეს ყოვლისა, ავტორები აანალიზებენ რეპრესიული პოლიტიკური რეჟიმის პირობებში მიღებულ ტრავმას და მას აძლევენ ე.წ. „ექსტრემალური ტრავმის“ კვალიფიკაციას – „ექსტრემალური ტრავმატიზაცია ჩვენი გაგებით ნიშნავს იმას, რომ მსხვერპლს ჰქონდა მატრავმირებელი გამოცდილებები სახელმწიფო ტერორიზმის კონტექსტში, რაც აღემატება ფსიქიკური სრუქტურების დონეს/პოტენციალს (capacity) და შეუძლებელია იყოს ინტეგრირებული (ფსიქიკის მიერ - დ.ჯ.)“ (Becker & Diaz, 1998, გვ. 438).

„სახელმწიფო ტერორიზმის“ კონტექსტში მოქმედ სტრესორთა სისტემის აღსაწერად, ავტორები იყენებენ Keilsonის ტერმინს „ტრავმატიზების მწკრივი“

(*Sequencial Traumatization*, Keilson, 92), რომელიც გულისხმობს, რომ „კუმულაციური ტრავმატიზების პროცესი შესაძლოა გარდაიქმნას ქრონიკულ ტრავმად, როდესაც ტრავმული სიტუაციის კონტექსტი ეხება პოლიტიკურ დევნასა და რეპრესიას“ (Becker & Diaz, 1998, გვ. 438). ავტორები ჩილეს შემთხვევაში გამოყოფენ ტრავმატიზების სამ „მწკრივს“: ხუნტის მიერ ძალაუფლების აღება, სახელმწიფო გადატრიალება და სოციო-პოლიტიკური სინამდვილის მყისეული ანტიდემოკრატიული ცვლილება (1), რეპრესიები როგორც ასეთი (2) და ხუნტის შემდგომ სოციო-პოლიტიკურ რეალობაში რეპრესიების არ აღიარება/უარყოფა და ამის საფუძველზე, რეპრესირებულთა და მათი ოჯახების მარგინალიზაცია (3). ავტორების აზრით, სტრესორთა მწკრივის მესამე შემადგენელი ყველაზე მძიმეა და აფერხებს ინდივიდებისა და ოჯახების დონეზე რეპრესიების ტრავმის გადამუშავებას. ანუ, როდესაც სოციო-პოლიტიკურ სინამდვილეში არ ხდება ტრავმის აღიარება, თუ რეპრესირებული ოჯახების შვილები დაარღვევენ დუმილს თავისი ოჯახის ტრავმაზე, მაშინ ისინი მარგინალიზების საფრთხის წინაშე დგებიან. აქედან გამომდინარე, „მსხვერპლთა შვილები იძულებულები არიან უარყონ თავისი წარსული, რათა საზოგადოების თვალში ნორმალურად გამოიყურებოდნენ. ისტორიული სიმართლე შესაძლოა გამოვლინდეს მხოლოდ როგორც ინდივიდუალური სიგიჟის სიმპტომი.“ (Becker & Diaz, 1998, გვ.440)

ავტორები, კლინიკური შემთხვევების ანალიზის საფუძველზე, აღწერენ ამგვარ სოციალურ კონტექსტში, ტრავმირებულ ოჯახებში, შვილების თაობის ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემებს, რაც საკმაოდ მსგავსია ჰოლოკოსტის კვლევებში აღწერილი კლინიკური შემთხვევების სიმპტომებისა: ინდივიდუაციისა და სეპარაციის სირთულეები და აქედან გამომდინარე, მარცხი ავტონომიურობის მიღწევაში; დეპრესია, შფოთვა, კვების დარღვევები; მოწყვლადობა ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების განვითარების მიმართ, გასაკუთრებით, მოზარდობის ასაკში (Becker & Diaz, 1998).

ავტორებს, თავისი კლინიკური პრაქტიკის (რეპრესიების მსხვერპლთა შვილების მკურნალობის) საფუძველზე, აკეთებენ აღიარებას, რომ, სოციო-პოლიტიკურ დონეზე ტრავმის უარყოფის პირობებში, მხოლოდ კლინიკური მიდგომა არ არის საკმარისი შვილების თაობის ტრავმის დასაძლევად, და მკურნალობის ბევრი შემთხვევა უშედეგოდ მთავრდება: „ეჭვს გარეშეა, რომ ბევრ შეთხვევაში ჩვენ არ გამოგვივიდა დახმარება“ (Becker & Diaz, 1998, გვ.444).

პოლიტიკური რეჟიმის ტრავმა არგენტინაში

Lucia Edelman-მა, Diana Kordon-მა და Dario Lagos-მა იკვლიეს არგენტინაში, 1976-1983 წლების სამხედრო დიქტატურის პირობებში, გაუჩინარებული ადამიანებისა და რეპრესირებული ოჯახების ტრავმა. მათი მეთოდოლოგია ემყარება კლინიკური შემთხვევებისა და ფართო სოციალური კონტექსტის ფსიქოდინამიკურ ანალიზს (Edelman et al, 1998). რეპრესიებისას ხუნტას თავისი ხელწერა ჰქონდა - ადამიანების გატაცებებს მასობრივი ხასიათი ჰქონდა, იტაცებდნენ ზრდასრულებს, ახალგაზრდებს, ბავშვებს. ბავშვების გაშვილება რეჟიმის წარმომადგენელთა უშვილო ოჯახებში და გაყიდვა გავრცელებული პრაქტიკა იყო. თუ ჩილეს შემთხვევაში ტრავმირებული თაობა მშობლების თაობა იყო, არგენტინის შემთხვევაში ხშირად თავად შვილების თაობის წარმომადგენლები იყვნენ მსხვერპლი. სოციალური კონტექსტი ხასიათდებოდა დუმილით (1), ფაქტების უარყოფით სოციო-პოლიტიკურ დონეზე (2), და ასევე, მედიის საშუალებით მიმდინარე პროპაგანდით, რომელიც რეპრესიებს როგორც აუცილებელს და ბუნებრივს აჩენდა (3). ეს სამი მახასიათებელი გაგრძელდა რეჟიმის შეცვლის შემდგომაც.

ავტორები ადამიანების გაქრობას წამების კვალიფიკაციას აძლევენ (როგორც გატაცებულებისთვის, ასევე მათი ოჯახის წევრებისათვის). წამების კვალიფიკაციის მიცემა გაქრობის ფაქტებისათვის მნიშვნელოვანია ამ ტრავმის თაობიდან თაობაში გადაცემის სპეციფიკის გაგების თვალსაზრისით. მაშინ,

როცა პროფესიულ თემში არ არსებობს კონსენსუსი ჰოლოკოსტისა თუ ომის ტრავმის თაობიდან თაობაში გადაცემის შესახებ, წამების მსხვერპლი ოჯახების შესწავლამ იმის უტყუარი მტკიცებულება მოიპოვა, რომ წამების ტრავმა გადაეცემა მეორე თაობას ფსიქოპათლოგიური პრობლემების (ბავშვებში - დეპრესია, პტსა, ყურადღების დეფიციტი, ქცევითი აშლილობები) სახით (Daud et al, 2005). თუმცა, ავტორების ანალიზიდან, არგენტინის შემთხვევაში, რთულია იმაზე მსჯელობა, თუ ვინ რომელ თაობას წარმოადგენს ტრავმასთან მიმართებაში, რამდენადაც რეპრესიებს ყველა თაობა დაექვემდებარა.

Edelman-მა და მისმა კოლეგებმა აღწერეს არა მარტო რეპრესიებს გადარჩენილთა ფსიქოლოგიური პრობლემები, არამედ აღდგენისუნარიანობის სტრატეგიებიც. ფსიქოლოგიურ პრობლემებს შორის მათ გამოყვეს: სეპარაციის, ინდივიდუაციისა და ავტონომიის მიღწევის პრობლემები, მშობელთან სიმბიოზი, მიჯაჭვულობის ამბივალენტური სტილი - როგორც დაძლევის სტრატეგია აღზრდის არაოპტიმალურ (ხშირად ზემზრუნველ) გარემოში. რიგი პრობლემებისა დაკავშირებული იყო თავად ოჯახების რეპრესიების გამო შეცვლილ სტრუქტურასთან. მაგალითად, ხშირ შემთხვევაში გაუჩინარებული მშობლების როლს ახალაზრდა ბებია და ბაბუა იღებდნენ თავის თავზე. იმ ოჯახებში, სადაც ბებიამ და ბაბუამ სრულად ჩაანაცვლეს გამქრალი მშობლები (არ ახსენებდნენ მათ, ბავშვები მათ ეძახდნენ დედ-მამას და ა.შ.), ბავშვებს მეტად უჭირდათ იდენტობის ჩამოყალიბება როლური დიფუზიის გამო. დაძლევის სტრატეგიების თვალსაზრისით, ავტორებმა გამოყვეს რეპრესიული რეჟიმის დასრულების შემდგომ გადარჩენილთა და მათი შვილების გაერთიანება სხვადასხვა სოციალურ კავშირებსა და ასოციაციებში, რაც მათ იდენტობის მოთხოვნილების დაკმაყოფილებაში ეხმარებოდა (Edelman et al, 1998).

სტალინის დიდი ტერორის ტრავმის თაობიდან თაობაში გადაცემის კვლევა რუსეთში

Katharine Baker-ისა და Julia Gippenreiter-ის კვლევა ჩატარდა 1993-1994 წლებში, რუსეთში, კერძოდ მოსკოვში, სტალინის დიდი ტერორის მსხვეპლთა შვილიშვილების თაობაში. კვლევა ეფუძნებოდა Bowen-ის ოჯახური სისტემების თეორიას და იკვლევდა ოჯახური კავშირების წყვეტის (Cutoff) გავლენას მეორე და მესამე თაობის ზოგად ფუნქციობაზე (ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ჯანმრთელობაზე, სოციალურ მიღწევებსა და სამოქალაქო აქტივობაზე, და ა.შ.). კვლევა ჩატარდა ex post facto დიზაინის საფუძველზე, სიღრმითი ინტერვიუს გამოყენებით, ხელმისაწვდომობის შერჩევის (convenience sampling) მეთოდით, რეპრესირებულთა 50 შვილიშვილთან, რომლებიც ასოცირებული იყვნენ სტალინის მსხვერპლთა ადამიანის უფლებების დამცველ არასამთავრობო ორგანიზაცია „მემორიალთან".

კვლევის შდეგებმა გამოავლინა, რომ რაც უფრო მაღალი იყო თაობათა შორის წყვეტა (Cutoff), მით უფრო დაბალი იყო რეპრესირებულთა შვილიშვილების საბაზო ფუნქციობის ხარისხი (ზოგადი ჯანმრთელობა, დაქორწინებისა და გაცილებების რაოდენობა, ფსიქოლოგიური და ფიზიკური სიმპტომები და ა.შ.). რამდენადაც კვლევამ არ დაადასტურა კორელაცია წყვეტასა და რეპრესიების გამოცდილებას შორის, მკვლევარები ასკვნიან, რომ წყვეტა არა რეპრესიების შედეგად მოხდა, არამედ წარმოადგენდა გამოკვლეული ოჯახების ტრავმამდელ მახასიათებელს, რომელიც ხელს უწყობდა რეპრესიების სიტუაციასთან გამკლავებას.

კვლევის შედეგებმა, აგრეთვე, გამოავლინა, რომ ცდის პირთა სოციალური ფუნქციობა (ფინანსური სტაბილობა, ცხოვრების სტანდარტები) დადებით კორელაციაში იყო რეპრესირებულ ნათესავ(ებ)ზე ინფორმაციის ძიებასთან, რეპრესიების შედეგის დადებით შეფასებასთან (პიროვნული ზრდისა თუ ოჯახის მაღალი მორალური ფასეულობების განვითარების

თვალსაზრისით), და უსამართლო სოციო-პოლიტიკური ძალადობის წინააღმდეგ აქტიურ პროტესტთან. ავტორების ინტერპრეტაციით, „უფრო ფუნქციური ოჯახები გადაურჩნენ ტერორის ტრაგედიას პოზიტიური ჩარჩოს მიყენებით ამ გამოცდილების მიმართ და ამ პოზიტიური ხედვის გადაცემით თავისი შვილიშვილებისათვის. ოჯახის ემოციური რესურსები, როგორიცაა გამბედაობა, სიმტკიცე მძიმე სიტუაციებში, სოციალური ძალადობის წინააღმდეგ აქტიური პროტესტის უნარი და ერთგულება მაღალი მორალური ფასეულობებისა და იდეალების მიმართ გადაეცა თაობიდან თაობას“ (Baker & Gippenreiter, 1998, გვ. 421). ავტორები არ ახსენებენ ტერმინს აღდგენისუნარიანობა, მაგრამ, ფაქტობრივად, საუბრობენ აღდგენისუნარიანობის გადაცემაზე თაობიდან თაობაში.

უკრაინის გოლოდომორის ტრავმის გადაცემა თაობიდან თაობაში

კანადელმა მკვლევარებმა, Brent Benzo-მ და Stefania Magi-მ, შეისწავლეს საბჭოთა უკრაინაში, 1932-33 წლებში, ძალადობრივი კოლექტივიზაციის პერიოდში, მასობრივ შიმშილობასთან დაკავშირებული საზოგადოებრივი ტრავმის თაობიდან თაობაში გადაცემა (Benzo & Magi, 2015ა).

შიმშილობას ადგილი ჰქონდა ცენტრალურ და აღმოსავლეთ უკრაინის სოფლებში და გამოწვეული იყო მოსახლეობიდან მარცვლეულის კონფისკაციით, ამოღებული მარცვლეულის საცავების შეიარაღებული დაცვით, რათა ის მოსახლეობისათვის ხელმისაწვდომი არ ყოფილიყო, და გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვით, რათა ხალხს მიგრაციის გზით თავის გადარჩენის საშუალება არ ჰქონოდა (Conquest, 1986; Marples, 2012). მსხვერპლის ზუსტი რაოდენობა უცნობია, რამდენადაც რეჟიმმა გაანადგურა გოლოდომორის შემდგომი მოსახლეობის აღწერის სტატისტიკა, ხოლო აღწერის განმახორციელებელი გუნდის ლიდერები დახვრიტა (Subtelny, 2009).

საექსპერტო შეფასებით, გოლოდომორის დროს დაღუპულთა რაოდენობა იყო 4.5 მილიონი ადამიანი (Rudnytskyi et al, 2015).

კანადელმა მკვლევარებმა 2010 წელს თვისებრივი (ჩაღრმავებული ინტერვიუს) მეთოდით შეისწავლეს 15 უკრაინული ოჯახი, რომელიც წარმოდგენილი იყო სამი თაობით: შიმშილს გადარჩენილი პირველი თაობის წარმომადგენელი, მისი შვილი და შვილიშილი. ჯამში ჩატარდა 45 ნახევრად სტრუქტურირებული ჩაღრმავებული ინტერვიუ. კვლევის შედეგებმა გამოავლინა, რომ ცხოვრების მოდუსი („გადარჩენის მოდუსი", როგორც კვლევის მონაწილეებმა დაარქვეს), რომელიც განუვითარდა პირველ (გადარჩენილ) თაობას ტრავმატიზაციის პროცესში, გადაეცა შთამომავლებს - როგორც მეორე, ასევე მესამე თაობაში. გადარჩენის მოდუსის შესწავლის საფუძველზე მკვლევარებმა გამოყვეს ორი რიგის ფაქტორები, რომელიც გადაეცა თაობებს შორის:

(1) გადარჩენასთან დაკავშირებული სპეციფიკური ემოციური კონსტელაცია, რომელიც მოიცავს „შინაგანი კატასტროფის განცდას, მოქმედების შიშს, სტრესსა და შფოთვას, და დაწეულ თვითშეფასებას" (Benzo & Magi, 2015ა, გვ. 92);

(2) გადარჩენასთან დაკავშირებული დაძლევის სტრატეგიები, რომლებიც მოიცავს ისეთ ქცევებს, როგორიცაა: „საჭმლის მარაგების კეთება, საჭმლისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მინიჭება და ჭარბი კვება, არასაჭირო და არასასურველი ნივთების გადაგდების უუნარობა, სხვების მიმართ ინდიფერენტობა და გაზრდილი მტრული სოციალური განწყობა." (Benzo & Magi, 2015ა, გვ. 93).

ამავე კვლევაში, Brent Benzo-მ და Stefania Magi-მ შეისწავლეს შიმშილობის ტრავმის ეფექტი გენდერულ როლებსა და მოლოდინებზე უკრაინის საზოგადოებაში. ავტორებმა გამოავლინეს ოთხი ერთმანეთთან დაკავშირებული ფაქტორი, რომელიც მოქმედებს გენდერულ როლებსა და მათ

მიმართ მოლოდინებზე დღევანდელ უკრაინაში და იღებს სათავეს გოლოდომორის ტრავმიდან. ეს ფქტორებია: მამაკაცების დიდი რაოდენობით დაღუპვა გოლოდომორის დროს, რომელმაც თავის მხრივ განაპირობა სამი შემდგომი ფაქტორი: მამაკაცების როლის შემცირება საზოგადოებაში, ქალების მიერ ცხოვრების მართვის ტვირთის საკუთარ მხრებზე აღება, და მამაკაცური როლური მოდელების დეფიციტი საზოგადოებაში. ავტორების ინტერპრეტაციით, ეს იმის მაჩვენებელია, რომ გოლოდომორის ტრავმამ იმოქმედა არა მარტო ინდივიდუალურ ან ოჯახურ, არამედ სოციეტალურ დონეზე (Benzo & Magi, 2015ბ).

საბჭოთა ანექსიისა და რეპრესიების ტრავმის თაობიდან თაობაში გადაცემა ლიტვაში

ლიტვა დაექვემდებარა საბჭოთა ანექსიას 1944 წელს, ორ სხვა ბალტიისპირეთის რესპუბლიკასთან ერთად და 50 წელი მოუწია საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში იძულებით ყოფნა. რეპრესიები ქვეყანაში განსკუთრებით ინტენსიური იყო 1944-დან 1953 წლამდე (სტალინის გარდაცვალებამდე). ათასობით ადამიანი დაექვემდებარა რეპრესიებს (ლიტვის მოსახლეობა სულ 3 მილიონი ადამიანია), ნაწილი დაიხვრიტა, უფრო დიდი ნაწილი გადასახლებულ იქნა ციმბირში. რაც შეეხება რეპრესიების მასშტაბს, Evaldas Kazlauskas-ისა და Paulina Zelviene-ს მიერ 2015 წელს ლიტვის მოსახლეობის წარმომადგენლობითი შერჩევის კვლევამ გამოავლინა, რომ გამოკვლეულთა 55%-ზე მეტს ჰქონდა ოჯახურ ისტორიაში პოლიტიკური ძალადობის გამოცდილება (Kazlauskas & Zelviene, 2015). გადასახლებულების ნაწილი გადარჩა, მაგრამ დაბრუნების შემდგომ შეზღუდული ჰქონდათ საბაზო ადამიანის უფლებების მნიშველოვანი ნაწილი - მაგ., გადაადგილების თავისუფლება (Kuodytė, 2005). საბჭოთა კავშირის ჩამოშლისა და დამოუკიდებლობის დაბრუნების შემდგომ, ლიტვის პარლამენტმა

დაუყოვნებლივ მიიღო კანონმდებლობა, რომელიც აღიარებდა საბჭოთა რეპრესიებს, და რეპრესიების მსხვერპლთა და მათი ოჯახების მიმართ მიყენებულ ზარალს. შეიქმნა რეპრესირებულებზე მონაცემთა ეროვნული ბაზა და დაიწყო რეაბილიტაციისა და კომპენსაციის პროცესი. უკლებლივ ყველა რეპრესირებული რეაბილიტირებულ იქნა. პარალელურად გაიხსნა КГБ-ს არქივები, შეიქმნა ლუსტრაციის კომისია და დაიწყო ლუსტრაცია, რეპრესიების წარმოებაში დამნაშავეების გამოვლენა და დასჯა, გამოიცა კანონი პარლამენტის წევრების КГБ-სთან აფილირებული წარსულის მოკვლევის შესახებ, და ა.შ. (Ravaitite, 2015).

კვლევები ავლენს, რომ რეპრესიების ტრავმამ მნიშვნელოვანი დაღი დაასვა გადარჩენილთა პირველი თაობის ფსიქიკურ ჯანმრთელობას. კერძოდ, Danuta Gailiene-სა და Evaldas Kazlauskas-ის მიერ 2005 წელს ჩატარებულმა გამოკვლევამ, რომელმაც პოლიტიკურ ძალადობას გადარჩენილი ლიტვის 1,400 მოქალაქე მოიცვა, გამოავლინა, რომ მათი 50% გამოკვლევის პერიოდში განიცდიდა ფლეშბეკებს, ხოლო 33% კი ღამის კოშმარებს (Gailiene˙ & Kazlauskas, 2005).

ტრავმის თაობიდან თაობაში გადაცემის კვლევებმა 2017 წლამდე არ გამოავლინა პირველი თაობის ტრავმის რაიმე მნიშვნელოვანი ზეგავლენა გადარჩენილთა მეორე თაობის ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე (Vaskeliene, 2012). პირიქით, თანახმად Evaldas Kazlauskas-ისა და Paulina Zelviene-ს მიერ ჩატარებული კვლევისა, რომელმაც გადარჩენილთა მეორე თაობის 626 წარმომადგენელი მოიცვა და შეადარა საკონტროლო ჯგუფს, იმ ცდის პირებს, რომელთა ოჯახურ ისტორიაში ადგილი აქვს პოლიტიკურ ძალადობას, უფრო მაღალი მაჩვენებლები გამოუვლინდათ ფსიქოლოგიური კეთილდღეობის თვალსაზრისით. ანუ, პოლიტიკური ძალადობა ოჯახის ისტორიაში აღმოჩნდა უფრო მაღალი აღდგენიუნარიანობის ფაქტორი. კვლევის ავტორები ამ აღმოჩენის რამდენიმე ინტერპრეტაციას გვთავაზობენ: შესაძლოა, ის ოჯახები,

ვისაც ჰქონდა ძალადობის გამოცდილება, უფრო ადვილად შეეგუენ 90-იან წლებში განხორციელებულ მძაფრ ცვლილებებს, მაშინ როცა ის ოჯახები, ვინც მეტად იყვნენ შეგუებული საბჭოთა რეჟიმს, უფრო მეტ დისკომფორტს განიცდიან ახალ პირობებში. მეორე ახსნას ავტორები იმაში ხედავენ, რომ პოლიტიკური ძალადობის მსხვერპლობა ასოციირებული იყო სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში წვლილის შეტანასთან, და ამდენად, საზოგადოების მხრიდან აღიარებული და დადებითად განმტკიცებული იყო. ავტორების მიერ შემოთავაზებული მესამე ახსნა მდგომარეობს იმაში, რომ რეპრესირებულები უფრო განათლებულ (საუნივერსიტეტო და ა.შ.) სოციალურ ფენას წარმოადგენდნენ, და შესაძლოა, განათლების მაღალმა დონემ შეასრულა აღდგენისუნარიანობის ხელშემწყობი როლი (Kazlauskas & Zelviene, 2015).

ლიტველ მკვლევართა გუნდის მიერ ჩატარებული უახლესი გამოკვლევის შედეგები წინააღმდეგობაში მოდის წინარე გამოკვლევების ოპტიმისტურ დასკვნებთან (Kazlauskas et al, 2017). კერძოდ, მკვლევარებმა შეისწავლეს ლიტვაში, კომუნისტური რეჟიმის დროს, რეპრესირებული ოჯახების პირველი (რეპრესირებული) და მეორე (რეპრესირებულთა შვილები) თაობებში ტრავმული სტრესორების მიმართ ექსპოზიცია, პტსა-ს სიმპტომები და კოჰერენტულობის განცდა. კვლევის შედეგებმა ცხადჰყო, რომ რეპრესირებულთა შვილების თაობაში შესაძლო პტსა-ს პრევალენტობა იყო რამდენჯერმე უფრო მაღალი (29%), ვიდრე ლიტვის ზოგად პოპულაციაში (8%). ასვე, კვლევამ გამოავლინა მნიშვნელოვანი კორელაცია პირველი და მეორე თაობის კოჰერენტულობის განცდაში, და უარყოფითი კორელაცია კოჰერენტულობის განცდასა და პტსა სიმპტომებს შორის. კვლევის შედეგები, ერთი მხრივ, ადასტურებს პოლიტიკური რეჟიმის მიერ რეპრესირებულთა მეორე თაობის გაზრდილ მოწყვლადობას ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების განვითარების მიმართ; მეორე მხრივ, გვიმახვილებს

ყურადღებას კოჰერენტულობაზე, როგორც აღდგენისუნარიანობის (resilence) თაობიდან თაობაში გადაცემის ერთერთ მექანიზმზე.

2.5.კონტექსტის აღწერა: საბჭოთა რეპრესიების კვლევა საქართველოში ისტორიკოსების მიერ

2.5.1. რეპრესიების ტენდენციების ზოგადი მიმოხილვა

რეპრესიები საქართველოში ძალადობრივი გასაბჭოების მომენტიდან საბჭოთა კავშირის დაშლამდე უწყვეტად მიმდინარეობდა, თუმცა სხვადასხვა პერიოდში მათ განსხვავებული სპეციფიკა, ინტენსივობა და სისასტიკე ახასიათებდათ. 1921 წელს რუსული ბოლშევიკური არმიის შემოსვლისთანავე დაიწყო ტერორი, რომლის დროსაც რეჟიმი მის მოწინააღმდეგეებს, და კონკრეტულ კლასებს - არისტოკრატიას, ბურჟუაზიასა და ეკლესიის მსახურებს ანადგურებდა. ამ მხრივ მნიშვნელოვანი იყო 1924 წლის აჯანყების ჩახშობა და ამას მოყოლებულ რეპრესიები, მონაწილეთა და მათ მომხრეთა დაპატიმრებები და დახვრეტები. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ ამ პერიოდის რეპრესიებზე ჩატარდა კვლევა და გამოიცა წიგნები (ენდელაძე, 2004; ჯიქია, 2011), თუმცა, ისტორიკოსთა ახალგაზრდა თაობის აზრით, საკითხი ჯერ კიდევ მოითხოვს საფუძვლიან შესაწავლას (Хвадагиани, 2016).

სტალინის მმართველობის პერიოდში, განსაკუთრებით 30-იან წლებში, რეპრესიებმა „დიდი ტერორის“ ანუ „დიდი წმენდის“ მასშტაბი მიიღო. ე.წ. დიდი ტერორისთვის დამახასიათებელი იყო ის, რომ აქ აღარ იყო პროგნოზირებადი, თუ ვინ გახდებოდა შემდგომი მსხვერპლი - რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლას მოსახლეობა, ძირითადად, ვეღარ ბედავდა, ხოლო რეჟიმის მიმართ ლოიალობა და მისი წარმომადგნელობაც კი (პარტიის წევრობა, ან *შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის* (შინსახკომის) თანამშრომლობა, ან თავად რეპრესიულ ოპერაციებში მონაწილეობა) აღარ ხდებოდა იმის გარანტია, რომ ადამიანი რეპრესიას გადაურჩებოდა (იუნგე და სხვ., 2015/I). რეპრესიები გაგრძელდა სამამულო ომის პერიოდშიც, და

მასობრივი ხასიათი ჰქონდა მათ წინააღმდეგ, ვინც მტერთან კოლაბორაციონიზმში იყო ეჭვმიტანილი - მაგ., ე.წ. „თურქი მესხების“ მასობრივი გადასახლება 1944 წელს (იუნგე და სხვ., 2015/III). რეპრესიები გაგრძელდა, ასევე, ომის შემდგომაც, განსაკუთრებით ტყვეობაში ნამყოფ დაბრუნებულ ჯარისკაცთა მიმართ.

რეპრესიები გაგრძელდა ნიკიტა ხრუშჩოვის „დათბობის (Оттепель) ხანაშიც“ - უპირველეს ყოვლისა, სტალინისა და ბერიას გუნდების წევრებისა და, შემდგომ უკვე, მთავრობის კურსის მიმართ არალოიალურად განწყობილი ადამიანების მიმართ. ამის მაგალითია 1956 წლის მარტში თბილისში სტალინის კულტის წინააღმდეგ ხრუშჩოვის გალაშქრების საწინააღმდეგო აქციის იარაღით დარბევა, რომელის დროსაც, ოფიციალური მონაცემებით, დაახლოებით 20 ადამიანი დაიღუპა (Хвадагиани, 2016).

ბრეჟნევის „უძრაობის“ ხანაში (Застой) რეჟიმის წინააღმდეგ მოაზროვნე და მოქმედ ადამიანებს - ე.წ. დისიდენტებს - შედარებით ნაკლები სიხშირით უსჯიდნენ დახვრეტას თუ დაპატიმრებასა და გადასახლებას (თუმცა, ეს მაინც ჩვეული პრაქტიკა იყო), და დაინერგა დისიდენტების საბჭოთა ფსიქიატრიულებში იძულებით მოთავსებისა და „მკურნალობის“ პრაქტიკა (van Voren, 2009). ცნობილმა დისიდენტებმა ვლადიმირ ბუკოვსკიმ და სემიონ გლუზმანმა, გადასახლებაში, დისიდენტებისათვის საბჭოთა ფსიქიატრიულში გადარჩენის გზამკვლევიც კი დაწერეს და გაავრცელეს (Буковский и Глузман, 1975). ამგვარი პრაქტიკა არ იყო უცხო არც საქართველოსთვის. ამ მხრივ ყველაზე გახმაურებულია ჟურნალისტის, ნაზი შამანაურის შემთხვევა, რომელიც 70-80-იანი წლების საბჭოთა საქართველოში აქტიურობდა კორუფციის წინაღმდეგ ბრძოლაში. იგი იძულებით მოთავსებულ იქნა ფსიქიატრიულში და იქ ცემის შედეგად მიღებული სიცოცხლესთან შეუთავსებელი ტრავმების გამო გარდაიცვალა.

ერთერთი ბოლო მასშტაბური რეპრესია, რომელიც საქართველოს მოსახლეობამ საბჭოთა რეჟიმის დროს განიცადა, 1989 წლის 9 აპრილს მოხდა, რომლის დროსაც დამოუკიდებლობის მოთხოვნით მიმდინარე მშვიდობიანი დემონსტრანტები საბჭოთა ჯარმა სამხედრო ნიჩბებითა და საერთაშორისო კანონდმებლობით აკრძალული ქიმიური იარაღით - ე.წ. გაზი „ჩერიომუხათი“ (ქლორაცეტოფენონი) დაარბია, რასაც 21 ადამიანის დაღუპვა და მრავალი ადამიანის მოწამვლა მოყვა (გოცირიძე, 1990).

2.5.2. სიჩუმის შეთქმულება

მიუხედავად იმისა, რომ რეპრესიები, ფაქტობრივად, საბჭოთა ყოფის განუყოფელი ნაწილი იყო, მათ თაობაზე, ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდიდან, საქართველოში (ისევე როგორც ყოფილი სოციალისტური ბანაკის ქვეყნების უმრავლესობაში), ჩამოყალიბდა „სიჩუმის კონსპირაციის“ მტკიცე ტრადიცია, რომელიც დღემდე გრძელდება. ეს განსაკუთრებით ეხება სტალინის მმართველობის დროს წარმოებულ რეპრესიებს. რამდენადაც 1924 წლის აჯანყების დაშლა და 9 აპრილი დაკავშირებულია ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლასთან, ისინი ნაკლებადაა განდევნილი საზოგადოებრივი ცნობიერებიდან. რაც შეეხება სტალინის პერიოდის რეპრესიებს, ისინი ჩრდილშია, რამდენადაც, როგორც მარკ იუნგე, ოლივერ რაისნერი და ბერნდ ბონვეჩი მოიხსენიებენ თავის ნაშრომში, ეს „უხერხული თემაა“ (იუნგე და სხვ., 2015/I, გვ.10).

თუკი საბჭოთა პერიოდში დაბადებული თაობებისთვის სტალინის რეპრესიების თემა არ არის უცხო, დღევანდელი ახალგაზრდებისათვის ის სრულიად უცნობია. ამ მხრივ, ნიშანდობლივია ისტორიკოსი ირაკლი ხვადაგიანის სტატიაში მოყვანილი შემთხვევა იმის თაობაზე, რომ 2000-იან წლებში, ქართული ენის ეროვნულ გამოცდაზე, აბიტურიენტებს მისცეს განსახილველად რეპრესირებული ოჯახიდან გამოსული ქართველი მწერლის,

რევაზ ინანიშვილის მოთხრობა იმის თაობაზე, თუ როგორ დაბრუნდა 30-იან წლებში რეპრესირებული მამა გადასახლებიდან ოჯახში, იგი სიკვდილის პირას იყო, შვილებმა მას მოუარეს და ფეხზე დააყენეს; რამდენიმე ხანში წერილის გასაგზავნად სახლიდან გასული მამა საფოსტო ყუთთან არმისული დაეცა და ქუჩაში გარდაიცვალა; გარდაცვლილს ხელში უპოვეს საკუთარ შვილებზე დაწერილი დასმენის ბარათი, სადაც ის მათ ბრალს დებდა ანტისაბჭოთა განწყობებში, უცხოური ანტისაბჭოთა რადიო-გადაცემების მოსმენის გამო. აღმოჩნდა, რომ აბიტურიენტთა უმრავლესობამ მამის საქციელი მოიწონა, ჩათვალა კარგი მოქალაქეობის ნიმუშად. ისტორიკოსი ხვადაგიანი აკეთებს დასკვნას, რომ ახალგაზრდების ასეთი დამოკიდებულება საბჭოთა დასმენის პრაქტიკის მიმართ გამომდინარეობს იქიდან, რომ მათ არ იციან ქვეყნის უახლოესი წარსული, უახლესი ისტორია, და საბჭოთა რეპრესიების საკითხს სრულიად არ იცნობენ (Хвадагиани, 2013).

ისტორიკოსების დავით ჯიშკარიანისა და ირაკლი ხვადაგიანის თანახმად (ჯიშკარიანი, 2014; Хвадагиани, 2016), რეპრესიების თემის ტაბუირება და მისი შესწავლის თვალსაზრისით პასიურობა საქართველოში რამდენიმე მიზეზით არის განპირობებული: საბჭოთა ეპოქაში ამ საკითხების ობიექტური შესწავლა, გასაგები მიზეზით, შეუძლებელი იყო; თავისუფლების მოპოვების შემდგომ, ნაწილობრივ დაიწვა და ნაწილობრივ ქვეყნიდან იქნა გატანილი საბჭოთა საქართველოს უშიშროების სამსახურის არქივები, რითიც ინფორმაციის დიდი მასივი პრაქტიკულად სამუდამოდ დაიკარგა სამეცნიერო თუ სამართლებრივი შესწავლისათვის. დღეისათვის, რეპრესიების სამეცნიერო შესწავლას მნიშვნელოვანწილად აბრკოლებს მოქმედი კანონმდებლობა: ეროვნულ არქივში დაცულ მასალებზე მკვლევარებს, ფაქტობრივად, არა აქვთ წვდომა - საქართველოს კანონი „ეროვნული არქივის და საარქივო ფონდის შესახებ“ კრძალავს მათ გაცნობას „მესამე პირის მიერ“, დოკუმენტის შექმნიდან 75 წლის მანძილზე (Хвадагиани, 2016).

მთელი რიგი მიზეზების გამო, ქვეყანაში არ ჩატარდა ლუსტრაცია. შესაბამისად, საქართველოში, ყოფილი უშიშროების თანამშრომლებმა და პარტიულმა ფუნქციონერებმა, ასევე მათთან ასოცირებულმა „საბჭოთა ინტელიგენციამ“, რომელიც ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დანგრევამდე ქმნიდა თავის უსაფრთხოებისათვის ხელსაყრელ ნარატივს საბჭოთა პერიოდზე, ქვეყნის განთავისუფლების შემდგომაც შეინარჩუნეს გავლენა საჯარო დისკურსზე. ოლივერ რეისნერს ამის საილუსტრაციოდ მოყავს საქართველოს შინაგან საქმეთა კომისარიატის ყველაზე სისხლიანი ოპერაციის ერთერთი საკვანძო მონაწილის, 30-იან წლებში კომუნისტური (ბოლშევიკური) პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, კანდიდ ჩარკვიანის შემთხვევა. მემუარებში, რომელიც 1985 წელს გამოქვეყნდა, ჩარკვიანმა დაწვრილებით აღწერა თავისი ღვაწლი და დამსახურება საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კეთილდღეობის შენებაში; უკვე 2013 წელს, მისმა შთამომავალმა, საქართველოს ყოფილმა ელჩმა გაერთიანებულ სამეფოში, გელა ჩარკვიანმა, გამოსცა წიგნი დაფუძნებული მამამისთან ინტერვიუზე და შესავალშივე დაახასიათა იგი, როგორც „ჭეშმარიტი ჰუმანისტი“. არც პირველ, არც მეორე პუბლიკაციაში არ არის ნახსენები 30-იანი წლების რეპრესიები (რეისნერი, 2015; იუნგე და სხვ., 2015; ჩარკვიანი, კ.,1985; ჩარკვიანი, გ., 2013).

შედეგად, ქვეყანაში საბჭოთა რეპრესიების ისტორია არ არის სათანადოდ შესწავლილი. სამეცნიერო კვლევები და შესაბამისი პუბლიკაციები ისტორიის დარგში მწირია. 90-იანი წლების დასაწყისიდან, გამოიცა რამდენიმე წიგნი რეპრესიებზე მოგონებებითა და შესაბამისი ინფორმაციით. 2000-იანი წლებიდან, ჰაინრიხ ბიოლის ფონდისა და გერმანიის *სახალხო უნივერსიტეტების საერთშორისო განყოფილების* (DVV International) ხელშეწყობით საქართველოში დაარსდა არასამთავრობო ორგანიზაცია *საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორია* (SovLab), რომელიც,

არასამთავრობო ორგანიზაცია *ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტთან* ერთად, აწარმოებს საბჭოთა წარსულის კვლევებს უცხოელ პარტნიორებთან თანამშრომლობით და ანხორციელებს საბჭოთა წარსულის რეფლექსიასა და მემორიზაციაზე მიმართული პროექტების რიგს. ასევე, 2000-სიან წლებში შეგროვებულ და გამოცემულ იქნა რეპრესირებულთა ოჯახის წევრების ნარატივების ორი კრებული (ჩოლოყაშვილი და სხვ., 2010; მარგველაშვილი და სხვ. 2012), ხოლო პროფესიით ექიმმა ავთანდილ ქურხულმა შექმნა და გამოსცა წიგნი 1921-1953 წლებში საქართველოში რეპრესირებულ ექიმებზე (ქურხული, 2004).

2.5.3. დიდი ტერორის ალგორითმი საქართველოში

დიდი ტერორის ისტორიის სამეცნიერო შესწავლა, ფაქტობრივად, დაიწყო 2009-2014 წლებში, ერთობლივი ქართულ-გერმანული კვლევითი პროექტის „სტალინური მასობრივი რეპრესიები საქართველოში. 1937-1938 წწ. კავკასიის პერიფერიის პერსპექტივები“ ფარგლებში. პროექტში მონაწილე ისტორიკოსების მიერ განხორციელებული კვლევის შედეგად გამოიცა ორტომეული, რომელსაც ვეყრდნობი დიდი ტერორის ქვემოთ გადმოცემული ალგორითმის აღწერაში (იუნგე და სხვ., 2015/I; იუნგე და სხვ., 2015/II).

კვლევის ავტორები დიდი ტერორის „ბირთვს“ ახასიათებენ, როგორ სამი საკავშირო მასშტაბის სადამსჯელო ოპერაციის ერთობლიობას: ე.წ. „კულაკური ოპერაცია“, „ნაციონალური ოპერაცია“ და „მილიციის ოპერაცია“. თითოეული ოპერაციისათვის, საბჭოთა კავშირის მასშტაბით, საოლქო, სამხარეო თუ რესპუბლიკურ დონეებზე, შეიქმნა არასასამართლო სადამსჯელო ორგანოები - ე.წ. *სამეულები* - სამი მაღალჩინოსნისგან შემდგარი სამი კატეგორიის (კულაკური, ნაციონალური და მილიციის სადამსჯელო ოპერაციის განმახორციელებელი) გუნდები.

კულაკურ სამეულში, ჩვეულებრივ, შედიოდნენ შინსახკომის შესაბამისი სამმართველოს უფროსი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური (ბოლშევიკური) პარტიის (სკკპ(ბ)) საოლქო, სამხარეო თუ რეპუბლიკური კომიტეტის პირველი მდივანი და, ადგილობრივი პროკურორი ან მილიციის უფროსი. ეს სამეულები შიქმნა 1937 წლის ივლისში, საბჭოთა სოციალისტური რესუპუბლიკების კავშირის (სსრკ) შინსახკომის #000447 ოპერატიული ბრძანების საფუძველზე და იხილავდა „ყოფილი „კულაკების“, სისხლის სამართლის დამნაშავეებისა და სხვა „ანტისაბჭოთა ელემენტების“ საქმეებს“ (იუნგე, 2015ბ, გვ.31). „ანტისაბჭოთა ელემენტებში“ გულისხმობდნენ „ბოლშევიკთა ყოფილ პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს, როგორებიც იყვნენ მენშევიკები, სოციალისტ-რევოლუციონერები, ანარქისტები და ა.შ. ასვეე, მოიაზრებოდნენ მღვდელმსახურები, თეთრი არმიის ოფიცრები და ჯარისკაცები, სამეფო ადმინისტრციის მოსამსახურეები“ (იუნგე, 2015ბ, გვ.31). ეს, ავტორების თანახმად, სსრკ-ში, და მათ შორის - საქართველოშიც ჩატარებული ყველაზე უფრო მასშტაბური რეპრესიული ოპერაცია იყო. საქართველოში კულაკური სამეული აწარმოებდა, აგრეთვე, ე.წ. „სტალინის სიაში“ შეტანილ პირთა საქმეებს. ეს საქმები ეხებოდა, ძირითადად, პარტიულ ელიტას, მათი რეპრესიის გეგმა მტკიცდებოდა სტალინისა და სსრკ-ს სახალხო კომისრის, მოლოტოვის დონეზე და, სანამ საქართველოში კულაკური სამეულის კომპეტენციაში გადავიდოდა, სსრკ-ს უზენესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის მიერ იხილებოდა.

პროექტის გუნდის მიერ შესწავლილი შეზღუდული რაოდენობის დოკუმენტების თანახმად, კულაკური სამეულის მიერ სულ გასამართლებულ იქნა 21,107 ადამიაანი. მსჯავრდებულთა შორის სჭარბობდნენ მამაკაცები (97%), ასაკობრივ ინტერვალში 14-დან 96 წლმდე, რომელთა 51% სიკვდილით დაისაჯა. 17-დან 75 წლამდე ასაკის 559 ქალი გასამართლებულთა 3%-ს შეადგენდა, აქედან სიკვდილით დაისაჯა 156 (30%). სოციალური

მდგომარეობით, მსჯავრდებულთა ძირითადი ნაწილი (70%) მოსამსახურეები იყვნენ, შემდგომ გლეხები (27%), და ყველაზე მცირე წილი მუშებს ეკუთვნოდათ (5%). სიკვდილით დაისაჯა მოსამსახურეთა 61%, მათ შორის 38% სკკპ(ბ) წევრი იყო. კვლევის ავტორების თანახმად, კულაკური სამეულის მოქმედების საზრისი ქვეყნის სოციალურად აქტიური მოსახლეობის (ახალგაზრდა დასაქმებული მამაკაცების) „დისციპლინირება“ იყო (იუნგე, 2015ბ; იუნგე, 2015გ; იუნგე, 2015დ).

საქართველოში მცხოვრები სხვა ქვეყნების მოქალაქეთა და ნაციონალურ უმცირესობათა წინააღმდეგ საქმეები საწყის ეტაპზე მიყავდა ე.წ. „ნაციონალურ ორეულს“ (რესპუბლიკის პროკურორისა და შინსახკომის სამმართველოს უფროსის შემადგენლობით). ნაციონალური ორეული აგზავნიდა პოტენციურ რეპრესირებულთა სიებს მათი საქმეების მოკლე ფორმალური აღწერითა და გამოტანილი განაჩენით *საკავშირო ორეულთან*, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდნენ სსრკ-ს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი და სსრკ პროკურორი, რომელთაც უნდა დაემტკიცებინათ განაჩენი. შემდგომში, ორეული სამეულად გადაკეთდა (დაემატა სკკპ(ბ)-ს სამხარეო ან საოლქო კომიტეტის მდივანი). *ნაციონალურ სამეულს* უკვე შეეძლო საკუთარი განაჩენის აღსრულება „ცენტრიდან“ დამტკიცების გარეშე. კვლევის ავტორების მონაცემებით, ნაციონალურმა სამეულმა მსჯავრი დასდო სულ 494 ადამიანს, მათგან 25 (5%) იყო ქალი, 17-დან 71 წლამდე ასაკობრივ ინტერვალში, და 470 მამაკაცი, 20-დან 84 წლამდე ასაკობრივ ინტერვალში. აქედან, სიკვდილი მიუსაჯეს 115 ადამიანს - 112 მამაკაცსა (კაცების 24%) და 3 ქალს (ქალების 12%). სოციალური მდგომარეობით, მსჯავრდებულთა 42% მოსამსახურეები იყვნენ, 42% - გლეხები და 14% - მუშები (იუნგე, 2015ბ; იუნგე, 2015გ; იუნგე, 2015დ).

ე.წ. მილიციის სამეული საქართველოში 1934 წლის მაისიდან მოქმედებდა ამიერკავკასიის სამივე რესპუბლიკისთვის, ხოლო 1938 წლიდან - მხოლოდ საქართველოსთვის. სამეულის წევრები იყვნენ: მილიციის ადგილობრივი

სამმართველოს უფროსი, რომელიც ამზადებდა საგამოძიებო საქმეებს, საოლქო ან სამხარეო პროკურორი და, შინსახკომის სამმართველოს უფროსი. სამეულს მიყავდა „სისხლის სამართლის, დეკლასირებული ელემენტებისა და საპასპორტო წესების ბოროტად დამრღვევების“, ანუ „სოციალურად მტრული ელემენტების“ (იუნგე, 2015ა, გვ.36) საქმეები. ამ სადამსჯელო ოპერაციის ძირითადი სამიზნე არა სისხლის სამართლის დამნაშავეები იყვნენ, არამედ ე.წ. „დეკლასირებული ელემენტები“ - მარგინალიზებული ადამიანები/ჯგუფები: უსახლკარონი, მეძავები, არასრულწლოვანები, რომლებიც მშობლების გარეშე დარჩნენ (რეპრესიებისა თუ სხვა მიზეზით) და ა.შ. ათას სამას ოთხმოცდაორი რეპრესირებულიდან მათი წილი 5%-ს შეადგენდა. აქ ყველაზე მკაცრი სასჯელი 5 წლით თავისუფლების აღკვეთა იყო. რეპრესირებულთა 23%-ს 14-დან 19 წლამდე მოზარდები და ჭაბუკები შეადგენდნენ. მსჯავრებულთა 11.2% ქალები და გოგონები იყვნენ (იუნგე, 2015ბ; იუნგე, 2015გ; იუნგე, 2015დ).

თითოეული სამეული „ცენტრიდან“ იღებდა დირექტივას რეპრესიების ე.წ. „ქვოტების“, ზედა ზღვრის შესახებ - თუ რამდენი ადამიანი უნდა დაქვემდებარებოდა რეპრესიებს. როგორც წესი, რესპუბლიკები აჭარბებდნენ ხოლმე დაწესებულ „ქვოტას“, და „ქვოტის“ გაზრდას ცენტრთან ათანხმებდნენ. ცენტრი, კვლევის თანახმად, არ ეწინააღმდეგებოდა „ქვოტის“ ზრდას და ახალ ციფრებს ამტკიცებდა. კვლევის თანახმად, საქართველოში კულაკური სამეულის მიერ ჩატარებული რეპრესიები საწყის „ქვოტასთან“ შედარებით 4.2-ჯერ გაიზარდა, რაც ოდნავ აღემატებოდა საშუალო საკავშირო მაჩვენებელს - 3.5-ს. სიკვდილმისჯილთა ლიმიტი საქართველოში 5.3-ჯერ გაიზარდა საკავშრო მთავრობის მიერ დაწესებულ ლიმიტთან შედარებით, რაც საშუალო საკავშირო მაჩენებელს - 5.7-ს - ოდნავ ჩამორჩებოდა (იუნგე, 2015ბ).

ეჭვმიტანილთა საქმეების განხილვა და განაჩენის გამოტანა დაახლოებით იდენტური პროცედურით ხდებოდა სამივე სამეულის მიერ: ტარდებოდა სხდომა, რომელსაც ესწრებოდა სამეულის ყველა წევრი, მდივანი, ე.წ.

მომხსენებლები, რომლებიც ეჭვმიტანილთა საქმეებს წარმოადგენდნენ. სხდომებზე ხდებოდა საქმეების მოსმენა და განაჩენის გამოტანა. კულაკური სამეულის სხდომების მოძიებული 122 ოქმი მოიცავს ინფორმაციას 21,000-ზე მეტი ეჭვმიტანილის საქმის განხილვაზე. ეს ნიშნავს, რომ 21,000 ადამიანის ბედის განხილვა სულ 122 სხდომის მანძილზე მოხდა. კვლევის ავტორები აკეთებენ დასკვნას, რომ განხილვა ხდებოდა ნაჩქარევად, ფორმალურად, მინიმალური სამართლებრივი ნორმების დაცვის გარეშე (იუნგე და ბონვეჩი, 2015).

მიუხედავად იმისა, რომ საბუთების/მტკიცებულებების დიდი ნაწილი დაკარგულია, კვლევითმა გუნდმა მაინც მოახერხა დაახლოებით დაედგინა რეპრესირებულ ადამიანთა რაოდენობა და სასჯელების კატეგორიები შინსახკომის თითოეული სადამსჯელო ოპერაციისათვის (იხ.ცხრილი 4):

ცხრილი 4: დიდი ტერორის პერიოდში მსჯავრედებულთა რაოდენობა საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში (იუნგე, 2015ბ, გვ.48)

არასასამართლო სადამსჯელო ინსტანცია	I კატეგორია (დახვრეტა)	IIკატეგორია (თავისუფლების აღკვეთა)	სულ	
			აბსოლუტური რაოდენობა	%
კულაკური სამეული	10,563	9,555 (გადასახლება ანუ ბანაკი) + 989 (შედარებით მსუბუქი სასჯელი (შმს)	21,107	83
ნაციონალური ორეული	248	1,376 (ბანაკი)	1,624	6,4
ნაციონალური სამეული	119	296 (ბანაკი) + 80 (შმს)	495	1,9
მილიციის სამეული	0	2,036 (ბანაკი) + 168 (შმს)	2,204	87
სულ	**10,930**	**13,263 (ბანაკი) + 1,237 (შმს) =14,500**	**25,430**	**100**

კვლევის ავტორები შეეცადნენ გაერკვიათ, თუ რას ნიშნავდა ეს ციფრები პროცენტულად საქართველოს მაშინდელი მოსახლეობისათვის. რამდენადაც რეპრესირებულთა უდიდესი ნაწილი (დაახლოებით, 76.8%) 20-დან 69 წლის ასაკობრივ ინტერვალში იყო, მკვლევარებმა გამოთვალეს რეპრესირებულთა წილი საქართველოს იმდროინდელი აღწერით 20-დან 69 წლამდე მოსახლეობის როდენობისათვის და შედეგად მიიღეს 3%, რომელსაც თავად ავტორები „შემზარავ მაჩვენებელს“ უწოდებენ (იუნგე, 2015ბ, გვ.53).

რეპრესირებულებთან ინტერვიუებისა და შეგროვებული ნარატივების საფუძველზე, გამოიკვეთა რეპრესიის შემდეგი ალგორთმი: არ იყო აუცილებელი, რომ დაპატიმრებამდე ეჭვმიტანილის მხრიდან ადგილი ჰქონიყო ან ანტისაბჭოთა საქმიანობას, ან რაიმე რეალურ დანაშაულს, ან არალოიალობის გამოვლენას რეჟიმის მიმართ; ზოგიერთ შემთხვევაში, დაპატიმრებამდე, ადგილი ჰქონდა საკუთარი უფლებების დაცვის შესაბამის მოთხოვნას: მაგალითად, სოფელ ხაშმის მცხოვრები ერთერთი გლეხის დაჭერას წინ უძღოდა 800 შრომა-დღის ანაზღაურების მოთხოვნით მისი ცოლის წერილობითი მიმართვა ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოში (იუნგე, კანდელაკი, ბონვეჩი, 2015). დაკავება ხდებოდა, ძირითადად, ღამით, შინსახკომის წარმომადგენელთა მიერ, თბილისში - ავტომანქანით და, იმ შემთხვევაში თუ სადარბაზოს წინ ღამით მანქანა ჩერდებოდა, ეს სამეზობლოდან რომელიმე წევრის დაჭერის მომასწავებელი იყო. დაჭერისას ხდებოდა ბინის საფუძვლიანი ჩხრეკა, ზოგ შემთხვევაში ნივთების კონფისკაცია, და/ან განადგურება (მაგ., დაწვა), ზოგ შემთხვევაში ბინისა და მთელი კერძო საკუთრების კონფისკაცია. შინსახკომელებს თან მიჰქონდათ ფოტოსურათები, რათა ეჭვმიტანილის გარემოცვიდან შემდგომი მსხვერპლი შეერჩიათ. სოფელში დაპატიმრებულის ოჯახს ართმევდნენ საკვების ზამთრის მარაგს, მაგ., მარცვლეულს. ეს ყველაფერი ხდებოდა სიჩუმეში, მინიმალური წინააღმდეგობის ფონზე. იყო შემთხვევები, როდესაც იჭერდნენ ორივე

მეუღლეს და, ამ შემთხვევაში, შვილები ან ბავშვთა სახლში გადაჰყავდათ, ან ნათესავები იყვანდნენ აღსაზრდელად. დაჭერილთა შვილებს, მეტ-ნაკლები სისასტიკით, თან სდევდა „ხალხის მტრის შვილის“ სტიგმა. მათ ხშირად არ ეძლეოდათ საშუალება აერჩიათ ის პროფესია, რაც სურდათ, ან დასაქმებულიყვნენ იქ, სადაც უნდოდათ (ჩოლოყაშვილი, 2010; მარგველაშვილი, 2012; იუნგე და სხვ, 2015/I).

2.5.4. დიდი ტერორის მსხვერპლთა რეაბილიტაცია საქართველოში

სტატიაში „პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლნი საქართველოში: საზოგადოების დამოკიდებულება და რეაბილიტაციის პროცესი“, ისტორიკოსი ირაკლი ხვადაგიანი აჯამებს მის მიერ განხორციელებულ კვლევას რეპრესიების მსხვერპლთა რეაბილიტაციის პროცესზე. მოცემული ქვეთავი სწორედ ამ ანალიტიკურ პუბლიკაციას ეყრდნობა (Хвадагиани, 2016).

მიუხედავად იმისა, რომ მნიშვნელოვანი საარქივო მასალები დაიკარგა (ხანძრისა და ქვეყნიდან გადინების გამო), ხოლო ეროვნულ არქივში დაცულ მასალებზე მკვლევარებს, ფაქტობრივად, არა აქვთ წვდომა „ეროვნული არქივის და საარქივო ფონდის შესახებ“ (საქართველოს კანონიდან გამომდინარე (რომელიც კრძალავს მათ გაცნობას „მესამე პირის მიერ“, დოკუმენტის შექმნიდან 75 წლის მანძილზე), არსებული მწირი ინფორმაციის საფუძველზე, კვლევის ავტორი მაინც ახერხებს, შემთხვევათა ანალიზის გზით, გამოყოს გარვეული კანონზომიერებები:

30-40-ინი წლები. ამ წლებში ბრალდებულებს ფორმალურად ჰქონდათ უფლება მიემართათ პროკურატურისთვის შინსახკომის მიერ გამოძიებული საქმის ხარვეზების გასაპროტესტებლად და, შესაბამისად, საკუთარი განაჩენის შესაცვლელად. რეალურად ამ უფლებით ძალიან მცირე რაოდენობის ბრალდებულმა ისარგებლა - 1932 წლიდან 1951 წლამდე სულ 1000 ადამიანმა - და მათი უმრავლესობის საქმის წარმოებაში პროკურატურამ დარღვევები არ

დააფიქსირა. მათ, ვისაც გაუმართლა და დარღვევები პროკურატურის მიერ დადასტურდა, საუკეთესო შემთხვევაში რასაც მიაღწიეს - ეს იყო საქმის შეწყვეტა, სამუშაო ადგილზე დაბრუნება და პარტიის წევრობის აღდგენა. ზარალის ანაზღაურებაზე საუბარი არ მიდიოდა. იყო ერთეული შემთხვევები, როდესაც გამართლებულ ადამიანს უბრუნდებოდა ქონება, მაგრამ ხვადაგიანი, ზეპირსიტყვიერი ისტორიების ანალიზის საფუძველზე, ამას მაღალი თანამდებობის პირებთან კონკრეტული ოჯახების სიახლოვითა და შესაბამისად, ამ პირების მხრიდან პატრონაჟით ხსნის და უფრო გამონაკლისად მიიჩნევს, ვიდრე ტენდენციად (Хвадагиани, 2016).

სტალინის შემდგომი პერიოდი. ამ პერიოდში ხრუშჩოვმა დიდი ტერორი სტალინის პიროვნების კულტითა და ბერიას გუნდის დანაშაულებრივი ქმედებით ახსნა, რასაც მოყვა საკავშირო მასშტაბის ამნისტია. ჩატარებულმა გამოკვლევებმა გამოავლინა, რომ დიდი ტერორის დროს დახვრეტილთა ოჯახების უმეტესობამ ამ ამნისტიისას გაიგო, რომ მათი ოჯახის წევრი დახვრეტილ იქნა დაპატიმრებისთანავე თბილისში და არა მოგვიანებით გადასახლებაში, როგორც მითითებული იყო სახელმწიფოს მიერ ოფიციალურად გაცემულ ცნობებში (Хвадагиани, 2016, გვ. 176).

1955 წელს თბილისში მოეწყო ნახევრად ღია სასამართლო პროცესი ბერიას გუნდის წევრების წინააღმდეგ. აქ სახელმწიფო ტრიბუნიდან პირველად გაჟღერდა ინფორმაცია რეპრესიების მასშტაბისა და სისასტიკის შესახებ. ხვადაგიანის აზრით, მიუხედავად იმისა, რომ ამ პროცესზე „მასობრივი დანაშაული არა სისტემის, არამედ კონკრეტული პიროვნებების (ბერიას და მისი გარემოცვის) პასუხისმგებლობის საკითხად იყო შეფუთული, ეს სასამართლო პროცესი მაინც მკაფიო სიგნალად და მინიშნებად იქცა რეპრესიების მსხვერპლთათვის, რომ შეიძლებოდა რეაბილიტაციისათვის ბრძოლა“ (Хвадагиани, 2016, გვ.160). თუმცა, უფლებების აღდგენის იმედი,

ხვადაგიანის აზრით, მალევე - 1956 წლის მარტის დემონსტრაციის სისხლიანი დარბევის შემდეგ ჩაქრა.

საკავშირო ამნისტიის ფარგლებში, 1954-1957 წლებში, რეაბილიტაციას მოკრძალებული ხასიათი ჰქონდა. აფასებს რა ამ პერიოდის რეაბილიტაციის პრაქტიკასა და შდეგებს, ხვადაგიანი მის სამ ასპექტს გამოყოფს: (1) რეაბილიტაცია ყველა რეპრესირებულს არ ეხებოდა: რამდენადაც ხრუშჩოვის პოლიტიკამ რეპრესიების გამო პასუხისმგებლობა არა სახელმწიფოს, არამედ სტალინს, ბერიასა და მის გარემოცვას დააკისრა, ამნისტიას ნაკლებად ექვემდებარებოდნენ ისინი, ვისი ბრალდებებიც 20-იანი წლებისა თუ 30-იანი წლების დასაწყისში განხორციელებულ (ან ნავარაუდევ/დაბრალებულ) ქმედებას ეხებოდა, არადა, ასეთი ადამიანები რეპრესირებულთა უმრავლესობა იყო; (2) საქმეები, განსაკუთრებით 20-იანი წლებისა და 30-იანების დასაწყისისა, ზედაპირულად იხილებოდა; (3) მატერიალური კომპენსაციის მიღება თითქმის შეუძლებელი იყო, რიგი მიზეზების გამო: არ იძებნებოდა ქონების კონფისკაციის თაობაზე ოფიციალური დოკუმენტაცია, გასხვისებული ქონება ახალი მფლობელების პოზიციიდან კანონიერი გზით მიღებულად ითვლებოდა და ისინი არ იყვნენ თანახმა პირვანდელი მფლობელისთვის მის დაბრუნებაზე, ფულადი კომპენსაციის შემთხვევაში თანხა პირობითი იყო და არ ხდებოდა ინფლაციის გათვალისწინება, და ა.შ.

ამდენად, საბჭოთა პერიოდის რეაბილიტაციის მცდელობები მწირი იყო, უფრო ხშირად უშედეგოდ მთავრდებოდა, და საუკეთესო შემთხვევაში კი სიმბოლური ხასიათისა იყო. საბჭოთა კავშირის დროს, რეპრესირებულთა ყველაზე დიდი ამნისტია, ხვადაგიანის შეფასებით, განხორციელდა 1989 წელს, სსრკ-ს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის შესაბამისი ბრძანებულების საფუძველზე. ამ ამნისტიის შედეგად, დანგრევის პირას მდგარმა სახელმწიფომ რეაბილიტირებულად 18,000 ადამიანი ცნო.

რეაბილიტაცია დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ. პოსტ-საბჭოთა პერიოდის ანალიზისას, ხვადაგიანი ორ თემას გამოყოფს: საზოგადოებრივ დონეზე რეპრესიების აღიარებასა და მათ მიმართ დამოკიდებულებას (1), და სახელმწიფოს მხრიდან რეაგირებას საკანონმდებლო და კანონის აღსრულების დონეზე (2).

რეაბილიტაციის საკანონმდებლო პროცესები თავისუფალ საქართველოში:

1997 წელს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა კანონი „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“, რომელმაც „საკმაოდ დეტალურად განსაზღვრა პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარების კრიტერიუმები, სტატუსის განმსაზღვრელი უფლებამოსილი ორგანო - სასამართლოს ტერიტორიალური ორგანოები და სტატუსის თანმდევი სოციალური შეღავათების პაკეტი.“ (Хвадагиани, 2016);

იმ შემთხვევაში, როდესაც რეპრესირებული გარდაცვლილი იყო (და ეს შემთხვევათა უმრავლესობას წარმოადგენდა), მისი პირველი რიგის მემკვიდრე იყო უფლებამოსილი მოეპოვებინა სტატუსი გარდაცვლილის სახელზე, და შესაბამისი შეღავათები. ხვადაგიანის თანახმად, რეპრესირებულთა უმრავლესობამ, კანონის მიღების საუძველზე, მოიპოვა რეპრესირებულთა სტატუსი;

კანონს კარგა ხანს არ ჰქონდა განსაზღვრული არც ნაციონალური ნიშნით მასობრივი გადასახლების მსხვერპლთა რეპატრიაციის პრინციპები, არც მატერიალური ზარალის ანაზღაურების მექანიზმი;

რეპატრიაციის კანონი მიღებულ იქნა 2007 წელს („საქართველოს კანონი ყოფილი სსრკ-ს მიერ XX საუკუნის 40-იან წლებში საქართველოს სსრ-დან იძულებით გადასახლებულ პირთა რეპატრიაციის შესახებ“), თუმცა აღსრულების მექანიზმების მთელი რიგი ხარვეზების გამო კანონით შეთავაზებული რეაბილიტაციის შესაძლებლობით დეპორტირებულთა მცირე

რაოდენობამ - 5,841 ადამიანმა ისარგებლა (შეფასების თანახმად, 80,000 ადამიანიდან);

ფულადი კომპენსაციის წესი სახელმწიფომ მხოლოდ 2011 წელს განსაზღვრა, ევროსასამართლოს მოთხოვნაზე საპასუხოდ, როგორც 1997 წლის კანონის დამატება. ამან 2011-2012 წლებში რეპრესირებულთა ოჯახების მხრიდან აქტიურობა გამოიწვია მატერიალური ზარალის ასანაზღაურებლად. თუმცა, მატერიალური ზარალის ანაზღაურების საკითხი, ისევე, როგორც საბჭოთა დროს, პრაქტიკულად გადაულახავ წინაღობას აწყდებოდა: მოქალაქეთა არასათანადოდ ინფორმირების, საარქივო დოკუმენტაციის მოპოვების ბიუროკრატული სირთულეების, საქმეების ზედაპირულად განხილვის და ზარალის ანაზღაურების სასამართლო წესით მოთხოვნის გართულებული პროცედურის გამო, და ა.შ.;

ყველა ამ აღწერილი სირთულის ფონზე, თუ რეპრესირებულის ოჯახი მაინც მოახერხებდა ზარალის ანაზღაურების გადაწყვეტილების მიღწევას, აღმოჩნდა, რომ ადამიანის გადასახლების შემთხვევაში ის კომპენსაციად 400 ლარს იღებდა, ხოლო დახვრეტის შემთხვევაში კი - 800 ლარს, სტანდარტულად. ეს თანხები ვერ აკომპენსირებდა იმ დროს, ენერგიასა და მატერიალურ დანახარჯებს, რასაც რეპრესირებულის ოჯახი მატერიალური კომპენსაციის მიღწევის საქმეში დებდა, და ამიტომ კომპენსაციის მიღების პროცესი მალევე მიილია;

2013 წელს, *საქართველოს იურისტთა ასოციაციამ*, მატერიალური კომპენსაციის მიღების პროცედურის სამართლებრივი გამართვისა და 1997 წელს მიღებული კანონის დახვეწის მიზნით, საქართველოს პარლამენტში განსახილველად შეიტანა საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი, რომელიც არ იქნა მიღებული პარლამენტის მიერ;

ერთერთი ბოლო საკანონმდებლო ინიციატივა, რომელიც მიღებულ იქნა პარლამენტის მიერ და გარკვეულწილად, ეხებოდა საბჭოთა რეპრესიების

შედეგებთან გამკლავებას, იყო 2011 წელს მიღებული „თავისუფლების ქარტია“. ეს კანონი, ერთი მხრივ, ტერორიზმისგან დაცვაზე მიმართულ სახელმწიფო ღონისძიებებს მოიცავდა, და მეორე მხრივ - ლუსტრაციის ელემენტებს. კერძოდ, იგი გულისხმობდა „სსრკ-ს უშიშროების ორგანოების ყოფილ საიდუმლო თანამშრომელთა და კომუნისტური პარტიის ყოფილ მაღალჩინოსანთა - დღევანდელი გადაწყვეტილების მიმღებ თანამდებობებზე ყოფნის და დანიშვნის შესაძლებლობის შეზღუდვას და, საბჭოთა და ფაშისტური იდეოლოგიის პროპაგანდისა და სიმბოლიკის აღმოფხვრას“ (Хвадагиани, 2016, გვ.189). ხვადაგიანის შეფასებით, კანონის ძალაში შესვლიდან დღემდე სახელმწიფო დონეზე არ გადადგუმლა ნაბიჯები მისი აღსრულებისათვის.

საზოგადოების მხრიდან რეპრესიების აღიარება და მათ მიმართ დამოკიდებულება

80-იანი წლების ბოლოს, რეპრესიების თემა საზოგადოების ყურადღების ცენტრში იყო, როგორც დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ერთერთი მოტივატორი;

ქვეყნის განთავისუფლების პირველ პერიოდში შეიქმნა რეპრესიების მსხვერპლთა ნათესავებისა და სამოქალაქო აქტივისტების ორგანიზაციები, რომლებიც ინფორმაციის შეგროვებასა და რეაბილიტაციის ხელშეწყობას ცდილობდნენ (1924 წლის აჯანყებაში დაღუპულთა ხსოვნის ორგანიზაცია „ხსოვნა 1924“, რუსეთში შექმნილი არასამთავრობო ორგანიზაცია „მემორიალის“ ანალოგიური სამოქალაქო ორგანიზაცია „მემორიალი“, და ა.შ.) თუმცა, ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური კრიზისის ფონზე, ამ ორგანიზაციების საქმიანობა თანდათან მიილია;

90-იანი წლების დასაწყისიდან იდენტიფიცირებულ იქნა დახვრეტილთა რამდენიმე სავარაუდო სამარხი, მაგრამ ისინი დღემდე არ არის გათხრილი და შესწავლილი;

საჯარო სივრცეში იყო მსჯელობა რეპრესირებულთა მემორიალების გაკეთების თაობაზე, მაგრამ დღემდე, რამდენიმე გამონაკლისის გარდა (მაგ., მთაწმინდაზე რეპრესირებულ ხელოვანთა მემორიალი), ქვეყანაში რეპრესიების მსხვერპლთა ძეგლი არ აღმართულა;

გარდა ძეგლებისა, არც საკმარისი და სათანადო ხელოვნების ნიმუშები (ფილმები, მხატვრული ნაწარმოებები და ა.შ., აბულაძის „მონანიების“ გარდა რომელიც ჯერ კიდევ საბჭოთა დროს გამოვდა ეკრანებზე) შექმნილა, პრაქტიკულად - მსხვერპლთა მემორიზაცია არ განხორციელებულა კულტურულ სფეროში;

არც მემორიალური წიგნები შექმნილა ერთი-ორი გამონაკლისის გარდა - ავთო ქურხულის წიგნისა „და რომ გვახსოვდეს“, რომელიც მიძღვნილია 1921-53 წლებში რეპრესირებულ ექიმების ხსოვნას (ქურხული, 2004);

არც სამეცნიერო სფეროში ეთმობა სათანადო ყურადღება რეპრესიების კვლევას. საქართველოში ამჟამად მოქმედი რამდენიმე ათეული უნივერსიტეტიდან მხოლოდ ერთში - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში - მოქმედებს საბჭოთა წარსულის კვლევის სამაგისტრო პროგრამა;

ძალიან დიდი წინააღმდეგობაა მეცნიერთა მიერ საარქივო სამუშაოების წარმოების თვალსაზრისით (ზემოთ აღწერილი საკანონმდებლო ბარიერის გამო). არსებული არქივებიდან, მხოლოდ შსს-ს არქივი გამოსცემს პერიოდიკას, სადაც აქვეყნებს ზოგიერთ საარქივო დოკუმენტს;

2003 წლიდან, გაერთიანებული ნაციონალური მოძრაობის მმართველობის პერიოდში, მემორიზაციის მცდელობის ახალი ტალღა წამოვიდა. კერძოდ, შეიქმნა საბჭოთა ოკუპაციის მუზეუმი, სადაც გადმოცემულია რეპრესიების ისტორიის თავისებური ნარატივი, ძირითადი აქცენტით რუსულ ოკუპაციაზე;

ზოგიერთ ქუჩას დაერქვა რეპრესირებულ მოღვაწეთა სახელები და ა.შ. ყველაფერი ეს არ ხდებოდა საჯარო მსჯელობისა და კონსენსუსის ფონზე და ამიტომ, საზოგადოებისათვის შეუმჩნევლად ჩაიარა;

2010 წლიდან, Heinrich Boell-ის ფონდის ხელშეწყობით შეიქმნა არასამთავრობო ორგანიზაცია „საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორია“ (SovLab), რომელმაც *ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტთან* ერთად ე.წ. „დესტალინიზაციაზე“ მიმართული მთელი რიგი კვლევითი და პრაქტიკული პროექტები განახორციელა, თანდართული შესაბამისი პუბლიკაციებითა და ორი დოკუმენტური ფილმით. მათ შორისაა, „წითელი ტერორის ტოპოგრაფია - საბჭოთა თბილისი“, „საბჭოთა წარსულის გააზრება - დისკუსიების კრებული“, „დაკარგული ისტორია - მეხსიერება რეპრესირებული ქალების შესახებ“ და ა.შ. თუმცა, კვლავ, საზოგადოების მხრიდან ეს განიხილება როგორ ცალკეული არასამთავრობო ორგანიზაციის პროექტები და ამ პროექტების მიგნებები არ გახდა საჯარო მსჯელობის საგანი;

2010 წელს, რუსთაველის ფონდის მხარდაჭერით, ასევე განხორციელდა კვლევითი პროექტი, რომლის ფარგლებშიც მეცნიერთა ჯგუფის მიერ შეგროვდა და გამოიცა რეპრესირებულთა ოჯახის წევრების ზეპირსიტყვიერი ისტორიები;

საკითხის მიმართ საზოგადოების ნაწილის დამოკიდებულების ილუსტრაციას წარმოადგენს Heinrich Boell-ის ფონდისა და Carnegie Endowment-ის მხარდაჭერით განხორციელებული საზოგადოებრივი აზრის კვლევა, რომელმაც გამოავლინა, რომ შეკითხვაზე „როგორ ფიქრობთ, საბჭოთა ხალხის მიერ სტალინის მმართველობის დროს გაწეული მსხვერპლი გამართლებულია თუ არა ქვეყნის მიერ მოკლე დროში მიღებული შედეგებით?“ დადებითი პასუხი გასცა საქართველოს ეროვნული რეპრეზენტაციული შერჩევის 29%-მა (დე ვაალი, 2013);

ირაკლი ხვადაგიანი, აგრეთვე, მიუთითებს ქართულ საზოგადოებაში გამეფებულ განწყობაზე რეპრესიებულთა ზარალის ანაზღაურებასთან დაკავშირებით: „ჩემი გადასახადიდან (ბიუჯეტიდან) რატომ უნდა ავანაზღაურო სხვისი (საბჭოთა რეჟიმის) დანაშაული?“, რაც ავტორის აზრით, იმის მაჩვენებელია, თუ „რამდენად აღრეული და არათანმიმდევრულია მოქალაქეთა ინფორმირებულობა და ცნობიერება საკუთარი წარსულის ამ ტრაგიკული პერიოდის სამართლებრივი და მორალური მემკვიდრეობის მიმართ“ (Хвадагиани, 2016, გვ.191);

ხვადაგიანი ასკვნის, რომ რეპრესირებულთა მიმართ ინტერესი დაბალია არა მარტო საზოგადოების, არამედ მათი ნათესავების მხრიდანაც კი: „მიუხედავად საარქივო სფეროს ფორმალური გახსნილობისა (რეპრესიების მსხვერპლთა სისხლის სამართლის საძიებო საქმეების გადარჩენილი ნაწილი შსს-ს არქივშია დაცული და ხელმისაწვდომია, როგორც მკვლევრებისათვის, ასევე უშუალოდ აღნიშნული პირებისა და მათი შთამომავლებისათვის), შთამომავლების დიდ ნაწილს, ასევე ამ საკითხებით დაინტერესებულ პირების უმრავლესობას არ უცდია უშუალოდ გაცნობოდა აღნიშნულ დოკუმენტებს და მხოლოდ რეპრესირებულის სტატუსის მოპოვებისათვის აუცილებელი საარქივო ცნობის მიღებით კმაყოფილდებოდნენ. მეტიც, ჩვენს პრაქტიკაში არის შემთხვევები, როდესაც რეპრესირებულების შთამომავლებმა მხოლოდ 2011 წელს, აღნიშნული პროცესისათვის საარქივო ცნობის გამოთხოვისას გაიგეს პირველად, რომ მათი წინაპრები გადასახლების ადგილას კი არ დაღუპულან, არამედ 1937-38 წელსვე თბილისში იყვნენ დახვრეტილი.“ (Хвадагиани, 2016, გვ.180).

3. კვლევის მეთოდოლოგია

3.1.კვლევის დიზაინი, დაშვებები და მეთოდები და მათი რელევანტურობა

რამდენადაც კვლევის მიზანი და შესაბამისი შეკითხვები ტოტალიტარულ რეპრესიებთან დაკავშირებული *ფენომენების გაგებაზეა* მიმართული, ინდივიდუალურ, ოჯახურ და სოციეტალურ დონეზე, ნაშრომში გამოყენებულია თვისებრივი მიდგომა. კერძოდ, კვლევა მოიცავს ორ კომპონენტს: 1) ჩაღრმავებული ინტერვიუები რეპრესირებულთა ოჯახების მეორე და მესამე თაობის წარმომადგენლებთან და 2) შემთხვევის ანალიზი - საქართველოს თანამედროვე სოციო-პოლიტიკური ცხოვრების ანალიზი Volkan-ის ფსიქოდინამიკური ფსიქოპოლიტიკური ანალიზის პარადიგმაზე და (Volkan, 1997, 2002, 2006ა, 2006ბ, 2009, 2012 და ა.შ.), Bion-ისა და Hopper-ის სოციალური ჯგუფის საბაზო დაშვებების თეორიაზე დაყრდნობით (Bion , 1961; Hopper, 2003), დისკურსის ანალიზის მეთოდის გამოყენებით (Fairclough, 2003; Potter & Wetherell, 1995; Van Dijk, 1993).

ჩატარებული თვისებრივი კვლევის როგორც პირველი, ასევე მეორე კომპონენტი ეფუძნება პოსტ-პოზიტივისტურ პარადიგმას, და შესაბამისად, შემდეგ პარადიგმატიკულ საბაზო დაშვებებს, რომლებიც იძლევა შესასწავლი ფენომენების გაგების საშუალებას (Davidsen, 2013; Groenewald, 2004; Merriam, 1998; Smith et al, 2001):

- ფენომენოლოგიური მიდგომა, რომელიც იყენებს შესასწავლი ფენომენის როგორც აღწერას, ასევე ინტერპრეტაციას (Davidsen, 2013);
- კვლევის ფოკუსი შესასწავლი ინდივიდუალური და სოციალური ფენომენების გაგებაზე, და არა სტატისტიკასა და ცვლადებზე;
- ადამიანის უნიკალობის, ინდივიდუალობისა და იმ საზრისის მნიშვნელობის აღიარება, რომელსაც ის დებს საკუთარ გამოცდილებაში;
- ენისა და დისკურსის ცენტრალური როლი შესასწავლი ფენომენების გაგების საქმეში;

- აღიარება იმისა, რომ რეალობა სუბიექტურია და მრავალფეროვანი;
- აღიარება იმისა, რომ რეალობა კონსტრუირებულია სუბიექტისა (ჩვენს შემთხვევაში - კვლევის მონაწილის) და მისი გარემომცველი სინამდვილის - სოციალური სამყაროს (Merriam, 1997) - ინტერაქციის პროცესში;
- აღიარება იმისა, რომ კვლევა, ისევე როგორც ცხოვრება, ინტერაქტიული დინამიკური პროცესია (კვლევის შემთხვევაში, მკვლევარს, კვლევის მონაწილეებს, მათ სოციალურ სამყაროსა და შესასწავლ ფენომენებს შორის).

კვლევის პირველ კომპონენტში მონაწილეთა მიმართ საბაზო დაშვება იყო ის, რომ მიუხედავად ტოტალიტრული რეპრესიების მიმართ ჩვენს საზოგადოებაში არსებული სიჩუმის ტრადიციისა (რაც გარკვეული ხარისხით დარღვეული იყო საბჭოთა ნარატივების შეგროვებით (ჩოლოყაშვილი და სხვ., 2010), თუმცა, დღესდღეობით კვლავ გრძელდება), რეპრესირებული ოჯახების წევრები ჩაერთვებიან კვლევაში და საკმარისად გახსნილად და გულწრფელად ისაუბრებენ თავის გამოცდილებაზე. იმისთვის, რათა ამ დაშვებასთან დაკავშირებული რისკები შემცირებულიყო, ჩატარებულ იქნა სამი საპილოტე ინტერვიუ - ორი ინტერვიუ 2 სხვადასხვა რეპრესირებული ოჯახის მეორე თაობის წარმომადგენლებთან, და მესამე ინტერვიუ - კიდევ ერთი რეპრესირებული ოჯახის მესამე თაობის წარმომადგენელთან. სამივე რესპონდენტი კვლევაში ენთუზიაზმით ჩაერთო. სამივესთვის ეს იყო პირველი ინტერვიუ მათი ოჯახების რეპრესიების გამოცდილების თაობაზე. მეორე თაობის რესპონდენტებმა ერთნაირი გამოთქმა გამოიყენეს იმის ასახსნელად, თუ რატომ არ უსაუბრიათ ამ თემაზე აქამდე: „ჩვენ, საერთოდ, არ ვსაუბრობთ ამაზე“. შეკითხვაზე, თუ ვის გულისხმობდნენ ნაცვალსახელ „ჩვენ“-ში, მეორე თაობის რესპოდენტებმა აღნიშნეს, რომ გულისხმობენ თავის თაობას. მათ, ფაქტობრივად, ჰქონდათ განცდა, რომ რეპრესიებზე საუბრისას,

საუბრობდნენ მთელი თავისი თაობის სახელით, რაც ინტერვიუსთვის მათი მხრიდან მნიშვნელოვანი საზრისის მინიჭების ინდიკატორია. მესამე თაობის რესპონდენტმა ის ფაქტი, რომ აქამდე არ უსაუბრია თავისი ოჯახის რეპრესიების გამოცდილებაზე ახსნა საზოგადოების მხრიდან რეპრესიების თემის მიმართ ნაკლები ინტერესით. ინტერვიუს შემდგომი უკუკავშირის სახით მან გაგვიზიარა, რომ ინტერვიუმ მას მისი ოჯახისთვის მნიშნელოვან საკითხებზე რეფლექსიის და „სხვა თვალით“ შეხედვის საშუალება მისცა. ამდენად, საპილოტე ინტერვიუებმა გამოავლინა, რომ რესპონდენტები მონდომებულად გვიზიარებდნენ რეპრესიებთან დაკავშირებულ გამოცდილებას და ცდილობდნენ რეფლექსიას ამ გამოცდილების გავლენაზე მათი და მათი ოჯახების, მათი ოჯახის წევრთა ცხოვრებაზე.

კიდევ ერთი მომენტი, რისი გათვალიწინებაც მომიწია კვლევის დროს, არის ის, რომ მე თავად რეპრესირებულთა ოჯახიდან ვარ. ჩემი ბაბუა დედის მხრიდან 1937 წელს გადასახლებული იყო ციმბირში, საიდანაც ის 8 წლის შემდგომ გულის დაავადებით დაბრუნდა და შედარებით ახალგაზრდა გარდაიცვალა. ამდენად, კვლევის დაწყებამდე, ვაცნობიერებდი, რომ ჩემი ოჯახის ისტორიამ შესაძლოა გარკვეულწილად იმოქმედოს ჩემს სამეცნიერო მიუკერძოებლობაზე. სწორედ ამიტომ, კვლევის პირველ კომპონენტში (რეპრესირებულთა მეორე და მესამე თაობის წარმომადგენლების შესწავლაში) ავირჩიე ე.წ. მონაცემებზე დაფუძნებული თეორიის (Grounded Theory) მიდგომა, რომელსაც საკვლევ საკითხთან წინასწარი განწყობით მისვლის ალბათობა მინიმუმადე დაყავს. ასევე, კოდირების პროცესში ყოველი ბწკარის კოდირების გამოყენება და, მკვლევართა გუნდის მიერ კოდირებაში კონსენსუსზე მუშაობა გამოყენებულ იქნა, როგორც ანალიზის სუბიექტურობის გადალახვის სტრატეგია. ასევე, რამდენადაც გაცნობიერებული მქონდა ჩემი ოჯახის ისტორიის შესაძლო გავლენა კვლევის პროცესსა და შედეგებზე, მე დავწერე ჩემს მიერ გაწეული ანალიზის

რეფლექსიის დოკუმენტი, სადაც ვცდილობდი კითხვის ნიშნები დამესვა ინტერვიუების ჩატარების პროცესისა და ჩემს მიერ ჩატარებული ანალიზის მიმართ, და რომლის განხილვა მოხდა კვლევის ერთერთ სუპერვაიზორთან ერთად. ყოველივე ამან მინიმუმამდე დაიყვანა ანალიზის პროცესის სუბიექტურობა.

3.2.კვლევის პროცედურა

3.2.1. კომპონენტი პირველი. ჩაღრმავებული ინტერვიუები რეპრესირებული ოჯახების მეორე და მესამე თაობების წარმომადგენლებთან

ეთიკური პროცედურები

კვლევის იდეის ჩამოყალიბებისა და დიზაინის შემუშავების შემდგომ, კვლევის აღწერა წარდგენილ იქნა საქართველოს ფსიქოტრავმის საზოგადოების ფარგლებში მოქმედი კვლევის ეთიკური საბჭოს კომისიაზე, და მისი რეკომენდაციების გათვალისწინებით, მოპოვებულ იქნა კვლევის ჩატარებაზე ეთიკური თანხმობა. კვლევის ეთიკური პროცედურები ითვალისწინებდა ინფორმირებულ თანხმობას, კვლევის შეწყვეტის უფლებას მის ნებისმიერ ეტაპზე, კვლევის მონაცემთა კონფიდენციალობის დაცვას, კვლევის მასალების უსაფრთხო შენახვის პროცედურებს.

კვლევის შერჩევა (კვლევის მონაწილეები, ანუ რესპონდენტები)

სულ ჩატარდა 28 ჩაღრმავებული ინტერვიუ (სამი საპილოტე ინტერვიუს ჩათვლით): 13 - რეპრესირებული ოჯახების მეორე თაობის წარმომადგენლებთან და 15 - მესამე თაობის წარმომადგენლებთან. მეორე თაობად განვსაზღვრეთ რეპრესირებული ადამიანების შვილების თაობა (რომლებიც, ფაქტობრივად, უშუალოდ შეესწრნენ რეპრესიებს და ამდენად, თავად არიან ტრავმირებული); მესამე თაობად განვსაზღვრეთ

რეპრესირებული ადამიანების შვილიშვილების თაობა, რომლებიც უშუალოდ არ შესწრებიან რეპრესიებს, მაგრამ აღიზარდნენ რეპრესირებულთა შვილების ოჯახებში.

28 მონაწილეს შორის რესპონდენტთა გარკვეული ნაწილი ერთმანეთთან ოჯახური კავშირით იყვნენ გაერთიანებული: 1) დედ-მამა (ორივე რეპრესირებულთა მეორე თაობის წარმომადგენელი) და ორი ქალიშვილი (მესამე თაობა), 2) მამა (მეორე თაობის წარმომადგენელი) და სამი შვილი (ერთი ქალიშვილი და ორი ვაჟიშვილი, მესამე თაობა), 3) დედა (მეორე თაობა) და ორი შვილი (ქალიშვილი და ვაჟიშვილი, მესამე თაობა), 4) მამა (მეორე თაობა) და ქალიშვილი (მესამე თაობა), 5) მამა მეორე თაობა) და ვაჟიშვილი (მესამე თაობა) 6) და-ძმა (მესამე თაობა). შესაბამისად, კვლევის შერჩევას შორის, 17 მონაწილე იყო გაერთიანებული 6 სხვადასხვა ოჯახში, ხოლო 11 მონაწილე იყო სხვადასხვა ოჯახის წარმომადგენლები (თვალსაჩინოებისათვის იხ. დანართი #1). ამგვარმა შერჩევამ საშუალება მოგვცა რეპრესიების გავლენა შეგვესწავლა როგორც ინდივიდუალურ, ასევე ოჯახურ დონეზე.

კვლევაში რესპონდენტების რეკრუტირება ხდებოდა კონკრეტულ კრიტერიუმებზე დაყრდნობით. ეს კრიტერიუმები იყო: სტალინის „დიდი წმენდის“ დროს ოჯახის წევრის - მეორე თაობის შემთხვევაში, მამის, დედის, ან ორივეს, მესამე თაობის შემთხვევაში - ბაბუის, ბებიის ან ორივეს - დაპატიმრება და გადასახლება შემდგომი დაბრუნებით, ან დაპატიმრება და დახვრეტა, ან დაპატიმრება და გადასახლება შემდგომი გარდაცვალებით (1), ცხოვრება თბილისში კვლევის მომენტში, რათა ადვილი ხელმისაწვდომი ყოფილიყო (თუმცა, ვცდილობდით რომ მოგვეხდინა ისეთი რესპონდენტების რეკრუტირებაც, რომელთა ოჯახები რეპრესიის მომენტში არა მარტო თბილისში ცხოვრობდნენ, არამედ საქართველოს სხვადასხვა რეგიონში - ქალაქებსა თუ სოფლებში) (2), და, კვლევის თაობაზე ინფორმაციის მიღებისას კვლევაში მონაწილეობაზე თანხმობა (3). გაცხრილვის კრიტერიუმი იყო

დაქვეითებული კოგნიტური უნარები. რეკრუტირების სტრატეგია მოიცავდა შემდეგს: მას მერე, რაც კვლევის დიზაინი შედგა, კოლეგებში, მეგობრებსა და ნაცნობებში გავავრცელეთ ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ვეძებდით რეპრესირებული ოჯახების წარმომადგენლებს კვლევის ჩასატარებლად. ისინი გვიწევდნენ რეკომენდაციას თავისი ნაცნობი რეპრესირებული ოჯახების წარმომადგენლებთან და თანხმობის შემთხვევაში, გვაძლევდნენ ტელეფონის ნომრებს, ტელეფონზე დარეკვით ხდებოდა შეთანხმება პირველ შეხვედრაზე, რომლის დასაწყისში კვლევის მონაწილეს ვაცნობოდით კვლევის არსს, და ვატარებდით ინფორმირებული თანხმობის პროცედურას. მეორე თაობის რესპონდენტების ინტერვიუირებისას ვცდილობდით რომ მიგვეღო თანხმობა ამავე ოჯახის მესამე თაობის წარმომადგენლებთან ინტერვიუზე. არც ერთ რესპონდენტს, რომელთანაც მივედით (წინასწარი მოლაპარაკების საფუძველზე), არ უთქვამს უარი კვლევაზე. პირიქით, იყო მეტი მსურველი (განსაკუთრებით, მეორე თაობის რესპონდენტები იყვნენ მონდომებული გაეზიარებინათ გამოცდილება), მაგრამ რამდენადაც მონაცემთა სატურაციას მივაღწიეთ მეორე თაობის რესპონდენტების შემთხვევაში მეათე ინტერვიუზე, ხოლო მესამე თაობის რესპონდენტების შემთხვევაში მეთერთმეტე ინტერვიუზე, 2014 წლის დეკემბერში დავასრულეთ მონაცემთა შეგროვება.

მონაცემთა შეგროვება

ჩაღრმავებული ინტერვიუები ჩატარდა 2011 წლის გაზაფხულსა და 2014 წლის ბოლოს შორის. ინტერვიუები ტარდებოდა ცდის პირებთან პირისპირ, სპეციალურად შემუშავებული ინტერვიუს გზამკვლევის მიხედვით (იხ. დანართი ##3 და 4). ხდებოდა ინტერვიუების აუდიოჩაწერა. ჩატარებული 28 ინტერვიუდან, 10 ჩატარდა სპეციალურად მომზადებული სამაგისტრო საფეხურის დამამთავრებელი სემესტრის სტუდენტის - ანა მეუნარგიას მიერ (სამაგისტრო ნაშრომის მომზადების პროცესში, ჩემი ხელმძღვანელობით),

ხოლო 18 ინტერვიუ ჩატარდა ჩემს მიერ. ინტერვიუების ჩასატარებლად ხდებოდა რესპონდენტებთან ერთიდან სამამდე შეხვედრა. კვლევაში ჩართული 6 ოჯახიდან თითოეულთან, ჩაღრმავებული ინტერვიუების შემდგომ, დამატებით, ჩატარდა ერთი და იგივე ოჯახის მონაწილეებთან ერთი მაინც საერთო შეხვედრა. ინტერვიუები და საოჯახო შეხვედრები ტარდებოდა რესპონდენტების საცხოვრებელ ბინებში, მათთვის კომფორტულ, დაცულ პირობებში. შეხვედრების დროს ხდებოდა ოჯახების ფოტოების დათვალიერებაც. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა რესპონდენტებთან ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობის დამყარებას, სადაც მათ თავისუფლად შეეძლოთ მსჯელობა და რეფლექსია, საკუთარი ფიქრებისა და გრძნობების გამოხატვა. ინტერვიუირებისას ხდებოდა რესპონდენტების ტემპს აყოლა, ინტერვიუს ყოველი რაუნდის დამთავრება პოზიტიურ ნოტზე. რეპრესირებული ოჯახების მეორე თაობის რესპონდენტთა მოხუცებული ასაკის გათვალისწინებით, ხდებოდა მონაწილეთა ჯანმრთელობის მდგომარეობისთვის ანაგარიშის გაწევა საუბრის პროცესში. ინტერვიუს არც ერთი რაუნდი ან ოჯახური შეხვედრა არ გაგრძელებულა 2 სთ-ზე მეტ ხანს თითო ჯერზე.

კვლევის ინსტრუმენტი

კვლევისთვის შემუშავებულ, და 3 საპილოტე ინტერვიუზე დაყრდნობით დახვეწილ იქნა ჩაღრმავებული ინტერვიუს გზამკვლევი (იხ. დანართი ##3 და 4), რომელიც მოიცავს შემდეგ კომპონენტებს: დემოგრაფიული ნაწილი (ასაკი, მეორე თაობისთვის - ასაკი რეპრესიის მომენტში, განათლება, პროფესია, ქორწინების მდგომარეობა, შვილების რაოდენობა, ოჯახის შემადგენლობა), ინფორმაცია რეპრესირებულ ოჯახზე (ოჯახური თანაცხოვრების წესები, ტრადიციები, რიტუალები, ატმოსფერო - რეპრესიამდე და რეპრესიის შემდგომ), ინფორმაცია რეპრესიაზე (ნარატივი პროცესზე, მიზეზების აღქმაზე,

დამოკიდებულებაზე რეპრესიის მიმართ - ემოციურ, კოგნიტურ, ქცევით რეაქციებზე, ასევე ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე), ინფორმაცია სოციალურ ურთიერთობებზე რეპრესიამდე და რეპრესიის შემდგომ (სამეგობრო და სანათესავო წრეებში, სოციალურ ინსტიტუტებში - სკოლა, უნივერსიტეტი, სამსახური), ინფორმაცია აღდგენისუნარიანობის (resilience) სტრატეგიებზე, მათ შორის იმაზე, თუ რა საზრისს დებდა რესპონდენტი და მისი ოჯახი რეპრესიის გამოცდილებაში, როგორ ხსნიდა და ხსნის მას - ანუ, რესპონდენტის იმპლიციტურ თუ ექსპლიციტურ თეორიაზე რეპრესიის შესახებ, ოჯახის რეპრესიების გამოცდილების შესაძლო სარგებელზე - პიროვნული ზრდისა და ღირებულებების გადაფასების თვალსაზრისით, დაბოლოს, რესპონდენტის შეხედულება იმაზე, თუ რამდენად ეფექტური იყო სახელმწიფოსა და საზოგადოების მხრიდან რეპრესირებულთა რეაბილიტაციაზე მიმართული ღონისძიებები.

მონაცემთა ანალიზი

კვლევის ანალიზი ეყრდნობა ე.წ. „*მონაცემებზე დაფუძნებული თეორიის*“ (Grounded Theory, Glaser & Stauss, 1967; Charmaz, 1995) მიდგომას. ამდენად, კვლევაში გამოყენებული ინტერვიუს კომპონენტები და შესაბამისი კოდირების კატეგორიები იდენტიფიცირებულ იქნა, ფაქტობრივად, საპილოტე ინტერვიუების მონაცემების შეგროვების პარალელურად, კვლევის პროცესში უწყვეტად მიმდინარე ანალიზის საფუძველზე. ანალიზი პარალელურად გრძელდებოდა შემდგომი 25 ინტერვიუს შეგროვების პროცესშიც. ანალიზისთვის კეთდებოდა ინტერვიუების აუდიოჩანაწერების სიტყვასიტყვითი ტრანსკრიპტი, კონფიდენციალობისა და ანონიმურობის საგარანტიოდ, სახელებისა და გვარების ნაცვლად რიგითი ნომრის მითითებით. ამ შემთხვევაში, რიგითი ნომრები წარმოადგენენ არა რიგის სკალის მაჩვენებლებს, არამედ რესპონდენტთა პირობით აღნიშვნას.

ინტერვიუების შედეგად მოპოვებული მასალის კოდირება ხდებოდა სამ-საფეხურიანი პროცესით: ჯერ ინტერვიუების ტექსტის ღია კოდირება, შემდგომ ყოველი ბწკარის კოდირება, რათა თავი მაქსიმალურად დაგვეზღვია სუბიექტური ინტერპრეტაციებისგან, და შემდგომ, ტრანსკრიპტების კვლავ წაკითხვის საფუძველზე, მთავარი კოდების გამოყოფა და ქვე-კოდების იდენტიფიკაცია, კონტექსტუალურ ფაქტორებთან დაკავშირება და მათი ერთობლიობაში განხილვა კავშირების საიდენტიფიკაციოდ. მონაცემთა დასამუშავებლად გამოვიყენეთ თვისებრივ მონაცემთა ანალიზის NVIVO პროგრამული უზრუნველყოფა, მე-11-ე ვერსია.

მაგისტრანტი ანა მეუნარგიას მიერ ჩატარებული 10 ინტერვიუს კოდირება მოვახდინეთ მე და ანა მეუნარგიამ ერთმანეთისგან დამოუკიდებლად და შემდგომ შევაჯერეთ ჩვენი ვერსიები და მივედით კონსენსუსამდე. დანარჩენი 18 ინტერვიუს კოდირება მოხდა ჩემს მიერ და გადაამოწმა ინგლისში მოღვაწე ქართული წარმოშობის მკვლევარმა ფსიქოლოგმა ელენ კლემერამ და ქართველმა კლინიკურმა ფსიქოლოგმა ნანა აღაპიშვილმა. როგორც ნანა აღაპიშვილმა, ასევე ელენ კლემერამ წაიკითხეს ყველა ტრანსკრიპტი და გადასინჯეს კოდირება ანალიზის ობიექტურობის უზრუნველსაყოფად. მოხდა ერთობლივი მსჯელობა იმ კოდებზე, რომელზეც გვქონდა განსხვავებული ხედვა, და კონსენსუსის საფუძველზე ხედვების შეჯერება.

3.2.2. კომპონენტი მეორე. საქართველოს, როგორც პოსტ-საბჭოთა ქვეყნის ფსიქოპოლიტიკური ანალიზი

კვლევის პროცედურა და მონაცემთა შეგროვება

კვლევის მოცემულ კომპონენტში საანალიზოდ გამოყენებულია ილიას სახელმწიფო უნიევრსიტეტის ფსიქიკური ჯანრმთელობის სამაგისტრო პროგრამაზე, ჩემი ხელმძღვანელობით მიმდინარე კურსის „სოციალური ტრავმა: ფენომენოლოგია და გამკლავება“ ფარგლებში, სამაგისტრო საფეხურის სტუდენტების მიერ, 2013-2017 წლებში ჩატარებული 7 მცირე მასშტაბის

თვისებრივი, შემთხვევის ანალიზის მეთოდით განხორციელებული, კვლევითი პროექტის ფარგლებში დამუშავებული ინფორმაცია. ეს პროექტებია:

- საქართველოზე მოქმედ სტრესორთა სისტემა ტოტალიტარულ პერიოდში, მათ ზემოქმედებასთან დაკავშირებული დანაკლისის გამოგლოვების სტრატეგიები და ბარიერები სოციეტალურ დონეზე;
- წინასაარჩევნო ბრძოლა და არჩევნები საქართველოში (შესწავლილ იქნა 1991, 1995, 2004, 2008 და 2013 წლების საპრეზიდენტო არჩევნებისა და, 2003 და 2012 წლების საპარლამენტო არჩევნების მაგალითზე);
- პატრიარქის მიერ ყოველი მესამე (და მოგვიანებით - მეოთხე) ბავშვის კურთხევის ინიციატივა (რომელიც 2007 წლიდან მიმდინარეობს);
- საქართველოს ყოფილი სამეფო კარის წარმომადგენელთა ქორწინების შემთხვევა (2009 წელი);
- ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღების შემთხვევა (2013 წელი);
- სექსუალურ უმცირესობათა დემონსტრაციის დარბევის შემთხვევა 2013 წლის 17 მაისს;
- ბერი გაბრიელის საფლავზე მომლოცველების მოზღვავებასა და მის გადასვენებასთან დაკავშირებული შემთხვევა (2014 წელი).

კვლევითი პროექტების ფარგლებში ხდებოდა თითოეული შესასწავლი ფენომენის გარშემო ინფორმაციის მოძიება (მედია-პუბლიკაციებისა და ტელე- და რადიო-გადაცემების, პატრიარქის ეპისტოლეების და, საჯარო სივრცეში ხელმისწავდომი სხვა რელევანტური ბეჭდური და აუდიო-ვიდეო მასალის სახით).

მონაცემთა ანალიზი

ზემოთ ჩამოთვლილი შვიდი პროექტის ფარგლებში შეგროვებული ბეჭდური და აუდიო-ვიზუალური მასალების ანალიზი ხდებოდა Volkan-ის

ფსიქოპოლიტიკური ანალიზის პარადიგმაზე დაყრდნობით, რომელიც დიდი ჯგუფის ფსიქოდინამიკის გაგებას გვთავაზობს შემდეგი ფაქტორების ანალიზის საფუძველზე:

- დიდი ჯგუფის მიერ განცდილი მატრავმირებელი სტრესორების სისტემა და მათი გავლენა (დიდი ჯგუფის პროგრესი ან რეგრესი);
- მატრავმირებელი სტრესორებით გამოწვეული ტრავმის გამოგლოვების მდგომარეობა (გლოვის ავთენტურობა, ტიპი და გზები);
- ტრავმის გამოგლოვების მდგომარეობასთან დაკავშირებული დიდი ჯგუფის ცნობიერი და არაცნობიერი ფსიქოდინამიკური პროცესები;
- ლიდერისა და ჯგუფის ურთიერთქმედების ხასიათი;
- საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფს შორის ურთიერთქმედების ხასიათი.

ანალიზში ვეყრდნობოდით Volkan-ის ტრავმის თაობიდან თაობაში გადაცემის თეორიასა და Bion-ისა და Hopper-ის თეორიას ტრავმირებული ჯგუფის საბაზო დაშვებების შესახებ (რომელებიც, თავის მხრივ, Klein-ის შრომებს ეფუძნება). ამ თეორიების შუქზე მოვახდინეთ ყოველი შემთხვევის გარშემო მოპოვებული ბეჭდური და აუდიო-ვიზუალური მასალების დისკურსის ანალიზი.

დისკურსის ანალიზისთვის დავეფუძნეთ *დისკურსის კრიტიკული ანალიზის* მიდგომას (van Dijk, 1993; Fairclough, 2003), რომელიც წარმოადგენს არა ერთ ცალკე აღებულ მეთოდს, არამედ მეთოდთა კომბინაციას: ტექსტების თემატური, სემიოტიკური თუ სხვა სახის ანალიზი, დაინტერესებულ სუბიექტთა შორის კომუნიკაციისა და მათზე მოქმედი სოციო-კულტურული კონტექსტის ფაქტორების დაკვირვება და ინტერპრეტაცია და ა.შ.

დისკურსის კრიტიკული ანალიზი ყურადღებას ამახვილებს იმაზე, თუ როგორ არის წარმოდგენილი სოციალური უსამართლობის გამომწვევი და/ან შემანარჩუნებელი დომინანტური ძალა სოციალურ და პოლიტიკურ კონტექსტებში და მათ შესაბამის ტექსტებში. ტექსტი აქ ფართოდ არის

გაგებული, როგორც ობიექტი, რომლის წაკითხვაც შესაძლებელია, დაწყებული ლიტერატურული ტექსტიდან თუ მედია-პროდუქციიდან, დამთავრებული არავერბალური პლაკატით. ანალიზში დავეყრდენით Fairclough-ს მიერ გამოყოფილ დისკურსის ანალიზის სამ ურთიერთგადამფარავ ელემენტს, რომელთაგან თითოეული განსხვავებულ დონეზე არის ფოკუსირებული:

- მიკრო-დონე. აქ ვახდენდით ტექსტუალური მასალის ანალიზს, ყურადღების გამახვილებით ტექსტის სტრუქტურაზე, ენასა და რეპრეზენტაციაზე;
- მეზო-დონე. აქ ვახდენდით *დისკურსული პრაქტიკების* ანალიზს, სადაც ყურადღებას ვამახვილებდით იმაზე, თუ ვის მიერ (ვინ არის „ნარატორი“) და როგორ ხდება ტექსტის შექმნა, გავრცელება და მოხმარება;
- მაკრო-დონე, სადაც ვახდენდით იმ სოციო-კულტურული პრაქტიკების ანალიზს (პოლიტიკური პროცესები, სოციალური განწყობები, კულტურული რიტუალები და ა.შ.), რომელთა კონტექსტშიც ხდებოდა ან ხდება ტექსტის შექმნა, გავრცელება და მოხმარება.

ყოველი შესწავლილი შემთხვევისთვის ვახდენდით მასში ჩართულ სუბიექტებს (სხვადასხვა ჯგუფსა თუ ინსტიტუტს) შორის ძალთა თანაფარდობისა და ამასთან დაკავშირებული შესაძლო უსამართლობის გაანალიზებას; ასევე, ვსწავლობდით ამ ძალთა თანაფარდობის რეპრეზენტაციას სოციალურ და პოლიტიკურ კონტექსტებში (შესაბამის ტექსტებში, კომუნიკაციაში, სოციალურ ინტერაქციებში).

ყოველი კონკრეტული საანალიზო შემთხვევის გარშემო მოპოვებული ბეჭდური და აუდიო-ვიზუალური მასალების ანალიზისას, ჩატარებულ იქნა შემდეგი სამუშაო:

- დაინტერესებულ სუბიექტების ანალიზი;
- დაინტერესებული სუბიექტების გზავნილების თემატური ანალიზი;

- დაინტერესებული სუბიექტების გზავნილების პროცესუალური და ფორმალური მახასიათებლების ანალიზი;
- დაინტერესებული სუბიეტქების გზავნილების სემიოტიკური ანალიზი;
- დაინტერესებულ სუბიექტებს შორის ძალთა თანაფარდობისა და ძალთა ჭიდილის (powerstruggle) ანალიზი;
- სხვადასხვა დაინტერესებული სუბიეტქისთვის ძალაუფლების ხელმისაწვდომობის დონის ანალიზი.

გამოყოფილ დისკურსებზე მსჯელობა და მათი ვალიდიზაცია ხდებოდა კურსის მონაწილე ფსიქიკური ჯანმრთელობის სამაგისტრო საფეხურის სტუდენტების მცირე (4-5 კაციან) ჯგუფებში, შემდგომი პლენარული განხილვით ჩემი, როგორც კურსის ხელმძღვანელის მოდერაციით, კონსენსუსის მიღწევამდე.

4. კვლევის შედეგების მიმოხილვა

4.1.შესავალი

მოცემულ თავში ჩამოყალიბებულია კვლევის შედეგები, რომლებიც შუქს ჰფენს საბჭოთა რეპრესიების ტრავმას (1) ინდივიდუალურ (რეპრესირებული ოჯახის მეორე და მესამე თაობის წარმომადგენლების), (2) ოჯახურ (რეპრესირებულთა ოჯახური სისტემის) და სოციეტალურ (3) დონეზე. ინდივიდუალური და ოჯახური დონის გავლენის თაობაზე გადმოცემულია ჩაღმავებული ინტერვიუების ანალიზის შედეგები, ხოლო სოციეტალურ დონეზე გავლენის თაობაზე გადმოცემულია შემთხვევის ანალიზის შედეგები. რაც შეეხება ჩაღრმავებული ინტერვიუების კვლევის შედეგებს, ისინი დასტრუქტურებულია ერთი მხრივ, თაობების მიხედვით (შედეგები რეპრესირებულთა მეორე თაობაზე და რეპრესირებულთა მესამე თაობაზე) და მეორე მხრივ, თითოეული თაობისათვის, ანალიზის პროცესში იდენტიფიცირებული ძირითადი კოდებისა და ქვეკოდების მიხედვით.

4.2.კვლევის შერჩევის აღწერა

კვლევაში მონაწილეობდა რეპრესირებული ოჯახების მეორე თაობის 13 რესპონდენტი და მესამე თაობის 15 რესპონდენტი. მეორე თაობის 13 რესპონდენტიდან იყო 7 ქალი და 6 მამაკაცი, მესამე თაობის 15 რესპონდეტიდან იყო 7 ქალი და 8 მამაკაცი. კვლევის მომენტში მეორე თაობის რესპონდენტთა საშუალო ასაკია 81 წელი (SD 3.08), მესამე თაობის საშუალო ასაკია 52 წელი (SD 4.87). უკლებლივ ყველა რესპონდენტს ჰქონდა უმაღლესი განათლება. მეორე თაობის რესპონდენტებში შემდეგი პროფესიის ხალხი იყო: 3 ექიმი, 3 ქიმიკოსი, 2 ინჟინერი, 2 ფილოლოგი და ერთი ეკონომისტი, ერთი აგრონომი და ერთი ბიოლოგი. კვლევის მომენტისათვის ყველა იყო საპენსიო ასაკისა და არ მსახურობდნენ. მესამე თაობის რესპონდენტებში იყო: 4 ექიმი, 2

ბიოლოგი, 2 ეკონომისტი, 2 არქიტექტორი, 2 ინჟინერი, 2 ფილოლოგი, 1 იურისტი.

მეორე თაობის რესპონდენტებიდან, ცამეტივეს რეპრესირებული ყავდა მამა. ერთერთ რესპონდენტს, მამასთან ერთად, დაპატიმრებული ყავდა ოჯახის კიდევ ორი წევრი (ბაბუა და მამიდა). რეპრესირებული მამებიდან, 3 იყო პარტიული მუშაკი, 3 - გლეხი, 2 - მეცნიერი, 2 - ინჟინერი, 1 - ექიმი, 1 - მუშა და 1 - მსახიობი. რეპრესიამდე 3 რესპონდენტის ოჯახი ცხოვრობდა სოფლად, ორი - რეგიონულ ცენტრში, ხოლო 8 - თბილისში. გლეხების რეპრესიის ფორმალური მიზეზი იყო „განკულაკება“ (კოლმეურნეობის თავმჯდომარეს, აგრეთვე, დააბრალეს „ტროცკიზმი“ და „მავნებლობა“); ქალაქში მაცხოვრებელთა რეპრესიის ფორმალური მიზეზი იყო „ტროცკიზმი“ და „მავნებლობა“. გადასახლებიდან დაბრუნდა მხოლოდ ერთი მათგანი, დანარჩენი 12 დაიღუპა. აქედან, 3 ოჯახს მაშინვე გაუგზავნეს ოფიციალური შეტყობინება ამის თაობაზე (ერთერთმა ოჯახმა მიიღო, ასევე, მამის სისხლიანი პერანგი, რომელიც მას ეცვა დახვრეტის მომენტში); 4 ოჯახში ეგონათ, რომ მამა გადასახლებული იყო, მაგრამ 50-იანი წლების (ხრუშჩოვის) რეაბილიტაციის პერიოდში გაარკვიეს რომ მათი ოჯახის წევრები დაპატიმრებიდან მალევე დაუხვრეტიათ; 1 ოჯახს რამდენიმე თვეში არაოფრმალურად გააგებინეს, რომ ამანათები აღარ გაეგზავნა, რამდენადაც ოჯახის წევრი უკვე დახვრეტილი იყო. დანარჩენი ოთხი ოჯახის მამები გადასახლებაში გარდაიცვალნენ.

მესამე თაობის თხუთმეტი რესპონდენტიდან იმ 6 რესპონდენტს, რომლებსაც არ ჰქონდათ ნათესაური კავშირი მეორე თაობის რესპონდენტებთან, ჰყავდათ რეპრესიებული შემდეგი ოჯახის წევრები: ორ რესპონდენტს, რომელიც ერთმანეთს და-ძმად ეკუთვნოდა, ჰყავდათ დახვრეტილი ბაბუა დედის მხრიდან, ხოლო ბებია გადასახლებული 10 წლით, მათი დედა იყო 4 წლის როდესაც ეს მოხდა, ხოლო დეიდა 10 წლის და ბავშვები დააშორეს ერთმანეთს და ორი სხვადასხვა ნათესავის ოჯახში

გაიზარდნენ. დანარჩენი 4 რესპონდენტიდან ორს ჰყავდა რეპრესირებული ერთზე მეტი ოჯახის წევრი (ერთ შემთხვევაში ბაბუა და ბიძა დედის მხრიდან, მეორე შემთხვევაში ბაბუა და მისი ორი ძმა). მესამე თაობის ამ ექვსი რესპონდენტის რეპრესირებული ოჯახის წევრებიდან ცოცხალი გადარჩა და გადასახლებიდან დაბრუნდა მხოლოდ ერთი (ზევით ნახსენები და-ძმის ბებია). რეპრესირებულები, საქმიანობის მიხედვით, ამგვარად გადანაწილდა: 4 პედაგოგი, 3 გლეხი, 2 მეცნიერი და 1 ინჟინერი. რეპრესიის მომენტში მათი ბებია-ბაბუების ოჯახებიდან სამი ცხოვრობდა საქართველოს რეგიონებში (ორი - რეგიონულ ცენტრში და ერთი - სოფელში), ხოლო ორი კი თბილისში. თვალსაჩინოებისათვის გთხოვთ იხ. დანართი #2. დანართში რესპონდენტების რიგითი ნომრები არ წარმოადგენს რიგის სკალის მონაცემებს, არამედ წარმოადგენს მათ პირობით აღნიშვნას (სახელებისა და გვარების ნაცვლად, კონფიდენციალობის დაცვის მიზენით).

4.3.რეპრესირებული ოჯახების მეორე თაობის წარმომადგენელთა კვლევის შედეგები

რეპრესირებული ოჯახების მეორე თაობის კვლევის საფუძველზე გამოიყო შემდეგი კოდები:

- რეპრესიების ტრავმასთან დაკავშირებული ოჯახური ატმოსფერო (ქვეკოდები: რეპრესიამდე არსებული ოჯახური ატმოსფეროს გაიდეალება, მამის გაიდეალება, მამის დანაშაულში დაეჭვება, შიში, არარეპრესირებული მშობლის უსუსურად აღქმა, აღზრდის სტილი, პარადოქსული რეაქცია სტალინის გარდაცვალებაზე),
- ტრავმასთან დაკავშირებული სიმპტომატიკა (ქვეკოდები: ზესიფხიზლე, განრიდება, ტრავმული იდენტობა),

- სოციალური გარემოცვის დამოკიდებულების აღქმა (ქვეკოდები: მტრული და მასტიგმატიზებელი, მეგობრული და მხარდამჭერი, შიშით დატვირთული და განრიდებითი),
- დაძლევის სტრატეგიები (ქვეკოდები: ტოტალიტარულ სისტემაში ინტერგაცია, ტოტალიტარული სისტემისგან ფარული სულიერი გამიჯვნა, კარგი სწავლა, პროფესიის არჩევანი და პროფესიული დახელოვნება, შეუმჩნევლად დარჩენის მცდელობა, ქორწინება, სოციალური მხარდაჭერის აღქმა, მიგრაცია რეგიონიდან დედაქალაქში, რეპრესიებში საზრისის ჩადება, რეაბილიტაციისა და სამართლიანობის ძიება).

ქვემოთ გადმოცემულია კვლევის შედეგები ამ იდენტიფიცირებული კოდების მიხედვით.

4.3.1. რეპრესიების ტრავმასთან დაკავშირებული ოჯახური ატმოსფერო

რეპრესიებამდე არსებული ოჯახური ატმოსფეროს გაიდეალება. რეპრესიამდე, გამონაკლისის გარეშე, რესპონდენტები აღწერენ ოჯახურ ატმოსფეროს, როგორც იდეალურს:

„რეპრესიებამდე ძალიან ბედნიერი ვიყავით...მამა, დედა...არაჩვეულებრივი ოჯახი იყო, მუსიკალური, განათლებული...“ (რესპ. 13, 85 წლის, მდედრ);

„რეპრესიებამდე?.. დაკარგული სამოთხე, ხომ გინახავს კინო?.. აი ეს იყო, ფილმის შინაარსი კი არა, სათაური - სამოთხეში ვიყავი და დავკარგე მამას დაჭერასთან ერთად, ყველაფერი შეიცვალა მერე.“(რესპ. 1, 85 წლის, მდედრ.);

„ჩემი ოჯახი ყველაზე კარგად ცხოვრობდა სოფელში, მატერიალურადაც და... აი, ბედნიერი ოჯახი, ძალიან!“(რესპ.9, 77 წლის).

მამის გაიდეალება. ანალოგიურად აიდეალებენ რესპონდენტები რეპრესირებული მამების ხატს:

„მამაჩემი ისეთი პიროვნება იყო, ყველა იცნობდა, ყველას პატრონობდა, ყველა აფასებდა“(რესპ. 3, 78 წლის, მდედრ);

„ძალიან კარგი მამა იყო, ნუ აი ჩემ დას ძალიან დიდი სიტკბო ახსოვს... ეს კარიერა თვითონ, თავისით მიაღწია... ნუ აი მაშინ რუსული იყო და აი წერილებს ნახავთ რანაირი რუსული იცის... იცოდა.“ (რესპ. 11, 77 წლის, მდედრ.);

„ღირსეული კაცი იყო მამაჩემი, მშრომელი, კარგი კაცი. ყველაფერი ეხერხებოდა. აი რომ იტყვიან - სოლ ზემლიო (ქართულად - „მიწის მარილი“, დ.ჯ.), ასეთი კაცი.“(რესპ. 8, 84 წლის, მამრ.).

მამის დანაშაულში დაეჭვება. მამის გაიდეალების პარალელურად, მეორე თაობის არც ერთი რესპონდენტი რეაბილიტაციამდე არ იყო დარწმუნებული მამის უდანაშაულობაში:

*„**რესპ**: - დედაჩემი ყოველთვის ამბობდა, რომ არ იყო დასაჭერი, უდანაშაულო არიო, ძალიან უსამართლობაა. **ინტ**: - თქვენ რას ფიქრობდით ამაზე? **რესპ**: - რა ვიცი აბა, რას ვიფიქრებდი... სკოლაში მავნებლის შვილი მერქვა და... ბავშვი ვიყავი, მეეჭვებოდა მაინც. მერე, რეაბილიტაცია რომ იყო, მოგვცეს საბუთი - შეგვეშალა, არ იყო დამნაშავეო... ისე განვიცადე, თითქოს მეორედ მომიკლეს მამა. თან, ჩემს თავზე გავბრაზდი, ჩემს ეჭვებზე.“* (რესპ. 2, 80 წლის, მდედრ.).

შიში. რესპონდენტები, ოჯახური ატმოსფეროს აღწერისას, ამახვილებდნენ ყურადღებას შიშის ატმოსფეროზე, რომელიც მუდმივად სუფევდა ოჯახში:

„შიშის ფაქტორი იყო საშინელება, (დედას, დ.ჯ.) სუ ეჩვენებოდა რო კედლებსაც კი ესმოდა რაღაცა...“(რესპ.11, 77 წლის);

„საერთოდ, საშიშროებაში ვიზრდებოდით... დედას პატარა ჩემოდანი ბელიოთი [საცვლები, დ.ჯ.] სულ გამზადებული ჰქონდა, ჩვენც ბავშვებმა ეს ვიცოდით და სულ გვეშინოდა ყველაფრის: რომ დედას დავკარგავდით და მოკლედ, ნულარ იტყვი, ეს სიმწარე მახსოვს ბავშობიდან.“ (რესპ. 3, 78 წლის, მდედრ).

მშობლის უსუსურად აღქმა. რეპრესიას გადარჩენილი მშობლები (დედები), რესპონდენტების მხრიდან აღქმული იყვენენ როგორც სუსტი, უსუსური:

„ყველაფრის ეშინოდა და ჩვენც გვაშინებდა, გვაშეშებდა - ის არ ქნათ, ეს არ ქნათ, ის არ თქვათ, ეს არ თქვათ, იქ არ წახვიდეთ, მოკლედ... გამჯდარი გვქონდა ეს შიში, ძვალში და ტყავში...საშინელება იყო შიში...“ (რესპ.1, 85, მდედრ).

დედის უსუსურობის ილუსტრაციად რესპონდენტები, ასევე, იხსენებდნენ დედების ფსიქოსომატურ (თავის ტკივილები), სომატურ (გულსისხლძარღვთა დაავადებები, სიმსივნე) და ფსიქიკური ჯანმრთელობის (დეპრესია, შფოთვა) პრობლემებს:

„დედა ძალიან მშიშარა იყო და კიდევაც დაავადდა, თავის თავზე იწვნია ეს ყველაფერი... პირველი ინფარქტი გადაიტანა მერვე კლასში რო ვიყავი... მეათე კლასში რო ვიყავი მეორე ინფარქტი მოუვიდა და წარმოიდგინე ბავშვები დროს ატარებენ და მე ამ დროს ვზივარ სახლში და ხან ხელში რამდენჯერ კინაღამ ჩამაკვდა, ძალიან მძიმე ეს გადავიტანე ბავშვობაში.“ (რესპ.11, 77, მდედრ.).

დედის ფსიქიკური ჯანმრთელობის სიმპტომებს შორის (შფოთვა, დეპრესია), რესპონდენტები მკაფიოდ აღწერენ ტრავმისთვის დამახასიათებელ ზესიფხიზლეს, რომელიც დაკავშირებული იყო ოჯახის რეპრესირებული წევრის ღამის საათებში დაჭერის გამოცდილებასთან:

„80 წლის იყო რომ გარდაიცვალა (დედა, დ.ჯ.) და მთელი ცხოვრება ოთხამდე არ წვებოდა, მერე წვებოდა, შეჩვეული იყო. დასაჭერად მოდიოდნენ ხოლმე ოთხამდე და ჯერ ერთი, ელოდა თავის დაპატიმრებასაც ქმრის მერე. ეს გაყვა 80 წლამდე, ლოგინად ჩავარდა და მაინც დილის ოთხამდე ვერ იძინებდა.“(რესპ.10, 83, მდედრ.).

აღზრდის სტილი. აღზრდის სტილის თაობაზე, რესპონდენტთა ნარატივებიდან შესაძლოა გამოიყოს სამი შემდეგი ტიპი:

<u>*დედა, როგორც ავტორიტარული ლიდერი და მისი ძლიერად აღქმა*</u>. რესპონდენტები აღწერენ, თუ როგორ ლიდერობდა დედა სახლში, იმ ფონზე, რომ შვილ(ებ)ი მას ემორჩილებოდნენ:

„ვინ იღებდა და რასაკვირველია ის (დედა) იღებდა გადაწყვეტილებებს, ჩემ პატარაობაში და მერეც... ცდილობდა მაინც. მეზობელი მყავდა, სომეხი ბიჭი, კომუნალურში არ ვცხოვრობდით, მეუბნებოდა უკვე მერე, სტუდენტობაში, ტი ოტდიხაი, ზა ტებია მამა პოდუმაეტო [შენ დაისვენე, შენს მაგვირად დედა იფიქრებს, დ.ჯ.]. ხუმრობდა, რასაკვირველია.“ (რესპ.1, 85 წლის);

„დედა ოჯახის პატრიარქი გახდა, ყველა მაგასთან დადიოდა ჭკუის საკითხველად, ჩვენცა და ჩვენი ნათესავებიც, ეგენი უკვე მერე [იგულისხმება, სტალინის გარდაცვალების მერე, დ.ჯ.]... ბიძაშვილმა, ცოლის მოყვანა რომ უნდოდა, ჯერ დედაჩემს ანახა...“(რესპ.8, 84 წლის, მამრ).

დედის ლიდერობას და თავის სრულ მორჩილებას აღწერდნენ ის რესპონდენტებიც, ვინც ხაზგასმით საუბრობდა დედის უსუსურობასა და დავრდომილობაზე:

„ყველაფერს ის (დედა, დ.ჯ.) წყვეტდა, ისე კაციც ეგ იყო და ქალიც, სხვა გამოსავალი არ იყო...“(რესპ. 11, 77 წლის, მდედრ);

„გადაწყვეტილებებს დედა იღებდა....მე ძალიან თვინიერი ვიყავი, ზრდილობიანი, არავითარ პრობლემებს არ ვუქმნიდი“ (რესპ.10, 83 წლის, მდედრ).

რესპონდენტები, ასევე, ხაზს უსვამენ დედების დიდ შრომისუნარიანობას, და გამძლეობას:

„დილიდან ღამემდე შრომობდა - კერვა ეხერხებოდა და მთელი ქუჩა მერე მაგასთან მოდიოდა შესაკერად, სახლის საქმეს გვიან ღამე იწყებდა ხოლმე, 2-3 საათზე“. (რესპ. 1, 85 წლის);

„დედაჩემი თორმეტ-საათობით მუშაობდა, რამენაირად რომ გამოვეკვებეთ.“(რესპ. 9, 77 წლის, მამრ.).

<u>*ზემეურვეობა*</u>. რამდენადაც ოჯახში გადაწყვეტილებებს დედები იღებდნენ, რესპოდენტთა ინფორმაციით, მათ დედები კარნახობდნენ, რისი გაკეთება შეიძლებოდა და რისი არა, უზღუდავდნენ თავისუფლებას, უწესებდნენ ლიმიტებს:

„დედას სიტყვა იყო კანონი. ბიჭები ვიყავით და უნდა შევეზღუდეთ, აბა რა. ზოგჯერ კი ზედმეტად გვზღუდავდა თუ გვაკონტროლებდა... მაგრამ ჩვენ ვუჯერებდით. მისი რიდი გვქონდა. არ გვინდოდა რომ ზედმეტად ენერვიულა.“(რესპ. 8, 84 წლის, მამრ.).

დედის მითითებების შესრულება უფრო ხშირად ხდებოდა იმ მოტივით, რომ მას შფოთვის საბაბი არ მიმატებოდა:

„ჩემი კლასელები დადიოდნენ აქეთ-იქეთ, მე კიდე დედა არ მიშვებდა არსად, ნერვიულობდა, უკვე აღარც ვეუბნებოდი ხოლმე თუ სადმე წასვლა მინდოდა, ვიცოდი რასაც მიპასუხებდა, აღარ ვუშლიდი ნერვებს. ამიტომ იყო ალბათ რომ ადრე გავთხოვდი, დავიღალე, რა, ჩემი ცხოვრება მინდოდა.“(რესპ. 2, 80 წლის, მდედრ.);

<u>*შვილის პარენტიზაცია*</u>. ზემეურვეობის ფონზე, რესპონდენტები აღნიშნავენ მშობლის როლის ნაწილობრივ აღებას თავის თავზე:

„დედაჩემმა საცოდავმა... მე დედაჩემი ჯანმრთელი არ მახსოვს. სკოლის მოწაფე ვიყავი მეხუთე კლასელი, უკვე რომ ნემსებს ვუკეთებდი, ყოველდღე გულის ნემსი სჭირდებოდა.“(რესპ. 11, 77 წლის, მდედრ);

„თოთხმეტი წლიდან რაც შემეძლო ვმუშაობდი, ხან რაზე და ხან რაზე, თან ვსწავლობდი. ოჯახში მარჩენალი აღარ გვყავდა და დედას მხარში ვუდგებოდი, მამაჩემის მაგივრობას ვწევდი, მქონდა პასუხისმგებლობა, პასუხისმგებლიანი ვიყავი.“(რესპ. 4, 84 წლის, მამრ.);

„ჩვენ სულ დედაზე ვდარდობდით, დედამ ასე არ გააკეთოს, არაჩვეულებრივი მოსიყვარულე და მზრუნველი შვილები ვიყავით, გადაყოლილები ვიყავით. ჩვენთვის იყო დედა, ნუ ჩვენთვის იყო დედა აააა...“ (რესპ. 13, 85 წლის, მდედრ.).

პარადოქსული რეაქცია სტალინის გარდაცვალებაზე. სტალინის გარდაცვალებას ყველა რესპონდენტი გამოყოფს, როგორც მნიშვნელოვან მომენტს ოჯახის ცხოვრებაში, რომელზე რეაქციაც თავად რესპონდენტების გაკვირვებას იწვევდა და მთელი ცხოვრების მანძილზე კითხვის ნიშანი დაუტოვა. ერთი მხრივ, რესპონდენტები აღნიშნავდნენ ერთგვარი განთავისუფლების განცდას დაკავშირებულს სტალინის სიკვდილთან; მეორე მხრივ - გლოვის რეაქციებს:

„მთავარი ის იყო, რომ ერთი გოგო იყო ჩემი კლასელი, რომლის მშობელიც იყო გადასახლებული და მთელი კლასი ტიროდა და ჩვენც ვტიროდით, მე და ის გოგო, სტალინი რო გარდაიცვალა, და მერე გამომხედა ესე, ჩუმად და მეკითხება „ჩვენო რა გვატირებსო? აგვივარდა ხარხარი ორივეს და აი თან რო ტირიხარ და თან რო იცინი და თან რო გეშინია, რო არ დაინახოს ვინმემ. ეს 53 კიდე ესე იყო ეს. მე კი არა, დედაჩემიც ტიროდა...“(რესპ.11, 77 წლის, მდედრ.).

რესპონდენტი (რამდენიმე სხვა რესპონდენტის მსგავსად) ამ პარადოქსის ახსნას შეეცადა სტალინის ხატის შემოჭრით (intrusion) მათ ცხოვრებაში:

*„...**ინტერვიუერი (ინტ.)**: - რაზე ტიროდით? **რესპონდენტი (რესპ.)**: - არ ვიცი, არ ვიცი ეს რა იყო... რას ამბობ, დილა სტალინით იწყებოდა და ღამე სტალინით მთავრდებოდა, სიმღერა იყო, თუ ცეკვა იყო ყველაფერი მაგისადმი იყო მიძღვნილი. საშინელება იყო! - **ინტ**: და ისე, მართლა განიცადეთ ამ ადამიანის გარდაცვალება? **რესპ**: - არა ეხლა, რო ჩავუკვირდი, აი სასაცილოდაც არ მეყო. და ისე გულით, გულით ვტიროდი!"* (რესპ.11, 77 წლის, მდედრ.).

სტალინის ხატის ინთრუზიულობაზე საუბრობენ სხვა რესპონდენტებიც:

„მამაჩემი ყვებოდა, მამაჩემის მამიდაშვილი მოვიდა სახლში, 30–იანი წლებია, ჰოდა აბა რა გასწავლესო, რაო და მამა და მარჩენალიო ჩემიო არისო სტალინიო, ის გვაჭმევსო, ის გვასმევსო. აბა დედაშენიო, მე წელებზე ფეხს ვიდგამო და მე გაჭმევო და სტალინი გაჭმევსო?.. წაუთაქა – ასე იყო, ასე ზრდიდნენ.“ (რესპ. 19, 62 წლის, მამრ.).

4.3.2. ტრავმასთან დაკავშირებული სიმტომები

ზესიფხიზლე. ზოგიერთი მეორე თაობის რესპონდენტი აღწერს საკუთარ შიშსა და ზესიფხიზლეს, რასაც განიცდიდა არა მარტო რეპრესიის უშუალოდ შემდგომ, არამედ მთელი ცხოვრების მანძილზე:

„დღესაც, ღამე თუ მანქანა ჩერდება ჩემი ფანჯრების წინ, მეღვიძება, დაბარებულივით, და პანიკაში ვვარდები!“(რესპ.1, 85 წლის, მდედრ.).

რესპონდენტების ნაწილი აღწერს ღამე ღვიძილს, როგორც ოჯახური ცხოვრების სტილს, უკვე რეპრესიების შემდგომ:

„ჩვენ, პრაქტიკულად, ღამის საათებში ვაკეთებთ ყველაფერს - ღამის 10-11 საათისთვის ვსადილობთ, საქმეებიც ხომ გასაკეთებელია, მოკლედ ღამის 3

საათისთვის თუ მივდივართ ხოლმე საწოლში, ეს კიდე ადრეა, ზოგჯერ უფრო გვიანაც“. (რესპ.2, 80 წლის, მდედრ).

განრიდება. რესპონდენტები აღწერენ განრიდების სპეციფიკურ ფორმას რეპრესიების პერიოდში, დაკავშირებულს რეპრესირებულების მიმართ სტიგმასა და, თვითსტიგმასთან:

„ერთი რუსულის მასწავლებელი მყავდა (სკოლაში, დ.ჯ.), რომელიც მამას იცნობდა და ის ძალიან მპატრონობდა, რომ გაიგო რო მე მისი შვილი ვარ, ის ძალიან დიდი ყურადღებით იყო, მაგრამ ისე აკეთებდა ამას, რომ სხვას არ შეემჩნია... ვგრძნობდი და მეც არ მივდიოდი მასთან, რომ არ შევაწუხო მეთქი... ვგრძნობდი, მე არ უნდა მივკარებოდი ზოგიერთს.“ (რესპ.13, 85 წლის, მდედრ.);

„დედასთან ერთად რომ მივდიოდი, დედა მეტყოდა, მოდი ისე გავაკეთოთ, იქით წავიდეთ და იქით გადასასვლელით გავიაროთ, რომ ის კაცი არ ჩავაყენოთ ცუდ მდგომარეობაშიო, ეს წესიერი კაცია, ერიდება არ მოგვესალმოსო“ (რესპ.10, 83 წლის, მდედრ.).

ტრავმული რეაქციები იდენტობის დონეზე. აქ რესპონდენტების საუბრიდან, შესაძლოა გამოიყოს რეაქციების სამი ტიპი: ნარცისტული ტიპის რეაგირება იდენტობის დონეზე, ბრალეულობის განცდა და იდენტობის ძიების „შავ-თეთრი“ სტრატეგია:

<u>*იდენტობის დონეზე ნარცისტული რეაგირება.*</u> ამ შემთხვევაში, რესპონდენტები საუბრობენ სიმაყისა და გამორჩეულობის განცდებზე, რომელიც გაუჩნდათ ოჯახის წევრის რეპრესიასთან დაკავშირებით:

„ახალგაზრდობაში მე მქონდა ჩემი საიმაყე, აბა რა - საუკეთესოებს სპობდნენ, ამიტომ მოსპეს მამაჩემიც. ვინც აზროვნებდა, ნასწავლი იყო, მამულზე გული სტკიოდა. წესიერი ხალხი. მე და ჩემი ოჯახიც ამათში ვიყავით... არავისთან ვამჟღავნებდი, რა თქმა უნდა, მაგრამ ჩუმად, ჩემთვის, ვამაყობდი!“ (რესპ. 5, 84 წლის, მამრ.).

<u>თვით-სტიგმა და ბრალეულობის განცდა.</u> რესპონდენტთა ნაწილმა გამოავლინა თვითსტიგმა და ბრალეულობის განცდა, რომელიც გარშემომყოფთა მასტიგმატიზებელი დამოკიდებულებით იყო გამოწვეული:

*„**რესპ**: - ტრავმირებული ვიყავი მთელი ცხოვრება, კაცო, თითქოს მე ჩამედინა რაღაცა. **ინტ**: - დანაშაულის განცდასავით გქონდათ? **რესპ**: - ხოო! ნუ, ყველა, ამრეზილად გიყურებდა ეხლა რაა... მარა ჩემს ასაკთან [ერთად, დ.ჯ.] ეს უკვე ნელ-ნელა გადადიოდა“ (რესპ. 11, 77 წლის, მდედრ.).*

<u>იდენტობის ძიების „შავ-თეთრი“ სტრატეგია.</u> ზოგიერთმა რესპონდენტმა ისაუბრა თვითგამორკვევის პრობლემაზე, რომელიც განპირობებული იყო „ხალხის მტრის“ იარლიყით და გამოხატული იყო შეკითხვით, თუ ვისთვის უნდა მიეკუთვნებინა თავი - „კარგებისათვის“ თუ „ცუდებისათვის“:

„მამიდა რომ ჩამოვიდა [გადასახლებიდან, დ.ჯ.] იძულებული ვიყავი ამ საკითხზე მეფიქრა, 11 წლის ვიყავი ალბათ, დავიწყე ამაზე ფიქრი, იმიტომ რომ საზოგადოება იყო გაყოფილი, მტრის ოჯახში ვარ თუ მოყვრის, ღრმად დავფიქრდი უფრო ვიდრე სხვა, ვისაც ეს არ შეხებია. ეს პრობლემა მაწუხებდა.“ (რესპ.12, 78 წლის, მდედრ.).

4.3.3. სოციალური გარემოცვის დამოკიდებულების აღქმა

ყველა რესპონდენტმა მკაფიოდ აღნიშნა როგორც ცუდი, ასევე კარგი დამოკიდებულების არსებობა; ასევე, დამოკიდებულებისა, რომელიც რეჟიმის შიშით იყო განპირობებული და რეპრესირებულების დავიწყებასა და მათი ოჯახისგან მორიდებაზე იყო ორიენტირებული.

მტრული და მასტიგმატიზებელი დამოკიდებულება. რესპონდენტები სხვადასხვა სოციალური კონტექსტიდან იხსენებდნენ მტრული დამოკიდებულების მაგალითებს, სტიგმას „ხალხის მტრის შვილი“,

„ტროცკისტის შვილი“, „მავნებლის შვილი“, „ანტისაბჭოთა ელემენტი“. ზოგისთვის პირველი ასეთი გამოცდილება სამეზობლოში იწყებოდა:

„მავნებლის ოჯახს გვეძახდნენ, ხან ჩვენი ეზოს ნაწილის მიტაცება უნდოდათ და ხან რა...“ რესპ. 9, 77 წლის, მამრ.).

ასეთი გამოცდილება რესპონდენტებს სკოლაშიც ხვდებოდა:

„ხალხის მტრის შვილებს გვეძახდნენ, ხუთნი ვიყავით ასეთი...“ (რესპ 1, 85 წლის, მდედრ.).

ის რესპონდენტები, რომელთა ოჯახებიც რეპრესიების მომენტში საქართველოს რეგიონებში ცხოვრობდნენ, დედაქალაქში მაცხოვრებელ რესპონდენტებტან შედარებით, სკოლაში პედაგოგებისგან უფრო მეტ ჩაგვრას იხსენებენ.

რესპონდენტების ნაწილმა გაგვიზიარა, თუ როგორ უშლიდა „ხალხის მტრის“ სტიგმა სასურველი პროფესიის არჩევანში:

*„**რესპ**: მუსიკის ნიჭი მქონდა, 14 წლისა ვიყავი და ენკავედეს თანამშრომლების მიმართ მიძღვნილ კონცერტზე უნდა დამეკრა. კონცერტის წინ მოვიდნენ ჩემთან და მითხრეს: შენ ამ კონცერტზე ვერ გამოხვალ, ხალხის მტრის შვილი ხარო. - **ინტ**: ამან იმოქმედა რამენარიად თქვენს ცხოვრებაზე? - **რესპ**: მივხვდი, რომ ამ სარბიელზე ბევრი რამე ჩემზე არ იქნებოდა დამოკიდებული და გული ავიცრუე. მერე ექიმობაზე ვფიქრობდი. მაგრამ ესეც ვერ ავასრულე. - **ინტ**: რამ შეგიშალათ ხელი? - **რესპ**: ჩემი კლასელის მამამ დამიბარა სალაპარაკოდ, მთხოვა - ვიცი, რომ ექიმობა გინდა, მაგრამ თუ ჩემი ხათრი გაქვს, არ ჩააბარო სამედიცინოზე, ჩემს შვილს გზას ნუ გადაურბენო... მისი შვილიც ექიმობას აპირებდა და კონკურენტი არ უნდოდა, ეტყობა. შენ ისეთი ნიჭიერი ხარ, სადაც არ წახვალ ყველაფერი გამოგივაო. მამა არა მყავდა, ვინმეს რომ შეშურვებოდა, ადვილი მოსაცელი ვიყავი, მამაჩემიც შურის გამო არ მოიცილეს?.. ხოდა, პირობა მივეცი - არ იდარდო, სხვაგან ჩავაბარებ-თქო. ბოლოს იქ ჩავაბარე, სადაც იქით იხვეწებოდნენ, წამოდიო - სამთო*

საინჟინროზე, მიწისქვეშეთში ჩავედი [რესპონდენტი იცინის, დ.ჯ.]. თანაც, გვიჭირდა ძალიან და მეშახტეებს კარგი ხელფასები ჰქონდათ." (რესპ. 8, 84 წლის, მამრ.).

რესპონდენტთა ნაწილისთვის სტიგმა სამუშაოს ძიებისას ან სამუშაო ადგილებზე იჩენდა თავს:

„ტროცკისტის შვილი. გაჭერი-გამოჭერი, მონიშნული ვიყავი ბავშვობიდან... არც სამსახურში დავიწყნიათ... ბევრი ვერაფერი დამაკლეს, მაგრამ საზღვარგარეთ არ გამიშვეს, სანდო არა ხარო. ჩემი მშობლები არ მოეწონათ." (რესპ. 6, 79 წლის, მამრ).

მეგობრული და მხარდამჭერი. პარალელურად მტრული დამოკიდებულებისა, რესპონდენტები საუბრობენ იმ თანადგომაზე, რომელსაც უწევდა მათი სოციალური გარემოცვის ნაწილი:

„საშინელ მდგომარეობაში ვიყავით, მიუხედავად ამისა... მაშინ ისეთი დრო იყოო! რას ქვია ისეთი დრო იყო, ის დრო იმათი [გარემომცველი ხალხის, დ.ჯ.] შექმნილი არ იყო?.. იმ დროს ცხოვრობდა ისეთი ხალხიც, ვინც გვერდში გვედგა" (რესპ. 10, 83 წლის, მდედრ.).

ამ თანადგომას კრიტიკული მნიშვნელობა ჰქონდა, რესპონდენტების თანახმად, მათი გადარჩენისთვის:

„მე რო ავად გავხდი, აი ამ კლასელებმა შეაგროვეს ფული, დედა უკან აძლევდა იმიტორო ისეთი პერიოდი იყო მაშინ, დაუბრუნა. მარა მერე დამრიგებელი მოვიდა და თქვა - გულს ნუ გაუტეხავთ ამ ბავშვებს, ძალიან გთხოვთ მიიღეთ ეს ფული და ორმა გოგონამ, მამამისი ქარხანაში მუშაობდა და, მოიტანა 30 ლიტრა ყურძნის წვენი, რო მე დამელია... აი ასეთი ყურადღებიანი [იყვნენ, დ.ჯ.] და დღემდე ვმეგობრობთ, ნუ, ვინც დავრჩით ამხანაგები დღემდე ვმეგობრობთ. " (რესპ.13, 83 წლის, მდედრ.).

შიშით დატვირთული და განრიდებითი. რესპონდენტების ინფორმაციით, რეპრესირებულთა ოჯახების მთელი რიგი ნათესავებისა და ნაცნობ-მეგობრებისა ცდილობდნენ მათთან დისტანციის დაჭერას:

„ქუჩაში ზოგი ნაცნობი, ახლობელი გამარჯობას აღარ ამბობდა, ეშინოდა ხალხს“ (რესპ.10, 83, მდედრ.);

„ნათესავები არავინ არ მოდიოდა, ყველა ერიდებოდა... ერთი დეიდაშვილი მყავდა, რომელმაც შეინარჩუნა ბოლომდე და ის მოდიოდა, თავისი ძმა არ მოდიოდა... ბიძაჩემს კიდე მამაჩემის სურათები, ძმის სურათები, მამაჩემის სახე წაშლილი ჰქონდათ. ეგ რო ვნახე ბიძაჩემთან პირველად, აი, ისე მეწყინა და ის დღე იყო და შევიჯავრე ბიძაჩემი.“ (რესპ. 11, 77 წლის, მდედრ.).

4.3.4. აღდგენისუნარიანობის სტრატეგიები

ტოტალიტარულ სისტემაში ინტერგაცია. უკლებლივ ყველა რესპონდენტმა დაახასიათა ტოტალიტარულ სისტემაში ინტეგრაცია, როგორც ერთერთი წამყვანი ადაპტაციის სტრატეგია. კონკრეტულად, რესპონდენტები საუბრობდნენ მათ გულწრფელ სურვილზე გამხდარიყვნენ პიონერები, კომკავშირლები, ყოფილიყვნენ ისეთი და ეცხოვრათ ისე, „როგორც ყველა“:

*„**რესპ**: მე კომკავშირში მიმიღეს პირველ კურსზე. ბავშვი რო ვიყავი, ხო განვიცდი, რომ ყველა იყო კომკავშირელი და მე არ ვიყავი. რა სასიამოვნო იყო აბა ეგა. რაღაცით ესე იგი, გამომარჩიეს ცუდში, არადა კარგად ვსწავლობდი და თუ ვინმეს მიიღებდნენ, მეც უნდა მივეღე. **ინტ**: ვინმემ თუ აგიხსნათ რატომ არ მიგიღეს? **რესპ**: სხვათაშორის მახსოვს, რომ დამიბარეს რაიკომში. კარგი მოსწავლეები გაგვიშვეს, ორი თუ სამი, ვინც ყველაზე კარგად სწავლობდა, გაგვიშვეს სკოლამ, რეკომენდაციას სკოლა აძლევდა ხოლმე, და რაიკომში რო შევედი, იმ მდივანთან რა შემეკითხეს კი არ მახსოვს და გამომიშვეს იმ ოთახიდან, რა თქმა უნდა, 7-8 ბავშვი ვიყავით და ნაწყენი*

გამოვედი. იმგენმა [კომკავშირის რაიონულ კომიტეტში, დ.ჯ.] ყველაფერი იცოდნენ. " (რესპ.11, 77, მდედრ.).

უკვე ზრდასრულობის ასაკში, სისტემაში ინტეგრაცია თავს იჩენდა კომუნისტურ პარტიაში შესვლით:

„ეს წინსვლის შესაძლებობა იყო და მინდოდა, რასაკვირველია. შევედი პარტიაში ამიტომ, რომ წინსვლა მქონოდა. ახლა რომ ვთქვა რომ მჯეროდაო - მოვიტყუები. მაგრამ უმაგისოდ წინ ვერ წავიდოდი და..." (რესპ. 6, 79 წლის, მამრ.).

ცამეტი მეორე თაობის რესპონდენტიდან, 6 კომპარტიის ყოფილი წევრია.

ტოტალიტარული სისტემისგან ფარული სულიერი გამიჯვნა. სისტემაში ინტეგრაციის ტენდენციის პარალელურად, რესპონდენტები საუბრობენ იმაზე, რომ ფარულად, მათ ოჯახებში ლოცულობდნენ, ანთებდნენ ხატებთან სანთლებს, ღებავდნენ სააღდგომო კვერცხებს, ვინც ბედავდა - დადიოდნენ ეკლესიაში, და ეს გარკვეულად ეხმარებოდა რეპრესიებთან დაკავშირებული ემოციების მართვაში, უსაფრთხოების დაზიანებული განცდის რეანიმაციაში:

„ეგ რომ არ ყოფილიყო, რა ვიცი, ალბათ კიდე უფრო ძნელი იქნებოდა, რაღაცნაირად შვებას მაძლევდა მეცა და დედაჩემსაც... იმას, მართალია, ეშინოდა ეკლესიაში სიარულის - არ შემამჩნიონო და არ დავიღუპოთო, მაგრამ მე შეუმჩნევლად შევდიოდი ხოლმე ეკლესიაში, ვლოცულობდი. ის სახლში ანთებდა სანთელს" (რესპ.1, 85 წლის, მდედრ.);

„კვერცხებს რა თქმა უნდა ვღებავდით ყველასგან უჩუმრად, ეკლესიაშიც შევდიოდი, სანთელსაც ვანთებდით ჩუმად სახლში... აი დედაჩემი ასე ჩუმად ანთებდა ხოლმე სანთელს, ლოცულობდა და ერთი ხატი დედაჩემის დროინდელი ეხლაც მაქვს შემორჩენილი. და კვერცხებსაც ვღებავდით. ხოო, და ეკლესიაში არ დადიოდა, იმიტორო ეშინოდა" (რესპ. 11, 77 წლის, მდედრ.).

კარგად სწავლა. განათლება და სწავლა, როგორც მნიშვნელოვანი სტრატეგია, მშობლებიდან იღებდა სათავეს:

„მახსოვს მამაჩემი... რატო დამამახსოვრდა: თეთრი საროჩკა [ხალათი, დ.ჯ.] ეცვა და ამავე ფერის სახე ჰქონდა. გათეთრდა სულ და, ფერმკთალი, და ერთადერთი მახსოვს: დაეჩოქა დედას და შემოეხვია და უთხრა, ძალო, ძალიან გთხოვ ბავშვებს ინსტიტუტი, როგორმე გააკეთე ეს, როგორმე გააკეთე, რომ განათლება მისცე.. და დედამ მისცა ფიცი - აუცილებლად გავაკეთებ ამას, თუნდაც სიცოცხლის ფასადო..“ (რესპ. 13, 85 წლის, მდედრ.).

მეორე თაობის ცამეტი რესპონდენტიდან, ოთხმა სკოლა ოქროს მედლით დაამთავრა. ყველა რესპონდენტი ხაზს უსვამდა სწავლის მნიშვნელობას:

„ვიცოდი რომ ჩემი ცოდნის და მიღწევის იმედზე უნდა ვყოფილიყავი. თითით საჩვენებელი ვიყავი. ისე უნდა ისწავლოთ, როგორც ამანო [რესპონდენტმა, დ.ჯ.], აი ასე ამბობდნენ... სულ ხუთებზე ვსწავლობდი.“ (რესპ. 2, 83 წლის, მდედრ.).

პროფესიის არჩევა და პროფესიული დახელოვნება. პროფესიის არჩევისას რეპრესირებულთა პირველი თაობის წარმომადგენლები (გადასახლებული მამა, რეპრესიას გადარჩენილი დედა) დაჟინებით ურჩევდნენ მეორე თაობის წარმომადგენლებს ისეთი პროფესიის არჩევას, რომელიც იმ შემთხვევაშიც გაატანინებდა თავს, თუ მათაც დაიჭერდნენ და გადაასახლებდნენ:

„მე ისტორიკოსობა მინდოდა, მაგრამ მამაჩემი გადასახლებიდან გვწერდა წერილებს - მე აქ ექიმობამ გამატანინა თავი, და შენც აუცილებლად საექიმოზე ჩააბარეო... ხოდა წავედი სამედიცინოზე, მედალი კი მქონდა და გამოცდები არა მქონდა ჩასაბარებელი.“ (რესპ. 1, 85 წლის, მდედრ.).

მეორე თაობაში ექიმის პროფესიისადმი უპირატესობის მინიჭების ტენდენციის ვალიდიზაცია მესამე თაობის რესპონდენტების მონათხრობიდანაც მოხდა:

„მას [დედას, მეორე თაობის წარმომადგენელს, დ.ჯ.] სამედიცინოზე ჩაბარება უნდოდა და არ მიიღეს, როგორც ხალხის მტრის შვილი. ხუთოსანი იყო, მაგრამ არ მიიღეს, როგორც ხალხის მტრის შვილი... კი არადა, აკვიატებული ჰქონდა, მეც და ჩემს დასაც უნდოდა, რომ სამედიცინოზე ჩაგვებარებინა, ვერ გავუმართლეთ იმედები, ერთადერთი ექიმი ქმარი შეხვდა.“ (რესპ. 16, 48 წლის, მამრ.).

რა პროფესიაც არ უნდა აერჩიათ მეორე თაობის რესპონდენტებს, ისინი საუბრობდნენ თავის პროფესიაში დახელოვნების გამოცდილებასა და აუცილებლობაზე:

„სადაც არ უნდა ვყოფილიყავი, ვიცოდი რომ ბევრი უნდა მეშრომა. ახლა, მე სხვებისთვის უნდა მეჯობნა - არ ვიყავით ერთნაირ პირობებში - „ხალხის მტრის შვილი“ ვიყავი. ექიმიც კარგი გამოვედი, სხვანაირად არც შემეძლო. რამდენი ადამიანი გადამირჩენია, მაშინ სად იყო მონიტორები, ავადმყოფებს ცოცხალ მონიტორად ვეჯექი ღამეები. და გადამირჩენია. მაგრამ, ისტორიკოსიც კარგი ვიქნებოდი!“ (რესპ. 1, 85 წლის, მდედრ.).

შეუმჩნევლად დარჩენის მცდელობა. მიუხედავად აღწერილი მიღწევის მაღალი მოთხოვნილებისა, რესპონდეტებში ვლინდება შეუმჩნევლად ყოფნის მცდელობა:

„არ ვიყავი ძალიან აქტიური, აი, რომ გინდა რომ რაღაცას მიაღწიო, და რომ ცდილობ მიიქციო ყურადღება და სებია პრეპოდნოსიშ [საკუთარ თავს წარმოაჩენ, დ.ჯ.]. პირიქით, არ მიყვარდა გამორჩევა, და შვილებსაც ასე ვღზრდიდი.“ (რესპ. 1, 85 წლის, მდედრ.).

რესპონდენტთა მონაყოლიდან იკვეთება, რომ შეუმჩნევლად დარჩენის ტენდენცია მნიშვნელოვანწილად განპირობებული იყო პირველი თაობის

წარმომადგენელთა შფოთვითა და რეპრესიის ფაქტის ახსნით რეპრესირებულთა ხილვადობით:

„სულ ეშინოდა დედას ჩემი უფროსი დის, იმიტო რო ძალიან ენამეტყველი იყო... არაჩვეულებრივი დიქცია... მეტყველება ჰქონდა და აი ძალიან განათლებული იყო, ძაან ჩანდა და აი ამიტომ სულ ეშინოდა დედას ამათი, არ დამიჭირონო.“ (რესპ. 13, 85, მდედრ.).

ქორწინება. რამდენიმე რესპონდენტმა ისაუბრა ქორწინებაზე, როგორც დედის მხრიდან ზემეურვეობიდან თავის დაღწევის სტრატეგიაზე:

„ჩემი ცხოვრებით მინდოდა მეცხოვრა, დაღლილი ვიყავი ჩვენი ოჯახის წარსულის ტვირთით, და ამიტომ ადრე გავთხოვდი... აი, ზღაპრებში რომ არის - პირველივე მთხოვნელზე ვათხოვებ ჩემს ქალიშვილსო, მეფეები რომ აცხადებენ... აი ასე, პირველივე მთხოვნელზე გავთხოვდი. არა, ვერ ვიტყვი რომ არ გვიყვარდა ერთმანეთი... მაგრამ, მაინც. ეს რომ ასე დაუფიქრებლად არ გამეკეთებინა, შეიძლება საერთოდ აღარ გავთხოვილიყავი, არ გავეშვე დედაჩემს.“ (რესპ. 2, 83 წლის, მდედრ.).

მეორე თაობის 7 რესპონდენტი ქალბატონიდან ორმა იქორწილა რეჟიმის წარმომადგენელზე. მათგან ერთი ვერ ხედავს კავშირს მეუღლის არჩევანსა და მისი ოჯახის რეპრესიულ წარსულს შორის. მეორემ კი ინტერვიუს დროს პირველად გააცნობიერა, რომ ეს გარკვეულწილად კავშირში იყო მისი ოჯახის რეპრესიულ წარსულთან, და ერთგვარი „რესტარტის“ მცდელობა იყო:

„გავთხოვდი პარტიულ მუშაკზე. მაშინ ალბათ არც მიფიქრია რატომ. ახლა რომ ვუკვირდები - მინდოდა, აი რომ იტყვიან - „ახალი ფურცლიდან“ დამეწყო ყველაფერი. დაცვას ვეძებდი. საერთოდ, დაცვას ვეძებდი მთელი ჩემი ცხოვრება, ბევრი რამე ამით იყო ნაკარნახევი, მე ასე ვშიფრავ... კიარადა, ვიშიფრები ახლა.“ (რესპ.1, 85 წლის, მდედრ.).

სოციალური მხარდაჭერის აღქმა. უკლებლივ ყველა რესპონდენტი იხსენებდა და ემადლიერებოდა გარშემომყოფ ადამიანებს, რომლებიც ეხმარებოდნენ რეპრესიის მერე:

*„**რესპ**: განადგურდა ოჯახი და მე და დედა გადავრჩით, ახლობლების დახმარების ხარჯზე. **ინტ**: სკოლაში როგორი დამოკიდებულება გახსოვთ? - **რესპ**: მახსოვს, მიუხედავად ასეთი დროისა, და მე მოღალატის შვილი მერქვა, ასეთი ვიყავით ორნი, მაგრამ არც ერთი მასწავლებლისგან... პირიქით, გვპატრონობდნენ. შვიდი მასწავლებლიდან ხუთს ყავდა ქმარი დაჭერილი.“ (რესპ. 12, 78 წლის, მდედრ.);*

„ჩვენ სოფელმა შეგვინახა. დედა კარგად კერავდა, ხოდა ხალხმაც არ გარიყა, შეკვეთებს აძლევდა და პროდუქტით უხდიდა გასამრჯელოს. ასე გვეხმარებოდნენ.“ (რესპ.7, 79, მამრ.);

„ისეთ ხალხში ვიყავით, ჩაგვრა არ მიგრძვნია. პირიქით - იქით გვეხმარებოდა.“ (რესპ. 2, 80 წლის, მდედრ.).

მიგრაცია რეგიონებიდან დედაქალაქში. მეორე თაობის იმ რესპონდენტებმა, რომელთა ოჯახები რეპრესიების მომენტში რეგიონებში (რეგიონალურ ცენტრებში, სოფლებში) ცოხვრობდნენ, აღწერეს მიგრაცია, როგორც აღდგენისუნარიანობის ერთერთი სტრატეგია. ეს მათ უკეთესი განათლების შესაძლებლობებს უზრდიდა, და თანაც აცილებდა იმ სოციალურ გარემოს, რომელშიც სტიგმატიზებული იყვნენ, როგორც „ხალხის მტრის შვილები“: *„განათლება, რაც მთავარია, განათლება... თან, ახალი სამეგობრო, ახალი სანაცნობო გაჩნდა“ (რესპ. 14, 49 წლი, მდედრ.).*

რეპრესიებში საზრისის ჩადება. ტრავმულ გამოცდილებაში საზრისის ჩადებას განვიხილავთ, როგორც ორსაფეხურიან აქტს: პირველი საფეხური - ტრავმული გამოცდილების ახსნა, ხოლო მეორე საფეხური - ტრავმული გამოცდილებიდან პიროვენულ სარგებლეზე დასკვნის გაკეთება (რითი იყო

სასარგებლო ტრავმული გამოცდილება პიროვნული ზრდის, ღირებულებების გადაფასების, თუ სხვა თვალსაზრისით).

რაც შეეხება ტრავმული გამოცდილების ახსნის მცდელობას, რესპონდენტები ცდილობდნენ, ერთი მხრივ, აეხსნათ თუ რატომ მოხდა კონკრეტულად მათი ოჯახის წევრ(ებ)ის რეპრესია. მეორე მხრივ, ცდილობდნენ ზოგადად, რეჟიმის მიერ განხორციელებული რეპრესიების ფენომენის მიზეზების ახსნას.

საკუთარი ოჯახის წევრის რეპრესიებს რაც შეეხება, შემდეგი მიზეზები იქნა გამოდიფერენცირებული: ოჯახის რეპრესირებული წევრი სტალინის წინააღმდეგი იყო და ამას არ მალავდა, თანამშრომელს მისი სამსახურებრივი პოზიცია უნდოდა და დაასმინა რომ სტალინის სადღეგრძელო არ დალია სუფრაზე, თანამშრომელს უნდოდა მისი საცხოვრებელი ფართის მითვისება და ცილი დასწამა, მეზობელს შურდა - მისი ქონების მითვისება უნდოდა და დაასმინა/ცილი დასწამა, მეგობარი თანამდებობის პირი დაიჭირეს და როგორც მეგობარი ესეც მიაყოლეს და ა.შ. რომ დავაჯამოთ, მიზეზებად სახელდება გარემომცველი ადამიანების მხრიდან შური, რესურსების მითვისების სურვილი (თანამდებობის, ქონების, და ა.შ.), პირადი წყენის გამო ანგარიშსწორება (ცილისწამება იმ შინაარსის, რომ რეჟიმის წინააღმდეგი იყო), წარმოშობა (თავადური), სტალინის წინააღმდეგ განწყობა, კოლექტივიზაციის წინააღმდეგ განწყობა, დაბოლოს - განათლების მიღება საზღვარგარეთ.

ზოგადად, სისტემის მიერ ჩატარებული რეპრესიების თვალსაზრისით, რესპონდენტების საუბრიდან შესაძლოა სამი სხვადასხვა ახსნის გამოდიფერენცირება:

ნარცისტული ტიპის ახსნა: *„ფაქტიურად მოხდა ის, რომ საქართველოს საზოგადოებას მოხადეს ნაღები, საუკეთესო ნაწილი და მოსპეს თაობებს შორის კავშირი...მე გამიწყვიტეს საშუალება რომ აღვზრდილიყავი იმ პირობებში, მე ჩამოვყალიბდი და ღვთის მადლით არ დავიღუპე... საამაყოც კი*

მქონდა როდესაც ახალგაზრდები ვიყავით, გამორჩეულობის მომენტი მქონდა, მე ვარ იქიდან სადაც რომლებიც ჩათვალეს უნდა განადგურებულიყვნენ, ეს მქონდა, წატრაბახების განცდა იყო, სიამაყის გრძნობა.“ (რესპ. 12, 78 წლის, მდედრ.);

„ეკონომიკური“ ახსნა: *„ეკონომიკური კრიზისი იწყებოდა უკვე, რესურსები არ ყოფნიდათ, ხალხი ამბოხს დაიწყებდა, ხოდა დაიწყეს თან განადგურება რომ ნაკლები მოსახლეობა ყოფილიყო, თან უფასო მუშა ხელი, ნუ, მონები, ეს იყო თანამედროვე მონობა, უფასოდ ამუშავებდნენ და ასე... ისეთ ადგილებზე ამუშავებდნენ, რომ კაცი ჭკუათმყოფელი იქ თავისით არ წავიდოდა. თანაც, უფასოდ. რომ „გაცვდებოდა“ - კლავდნენ, და ეს იყო.“ (რესპ. 4, 84 წლის, მამრ.);*

სახელმწიფოს შენებით ახსნა: *„რეპრესიები იმიტომ მოხდა, რომ სტალინი სახელმწიფოს აშენებდა. მართლა იყვნენ ვიღაცეები, ვინც სახელმწიფოს შენებას ხელს უშლიდა. ხოდა, პოლიტიკური დაშვება იყო ისეთი, რომ „ხალხის მტრები“ თუ განადგურდებოდა, სახელმწიფოც აშენდებოდა. დაიწყეს მაგათი მოშორება. ადამიანის სიცოცხლე არაფერს ნიშნავდა. დრო იყო ასეთი. მაგრამ ამან გააშიშვლა ხალხის ქვენა ინსტინქტები და წავიდა პირადი ანგარიშსწორება და ცილისწამება შურის თუ ანგარების გამო. მაგრამ პროექტი ეფექტური იყო იმ თვალსაზრისით, რომ ძლიერი სახელმწიფო აშენდა, აგრარული ქვეყანა გადაიქცა ატომურ ქვეყნად, და ეს სტალინის დამსახურება იყო, ვერავინ ევრ უარყოფს რომ პოლიტიკური გენია იყო.“ (რესპ. 8, 84 წლის, მამრ.).*

ტრავმულ გამოცდილებაში საზრისის ჩადების მეორე მნიშვნელოვანი კომპონენტის რეალიზაცია - ტრავმული გამოცდილებიდან სარგებელის მოძიება-გაცნობიერება - 13 რესპონდენტიდან მხოლოდ ერთთან გამოვლინდა:

„ამ გამოცდილებამ რა მომცა და ის, რომ არასდროს ისეთი რამე არ გამიკეთებია, რომ ჩემთვის ღამე კარებზე მოეკაკუნებინათ. პატიოსნად

ვიცხოვრე, ვერავინ საყვედურს ვერ მეტყვის და ეჭვს ვერ შეიტანს ჩემს წესიერებაში.“ (რესპ. 8, 84 წლის, მამრ.).

რეაბილიტაციისა და სამართლიანობის ძიება. უკლებლივ ყველა რესპონდენტი, ერთი მხრივ, ხაზს უსვამდა რეაბილიტაციის სურვილს, იმის დამტკიცების სურვილს, რომ მისი ოჯახის წევრი სინამდვილეში არ იყო „ხალხის მტერი“:

„მე მინდოდა, ამდენი ამბის გავლის მერე, ის ავტობიოგრაფია წამეკითხებინა იმ ხალხითვის, ვისაც არ სჯეროდა, რომ ეს ხალხი ტყუილად იყო დაღუპული და დახვრეტილი, წავიღე სამსახურში, წავაკითხე ახლობლებს, სამსახურში, მეგობრებს...“ (რესპ.10, 83 წლის, მდედრ.).

ამავე დროს, ყველა რესპონდენტი, გამონაკლისის გარეშე, აღნიშნავდა რომ რეაბილიტაციის არც ერთი მცდელობა და ეტაპი (ხრუშჩოვისეული, პოსტ-საბჭოთა) არ იყო საკმარისი იმისთვის, რომ მოეტანა მათთვის მორალური, მატერიალური, თუ პროცედურული დაკმაყოფილება:

„რეაბილიტაცია კი არა, დაცინვა იყო: ოჯახებს დაენიშნათ 50,000 მანეთი ერთჯერადად, და სრუწლოვანებს კი მშობლების ორი თვის პენსია. კაცი მოკლეს და ჩვენ კი ორი თვის თანხა შემოგვთავაზეს, დაცინვა იყო, აბა რა!.“ (რესპ. 5, 84 წლის, მამრ.).

რეაბილიტაციაში იმედგაცრუების ფონზე, რესპონდენტების ნაწილმა ისაუბრა სამართლიანობის აღდგენაზე ზებუნებრივი ძალების მიერ:

„მაგრამ მაგას [მამის დამსმენს, დ.ჯ.] ღმერთმა თვითონ გადაუხადა: მაშინვე ჩასვეს და გააქრეს, დარჩა ასე უშვილძიროდ. რომ იტყვიან, მოისპო მაგის სახსენებელი.“ (რესპ. 5, 84 წლის, მამრ.);

„მაგრამ ის კაცი ვინც მაგას გადაეკიდა, ის ... [გვარი, დ.ჯ.], ენაზე კიბო დაემართა და ისე მოკვდა.“ (რესპ. 11, 77 წლის, მდედრ.);

„ვინც დააბეზღა, ეგენი არავინ გადარჩა. ვინც აბეზღებდა სხვებს, მერე იმათ მოსდგებოდნენ ხოლმე და ხვრეტდნენ.“ (რესპ. 4, 84 წლის, მამრ.).

4.4.რეპრესირებული ოჯახების მესამე თაობის წარმომადგენელთა კვლევის შედეგები

რეპრესირებული ოჯახების მესამე თაობის კვლევის საფუძველზე გამოიყო შემდეგი კოდები:

- რეპრესიების ტრავმასთან დაკავშირებული ოჯახური ატმოსფეროს აღქმა (ქვეკოდები: რეპრესიის ტრავმასთან დაკავშირებული ოჯახური კონდიციები და აღზრდის სტილი);
- ოჯახური ნარატივები (ქვეკოდები: რეპრესირებულ ოჯახის წევრზე მესამე თაობის ინფორმირება, რეპრესიის მიზეზები, სოციალური გარემოცვის დამოკიდებულება, ნარატივები პარადოქსებზე, ნარატივები რეაბილიტაციასა და სამართლიანობის აღდგენაზე);
- დაძლევის სტრატეგიები (ქვეკოდები: ტოტალიტარული სისტემის მიმართ ლოიალობა, ტოტალიტარული სისტემისგან გამიჯვნა, ოჯახის „შეცდომების“ გამოსწორება საკუთარ ოჯახში, იუმორი და სარკაზმი, რეპრესიებში საზრისის ჩადება, რეპრესიების თემის დეზაქტუალიზაცია).

ქვემოთ გადმოვცემ კვლევის შედეგებს ამ იდენტიფიცირებული კოდების მიხედვით:

4.4.1. რეპრესიების ტრავმასთან დაკავშირებული ოჯახური ატმოსფერო

რეპრესიის ტრავმასთან დაკავშირებული ოჯახური კონდიციები

შიში სახელმწიფოს წინაშე. მესამე თაობის ყველა რესპონდენტი, უკლებლივ, საუბრობდა შიშის ატმოსფეროზე, რომელიც სუფევდა ოჯახში, როგორც მეორე, ასევე მესამე თაობის წარმომადგენლებში, სახელმწიფოს მიმართ:

„რა მახსოვს?...შიში. აი, ბებიაჩემი ხომ ძალიან ვაჟკაცი ქალი იყო, მაგრამ თუ რამეს ისეთს ვიტყოდი, ეგრევე მეტყოდა - მორჩი ამაზე ლაპარაკსო. და ეს

ჰქონდა ცხოვრების ბოლომდე, ოთხმოცდარვაში გარდაიცვალა.“ (რესპ. 22, 58 წლის, მამრ.);

„ბებიასაც, ძმასაც ბაბუასი, მამიდაჩემს ქონდათ შიშის გრძნობა, მამაჩემი შედარებით ნაკლებად, მაგრამ სიძულვილი მაინც შერჩა კომუნისტების, ოჯახში ნაწილს განუვითარდა შიში, ნაწილს სიძულვილი, სიძულვილი შიშის ფონზე“ (რესპ.20, 55 წლის, მამრ.).

უნდობლობა სოციალური გარემოცვის მიმართ. რესპონდენტები საუბრობენ ზოგად უნდობლობაზე მათი ოჯახის წევრების უფროსი თაობის მხრიდან გარემომცველი სოციალური სინამდვილის მიმართ, იხსენებენ ისეთ აღმზრდელობით მითითებებს, როგორიცაა „არავის ენდო ბოლომდე, ვისაც არ ელოდები, ის დაგიდებს ფეხს.“ (რესპ. 27, 57 წლის, მდედრ.); „ადამიანები ასე არიან, კარგს თუ გაუკეთებ, ცუდად გადაგიხდიან.“ (რესპ. 19, 62 წლის, მამრ.); „არსად არაფერი წამოგცდეს.“ (რესპ. 25, 50 წლის, მამრ.).

განრიდება. ზემოთ აღწერილი უნდობლობის ფონზე, რესპონდენტები აღწერენ განრიდების ისეთ სპეციფიკურ ფორმას, როგორიცაა უცნობ ადამიანებთან კონტაქტში შესვლისგან თავის არიდება:

*„**რესპ:** ვიღაცა გავიცანი და მერე მოვიდა ჩვენთან სოფელში და დაიწყო ახლობლობა, ეგეთი რაღაც არ ყოფილა, ასეთი რაღაც გამორიცხული იყო, უცხო ჩვენ ოჯახში... სოკოზე დავდიოდი ხოლმე, გემრიელი სოკო იყო, ვიღაც ქალები იყვნენ, დაბალი, მწყემსები იყვნენ, ცხვრები მოყვებოდათ ხოლმე, წამოგორდებოდნენ იქვე, ზოგი ქსოვდა, ზოგი ძაფს რთავდა, მერე მეც დამართვევინეს ძაფი, აღფრთოვანებული მოვქანდი სახლში და... ისევ დაიძაბა აურა, ვინ იყვნენ, როგორი ქალები იყვნენ, რა იყო - გამიკვირდა და, არაფერიო... ახლა კი ვხვდები, წავიდა დაკითხვა ბავშვს ვისთან აქვს ურთიერთობა. **ინტ**: იმ მომენტში რა იგრძენით, ამას რომ გეკითხებოდნენ? **რესპ**: ეს დაძაბულობა ვიგრძენი, ასე რომ... იყო ხალხი სოფელში, ვისთანაც არ*

მირჩევდნენ ურთიერთობას, ამ დროს ჩემთვის ცუდი არაფერი გაუკეთებიათ, მაგრამ რატომღაც არა.“ (რესპ.14, 49, მდედრ.).

ასევე, მეორე თაობის წარმომადგენლები ცდილობდნენ არ ყოფილიყვნენ „შესამჩნევი“:

„მამას არ უყვარდა ზედმეტად გამოჩენა. საკანდიდატო დაიცვა, მაგრამ ამას არ ვაფიშრებდით, ჩვენი ოჯახი ამას არ აფიშირებდა“. (რესპ. 27, 57 წლის, მდედრ.);

„მამას ეშინოდა ზედმეტად თავის წამოყოფის, თუმცა სადოქტოროც დაიცვა, ჩუმად, ლაპარაკის გარეშე“ (რესპ. 20, 55 წლის, მამრ.);

*„**რესპ**: დიდი ამბიციით ოჯახი არასოდეს გამოირჩეოდა - სწავლაში, კარიერაში, რაღაცის მიღწევაში. ვერ ვიტყვი რომ გაუნათლებელი ხალხი იყო: არქიტექტორი იყო მამიდა, მამა ინჟინერი, მეორე მამიდა არაჩვეულებრივი ფილოლოგი, როგორც ვიცი მაგრამ თავის სამსახურით დაკმაყოფილებულიები და წინ წასვლა არ უნდოდათ... სადაც მუშაობდა, ნახაზი იყო გასაკეთებელი თუ აჩოტი [ანგარიში, დ.ჯ.] დასაწერი თუ რეზიუმე, მამაჩემი აკეთებდა ყველაფერს, უკეთებდა სხვებს და ის სხვები უფრო მაღალ თანამდებობაზე მიდიოდნენ... სავარაუდოდ, ამით იყო განპირობებული, საზღვარგარეთ წასვლაზე საუბარი არ იყო ჩვენს ოჯახში. **ინტ:** საინტერესოა, არ უნდოდათ, თუ არ უშვებდნენ? **რესპ:** ხანდახან არის რომ არ გინდება რაღაცის გაკეთება, იმიტომ რომ გამოჩნდები და მერე შეიძლება შენც იგივე მოგივიდეს, რაც შენს წინაპარს მოუვიდა, იმიტომ რომ ის ჩანდა.“ (რესპ 14, 49, მდედრ.).*

ზესიფხიზლე. მესამე თაობის რესპოდენტებიდან ხუთმა (რესპ-ები: 20, 25, 26, 27, 28, რომლებიც სამ ოჯახს წარმოადგენენ) დაახასიათა ოჯახური ცხოვრების რეჟიმი, როგორც „ცხოვრება ღამით“, ანუ, ღვიძილი დილის 4 საათამდე, მთელი ოჯახური საქმეების კეთება უფროსების მიერ ამ პერიოდში, ინტენსიური შიდა-ოჯახური ინტერაქციებიც ამავე პერიოდში (საღამოს ათი-თერთმეტი საათიდან ოთხამდე); ან, პირიქით - ძილი 3-4 საათამდე და

შემდგომ ღვიძილი. ერთერთმა რესპონდენტმა აღწერა ძილის ძალიან ხანმოკლე პატერნი, რომელსაც იგი უკავშირებს რეპრესიების გამოცდილებას, და რომელიც რეპრესიების შემდგომ პერიოდშიც დარჩა ჩვეული ოჯახის წევრებისათვის:

„მახსოვს სუფრაზე ლაპარაკი, ბერიას დროინდელი შიშების განცდები, ძილით ვერ იძინებდნენ, რა იცი, ერთ საათში არ მოგვაკითხონო... შუაღამეს ერთხელ წამოხტა მამაჩემი, იდგა ფანჯარასთან და ველარ დავხუჭე თვალებიო, მეხუთე კლასში ვიყავი მე და სიზმარი ალბათ, ჩალექილი მეხსიერება რაც არის, წამოიშალა და შეეშინდა. ხშირად არ ქონდა, ერთი ეგ მახსოვს, დილამდე, რაღაცას ელოდა, რომ მოვიდოდა ვიღაც... ბებიას 104 წლის მოკვდა და ფეხის მოტეხვის მეტი, არაფერი მაგას არ დამართნია, იძინებდა 12 ზე და გაიღვიძებდა 4-ზე... ძალიან მოკლე ძილი იცოდნენ. ხშირად მე საერთოდ ვერ ვიძინებ მთელი ღამე და დილისკენ ჩამთვლიმავს, მთელი ღამე მაქვს არეული. მამიდას ქონდა ასეთი 3-4 საათიანი ძილი, 12-ზე წვებოდა და 3-4-ზე დგებოდა.“ (რესპ.20, 55 წლის, მამრ.).

ოჯახური კონფლიქტები. რამდენიმე რესპონდენტმა აღწერა ოჯახური კონფლიქტები, რომლებიც დაუკავშირა ოჯახის რეპრესიების გამოცდილებას:

„ბებიაჩემი რეპრესირებულის ცოლი იყო, მამაჩემი კი პარტმუშაკი. ბებიაჩემისთვის ის, ფაქტიურად, რეჟიმის წარმომადგენელი იყო. ჩვენთან მამაჩემს ეძახდა „ის“, სახელით არასოდეს ახსენებდა. მგონია, რომ მაგათ შორის.... აი, რაღაცა, სიმბოლურიც იყო მაგათი უთანხმოება... რეჟიმი და მსხვერპლი, რა. ოღონდ მგონი აქ პირიქით შებრუნდა და რეჟიმი ბებიაჩემი იყო [სიცილი, დ.ჯ.]. სულ დაძაბულობა იყო, ჩვენ ბავშვებს სულ გვეშინოდა ჩხუბის. დედაჩემი მაგათ დაპირისპირებაში განზე იდგა. სუფრაზე მარილი თუ დაიყრებოდა, იმ დღეს შეშინებულები დავდიოდით, სიკვდილივით გვეშინოდა ამ მარილის დაყრის, ყველაზე მეტად დედაჩემს ეშინოდა, სხვათა შორის... კია ცრურწმენა, მაგრამ რაღაცნაირად გვჯეროდა, რომ მარილი თუ

დაიყრებოდა ეს იყო მიზეზი და მოკლედ... მოკლედ, გამწარებული გვქონდა ბავშვობა მაგათი ჩხუბებით. ძალიან ვნერვიულობდით!" (რესპ. 25, 50 წლის, მამრ.).

ნეგატიური კოგნიციები. რამდენიმე რესპონდენტმა აღწერა უნდობლობა და ეჭვი იმ ოჯახების მიმართ, რომელთაც პირველ თაობაში არ ჰქონდათ რეპრესიის გამოცდილება:

*„**რესპ**: ბებიაჩემი [რეპრესირებული ბებია, დ.ჯ.], ეს არ იყო ის ქალი, რო რამე ცუდად მოეყოლა, ანუ ყვებოდა რაღაცას, რო ვიღაცამ სიკეთე გაუკეთა, ვიღაცას სიკეთე გაუკეთა, იყვნენ კარგი ადამიანები, გესმის? მიუხედავად ამისა, მე მქონდა ასეთი გრძნობა, სადმე რო მივიდოდი ოჯახში და ვნახავდი, რო ბაბუა ყავს და ბებია ყავს, გავუვლებდი პარალელს და ვფიქრობდი, რატომ ყავს ამას ეხლა ბაბუა ცოცხალი, ბაბუაჩემი ხომ ამხელა იქნებოდა, აა კაგებეშნიკი იყო? ვიღაცასთან ითანამშრომლა? ანუ ჩემში ეს... ვიღაცა ჩემ ახლობელს რომ ყავდა ბაბუა და ბებია უკვე არაჯანმრთელი თემა იყო, რო რატო? საიდან გადარჩნენ ისინი ამ პერიოდში? **ინტ**: ანუ, კარგი წარმოდგენა იმ ადამიანებზე არ გქონდათ, ვინც... **რესპ**: არ იყვნენ გადასახლებულები. თუმცა იყვნენ ეხლა მაშინ რაღაც ღირსეული ადამიანები, ვინც ძაან ბევრ სიკეთეს აკეთებდნენ, მარა გადარჩენის კოეფიციენტი ძალიან დაბალი იყო." (რესპ.17, 46 წლის, მდედრ.).*

დედის ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები და მათი გავლენა. ზოგიერთმა რესპონდენტმა ისაუბრა რეპრესიებთან დაკავშირებულ დედის ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემებზე:

„დედაჩემი იყო ძალიან დეპრესიული, რასაც ვერ ვიტყვი ბებიაჩემზე [რომელიც გადასახლებიდან დაბრუნდა, დ.ჯ.], *ბებიაჩემი საერთოდ არ იყო დეპრესიული... ფსიქოლოგიურად ეხლა, ბებიაჩემი იმდენად დაზარალებული არ იყო, რამდენადაც დედაჩემი (და დეიდაჩემი)... ბებიაჩემს ასე თუ ისე კარგი ბავშვობა ჰქონდა და ეტყობა რაღაცა მდგრადი ფსიქიკა ჩამოუყალიბდა, და*

ეხლა ამათ, რომლებსაც ბავშვობაში ამხელა ტრამვა ჰქონდათ მიღებული, გესმის, ესენი უფრო გატყდნენ. დედაჩემი 4 წლის იყო ეგ ამბავი რო მოხდა... ანუ, მე სულ მქონდა დედასთან ჭიდილი, რო დედა დეპრესიისკენ მაგდებდა, მე უნდა გამომექაჩა, ჩვეულებრივი დღე არასდროს არ მქონდა." (რესპ. 17, 46 წლის, მდედრ.).

„დედაჩემს კიდე ამის [ოჯახის წევრების რეპრესიის, დ.ჯ.] *გამო, ფსიქიკა მოეშალა. ნერვიული იყო, განიცდიდა ყველაფერს, ახლოს მიჰქონდა გულთან, ემოციური იყო. კი არ გიბრაზდებოდა, თვითონ, თავის თავში იმასშვებოდა... უხასიათოდ იმდენად არა, გაბრაზდებოდა რაღაცაზე და მერე ჩაიკეტებოდა თავის ოთახში და ვერავინ შევიდოდით იქ. მერე გადაუვლიდა და ჩვეულებრივად იყო, დიდი ხანი არ სჭირდებოდა, მეორე დღეს ან შეიძლება იმ დღესვეც." (რესპ.19, 62 წლის, მამრ.).*

პირველი თაობის ოჯახის წევრის პოსტ ტრავმული ზრდის აღქმა. მესამე თაობის რესპონდენტები რეპრესირებული თაობის ოჯახის წევრებს (გადასახლებიდან დაბრუნებულ ბაბუას, ბებიას, ან რეპრესიას გადარჩენილ ბებიას) ახასიათებდნენ, როგორც ძლიერს:

„ის [10-წლიანი გადასახლებიდან დაბრუნებული ბებია, დ.ჯ.] *ციხემ იმდენად გააძლიერა და იქ თავდაცვის ინსტინქტმა, რო ის [რასაც ის ყვებოდა, დ.ჯ.] ჩანდა ლამაზ მოგონებად და სასიამოვნოც კი იყო, როცა ამას იგონებდა. აი ესე გვზრდიდა ჩვენ ეს ქალი იმიტომ რომ ის არ გვეუბნებოდა რო... პირიქით ეს წაიკითხეთ გვეუბნებოდა, აი როგორი უცნაური იყო. ანუ ის ოპტიმისტად აქცია ამ დიდმა გაჭირვებამ, აი ამ შემთხვევაში ესე იყო." (რესპ 16, 48 წლის, მამრ.);*

„ბებია [რომელიც გადაურჩა დაპატიმრებას, როდესაც მეუღლე დაუხვრიტეს, დ.ჯ.] *გაამაგრა უბედურებამ და გაჭირვებამ, უძლიერესი ქალი იყო, პიედესტალზე გვყავდა, აი, ურსულასავით, მარტოობის 100 წლიდან." (რესპ.23, 55 წლის, მამრ.).*

აღზრდის სტილი

ავტორიტარული სტილი. რესპონდენტების დიდი ნაწილი (15 მესამე თაობის რესპონდენტიდან 12, ანუ თერთმეტი ოჯახიდან ცხრა) საუბრობს აღზრდის ავტორიტარულ სტილზე:

„მამაჩემის სიტყვა კანონი იყო. ზოგჯერ ვჯუჯღუნებდი, მაგრამ ძირითადად მაინც ყურს ვუგდებდი. ვიცოდი, რომ ჩემთვის კარგი უნდა. ხელით არასდროს დაურტყამს ჩემთვის, მაგრამ მკაცრი იყო.“ (რესპ. 24, 49 წლის, მამრ.);

„შიში მქონდა, რომ მამა გაიგებს და მომხვდება ქამარი, ერთხელ დავიმსახურე და მომხვდა, პლანი მოვწიე და დაშტერებული მოვედი და მომხვდა, იმის მერე არ ჩამიდია სიგარეტის მეტი.“ (რესპ. 20, 55 წლის, მამრ.).

ოჯახის ავტორიტარული ლიდერის როლში ზოგიერთ ოჯახში მამაა (მეორე თაობის წარმომადგენელი), ზოგ შემთხვევაში - დედა (მეორე თაობის წარმომადგენელი), ზოგ შემთხვევაში რეპრესიას გადარჩენილი ბებია (პირველი თაობის წარმომადგენელი, რეპრესირებულის ცოლი), რიგ შემთხვევებში ლიდერი კომბინირებულია. მაგალითად, მესამე თაობის წარმომადგენელი ის რესპონდენტები, რომელთა მამის მამა იყო დახვრეტილი, აღწერენ თავის მამებს, როგორც ოჯახის ავტორიტარულ ლიდერებს, რომელთათვისაც გადარჩენილი ბებია განსაკუთრებულ ავტორიტეტს წარმოადგენდა: *„ოჯახში მამა იღებდა გადაწყვეტილებებს, დედას მოეთათბირებოდა, მაგრამ საბოლოოდ მამა იღებდა... თუმცა, ვიცი რომ ბებიას ჭკუას ეკითხებოდა. დედაჩემს არა. ბებიაჩემი მთავარი „კონსილიერი“ იყო [რესპონდენტი იცინის, დ.ჯ.]. შემთხვევით ერთხელ იმასაც კი დავუგდე ყური (არ იცოდნენ რომ სახლში შემოვედი), რომ ჩემს გამო დაუცაცხანა ორივეს [დედას და მამას, დ.ჯ.]. რაღაცაზე მეჩხუბნენ და...“ (რესპ.22, 58 წლის, მამრ.).*

ზემეურვეობა. სოციალური გარემოცვის მიმართ უნდობლობისა და, აქედან გამომდინარე, მაღალი შფოთვის ფონზე, ზემეურვეობა იკვეთება რესპონდენტების უმრავლესობის ნარატივებიდან. რესპონდენტები საუბრობენ პირველი თაობის (რეპრესირებულის ცოლის, ანუ ბებიის) და/ან მეორე თაობის (რეპრესირებულის შვილის, ანუ დედის ან მამის) მხრიდან მესამე თაობის სოციალური წრის შეზღუდვაზე მიმართულ ქცევაზე - სამეგობრო წრეში გაერთიანების, რომანტიკულ ურთიერთობებში შესვლის წინააღმდეგ მიმართულ განწყობასა და ქმედებებზე:

„ახალ ბავშვს რომ დავუმეგობრდებოდი სკოლაში ან მერე კიდე ინსტიტუტში, ბებიაჩემს არ არსებობდა არ ეთქვა - ნუ ენდობი, ვერ იქნება ისეთი კარგი, როგორც რომ თავს გვაჩვენებსო... აი, ბებიაჩემთან ბრძოლით მიწევდა მეგობრების გაჩენა და შენარჩუნება.“ (რესპ. 26, 55 წლის, მდედრ.);

„საერთოდ, მზღუდავდა ბებიაჩემი მეგობრის შეძენაში, ეჭვიანობდასავით... აი ასეთი ისტორია: სკოლაში, ალბათ მეხუთე კლასში ვიყავი თუ რაღაცა, მოკლედ მასწავლებლმა გამოკითხვა დაგვიწყო ვინ არის შენი საუკეთესო მეგობარიო და ასეთი რაღაცეები... ხოდა, ავდექი და ამაყად ვთქვი - ჩემი საუკეთესო მეგობარი ბებიაჩემი არის-თქო...ხოდა, დამიწყეს კლასელებმა შაყირი. არადა, სიმართლეს ვამბობდი... მერე, ჩემმა მეგობრებმა ძალათი „გამოგლიჯეს“ ბებიაჩემს ჩემი თავი, აღარ მომეშვნენ, თავი აღარ დამანებეს, თორემ ის თავისკენ მქაჩავდა.“ (რესპ. 25, 50 წლის, მამრ.).

მესამე თაობის პარენტიზაცია. რესპონდენტების მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ზემეურვეობა არ გამორიცხავდა პარენტიზაციას. მაგალითად, მესამე თაობის ის რესპონდენტები, რომელნიც, ავტორიტარული მაკონტროლირებელი დედის გავლენის ქვეშ იყვნენ მოქცეული (დედა უზღუდავდა მეგობრებისა თუ შეყვარებულის გაჩენას, უსაზღვრავდა პროფესიულ არჩევანს და ა.შ.), ოჯახური სისტემის განვითარების გარკვეული მომენტიდან - იმ მომენტიდან, როდესაც, დედას ჯანმრთელობა ღალატობდა,

თავად შედიოდნენ მისი მომვლელის როლში და ფაქტობრივად, დედის მშობლის როლს იღებდნენ საკუთარ თავზე. შესწავლილთაგან ორ ოჯახში დედასთან ბმა ისეთი ძლიერი იყო, რომ შვილები მხოლოდ დედის გარდაცვალების მერე, შუა ხნის ასაკში დაქორწინდნენ.

ზემეურვეობას ადგილი ჰქონდა არაავტორიტარული სტილის ოჯახებშიც:

„ეს როგორ არის, იცი?.. პრაქტიკულად, მე ვარ დედა და ის არი შვილი, გესმის? ყველა პარამეტრში და ყველაფერში. ის ვერ მართავდა, მე ვმართავდი ემოციებს... სულ მქონდა რაღაც რო დავხმარებოდი, ვუუთოვებდი რაღაცას და იღებდა ამას დედაჩემი. სადღაც მე ეხლა პროტესტი მაქ, იმიტო რო არ შეიძლებოდა, მე იმ დროს რამე სხვა უნდა მეკეთებინა, შეიძლებოდა მე დედაჩმისთვის კაბა შემეკერა და მას ეს მიეღო, როცა უკუ არ გამიკეთებდა, მიხვდი რას ვამბობ? აი როლები იყო ჩვენთან გაცვლილი.“ (რესპ.17, 46 წლის, მდედრ.).

4.4.2. ოჯახური ნარატივები რეპრესიებზე

რეპრესირებულ ოჯახის წევრზე მესამე თაობის ინფორმირების სტილი. რესპოდენტები განსხვავდებიან იმის მიხედვით, თუ როდის, რა და როგორ მიიღეს ინფორმაცია რეპრესიებისა და ოჯახის წევრის რეპრესირებულობის შესახებ.

ინფორმირების სტილის თვალსაზრისით, შესაძლოა გამოიყოს შემდეგი ოთხი სტილი: *რეფლექსიური* სტილი, როდესაც მშობლები შვილებს აწოდებდნენ ოჯახის წევრ(ებ)ის რეპრესიის თაობაზე ინფორმაციას იმგვარად, რომ მასზე ერთობლივი რეფლექსიის პირობები შექმნილიყო; *ემოციური* სტილი, როდესაც მშობლები შვილებს აწოდებდნენ ინფორმაციას ძლიერი ემოციების თანხლებით, რეფლექსიისათვის სათანადო პირობების შექმნის გარეშე; *ემოციურ-რეფლექსიური* სტილი, როდესაც ხდებოდა ინფორმაციის

მიწოდება ემოციების თანხლებით და, ამავდროულად, რელფლექსიისთვის სათანადო პირობების შექმნის თანხლებით. დაბოლოს, *სიჩუმის კონსპირაციის* სტილი, როდესაც შვილები რეპრესიების შესახებ ინფორმაციას იღებდნენ შემთხვევით, მშობლების საუბრისთვის „ყურის მოკვრით“, ან იგებდნენ გვიან, უკვე ზრდასრულობის დროს.

რეფლექსიური სტილით მიწოდება ორ შემთხვევაში შეგვხვდა, სადაც პირველი და მეორე თაობის წარმომადგნელები მესამე თაობის წარმომადგენლებს მოზარდობაში რეპრესიის თავისი ვერსია გააცნეს და, ამით, ფაქტობრივად, აფრთხილებდნენ მათ, თუ როგორი ქცევა იყო საფრთხის შემცველი, პოტენციური რეპრესიის თვალსაზრისით:

„დაგვსვეს და მოგვიყვენ ყველაფერს [დედამ და ბებიამ, რესპონდენტსა და მის დას, დ.ჯ.], ფოტოები გვანახეს, დოკუმენტები. რა და როგორ იყო... ბაბუაშენი უწესიერესი კაცი იყოო, სპეტაკი. რომ მოეტყუა, ეეშმაკა, ლოზუნგები ეყვირა, ალბათ ახლაც ჩვენთან იქნებოდაო.“ (რესპ.25, 50 წლის, მამრ.).

ის ორი რესპონდენტი, რომლებმაც დედების (მეორე თაობის) ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემებზე ისაუბრეს, აღწერეს, რომ ნარატივები ოჯახის რეპრესირებულ წევრებზე ღრმა ბავშვობიდან ესმოდათ და ინფორმირება ინთრუზიული და ჭარბად ემოციური იყო:

„ჩვენი ბავშვობა იყო დამახინჯებული. სულ სხვა რაღაცაზე შეიძლება გაგვეშალა სუფრა, გვყოლოდა სტუმრები და უცებ ატყდებოდა ტირილი და რაღაცეები და იხსენებდნენ აი ბოლოჯერ რო გამოგვიტანა მამამ მაროჟნი და რაღაც... და აი ამას იხსენებდნენ, რო მამაჩემი [რესპონდენტის ბაბუა, დ.ჯ.] რო ყოფილიყო მე სხვანაირად ვიცხოვრებდი.“ (რესპ 17. 46 წლის, მდედრ.).

თუმცა, მეორე რესპონდენტმა ისიც აღნიშნა, რომ მიუხედავად ჭარბი ემოიციური ფონისა, დედა იძლეოდა რეპრესირებული ოჯახის წევრის თაობაზე ინფორმაციის დაზუსტების, მსჯელობის საშუალებას:

„დედაჩემის მოგონებებით ვცხოვრობდი მეც, მამაზე, თავის ძმაზე, ძმის მოგონებებით ვცხოვრობდი. ისე ყვებოდა ყველაფერს, რომ მეც განვიცდიდი, ფაქტობრივად მეც თანამონაწილე ვიყავი იმ ამბების... ხსენებაში იყო მამამისის და მისი ძმის, დღე არ გავიდოდა, რომ არ ეხსენებინა და რაღაც არ მოეგონებინა – მამაჩემმა ასე, მამაჩემმა ისე... მაგრამ თან, ვარჩევდით ხოლმე ერთად რაღაცეებს, ბევრ რამეს მიხსნიდა.“ (რესპ.19, 62 წლის, მამრ.);

ორმა რესპონდენტმა აღწერა, რომ მათ ოჯახში რეპრესიებზე საერთოდ არ საუბრობდნენ, და პირველად ამის შესახებ გაიგეს უკვე როდესაც წამოიზარდნენ, ერთმა - სტუდენტობისას, ხოლო მეორემ კი უფრო გვიან:

„ბაბუაზე ლაპარაკი არ იყო ოჯახში. იდო ერთი სურათი სოფელში და მეორე ალბუმში პატარა. და ვიცოდით რომ ეს არის ბაბუა, მეტი არაფერი არ ვიცოდით... არქივები რომ გაიხსნა რეაბილიტაციის, ეს 98 წელია, ამის მერე დაიწყო მოყოლა მანამდე არაფერი“. (რესპ.14, 49 წლის, მდედრ.).

რეპონდენტების უმრავლესობამ გაიგეს რეპრესიების ფაქტის შესახებ მოზარდობაში.

ნარატივები რეპრესიის მიზეზებზე. რეპრესიების მიზეზებად, ოჯახური ნარატივების თანახმად, მესამე თაობის რესპონდენტებმა დაასახელეს, ერთი მხრივ, საკუთარი ოჯახის წევრთა მახასიათებლები (წარმომავლობა, ოჯახის შეძლებულობა/სიძლიერე/ავტორიტეტი, რეჟიმს დაუმორჩილებლობა, რეჟიმის წინააღმდეგ მოქმედება, რეჟიმთან თანამშრომლობაზე უარის თქმა, განათლების მიღება საზღვარგარეთ, საზოგადო მოღწეობა, ხილვადობა) და, მეორე მხრივ, რეჟიმის წარმომადგენელთა და გარშემომყოფი ხალხის მახასიათებლები (სამსახურში შექმნილი პრობლემის გამო განტევების ვაცად ქცევა და შესაბამისად - გაწირვა, განსხვავებულის შეუწყნარებლობა, შური, ბოროტება, დასმენა):

„თავისთავად ესეთი არისტოკრატები იყვნენ, მოკლავდნენ, შური ჩაყვა ვიღაცას...“ (რესპ. 16, 48 წლის, მამრ.);

„ერთი იყო მისი [ბაბუის, დ.ჯ.], მეგობარს როგორ დავარქმევ, საერთოდ არ იცოდა წერა, შეიცოდა, ასწავლა... ის ადგა მერე და უჩივლა, არ მოეწონა, თვითონ რომ არაფერი არ იცოდა... ადამიანები ასე არიან, კარგს გაუკეთებ, გლახად გადაგიხდიან." (რესპ.19, 62 წლის, მამრ.);

„მიზეზი იყო ერთ-ერთ მდიდარ გლეხთაგანად ითვლებოდა ეს კაცი [ბაბუა. დ.ჯ.], ყავდა კამეჩები, ძროხა, საქონელი ურიცხვი და დიდი სახელი ქონდა სოფელში, პატივს ცემდნენ, სიტყვას ფასი ქონდა, შეძლებული კულაკი... ყველა შეძლებული ითვლებოდა მტრად." (რესპ. 20, 55 წლის, მამრ.);

„ვიღაცამ დაწერა დასმენა, ასე ვიცი მე, იყო ვიღაცის წერილი... კაცი რომელიც სწავლობდა გერმანიაში და საფრანგეთში, იყო სახელმწიფოს მტერი; ქონდა საწერი მაგიდა და ა.შ. პირველი მიზეზი ის იყო, რომ საზღვარგარეთ სწავლობდა." (რესპ.18, 45 წლის, მამრ.);

„იმ გარემოში ესენი [ბაბუის ოჯახი, დ.ჯ.] რაღაცით განსხვავდებოდენენ: ფერმა ჰქონდათ, ყველაფერი შვეიცარიიდან ჩამოტანილი... თუნდაც გარეგნული ფაქტორი, ძალიან ლამაზები იყო ორივე, ... თურმე მთელი ქალაქი ესე იგი ამათ უყურებდა... უნივერსიტეტის შენებაში აქვთ მონაწილეობა მიღებული, ქვები ჩამოჰქონდათ, თვრამეტი ურემი ქვა ჩამოიტანეს, ხით ეხმარებოდნენ, გესმის? ანუ, საზოგადობრივ ცხოვრებას არ აკლდებოდნენ. ანუ, ეს ოჯახი ჩანდა, გესმის?" (რესპ. 17, 46, მდედრ.).

ნარატივები სოციალური გარემოცვის დამოკიდებულებაზე. მესამე თაობის რესპონდენტები საუბრობენ სოციალური გარემოცვის მხრიდან, ერთი მხრივ, სტიგმატიზებაზე, შურზე, დასმენაზე, შეუწყნარებლობაზე:

„გუშინ სოფელი რომელსაც წერა კითხვა ასწავლეს, საერთოდ განვაკულაკოთ ესენიო, სოფლიდან გავაგდოთო, პირდაპირ მიდოდნენ და ეუბნებოდნენ რომ გაგაგდებთო... გაწირეს, ხალხი ბოროტია" (რესპ.14, 49, მდედრ.);

მეორე მხრივ, იგივე რესპონდენტები იხსნებენ ხალხის თანადგომას, რამაც მათი ოჯახის წევრები გადაარჩინა:

„ბებიას მოყოლილია, ოღონდ, ბოლოსკენ უკვე... რომ მამაჩემი იყო მაშინ 7-8 წლის, რომ დაიჭირეს მამამისი და ერთ-ერთ დღეს შეპარულა რომ სიგარეტი გადაეგდო ფორტოჩკაში მამამისისთვის და დაუნახიათ და დაუჭერიათ და რომ ესეც ტროცკისტის შვილიაო და ამასაც მივახვრიტავთო. და, ხალხი იყო შეგროვილი, არ ვიცი ოღონდ ეს სად ხდებოდა, ციხე იყო თუ რა იყო, ბებიას გული წასვლია რომ დაუნახია რომ შვილს მიათრევენ, ბავშვი ტირის და ისტერიკაშია და ხალხი მოკლედ გადამდგარა, გაგიჟებულა და შეიძლებოდა რომ დაერბიათ იქაურობა, რომ არ გამოეშვათ, ნუ ისინი მიხვდნენ რომ ბავშვი რომ არ გავუშვათ რაღაც ცუდი ამბავი მოხდება, შემოვარდება ხალხი და გამოუშვეს მერე.“ (რესპ. 14, 49, მდედრ.).

რესპონდენტები იხსენებდნენ ოჯახურ ნარატივებს მეზობლების თანადგომასა და ერთგულებაზე:

„ბებიაჩემი რო ჩამოვიდა გადასახლებიდან, რაც რამე დაგვრჩა სამახსოვრო, თუ რამე დაგვრჩა, აი რაღაცეები მაქ სამახსოვრო და დეიდაჩემსაც აქვს, ყველაფერი როგორ გადარჩა, იცი? ეს ჩეკისტები [ვინც მათ ბინა და ქონება მიითვისეს, დ.ჯ.] აი ვთქვათ გაუტყდებოდათ რაღაცა, აი ვაზის ეს ნაწილი, მეორეს გადააგდებდნენ, ან თეფში გაუტყდებოდათ ხუთ ნაწილად, გადააგდებდნენ, მეზობლები იპარავდნენ, რო [გადასახლებული ბებიის სახელი, დ.ჯ.], რო ჩამოვაო, გაეხარდებაო, და მერე დააწეპა ბებიაჩემმა ვთქვათ და აი ეს ქონდათ სამახსოვრო... ესე ინახავდნენ ეს მეზობლები და რამხელა ერთგულება ქონდათ, რო ათი წელი ვიღაცას რაღაცა შეუნახო, რო მიცე.“ (რესპ 17. 46 წლის, მდედრ).

ასევე, რესპონდენტები იხსენებენ ნარატივებს სოციალურ იზოლაციაზე, რომლის მიზეზი იყო საზოგადოებაში გამეფებული შიში:

„...ასე რომ, იცი, როგორ იყო, დაიჭერდნენ და მერე ერიდებოდა ყველა იმ ოჯახს, ეშინოდათ, მეც არ დამიჭირონო.“ (რესპ. 19, 62 წლის, მამრ.).

„ბევრი ნათესავები ‘ჩამოირეცხნენ’“ (რესპ. 14, 49, მდედრ.).

ნარატივები პარადოქსზე. რესპონდენტები, უკლებლივ ყველა, განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებდნენ პარადოქსებზე, რომლებზეც მეორე თაობა უყვებოდა. ამ თემას ისინი წამოწევდნენ ინტერვიუერის შეკითხვის გარეშე, როგორც თემას, რომელმაც მთელს ოჯახს კითხვის ნიშანი დაუტოვა. გადმოცემული პარადოქსებიდან შესაძლებელია გამოიყოს სამი ტიპის პარადოქსი:

პარადოქსი, დაკავშირებული იმასთან, რომ რესპონდენტის ერთი ოჯახის წევრი იყო გადასახლებული როგორც „ხალხის მტერი“, მაშინ როდესაც რეპრესიას გადარჩენილ წევრს სისტემა აჯილდოვებდა (მაგალითად, ლენინის ორდენით) ქვეყნის წინაშე ამა თუ იმ გაწეული სამსახურის გამო:

„პარადოქსული ისაა, რომ ბაბუა გადასახლებული იყო და ბებიას ლენინის ორდენი მისცეს. პედაგოგი იყო... ეს მოხდა რეაბილიტაციამდე, დაახლოებით 50 წლამდე... ესეთ პარადოქსულ გადაწყვეტილებებს ღებულობდნენ კომუნისტები, ნახევარი კი დარჩენილ ოჯახსაც ანადგურებდა, მაგრამ ესეთი პარადოქსული იყო.“ (რესპ.18, 45 წლის., მამრ.).

მეორე ტიპის პარადოქსი არის დაკავშირებული ერთ და იგივე სოციალურ სისტემაში (მაგ., განათლების სისტემაში, ან სამსახურებრივ დაწესებულებაში) ადამიანის დევნა იმის გამო რომ ის „ანტისაბჭოთა ელემენტის“ ოჯახს ეკუთვნოდა, და ამავე დროს, მისი დაჯილდოვება ქვეყნის ბელადის სახელით (ლენინისა თუ სტალინის გამოსახულებიანი სიგელით):

„ეხლა პარადოქსები, ხო: დედაჩემი რჩება ქუჩაში, მიდის ბაღში, ცემენ, ეს მტრის შვილია, კუთხეში აყენებენ, თმებს წიჩკნიან, მერე ბავშვი მიდის სკოლაში და... სიგელი, რო ამ კლასიდან ამ კლასში გადასვლის, გესმის რა პარადოქსი არი ეს? ერთი ხელით დედას და მამას გიხვრიტავენ, მეორე ხელით

გაძლევენ სიგელს, რომელსაც ლენინი და სტალინი ახატია, რო კარგი სწავლისთვის და კარგი მოსწრებისთვის შენ...“ (რესპ.17, 46 წლის, მდედრ.).

მესამე ტიპის პარადოქსზე ისაუბრა ყველა რესპონდენტმა, გამონაკლისის გარეშე (ისევე, როგორც მეორე თაობის რესპონდენტებმა), ეს ეხებოდა გლოვის რეაქციას სტალინის გარდაცვალებაზე:

„რომ მოკვდა სტალინი, თურმე ტიროდნენ დედაჩემი და ბებიაჩემი [რომელთა მამა და შესაბამისად, ქმარი დახვრეტილია, დ.ჯ.]. *მამაჩემმა ხომ არ გაგიჟდითო, რა გატირებთო, არ გრცხვენიათო? გაჩერდნენ მერე. რა არის ეს სინდრომი, მე ხომ გეუბნები, არ ვიცი რა! თავისი ხელით აქვს სტალინს მოწერილი, расстрелять [დაიხვრიტოს, დ.ჯ.], მორჩა. ათასობით ხალხზე. მერე მოკვდა ეს მტარვალი და ტიროდნენ კიდევ? არ ვიცი რა, რა ფსიქოლოგიაა ეს?“ (რესპ.19, 62 წლის, მამრ.).*

ნარატივები რეაბილიტაციასა და სამართლიანობის აღდგენაზე. უკლებლივ ყველა რესპონდენტმა, გამონაკლისის გარეშე, აღნიშნა, რომ რეაბილიტაციის პროცესები და პირობები, რომელიც ინიციირებული იყო სახლემწიფოს მხრიდან, იყო ფორმალური, არაეფექტური და ოჯახის წევრებს დაუტოვა, შემთხვევათა აბსოლუტურ უმრავლესობაში, უკმარისობის განცდა:

„რეაბილიტაცია კი, ნუ მალევე გამოუგზავნიათ, ბოდიში შეგვეშალა, მისი ბრალი არ ყოფილაო, სხვებთან შედარებით მალევე, ოღონდ რამდენ ხანში არ ვიცი. მერე შეიცვალა მათი ყოფა რამენაირად? იგივენაირი იყო... უბრალოდ რეაბილიტირებული იყო.“ (რესპ 14, 49 წლის, მდედრ.).

რამდენიმე რესპონდენტმა გამოავლინა ირონიული დამოკიდებულება რეაბილიტაციის მიმართ:

*„**ინტ:** რეაბილიტაციის მერე რა შეიცვალა? **რესპ**: „არაფერი, არაფერი, უბრალოდ მემორიალი რომ შეიქმნა, 90–იანი წლები იყო, კომპენსაციას აძლევდნენ – 45 ლარი იყო მაშინ და დედაჩემი გახარებული იყო, მაძლევენ 45*

ლარსო, 14 ლარი რომ პენსია იყო მაშინ [ირონიული ღიმილი]. ეს იყო და ეს, დანარჩენი არაფერი.“ (რესპ.19, 62 წლის, მამრ.).

რიგ შემთხვევებში რეაბილიტაციის ნარატივმა გამოავლინა, რომ ამ პროცესის გაუმართავობა და შეუსაბამობა განცდილი ტრავმის სიმძიმესთან რესპონდენტის მშობლის რეტრავმატიზაციის მიზეზი ხდებოდა:

„ნუ მერე რაღაცა რეაბილიტაცია გაუკეთეს, რაღაცა, რაღაცა, წამება, წვალება... მერეც ძაან მძიმე ცხოვრება ქონდათ. ეხლა წარმოიდგინე შენ რო მოგცემენ, რეაბილიტაციას ჩაგიტარებენ, გიხდიან ბოდიშს და გიხდიან ორასორმოცდაათ მანეთს, ორასორმოცდაათი მანეთი არი ეხლა ასი ლარი რო მოგცენ და გეტყვიან ეს არი მამაშენის ფული. და ბებიაჩემს ბაბუაჩემის დახვრეტის ფული, მოვიდნენ და გამოართვეს, ტყვიის ფული გამოართვეს. მერე მისცეს რაღაც ორასორმოცდაათი მანეთი, რომლითაც იყიდეს კარადა, და დედაჩემი სულ იმას ამბობს, რო კარადა ვიყიდე მამაჩემის ნაცვლად და ეს ხო არი ტრაგედიაო, და ეხლა რო რაღაცა იყო, რო რეაბილიტირებულებზე ფული უნდა დაარიგონო, ქალი ჩავარდა დეპრესიაში. რაში უნდა მომცენ ფულიო? იმაში რო დამიმახინჯეს მთელი ცხოვრებაო?“ (რესპ.17, 46 წლის, მდედრ.).

რამდენადაც რეაბილიტაციის სახელმწიფო მექანიზმი არ მუშაობდა, მეორე თაობის მსგავსად, მესამე თაობის წარმომადგენლები საუბრობენ სამართლიანობის აღდგენის ზებუნებრივ მექანიზმებზე:

„დეკემბრის თვე იყო, როცა ბებიაჩემი გადაასახლეს და დედაჩემი პრიუტში რომ მიყავდათ დეკემბერი იყო თუ არ ვცდები თვრამეტი და უთხოვიათ რომ ბავშვისთვისო, ნათესავებს კალგოტკაო, კალგოტკაო, მართლა კალგოტკა მოგვეციო, ამათ არ მიუციათ და თავისი შვილი, სამი წლის ბიჭი მერე დედაჩემის ოთახიდან გადმოუვარდა და მოუკვდა, მოკიდეს ამ ჩვენ ნივთებს ხელი და წავიდნენ ერევანში.“ (რესპ. 17, 46, მდედრ.).

პარალელურად ღმერთის მხრიდან სამართლიანობის აღდგენის იმედისა, სახელმწიფო მექანიზმების არაეფექტურობის/უმოქმედობის

პირობებში, მესამე თაობის რესპონდენტები აღწერენ, თუ როგორ აგროვებდნენ ოჯახის წევრები ინფორმაციის რეპრესირებული ოჯახის წევრის გადასახლებაში ყოფნის, ან დახვრეტამდე საპატიმროში ყოფნის პერიოდის შესახებ. რამდენადაც ეს პოზიტიური ნარატივები იყო, ეს რესპონდენტების თქმით, გარკვეულწილად უკმაყოფილებდა ოჯახებს რეაბილიტაციის მიღების მოთხოვნილებას:

„მოგვიანებით მამაჩემმა [რეპრესირებულის შვილის მეუღლემ, დ.ჯ.] *ნახა ის საქმე და მოვიდა ძალიან ამაყი, თქვა, რომ არავინ არ დაუსახელებიაო, არავინ არ ყოფილა ჩემთან ერთადო, ანუ ძალიან ვაჟკაცურად იყო წასული.“ (რესპ.17, 46 წლის, მდედრ.).*

„60-იანებში ერთი კაცი მისულა მამაჩემთან, ბაბუაჩემთან ერთად მჯდარა, და მოუყოლია, რომ ძალიან ღირსეულად ეჭირაო თავი, და ყველა პატიმარი პატივისცემით ექცეოდაო, და ეს ბიჭიც თურმე, თავისი მფარველობის ქვეშ ყავდა და ძალიან ემადლიერებოდა, მადლობის სათქმელად მოსულა.“ (რესპ. 23, 55 წლის, მამრ.);

„მე არც ბაბუაჩემს ვიცნობდი და არც ბიძაჩემს, მაგრამ მონაყოლით თითქოს ცოცხლად წარმოვიდგინე და ჩემს ცხოვრებაში ისინი გარკვეულ როლს თამაშობენ. ისტორია დედაჩემის მონაყოლიდან: დაიჭირეს მისი [რეპრესირებული ბიძის, დ.ჯ.] ამხანაგიც და გადაარჩინა - ამან არაფერი არ იცოდაო, თავის თავზე აიღო ყველაფერი. დახვრეტის წინ (განაჩენი გამოიტანეს იმ დღესვე და დახვრიტეს), ღამე, მის კამერაში სხვა მუხლით იჯდა ვიღაც, [ბიძას] სვიტრი ეცვა და თავისი სვიტრი გაიხადა და აჩუქა. მერე ის მივიდა ბებიაჩემთან და უთხრა, ასეთი ამბავიაო.“ (რესპ.19, 62 წლის, მამრ.).

4.4.3. აღდგენისუნარიანობის სტრატეგიები

ლოიალობა სისტემის მიმართ. უკლებლივ ყველა რესპონდენტმა ბავშვობიდან გაიარა „საბჭოთა ფაბრიკა“: ოქტომბრელობა, პიონერობა,

კომკავშირლობა. ამაში ხელს უწყობდნენ ოჯახები, რამდენადაც სისტემის მიერ შეთავაზებული მოზარდი თაობის ტრაექტორიები ოჯახების მხრიდან განხილული იყო, როგორც ნორმა:

„სხვანაირად ჩემს მშობლებს ვერც წარმოედგინათ. ეს ნორმა იყო. კომკავშირში რომ შემიყვანეს სკოლიდან, სახლში მითხრეს: ყოჩაღ, კარგი საქმეაო. არადა, რეპრესიის მსხვერპლი ოჯახი ვართ. მაგრამ მაშინ ეს ნორმალური იყო. და მეც მიხაროდა.“ (რესპ. 25, 50 წლის, მამრ.);

*„**რესპ**: და მე ვინ მეკითხებოდა კომკავშირში შესვლა-არშესვლას?! 'აქოური წესია და ამიტომ' პრინციპი იყო, რა. **ინტ**: წინააღმდეგი იყავით შესვლის? **რესპ**: - პრინციპში, არა.“ (რესპ. 28, 45 წლის, მდედრ.);*

„კომკავშირში?.. შეევედი, აბა რა. სხვანაირად ვერც წარმომედგინა. ის კი არადა, დედაჩემი სულ აგიტპროპს გვიტარებდა სახლში. ხომ მეცკომს ასწავლიდა. და, სახლშიაც გვასწავლიდა [იცინის, დ.ჯ.]. ფილოსოფიური დაამთავრა და წავიდა მეცნიერულ კომუნიზმში. წინათ არ მიფიქრია ამ კუთხიდან, და, ახლა, ჩვენ რომ ამ ყველაფერზე ვლაპარაკობთ, ვფიქრობ, თავი რომ დაეცვა.“ (რესპ.23, 55 წლის, მამრ.).

სისტემის კრიტიკული შეფასება და წინააღმდეგობა. სისტემის მიმართ კრიტიკული დამოკიდებულება უკლებლივ ყველა რესპონდენტის მიერ იყო ხაზგასმული. შემთხვევათა აბსოლუტურ უმრავლესობაში, კრიტიკული დამოკიდებულება გაჩნდა გვიანდელი მოზარდობის პერიოდში. რესპონდენტთა ნაწილთან ეს დასაწყისში გამოიხატა, როგორც ოჯახის ავტორიტარული აღზრდის სტილის მიმართ წინააღმდეგობის გაწევა, მშობლებთან კონფრონტაცია და საკუთარი უფლებებისთვის ბრძოლა, სკეპტიკური დამოკიდებულება სასკოლო რეჟიმის მიმართ, რაც შემდგომში რესპონდენტთა ნაწილში გადაიზარდა დისიდენტურ აზროვნებასა და სისტემის საწინააღმდეგო აქციებში მონაწილეობაში (14 აპრილი და შემდგომ). გამოკითხული მესამე თაობის 15 რესპონდენტიდან ერთს ჰქონდა

პროაქტიული როლი ეროვნულ-განმანთავისუფლებელ მოძრაობაში, რომელიც 80-აინი წლების ბოლოს დაიწყო, მაგრამ არა ლიდერის როლში.

რესპონდენტთა ნაწილი წინააღმდეგობის ფორმად აღწერს ერთგვარ პასიურ საბოტაჟს, რომელსაც ხელს უწყობდა საბჭოთა სახელმწიფოს დასუსტება:

„პერიოდი იყო ისეთი, დილის შვიდზე მაღაზიაში რძე მოდიოდა და თუ ვერ მიუსწრებდი, დამთავრებული იყო... მაღაზიაში მივდიოდი და დილით ვიდექი რიგში, მივდიოდი სამსახურში, ლისის ტბის იქით, წოდორეთში, კვლევით ინსტიტუტები იყო, მთელი დღე პრეფერანსის თამაში და დომინო, სოკოს კრეფა...“ (რესპ.20, 55 წლის, მამრ.).

მეგობრებთან დაჯგუფება. ზოგიერთი რესპონდენტი მეგობრებთან დაჯგუფებას ახასიათებს, როგორც ოჯახის სისტემის ჩაკეტიკლობისაგან და მშობლის ზემურვეობისგან თავდაცვის სტრატეგიას:

„ოჯახიდან წინააღმდეგობა მხვდებოდა მეგობრების გაჩენაზე. თუ მეგობარს გავიჩენდი, აუცილელბად დედაჩემს ან ბებიაჩემს „ვეტო“ უნდა დაედოთ [იცინის, დ.ჯ.], ის არ მოსწონდათ, ეს არ მოსწონდათ, მოკლედ... ჭიდაობა მიდიოდა, არ უნდოდათ ჩემი „გაყოფა“. მაგრამ მეც ვძალაობდი, და მიშველა ამ ძალაობამ - ეჩვეოდნენ ხოლმე ისინიც [დედა, ბებია, დ.ჯ.]. ყოველთვის მყავდა და მყავს მეგობრები, და ეს იყო და არის ჩემი სიმდიდრე“ (რესპ. 28, 50 წლის, მდედრ.).

იუმორი და სარკაზმი. რამდენიმე რესპონდენტი, რეპრესიებზე ნარატივების გადმოცემისას, იშველიებდა ირონიასა და სარკაზმს:

„მერე [ბაბუის დაპატიმრების შემდეგ, დ.ჯ.] რა გააკეთეს იცი?.. დაიჭირეს და ღორი ყავდათ, და ის წაიყვანეს, ტროცკისტის ღორიაო და ეს უნდა წავიყვანოთო – ტროცკისტის ღორი დააპატიმრეს, წაიყვანეს და შეჭამეს. [სარკასტული ღიმილი, დ.ჯ.]. ბრალდებები ასეთი იყო: რომ მოდის სამსახურიდანო, დარაბებს ხურავსო და რას აკეთებსო – დაღლილი მოდის და

იძინებს, არაო, რაღაცას ეტყობა იმასშვებაო...“ [სარკასტული სიცილი, დ.ჯ.]. (რესპ. 19, 62 წლის, მამრ.).

იყო, ასევე, იუმორის მოშველიება რეპრესიებულისა და მისი ოჯახის წევრების ინტერაქციების აღწერისას:

„მამიდაჩემი ერთი წლის იყო, არც ახსოვდა, ვერც ათვითცნობიერებდა, ბაბუა რომ ჩამოვიდა,... ლექსი უნდა წავიკითხო სკოლაში რაღაც საღამოზე სტალინზეო, დიდი გახარებით მივიდა ბაბუაჩემთან ლექსის ჩასაბარებლად.“ [იცინის] (რესპ.18, 45 წლის, მამრ.).

ოჯახის რეპრესიებში საზრისის ჩადება. აქ კვლავ გამოვყოფთ ერთმანეთისგან მომხდარის (რეპრესიების) ახსნას რესპონდენტების მიერ, და მომხდარიდან გარკვეული სარგებლის გამოტანას პიროვნული ზრდისა თუ ღირებულებების გადაფასებების თვალსაზრისით:

<u>*ახსნა იმისა, თუ რა მოხდა*</u>. მეორე თაობის რესპონდენეტების მსგავსად, მესამე თაობის წარმომადგენლებსაც გააჩნიათ რეპრესიების საკუთარი ახსნა, ერთგვარი „რეპრესიის ნაივური თეორია“, რომლის კომპონენტებია სისტემის ანტიჰუმანურობა, შიშის ინსტრუმენტალიზაცია და ხალხის „ცუდი ბუნება“:

მოცემულ ციტატაში ამ სამი ინგრედიენტიდან უფრო ადამიანების „ცუდი ბუნებაა“ ხაზგასმული:

„ყოველი მესამე თუ მეორე შპიონი იყო. დაგიბარებდნენ და გეტყოდნენ, მომაწოდე ინფორმაცია შენს მეზობლებზე, თორემ დედას გიტირებ! და იძულებული იყო, მიეცა, შეიძლება არც უნდოდა. ზოგი მერე თავისი ნებითაც აკეთებდა, სახლი მოეწონა, ან ცოლი მოეწონა ვიღაცის. ახლაც რომ იყოს 1937 წელი, იგივეს გაიმეორებნდენ, იმიტომ, რომ ადამიანები ისე არიან, ისე ჭორაობენ ერთმანეთზე... სამსახურშიც ახლა, ნებისმიერში, სადაც გამოვიარე – დავუშვათ, ვსხედვართ თანამშრომლები, ერთი რომ გავიდოდა, დაიწყებდნენ იმაზე ჭორაობას – არ შეიძლება ასეთი რაღაც. ჭორაობა პატარა რაღაცას ვიძახი, ზოგჯერ ისეთი დაუნდობლობა იყო ერთმანეთისადმი, სიძულვილი... ის

აუცილებლად დაასმენდა, ხალხის მტერიაო, ის კაცი, როცა მიეცემოდა საშუალება. ეზარება ჰო ვიღაც პიროვნება, მეზობელი, წავიდოდა და მოიგონებდა, რაღაცას იტყოდა.“ (რესპ. 19, 62 წლის, მამრ.);

მოცემულ გამონათქვამში რესპონდენტი უფრო დიდ აქცენტს შიშის ინსტრუმენტალიზაციაზე აკეთებს:

„ხალხის დაშინება უნდოდათ. დაშინებული ხალხი უფრო ადვილი სამართავი იყო. და ამით ისარგებლეს იმათ, ვისაც ბინის გაფართოვება უნდოდათ.“ [სარკასტული ღიმილი, დ.ჯ.]. (რესპ.23, 55 წლის, მამრ.);

მოცემულ გამონათქვამში რესპონდენტი სისტემის ანტიჰუმანურობაზე აკეთებს აქცენტს:

„აშენებდნენ სახელმწიფოს სახელმწიფოსათვის. სახელმწიფო ხომ ხალხს უნდა იცავდეს, ეს არის მისი მოწოდება, აქ კი ხალხი ეწირებოდა სახელმწიფოს მშენებლობას, ყველაფერი ‘ნაიზნანკუ’ [პირუკუ, დ.ჯ.] იყო, სატანურად: ხალხი ფეხებზე ეკიდათ, ადამიანი ფასეულობას აღარ წარმოადგენდა და ეს ქმნიდა იდეალურ პირობებს ერთმანეთის ჭამა-ყლაპვისათვის“ (რესპ. 21. 52 წლის, მდედრ.).

<u>*სარგებელის გაცნობიერება.*</u> რაც შეეხება ტრავმულ გამოცდილებაში საზრისის ჩადების მეორე საფეხურს - ტრავმული გამოცდილებიდან სარგებელის ნახვას პიროვნული ზრდის თვალსაზრისით, თუ ფასეულობით დონეზე, მესამე თაობის რესპონდენტები ამ თემაზე უფრო ადვილად საუბრობენ, ვიდრე მეორე თაობის რესპონდენტები. თუმცა, აქაც ყველა რესპონდენტმა ვერ მოახერხა ენახა რაიმე პოზიტიური ოჯახის რეპრესიის ისტორიაში. ზოგადად, საზრისის ჩადების თვალსაზრისით, შესაძლოა გამოიყოს შემდეგი პატერნები:

გავლენა ფასეულობების ჩამოყალიბებასა და პიროვნულ ქმნადობაზე. ოჯახის ტრავმულ გამოცდილებაში პოზიტივის ნახვა შედარებით

უადვილდებათ იმ რესპონდენტებს, რომელთა ოჯახის წევრები რეპრესირებული იყვნენ რეჟიმისთვის წინააღმდეგობის გაწევის გამო და რომლებზედაც მუდმივად ხდებოდა საუბარი ოჯახში, მათი დადებითი თვისებების აქცენტირებით. ეს რესპონდენტები საუბრობენ რეპრესირებული ოჯახის წევრის გავლენით ისეთი ფასეულობის ჩამოყალიბებაზე, როგორიცაა, მაგ., სამშობლოს სიყვარული:

„ყველაზე მეტად ვივსებოდი ბიძაჩემის სიამაყით, რომ საქართველოს დამოუკიდებლობას შესწირა თავი, ეს იყო ჩემთვის, ისტორიაც აქედან, საქართველოს სიყვარული ამ დახვრეტილმა ბიძამ შემაყვარა, კვალია ასეთი, პოზიტიური კვალი. იმდენად აღფრთოვანებული ვიყავი...“ (რესპ. 19, 62, მამრ.).

საზრისის ჩადების ამ მეორე საფეხურის გავლა შეძლეს იმ რესპონდენტებმაც, ვინც უჩიოდა რეპრესიების გავლენით განვითარებულ, მათი დედების ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემებსა და დედების ჭარბ ემოციურობას რეპრესიებზე ინფორმაციის მოწოდებაში.

თემატური თვალსაზრისით, გარდა ზემოთ აღწერილისა, გამოიყო რეპრესიის გამოცდილების გავლენით განვითარებული ისეთი ფასეულობები, როგორიცაა მგრძნობიარობა გაჭირვებული, დაჩაგრული, ობოლი ადამიანების მიმართ, მაგ.:

„დამოკიდებულება გაჭირვებულის, ობლის, რაღაცის მიმართ მაქვს ძაან გამწვავებული. აი ვთქვათ, ჩემთან სამსახურში რო ვმუშაობდი, კადრების უფროსი ვიყავი და არავის არ გადავყვებოდი იმდენად... როგორც კი გავიგებდი, რო ობოლია ან დაჩაგრული, მერთვებოდა როგორი რაღაცა, იცი? კბილებით უნდა გამომეყვანა და გამეყვანა იმაში, ანუ რაც წესით ჩვეულებრივ ადამიანებს, ხო იცი მაძღარს მშიერის არ ესმის, ვისაც მშობელი ყავს, ობლის მაინც არ ესმის, მაგრამ მე მქონდა რაღაც გამწვავებული პასუხისმგებლობა, რო ვიღაცას უნდა დავხმარებოდი.“ (რესპ. 17. 46 წლის, მდედრ).

ნაწილი რესპონდენტებისა, ასევე, საუბრობენ საკუთარი თავის გატანასა და ბრძოლისუნარიანობაზე, რომელიც არ ექნებოდათ, რომ არა რეპრესიები:

„მამაჩემი ისე ცხოვრობდა, რომ ვერავის ვერასდროს მისთვის ბრალი ვერ წაეყენებინა, ნაწილობრივ, შესაძლოა, სისტემის წინაშე შიშის გამო. იცოდა, რომ საბაბი არ უნდა მიეცა არავისთვის. კრისტალურად პატიოსანი და წესიერი ადამიანი იყო. ამიტომ, ბავშვობიდანვე ვიცოდი, რომ პროტექციის და ქრთამის იმედად არ უნდა ვყოფილიყავი (როგორც გარშემო ყველა იყო), და ჩემი თავი ჩემი ძალებით გამეტანა, განსხვავებით სხვა ჩემი თანატოლებისგან. ამიტომ მე მებრძოლი ვარ, ვებრძვი ცხოვრებას.“ (რესპ. 21, 52 წლის, მდედრ.).

მშობლების „შეცდომების გასწორება“ საკუთარ ოჯახში. რესპონდენტები, რომლებიც აცნობიერებენ რეპრესიის ტრავმის გავლენას თავის ბავშვობისა და ახალგაზრდობის წლებზე, აღწერენ, თუ როგორ ცდილობენ აღარ დაუშვან ის შეცდომები, რომლებსაც მათ მიმართ უშვებდნენ მშობლები, თავის მიერ შექმნილ ოჯახებში, საკუთარ შვილებთან ურთიერთობაში. კერძოდ, მათ ხაზი გაუსვეს, რომ ახორციელებენ უფრო დემოკრატიულ აღზრდის სტილს, ცდილობენ გამორიცხონ პარენტიზაცია, არ განახორციელონ ზემეურვეობა და ა.შ.:

„მე მახსოვს, რა მძიმე იყო ის მუდმივი კონტროლი და ვცდილობ ჩემს შვილს მეტი თავისუფლება მივცე. არასოდეს არ „ვუხტები“ პირად ცხოვრებაში, ის ჩემთვის პიროვნებაა და მე მას პატივს ვცემ. მაგისი ინტერესებიდან ვიყურები, ჩემი ეგო გვერდზე მაქვს გაწეული. ვშფოთავ რაღაცეებზე? ვშფოთავ, როგორ არ ვშფოთავ! მაგრამ ეს ჩემი პირადი საქმეა, და არავითარ შემთხვევაში არ უნდა გახდეს მისი პრობლემა.“ (რესპ. 26, 55 წლის, მდედრ.).

სულ, თხუთმეტი რესპონდენტიდან რვამ მოახერხა თავისი ოჯახის რეპრესიების გამოცდილებისთვის შეეხედა დადებითი მხრიდან (ხუთი სხვადასხვა ოჯახის წარმომადგენელმა). იმ შვიდი რესპონდენტიდან, რომელთაც ვერ მოახერხეს დადებითი მხრიდან შეხედვა, ოთხმა ოჯახის

წევრის რეპრესირების ამბავი გაიგო სტუდენტობისას, და მათ ოჯახებში არ ხდებოდა მათ გასაგონად საუბარი რეპრესიებზე და შესაბამისი გამოცდილების გაზიარება.

4.5.მეორე და მესამე თაობების კვლევის საფუძველზე გამოვლენილი ოჯახური სისტემის პატერნები

კვლევის შედეგად გამოვლინდა ოჯახური სისტემის ორი ძირითადი პატერნი, რომელიც დაკავშირებულია რეპრესიების გამოცდილებასთან. ერთერთ პატერნში გამოიყო ორი ქვეტიპი. ქვემოთ აღწერილია თითოეული მათგანი:

„დაქვემდებარების" (Dependancy) საბაზო დაშვებით მცხოვრები ოჯახური სისტემა:

„პიროვნების კულტი". ამგვარ ოჯახურ სისტემაში პრეველირებს შფოთვა და შფოთვით მოტივირებული ზესიფხიზლე. სისტემაში მეორე თაობის წარმომადგენელი, ოჯახის დედა, ხდება ოჯახის ერთპიროვენული ავტორიტარული ლიდერი. ის აწესებს ოჯახური სისტემის ცხოვრების წესებს, რომლებსაც ემორჩილება ყველა ოჯახის წევრი. რეპრესიების გამოცდილების შესახებ არ ხდება ნარატივების გაზიარება შვილების სრულწლოვანებამდე ან გვიანდელ მოზარდობამდე. ოჯახური ურთიერთობების აღწერისას ოჯახის წევრები იყენებენ გამოთქმას „დედის კულტი" („პიროვნების კულტის" ანალოგი ოჯახურ სისტემაში), თუმცა ამ ტერმინს ისინი ხმარობენ პოზიტიური მნიშვნელობით - დედის დაფასებისა და პატივისცემის აღსანიშნავად, რაც ოჯახის უახლოეს სოციალურ გარემოცვაში დადებით განმტკიცებას ღებულობს, რადგანაც აიხსნება, როგორც საქართველოში დედის პატივისცემის ტრადიციის გამოხატულება და გაგრძელება. ოჯახის ავტორიტარული ლიდერი დედა, შფოთვის მაღალი დონიდან გამომდინარე, ახორციელებს მაკონტროლირებელ ზემეურვეობას შვილებზე. კვლავ მაღალი შფოთვიდან გამომდინარე, შვილები თავის თავზე იღებენ პასუხისმგებლობას დედის

შფოთვის გამკლავების გამო და ახდენენ პარენტიზაციას. ამგვარი პარადოქსული პროცესის მიღმა შესაძლოა ვივარაუდოთ ამბივალენტური მიჯაჭვულობა. ერთი მხრივ, ადგილი აქვს მჭიდრო ემოციურ სიახლოვეს დედასა და შვილებს შორის, დედას ახასიათებს მაღალი ეჭვიანობა შვილების პოტენციური მეგობრებისა და რომანტიული პარტნიორების მიმართ და ცდილობს მათ ჩანაცვლებას. შვილებს ახასიათებთ სხვა ადამიანების მიმართ უნდობლობა და ინტიმური სიახლოვისგან გარიდება. ეს ყოველივე იწვევს შვილებში სეპარაციისა და ავტონომიურობის მიღწევის სირთულეებს. თუ მეგობრებთან დაჯგუფებისა და შესაბამისად, ემანსიპაციის რეაქციამ არ გაწყვიტა ეს ტრავმული ბმა, შვილები პოულობენ ინტიმურ პარტნიორებს მხოლოდ დედის გარდაცვალების შემდგომ, როდესაც თავად 40 წელზე მეტი ხნისანი არიან.

„დაკარგული სამოთხე“. ოჯახური ცხოვრების ეს პატერნი დეპრესიითა და წარსულზე ნოსტალგიით არის მოტივირებული. აქ მეორე თაობის წარმომადგენელი ცდილობს ააწყოს საკუთარი ოჯახის ცხოვრება იმგვარად, რომ დაიბრუნოს ის, რაც მის ოჯახს წაართვეს რეპრესიების დროს. ეს ეხება მისი მხრიდან მეუღლის არჩევანს (მამასთან მსგავსების პრინციპით), შვილების რაოდენობას, ოჯახური ცხოვრების წესებს, რომელიც ახსოვს ბავშვობის მოგონებებიდან, საცხოვრებელ სივრცეს - მცდელობა, ჰქონდეს ისეთივე ბინა/სახლი, როგორც მის თავდაპირველ ოჯახს, ისეთივე ნივთები, ისეთივე ოჯახური ტრადიციები და რიტუალები. შედეგად, ის ხდება ერთპიროვნული ლიდერი ოჯახში, სადაც კარნახობს წესებს როგორც მეუღლეს, ასევე შვილებს. იგი აწყობს ოჯახის ყოფას იმგვარად, რომ მოახდინოს თავისი საწყისი ნუკლეარული ოჯახის „რეანიმაცია“ (ერთგვარი ტრავმული reenactment-ი). ამგვარ ოჯახურ სისტემაში მესამე თაობას ადრეული ბავშვობიდან ესაუბრებიან რეპრესიების გამოცდილებაზე. უკეთეს შემთხვევაში, გვიანდელ მოზარდობაში შვილები აცნობიერებენ, რომ დედა

მათ „სხვისი ცხოვრების ყალიბში“ სვამს, რაც ხელს უწყობს პროტესტის რეაქციებსა და მკვეთრ სეპარაციას.

შებრძოლება-გაქცევის საბაზო დაშვებით მცხოვრები ოჯახური სისტემა:

„ბრძოლის ველი“. ამგვარი ოჯახური სისტემაც, აგრეთვე, შფოთვით არის მოტივირებული. მეორე თაობის წარმომადგენელი მეუღლეს ირჩევს მამისგან დიამეტრალური განსხვავების პრინციპით - რამდენადაც მამა რეპრესირებულია, ხდება გათხოვება რეჟიმის წარმომადგენელზე (კომკავშირულ თუ პარტიულ ლიდერზე). ამავე დროს, მეორე თაობის წარმომადგენელი ოჯახურ სისტემაში რთავს პირველი თაობის წარმომადგენელს - რეპრესიას გადარჩენილ მშობელს, დედას, რომელიც კონფლიქტში შედის სიძესთან. გარშემომყოფთათვის ეს ოჯახური კონფლიქტი ინიღბება სიძე-სიდედრის „ტრადიციული“ დაპირიპირების მითით. პირველი თაობის წარმომადგენელი და სიძე იბრძვიან მეორე თაობის წარმომადგენელზე (შვილზე და ცოლზე) გავლენის მოსაპოვებლად, შვილები იზრდებიან გამუდმებული კონფლიქტის ატმოსფეროში, ხდებიან კონფლიქტის „მხარეები“, ოჯახი დისფუნქციურია.

4.6.საზოგადოებრივ დონეზე ტოტალიტარული ტრავმის კვლევის შედეგები

4.6.1. ტოტალიტარული რეჟიმის დროს საქართველოს მოსახლეობაზე მოქმედ სტრესორთა სისტემა და მათი ზემოქმედებით მიღებული ტრავმული გამოცდილების გამოგლოვების მდგომარეობა

საბჭოთა რეჟიმი, ქვეყნის მოსახლეობის ტრავმირების თვალსაზრისით, სტრესორთა კომპლექსურ სისტემას მოიცავდა, რომლებიც სხვადასხვა დონეზე მოქმედებედნენ. ეს სტრესორები, უფრო ხშირად, არ იყვნენ ერთჯერადი და წარმავალი. თუ Lenore Terr-ის კლასიფიკაციას გამოვიყენებთ, ტოტალიტარული სტრესორები იყო არა ე.წ. *პირველი ტიპის ტრავმის,* ანუ

მარტივი ტრავმის გამომწვევი სტრესორები (ერთჯერადი, დროში ლიმიტირებული) (Terr, 1990) არამედ ე.წ. *მეორე ტიპის (რთული) ტრავმის* გამომწვევი სტრესორები. ამგვარ ტრავმას Judith Herman-ი კომპლექსურს უწოდებს (Herman,1992). ანუ, ტოტალიტარული სტრესორები ხასითდებოდნენ განმეორებადობით, დროში განვრცობით, ისინი პირდაპირ თუ ირიბ ფიზიკურ და/ან ფსიქიოლოგიურ ზიანს იწვევდნენ, იყვნენ არაწინასწარმეტყველებადი და ამავე დროს, მათი თავიდან აცილება/მათგან განრიდება შეუძლებელი იყო. თუ მატრავმირებელ სტრესორთა Earl Hopper-ისეულ კლასიფიკაციას გამოვიყენებთ (Hopper, 2003), დავინახავთ, რომ საბჭოთა საქართველოს მოსახლეობაზე, ფაქტობრივად, მატრვამირებელი, ტოტალიტარულ რეჟიმთან დაკავშირებული სტრესორების მთელი სისტემა ზემოქმედებდა (იხ. ცხრილი 5):

ცხრილი 5: ტოტალიტარულ რეჟიმთან დაკავშირებულ მატრავმირებელ სტრესორთა სისტემა, რომელიც ზემოქმედებდა საქართველოს მოსახლეობაზე საბჭოთა პერიოდში

	ყოველდღიური პრესი/დაძაბულობა	**კუმულაციური სტრესორები**	**კატასტროფული სტრესორები**
განმარტება	საყოველთაო ტოტალიტარული კონტროლი	რეჟიმის მხრიდან წარმოებული ინდივიდუალური და ოჯახური მასშტაბის ინცინდენტები	რეჟიმის მიერ განხორციელებული მასობრივი მკვლელობები
ზემოქმედების დონე(ები)	ინდივიდი და ოჯახი	ინდივიდი, ოჯახი და უახლოესი სათემო გარემოცვა	საზოგადოების ყველა დონე
მაგალითები/ ილუსტრაციები	- განსხვავებული აზრის გამოხატვის შიში; - შიში, რომ დაგასმენენ ამა თუ იმ გმონათქვამისა თუ საქციელის გამო; - ანტისახელმწიფოებრივ საქმიანობაში დადანაშაულების შიში; და ა.შ. **ილუსტრაცია:**	- ოჯახის წევრთა დაპატიმრება; - დაკითხვა; - "ხალხის მტრის" სტიგმა; - სომატური დაავადებები, განვითარებული ტრავმატიზაციის ფონზე, და ნორმალური სამედიცინო დახმარების მიღების შეუძლებლობა	- საბჭოთა არმიის მიერ ანექსია 1921წელს; - 1924 წლის აჯანყების ჩაქრობა; - 1941 წელს თსუ-ს სტუდენტების დახვრეტა; - 1956 წელს ახალგაზრდა დემოსნტრანტების დახვრეტა;

	საინტერესოა, რომ საბჭოთა პერიოდის საქართველოში ერთერთი ყველაზე ხშირად გამოყენებადი გაფრთხილება, ამა თუ იმ საქციელის გადასაფიქრებლად, იყო „არ გააკეთო, თორემ დაგვიჭერენ“ (70-იანი წლებიდან - უკვე სახუმარო ტონში).	და ა.შ.	- 1989 წლის 9 აპრილის დემონსტრანტთა დარბევა.

ცხრილში მოყვანილი სტრესორთა სისტემის დასასაბუთება

ყოველდღური სტრესორები დაკავშირებულია ტოტალიტრული სისტეტემის მხრიდან დანერგილ შიშთან. დეფინიციით, ტოტალიტარული სისტემის კონტროლის საბაზო მექნიზმი არის შიში (ლენინის „წითელი ტერორი“, სტალინის „დიდი ტერორი“, თავად სიტყვა „ტერორი“ ლათინურად შიშს ნიშნავს). საგულისხმოა, რომ მარკ იუნგესა და მისი კოლეგების მიერ ტოტალიტარული რეპრესიები ახსნილია, როგორც საბჭოთა პოპულაციის, ჩვენს შემთხვევაში, ქართული პოპულაციის „შიშით დისციპლინირების მექანიზმი“ (იუნგე და სხვ., 2015,). პოლიტიკური სისტემის მიერ დანერგილი შიშის მუდმივი განცდა;

კუმულაციური სტრესორების მატრავმირებელი გავლენა რეპრესირებულ ოჯახებზე (დაპატიმრება, „ხალხის მტრის სტიგმა“, დაკითხვებზე სიარული, გამუდმებული შიში) თვალსაჩინოდ გამოვლინდა ჩემს მიერ ჩატარებული ჩაღმავებული ინტერვიუებიდან;

კატასტროფული სტრესორები, რომელიც ღია მასობრივ მკვლელობებს გულისხმობს, უკვე დეფინიციით გულისხმობს არა მარტო პირდაპირ მსხვერპლთა, არამედ მთლიანად საზოგადოების ტრავმირებას (Volkan, 1991, 2002, 2004, 2006, 2007, 2009a, 2009b, 2013).

როგორც ზემოთ მოყვანილი ცხრილიდან ჩანს, ტოტალიტარული სტრესორები ზემოქმედებედნენ საზოგადოების ყველა დონეზე და შესაბამისად, იწვევდნენ მრავლობით ტრავმირებას. მტკიცებულების თანახმად, ძალადობასთან დაკავშირებული ტრავმა იწვევს საბაზო კოგნიტური რწმენების დაზიანებას - უსაფრთხოებისა და ცხოვრების პროგნოზირებადობის განცდაზე, საკუთარი თავის ფასეულობასა და ღირსებაზე, საკუთარი ცხოვრების კონტროლირებაოდბაზე და ა.შ., და შესაბამისი მრავლობითი დანაკლისის განცდას (Janoff-Bulman, 1992). ცხრილის შუა სვეტი ავლენს, რომ განსხვავებით ქვეყნის დანარჩენი მოსახლეობისგან, რეპრესირებული ოჯახები, დამატებით, კიდევ უფრო მძიმე ტრავმატიზაციას განიცდიდნენ. აქ ადამიანები კარგავდნენ იმ ობიექტებს, რომლებშიც მნიშვნელოვან ემოციურ ინვესტიციას დებდნენ - დაწყებული საყვარელი ადამიანებითა და ოჯახის წევრებით, დამთავრებული პირადი ნივთებითა და ქონებით. აქ რეპრესირებული ოჯახები შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც საზოგადოების ყველაზე მოწყვლადი და ტოტალიტარული რეჟიმისგან ყველაზე მეტად დაზარალებული დაინტერესებული სუბიექტი, ტოტალიტარული სისტემის ერთგვარი „იდენტიფიცირებული მსხვერპლი“.

Hopper-ის თანახმად, ძალადობრივ საზოგადოებაში, ფსიქოტრავმატოლოგიური პერსპექტივიდან, შესაძლოა გამოიყოს სამი სიმბოლური მოდუსი: მსხვერპლი, აგრესორი და გვერდიდან მაყურებელი (Hopper, 2003). ეს სამართლიანია ტოატლიტარული საზოგადოებისთვისაც, და ჩვენი ანალიზისათვის ამ სამკუთხედს ვუწოდებ „ტოტალიტარულ სმაკუთხედს“. ტოტალიტარულ სამკუთხედში ეს სამი მოდუსი ურთიერთგარდამავალია: დღევანდელი აგრესორი ხვალ, შესაძლოა, მსხვერპლი გახდეს, დღევანდელი მსხვერპლი - ხვალ აგრესორი, და ა.შ. ამას ადგილი ჰქონდა საქართველოშიც სტალინური რეპრესიების დროს (იუნგე და სხვ., 2015). აგრესორის მიერ მსხვერპლის ვიქტიმიზება ეხება არა მხოლოდ

მსხვერპლს; სინამდვილეში ეს ზეძლიერი გზავნილია გვერდიდან მაყურებლისთვის, რომელიც მასში უსუსურობის განცდასა და შიშს იწვევს და ამ გზით ადუმებს. უსუსურობის განცდის გამოისობით გვერდიდან მაყურებელი იდენტიფიცირდება მსხვერპლთან, ხოლო დუმილით კი - აგრესორთან. ანუ, აქ ადგილი აქვს აგრესორთან იდენტიფიკაციას (Freud, 1936), რაც, ფაქტობრივად, მასში ტოტალიტარული ობიექტის ინტერნალიზების გზაა (Sebek, 1996). ტოტალიტარული ობიექტი, ინტერნალიზების შედეგად, არსებობს არა მარტო გარე სინამდვილეში, არამედ ინდივიდისა და საზოგადოების ინტრაფსიქიკურ რეალობაში, რაც მას სიცოცხლისუნარიანად ხდის ფიზიკური ტოტალიტარული ობიექტის გარდაცვალებისა და ტოტალიტარული რეჟიმის გადაგდების შემდგომაც. ეს პოსტტოტალიტარულ პერიოდში ახალი ტოტალიტარული ობიექტით ძველის ჩანაცვლებისა, და შესაბამისად, რეპროდუცირების საფრთხეს ქმნის, რამდენადაც მისი „ნიშა“ თავისუფალია (Sebek, 1996).

Hopper-ის მიხედვით, იმისთვის, რათა ტრავმირებული საზოგადოება გამოვიდეს ძალადობის სამკუთხედიდან და დანაკლისი ავთენტურად გამოიგლოვოს, მსხვერპლმა უნდა გაუზიაროს საზოგადოებას თუ რა შეემთხვა, აგრესორმა უნდა აღიაროს და მოინანიოს დანაშაული, ხოლო გვერდიდან მაყურებელმა კი მოახდინოს სიტუაციის ვალიდიზება - დაამოწმოს, რომ ის, რაც გადაიტანა მსხვერპლმა, ნამდვილად მოხდა (Hopper, 2003). პოსტ ტოტალიტარული საზოგადოების კონტექსტში, ამის საშუალებას იძლევა ერთი მხრივ, ლუსტრაცია და აღდგენითი მართლმსაჯულების მიდგომა, რაც საქართველოში არასდროს მომხდარა. მეორე მხრივ, პარალელურად ლუსტრაციისა და აღდგენითი მართლმსაჯულებისა, სოციეტალურ დონეზე დანაკლისისა და მასთან დაკავშირებული საზოგადოებრივი ტრავმის გამოგლოვება შესაძლოა წარიმართოს წარსულის გააზრებაზე, ახსნაზე, მასში საზირსის ჩადებაზე, გადაფასებაზე მიმართული მუშაობით. ეს შესაძლებელია

მოხდეს მეცნიერების, ხელოვნების, კულტურული თუ რელიგიური რიტუალების საშუალებით. ამაში საზოგადოების ყველა სუბიექტს - პოლიტიკოსებს, მეცნიერებს, ხელოვანებს, ეკლესიის წარმომადგენლებსა და ზოგადად ყველა მოქალაქეს შეუძლია წვლილის შეტანა. მუშაობის ფორმები, იმის მიხედვით, თუ ვინ ანხორციელებს მას, სხვადასხვაა: დანაკლისის მასიმბოლოვებელი მონუმენტების შექმნა, ტოტალიტარული რეჟიმის მეცნიერული კვლევა, რელიგიური რიტუალების განხორციელება და ა.შ. პარალელურად, შესაძლოა მიმდინარეობდეს გარკვეული პროცესები არაცნობიერ დონეზეც (მაგალითად, შობადობის მატება, როგორც ეს ე.წ. აბერფანის ტრაგედიის შემთხვევაში იყო) (Volkan, 2006).

საქართველოში წარსულთან გამკლავების ზემოთ აღწერილი ინსტიტუციური მექანიზმები (ლუსტრაცია, აღდგენითი მართლმსაჯულება, მსხვერპლთა თანმიმდევრული და სრულფასოვანი რეაბილიტაცია, საკითხის ჯეროვანი სამეცნიერო შესწავლა და ა.შ.) არ შექმნილა, და შესაბამისი აღდგენითი პროცესები არ ამოქმედებულა. ეს კარგად ჩანს როგორც ისტორიკოსების მიერ რეაბილიტაციის პროცესის ხინჯების ანალიზიდან (Хвадагиани, 2016), ასევე ჩემი კვლევის პირველი ნაწილიდან, სადაც უკლებლივ ყველა რესპონდენტი მიუთითებს, რომ რეაბილიტაციის პროცესი და შედეგი მათთვის არა თუ დამაკმაყოფილებელი, არამედ მატრავმირებელია.

ქვევით შევეცდები გავაანალიზო წარსულის გამოგლოვების ბარიერები საქართველოში. ბარიერების ანალიზისას შესაძლებელია განვასხვავოთ კონტექსტუალური ფაქტორები, ხელისუფლების დღის წესრიგთან დაკავშირებული ფაქტორები და მოსახლეობის ფსიქოსოციალურ მდგომარეობასთან დაკავშირებული ფაქტორები. თუმცა, რამდენადაც უფრო ხშირად ამ სამი რიგის ფაქტორებს ერთობლივად შეაქვთ წვლილი ამა თუ იმ კონკრეტული ბარიერის მოქმედებაში, ამგვარი დაჯგუფებისგან თავს

შევიკავებ და გამოგლოვების წარუმატებლობის ქრონოლოგიურ აღწერას მივყვები:

დამოუკიდებლობის მოპოვების უშუალოდ შემდგომ, პრეზიდენტი გამსახურდიას მმართველობის ხანმოკლე პერიოდში, ორმა ეთნო-პოლიტიკურმა კონფლიქტმა და სამოქალაქო ომმა არ მისცა საშუალება არც ხელისუფლებას, არც საზოგადოებას, რომ კრიზისული აწმყოდან ყურადღება წარსულის გაანალიზებაზე გადაეტანათ, რამდენადაც წარსულთან გამკლავება (Dealing with The Past) თავისი დეფინიციით გულისხმობს, რომ წარსულ ძალადობასთან გამკლავება ხდება შესაძლებელი მხოლოდ შეიარაღებული კონფლიქტიდან გამოსვლის შემოდგომ (Welsh, 1996; Fischer, 2011; Austin, 2017 და სხვ.). ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომელიც წინ უსწრებდა დამოუკიდებლობის დაბრუნებას, თავის ძირითად ვექტორს, ბუნებრივია, რუსეთისგან განთავისუფლებაზე მიმართავდა, რაც წარსულის ტოტალიტარულ განზომილებას საზოგადოების ყურადღების მიღმა ტოვებდა. თუმცა, გამოთქმა „სუკის აგენტი“ ამ პერიოდში ჩვეულ სტიგმად იქცა, მას უფრო შიდა-პოლიტიკური ბრძოლისთვის იყენებდნენ, ვიდრე წარსულის გასააზრებლად, ან ლუსტრაციის ინსტიტუციური მექანიზმების შესაქმნელად.

ედუარდ შევარდნაძის მმართველობის წლებში ლუსტრაცია და წარსულის გააზრება, ფაქტობრივად, ამოღებულ იქნა პოლიტიკური დღის წესრიგიდან, რამდენადაც შევარდნაძე თავად წარმოადგენდა და წლების მანძილზე ემსახურებოდა საბჭოთა რეჟიმს. შევარდნაძის შემდგომ, „ვარდების რევოლუციით“ 2003 წელს ხელისუფლებაში მოსული მიხეილ სააკაშვილისა და პარტია ერთიანი ნაციონალური მოძრაობის (ენმ) ერთერთი პროგრამული დაპირება სწორედ ლუსტრაციის ჩატარება იყო. პარტიის მიერ შემუშავებულ პროგრამულ დოკუემენტში „კმარა, ანუ ათი ნაბიჯი თავისუფლებისკენ“ ლუსტრაციის ჩატარება მეხუთე ნომრად (ნაბიჯად) გადიოდა. პარტიის მმართველობის მერვე (2011) წელს, პარლამენტის მიერ, ბოლოს და ბოლოს,

მიღებულ იქნა შესაბამისი კანონმდებლობა (კანონი „თავისუფლების ქარტია“). მიღებამდე, კანონპროექტი არ ყოფილა განხილვის საგანი არც საჯარო სივრცეში, არც სამოქალაქო საზოგადოებაში. კანონის აღსასრულებლად, შინაგან საქმეთა სამინისტროში უნდა შექმნილიყო სპეციალური კომისია, რომელიც ლუსტრაციის პროცესს გაუძღვებოდა, მაგრამ ეს დღემდე არ განხორციელებულა, ამდენად, კანონს უფრო ფასადური დატვირთვა ჰქონდა და აქვს, ვიდრე რეალური ცვლილებებისათვის ნიადაგის მომზადებისა. ლუსტრაციის პროცესის დასაწყებად 2013 წელს მომზადდა და 2013 წლის 25 დეკემბერს პარლამენტმა დაამტკიცა საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი, რომელსაც კანონის რეალური ამოქმედება უნდა გამოეწვია, მაგრამ ეს არ განხორციელდა. კანონის აღსრულება დღეისათვის კვლავ ამოღებულია პოლიტიკური დღის წესრიგიდან. კანონის აღსრულებას ართულებს ის ფაქტი, რომ საბჭოთა კავშირის დანგრევიდან უკვე თითქმის სამი ათწლეულია გასული. გარდა ამისა, სამოქალაქო ომის დროს ნაწილობრივ განადგურებულ და ნაწილობრივ რუსეთში გატანილ იქნა უშიშროების არქივები და აგენტურული მასალები. მაგრამ აღწერილი პოლიტიკური და სამართლებრივი მიზეზების, ხელისუფლების დღის წესრიგთან დაკავშირებული თუ ფიზიკური ბარიერების კვლადაკვალ, არსებობს მთელი რიგი ფსიქოლოგიური ფაქტორებისა, რომელიც ხელს უშლის ტოტალიტარული წარსულის გადაფასებას ქვეყანაში. Volkan-ი საზოგადოებრივ ცხოვრებაზე მოქმედ ფსიქოლოგიურ ფაქტორებს „პროგრამული უზრუნველყოფის ფაქტორებს“ („software factors”) უწოდებს (Volkan, 2004). ქვევით დახასიათებულია საქართველოში მოქმედი „პროგრამული უზრუნველყოფის ფაქტორები“, რომლებიც ტოტალიტარული წარსულის გააზრებას ხელს უშლის:

აქტუალური კონფლიქტთან დაკავშირებული საფრთხის მუდმივი განცდა. ნაციონალური მოძრაობის მმართველობისას წარსულის გააზრების ვექტორი სრულად იქნა გატანილი ქართული საზოგადოებიდან გარეშე მტერზე.

დომინანტური დისკურსი ქვეყნის ოკუპაცია-დეოკუპაცია გახდა და ამით წარსულის ტოტალიტარული განზომილება კვლავ გატანილ იქნა საზოგადოებრივი ცნობიერების მიღმა, რამაც აღარ დაუტოვა ადგილი თვით-რეფლექსიას, ტოტალიტარული წარსულიდან გაკვეთილების გამოტანას, ლუსტრაციას, აღდგენითი მართმსაჯულების მექანიზმების დანერგვას და საზოგადოების გაჯანსაღებას;

ინტერნალიზებული ტოტალიტარული ობიექტი. ერთიანი ნაციონალური მოძრაობის (ენმ) მართვის სტილი, ძალაუფლებაში მოსვლის შემდგომ, სულ უფრო და უფრო ავტორიტარული ხდებოდა, რაც საფუძველს იძლევა მმართველი პარტიის მიერ ტოტალიტარული ობიექტის ინტერნალიზაციაზე ვისაუბროთ (Sebek, 1996). ენმ თავისი მმართველობის პერიოდში გარკვეულწილად ატარებდა ტოტალიტარული ობიექტის ნიშნებს - მაგალითად, ახდენდა გარემომცველი სოციალური სინამდვილის დაყოფას „ცუდებად“ და „კარგებად“ („ჩარეცხილებად“ და „მისაბაძებად“). ამ დაყოფის თანახმად, „ცუდებისა“ და „კარგების“ ტრაექტორიები არ იკვეთებოდა და შეუძლებელი იყო „ცუდს“ ჰქონოდა კარგი თვისებები, ხოლო „კარგს“ კი ცუდი, რაც ფაქტობრივად პარტიაში მოსულ ხელისუფლებას Klein-ისეულ პარანოიდულ-შიზოიდურ პოზიციაში ამყოფებდა და დეპრესიულ (უფრო მოწიფულ) პოზიციაში გადასვლასა და წარსულის შეფასებისთვის ადექვატური კონტექსტის მომზადებაში უშლიდა ხელს.

ხელახალი დაბადების ფანტაზია. კიდევ ერთი ფსიქოლოგიური ბარიერი ენმ-ს მიერ წარსულის რეფლექსიის გზაზე იყო ე.წ. ხელახალი დაბადებისა და სიკვდილის ფანტაზია, რომელიც Carl Gustav Jung-მა 1939 წელს აღწერა (Jung, 1939). ამ ფსიქოლოგიური ფენომენის მიზეზით, ენმ-ს წარმომადგენლებით დაკომპლექტებული მთავრობა, ფაქტობრივად, უარყოფდა ყველაფერს, რაც მათ ხელისუფლებაში მოსვლამდე ხდებოდა (ხალხს, ინსტიტუტიცებს, მიდგომებს, და ა.შ.) და, ეფუძნებოდა საბაზო დაშვებას, რომ საქართველოს

ისტორია მათი მმართველობით დაიწყო. ხდებოდა წარსულის, როგორც ასეთის, უარყოფა, რაც, ბუნებრივია, წარსულთან გამკლავების ამოცანას ხსნიდა მმართველი პარტიის დღის წესრიგიდან.

დროის პერსპექტივის „დამოკლება“. წარსულთან გამკლავება არც ქართული ოცნების მმართველი გუნდის მიერ არის აღქმული როგორც მნიშვნელოვანი ამოცანა. კონკრეტული პოლიტიკური მიზეზების გარდა, რისი ანალიზიც ჩვენი ამოცანა არ არის, ფსიქოლოგიური ფაქტორები აქაც მნიშვნელოვან როლს თამაშობს ტოტალიტარული წარსულის უარყოფაში. მას მერე, რაც კოალიცია მოვიდა ხელისუფლებაში 2012 წელს, მისი ყურადღების ფოკუსი შევიწროვდა გასული ხელისუფლების (ენმ-ს) შეცდომებზე. კოალიცია მმართველობაში „სამართლიანობის აღდგენის“ ლოზუნგით მოვიდა, მაგრამ რამდენადაც წინასაარჩევნო ბრძოლაში პოლიტიკური კონკურენტისგან მტრის ხატი შექმნა, ამიტომ „სამართლიანობის აღდგენად“ ენმ-მდელი საქართველოს მდგომარეობის დაბრუნება იგულისხმა. ამით, ფაქტობრივად, კოალიციის პროგრამული ლოზუნგი ფიქციად იქცა: არც შევარდნაძის კორუმპირებული მმართველობა, არც გამსახურდიას კრიზისის ტკივილებითა თუ კონფლიქტებით დატვირთული ხანმოკლე მმართველობა და არც საბჭოთა ტოტალიტარული მმაართველობა არ წარმოადგნს იმ სამართლიან მდგომარეობას, რომლის აღდგენაც ქართული საზოგადოებისათვის სასურველი იქნებოდა.

ტოტალიტარული წარსულის გააზრებაზე მიმართულ ნებისმიერ მცდელობას კოალიცია „ქართული ოცნების“ წარმომადგნელები და მისი მომხრენი (რომელნიც ამომრჩეველთა უმრავლესობას წარმოადგენენ), „ფარად“ უხვედრებენ თეზას იმის თაობაზე, რომ დიდ ტერორს „დიდი ხნის წინ“ ჰქონდა ადგილი, და ამდენად, არააქტუალურია, მაშინ როცა გასული 9 წლის მანძილზე მომხდარი უსამართლობები „არანაკლები სიძლიერისა იყო და თანაც, ჩვენ თავად ჩვენს ტყავზე ვიწვნიეთ ისინი, და ამდენად, ბევრად უფრო

აქტუალურია“ (Javakhishvili, 2013ბ). ფსიქოლოგიაში კარგად არის ცნობილი, რომ ფსიქოლოგიური დრო ფაქტუალური დროისგან განსხვავდება (Кроник, Головаха, 2008). ამ ცოდნის ფონზე არ არის გასაკვირი ქართული ოცნების ამომრჩევლის დროის პერსპექტივის ამგვარი „დამოკლება“. საქმე იმაშია, რომ წინასაარჩევნო ბრძოლა დიდი სიმძაფრით, სისასტიკითა და დაუნდობლობით გამოირჩეოდა. ხელისუფლებაში მოსული პოლიტიკური კოალიცია, ფაქტობრივად, ვერ გამოვიდა ბრძოლის მოდუსიდან, რამდენადაც, თავისი პოლიტიკური ოპონენტების მხარდამჭერთა მრავალრიცხოვნობის გამო, თავს უსაფრთხოდ ვერ გრძნობდა. უსაფრთხოების დეფიციტმა, ფაქტობრივად, გამუდმებული საარჩევნო ბრძოლის მოდუსში „გაჭედა“ მმართველი კოალიცია, რის გამოც, უნდა ვივარაუდოთ, მოხდა დროის პერსპექტივის დამოკლება-ლიმიტირება უახლოესი 9 წლით.

ორმაგი დაბმა და შინაგანი გახლეჩა. წარსულის გადაფასების თვალსაზრისით, ორმაგი სტანდარტის პოლიტიკას ატარებს ჩვენი ქვეყნის კიდევ ერთი უაღრესად მნიშვნელოვანი დაინტერესებული სუბიექტი - საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია. ერთი მხრივ, საქართველოს ეკლესია საკუთარ თავს განიხილავს, როგორც რეპრესიების მსხვერპლს. 2002 წლიდან, საკონსტიტუციო შეთანხმების საფუძველზე, სახელმწიფო საპატრიარქოს ყოველწლიურად 25 მილიონ ლარს უხდიდა (ხოლო 2014 წლიდან ეს თანხა გაიზარდა და სამ ათეულ მილიონს აღემატება) „იმ ზარალის ასანაზღაურებლად, რაც ეკლესიას XIX-XX საუკუნეებში ჯერ რუსეთის იმპერიამ, ხოლო შემდგომ კი საბჭოთა კავშირმა მიაყენა“ (http://newposts.ge/iOS/index.php?newsid=13403&back=1). უნდა ვიფიქროთ, რომ გასაბჭოების პროცესში, ეკლესიებისა და სასულიერო პირთა განადგურებაც ამ ზარალში მოიაზრება. თავად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი თავის ეპისტოლეებში „კომუნისტებს“ მოიხსენიებს როგორც აგრესორებს და საქართველოს დამაზიანებელ ძალას. ამავე დროს, სტალინის მიმართ როგორც

პატრიარქი, ასევე დღევანდელი ქართული ეკლესიის პოპულარული მქადაგებლები - მაგ., თეოდორე გიგნაძე, საჯარო გამოსვლებში დადებით განწყობას გამოხატავენ. მაღალი ავტორიტეტის მქონე სუბიექტისგან წამოსულ ამგვარ ორმაგ გზავნილებს ქართული საზოგადოება ფსიქოლოგიაში კარგად ცნობილი „ორმაგი დაბმის“ სიტუაციაში შეყავს, რაც ფსიქოტური გახლეჩის რისკ ფაქტორია (Bateson, 2000).

ეკლესიისთვის მნიშვენლოვანი კომპენსაციის გადახდა, ჩვეულებრივი რეპრესირებული მოქალაქეებისგან განსხვავებით, ერთი მხრივ, ორმაგი სტანდარტების პოლიტიკის მანიშნებელია ხელისუფლების მხრიდანაც. ამავე დროს, ეკლესიისთვის ამ თანხის გადახდა, შესაძლოა, იმის მაჩვენებელი იყოს, რომ გავლენიანი ინსტიტუტისთვის, რომელსაც ამომრჩევლის ხმების მოტანა შეუძლია, ხელისუფლება არ იშურებს თანხებს, განსხვავებით რეპრესირებულთა ოჯახებისაგან, რომელთა კომპენსაცია ბევრად უფრო იაფი დაჯდებოდა, მაგრამ ამომრჩეველთა ხმებს ვერ მოიტანდა.

ქართულ საზოგადოებაში დამკვიდრებული გლოვის არაავთენტური პატერნები. მიუხედავად იმისა, რომ ტოტალიტარული სისტემის სტრესორები მოქმედებედნენ მთელ საზგადოებაზე, რეპრესირებულთა ოჯახებს შეგვიძლია დავარქვათ ე.წ. „იდენტიფიცირებული მსხვერპლი“, რამდენადაც მათ რეპრესირების უშუალო გამოცდილებაში გაიარეს. შესაბამისად, მათ განსაკუთრებული საჭიროებები ჰქონდათ და საჭიროებდნენ განსაკუთრებულ ყურადღებას სახელმწიფოსა და საზოგადოების მხრიდან. ამ ჯგუფის ტრავმის გადალახვაზე კოლექტიური მუშაობა (ლუსტრაციის, აღგდენითი მართლმსაჯულებისა და სხვა ზევით აღწერილ ფორმატებში) შესაძლოა გამხდარიყო ის „შესასვლელი“, რომლითაც ქართული პოსტ ტოტალიტარული საზოგადოების მიერ ტოტალიტარულ წარსულთან დაკავშირებული დანაკლისის გამოგლოვებისა და შესაბამისად, გაჯანსაღების პროცესი დაიწყებოდა. მაგრამ, ზემოაღწერილი ბარიერების შედეგად, გაჯანსაღების ეს

პროცესი არ დაიძრა, და კიდევაც პირიქით - რეპრესირებული ოჯახების ტრავმა საზოგადოებრივი ცნობიერებიდან განდევნის საგანი გახდა, ინკაფსულირდა და, საზოგადოება დისოციირებულ იქნა მისგან. ამის ერთერთი მნიშვნელოვანი ინდიკატორია ის, რომ რეპრესიების პერიოდი არ ისწავლება საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში და მის შესახებ ახალგაზრდა თაობას თითქმის არაფერი სმენია (Хвадагиани, 2016). ამგვარმა განდევნამ მოსპო ტოტალიტარული ტრავმის ავთენტური გამოგლოვების შესაძლებლობა პოსტტოტალიტარულ პერიოდში. საზოგადოებრივი ტრავმის გამოგლოვების პირობები, ბუნებრივია, არც ტოტალიტარულ პერიოდში არსებობდა, რამდენადაც ავთენტური გლოვა კონფლიქტში შევიდოდა თვითგადარჩენის ინსტინქტთან.

Hopper-ის მიხედვით, იმ საზოგადოებაში, რომელიც განიცდის მარცხს ტრავმის ავთენტურ გამოგლოვებაში, მკვიდრდება გლოვის არაავთენტური პატერნები. კერძოდ, იგი გამოყოფს არაავთენტური გლოვის სამ ძირითად პატერნს (Hopper, 2003):

სენტიმენტალური გლოვა, ანუ „მაზოხისტური დაცვა [შფოთვისგან, დ.ჯ.], რომელიც იყენებს კომპულსურ რიტუალიზებულ გახანგრძლივებულ გოდებას და სემტიმენტალურ ოპტიმისტურ კლიშეებს.“ (Hopper, 2003 გვ.61);

რევანშისტური გლოვა - ფსევდოგლოვის სადისტური ფორმა, რომელიც რისხვას, რევანშისტულ სულისკვეთებასა და შესაბამის მოქმედებას მოიცავს;

ტრიუმფალური გლოვა წარმოადგენს „მანიაკალურ დაცვას შფოთვისგან, რომელიც გამოწვეულია დანაკლისით, გლოვის უარყოფით და რომელსაც ხშირად საკუთარი ომნიპოტენტობის ილუზია ახლავს თან“ (Hopper, 2003 გვ.61). ტრიუმფალური გლოვა გულისხმობს ტრავმის ზეიმად ქცევას.

გლოვის აღწერილი არაავთენტური პატერნები კარგად იკვეთება ქართულ საზოგადოებაშიც. საქართველოს უახლოეს წარსულში ფსევდოგლოვის ამ სამი პატერნის ურთიერთმონაცვლეობა ჩანს 9 აპრილის ტრაგედიაზე საპასუხო

საზოგადოებრივი დონის რეაქციებიდან. 1989 წლის 9 აპრილს, საბჭოთა ჯარის მიერ ძალადობრივად იქნა დაშლილი ეროვნულ-განმანთავისფულებელი მოძრაობის მშვიდობიანი დემონსტრაცია, ნეიროპარალიტიკური აირითა და გამნაღმელთა ნიჩბების გამოყენებით, რის შედეგადაც დაიღუპა 21 ადამიანი, რომელთა უმრავლესობა იყვნენ ახალგაზრდა ქალები. ამ სისხლიანი ინცინდენტის გამოგლოვებამ მიიღო ხანგრძლივი, რიტუალიზებული, სენტიმენტალური გლოვის სახე, რომელიც, ერთი მხრივ, თავს იჩენდა სენტიმენტალურ-პათეტიკური სიმღერის „ვაჩუქოთ ერთმანეთს იები“ გავრცელებით, ხოლო, მეორე მხრივ, დიდი რაოდენობით მოქალაქეების მიერ სამკურნალო დაწესებულებების მიმართვით, დასახმარებლად. მათ სახელად „9 აპრილს მოწამლულები“ დაერქვათ. მათ შორის იყვნენ, შედარებით მცირე რაოდენობის, ნეირო-პარალიტიკური აირით რეალურად მოწამლული ადამიანები; მაგრამ ასევე, სამკურნალო დაწესებულებებს აკითხავდნენ უფრო დიდი რაოდენობით ადმიანები, რომელთაც სჯეროდათ, რომ მოწამლულები იყვნენ, მაგრამ სინამდვილეში განუვითარდათ ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები, რომელიც შეესატყვისებოდა კონვერსიული აშლილობის სურათს. ამავე პერიოდში, თბილისის ქუჩებში, საპროტესტოდ გაშლილ კარვებში, გაჩნდნენ ე.წ. „შავოსანი ქალები“, როგორც პერსონიფიცირებული მგლოვიარენი, ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის ღონისძიებების თანმხლები სპეციფიკური ემოციურად დატვირთული ჯგუფი. გარკვეულ მომენტში, კუმულირებული ვიქტიმიზაციის (მსვერპლად საკუთარი თავის განხილვის) ფონზე, სენტიმენტალური არაავთენტური გლოვა გარდაიქმნა რევანშისტულ გლოვად, რამაც, ერთი მხრივ, ემოციური მუხტი შემატა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, მაგრამ ამავე დროს, გარკვეული წვლილი შეიტანა საქართველოს იმდროინდელი შინა-კონფლიქტების ესკალაციაში. 1991 წლის 9 აპრილს, უკვე დემოკრატიული გზით არჩეულმა საქართველოს მთავრობამ, ხელი მოაწერა „საქართველოს რესპუბლიკის

დამოუკიდებლობის აღდგენის აქტს“, რითიც 9 აპრილის ტრაგედია ზეიმის დღედ იქცა და გლოვა, ფაქტობრივად, გადავიდა ტრიუმფალური გლოვის მოდუსში.

არაავთენტური გლოვის მაგალითების დაკვირვება საქართველოში, ასევე, შესაძლებელია, უკანასკნელი ათწლეულის მანძილზეც: მაგალითად, ტრიუმფალური გლოვა (კონცერტი) თავისუფლების მოედნაზე, სადაც სიმღერით, ლექსების დეკლამაციითა და ცეკვით აღინიშნა რუსეთ-საქართველოს ხუთთდღიანი ომი. ტრიუმფალურმა გლოვამ არ მისცა საქართველოს მოსახლეობას 2008 წლის ომით გამოწვეული დანაკარგის გამოგლოვების საშუალება, ხოლო მოსახლეობის ნაწილში კი გამოიწვია აღრევა იმის თაობაზე, თუ ვინ მოიგო ომი. ამ მხრივ საგულისხმოა *სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტის* კვლევის „საზოგადოებრივი აზრის ცვლილება რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომის და 2009 წლის საგაზაფხულო კრიზისის შუქზე“ შედეგები: „აგვისტოს ომამდე არსებული რეიტინგი მმართველმა პარტიამ ომის შემდგომ 6 თვის განმავლობაში, 2009 წლის გაზაფხულამდე შეინარჩუნა. მაშასადამე, აგვისტოს ომს, მთელი ნახევარი წლის განმავლობაში, ხელისუფლების საზიანოდ არ უმუშავია... აგვისტოს ომის უმძიმესი შედეგების საკომპენსაციოდ ხელისუფლებამ დაიწყო საზოგადოებაში მთელი რიგი ... „მესიჯების“ კულტივირება. მაგალითად: „საქართველომ ამ ომში გაიმარჯვა“, „ჩვენ არასოდეს ვყოფილვართ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენასთან ისე ახლოს, როგორც ახლა“, „საქართველოს დაჩქარებული ტემპებით გააწევრიანებენ ნატოში“, „რუსეთი მოქცეულია და კიდევ უფრო მეტად მოექცევა საყოველთაო საერთაშორისო იზოლაციაში“ და ა.შ.“ (კაჭკაჭიშილი, 2009). ასევე, საგულისხმოა, თუ როგორ ახასიათებს 12 აგვისტოს კონცერტს ფილოსოფოსი გიორგი მაისურაძე: „ქართულ-ისტორიული ნარატივი გაცოცხლდა და აწმყოსთან გამთლიანდა, უფრო სწორად, აწმყოს ჩაენაცვლა 12

აგვისტოს, პარლამენტის წინ გამართულ მიტინგზე, სადაც ამ ომში საქართველოს სამხედრო მარცხი ტრიუმფად გარდაისახა. საქართველოს პრეზიდენტმა ეს დღე 1121 წლის 12 აგვისტოს მომხდარ დიდგორის ბრძოლასთან დააკავშირა. ამით ომში მარცხი საზეიმო სანახაობად გადაიქცა, ხოლო ტრაგედია - აპოთეოზად“ (გვ. 179).

რევანშისტული გლოვის ერთერთი მაგალითია 2012 წლის „ციხის სკანდალის“ შემდგომი სიტუაცია: ყოფილი მთავრობის წარმომადგენლებმა („აგრესორის“ როლში) არ აღიარეს ციხეში განხორციელებული ძალადობა, გამოძიების პროცესი გაჭიანურდა და არაგამჭვირვალე მიმდინარეობა შეიძინა, მოხდა საკითხის მითოლოგიზება, რის საფუძველზეც საზოგადოების ნაწილმა არ დაიჯერა ციხეში განხორციელებული ძალადობა და აქედან გამომდინარე, „გვერდიდან მაყურებელმა“ ვერ უზრუნველყო მსხვერპლის ტრავმული გამოცდილების ვალიდიზაცია. შედეგად, ყოფილი პატიმრები („მსხვერპლი“) გადავიდნენ რევანშისტულ გლოვაში და რამდენჯერმე მოიმოქმედეს ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლების დარბევის მცდელობა, და ამდენად, თავად გადავიდენენ „აგრესორის“ მოდუსში. ეს შემთხვევა წარმოაგდენს იმის ილუსტრაციას, რომ ქართულ საზოგადოებაში „ტოტალიტარული სამკუთხედი“ არ დანგრეულა და სხვადასხვა სოციო-პოლიტიკურ კონტექსტში თავს იჩენს ამა თუ იმ დესტრუქციული პროცესების სახით.

სირცხვილი, როგორც ბარიერი. ერთერთი მნიშნელოვანი ბარიერი წარსულთან გამკლავების საქმეში, განსაკუთრებით იმ ოჯახების მხრიდან, ვისი წევრებიც რეჟიმისთვის მუშაობდნენ, არის სირცხვილი. აქ მოტივაციაა, არ გამომჟღავნდეს ის, თუ რა ხდებოდა რეჟიმის დროს (დასმენები, ცრუ ბრალდებები, მერკანტილური მოტივებით ადამიანების ვიქტიმიზება, ძალადობის შეწყნარება და ა.შ.). ის, ვისაც გააჩნია რესურსი, ცდილობს ახალი ნარატივი შექმნას საკუთარი ოჯახის წევრზე, რომელიც მონაწილეობდა რეპრესიებში. ცნობილია, მაგალითად, შემთხვევა, როდესაც სამხედრო

ტრიბუნალის თავმჯდომარის შვილმა დაწერა წიგნი - შექმნა ახალი ნარატივი მამამისზე, რომლითაც ის დიდ ჰუმანისტად წარმოაჩინა (იუნგე, რეისნერი, ბონვეჩი, 2015).

ტოტალიტარულ რეჟიმთან დაკავშირებული სტრესორების გავლენის შედარება იგივე ისტორიულ პერიოდში მოქმედ სხვა სტრესორების გავლენასთან დღევანდელ ქართულ საზოგადოებაზე

ტოტალიტარული ტრავმა, როგორც ე.წ. „ადამიანის ხელით შექმნილი კატასტროფა“, დაკავშირებულია სამართლიანობის აღდგენის საკითხთან (Volkan et al, 2002); თავისი შინაარსით იგი ეხება ე.წ. ტოტალიტარულ სიტუაციას: ურთიერთობას მსხვერპლს, აგრესორსა და გვერდიდან მაყურებელს შორის (Hopper, 2003). იმისთვის, რათა გამოვადიფერენციროთ, თუ რომელმა კონკრეტულმა სტრესორმა გამოიწვია ტრავმული რეაქციები, ჩვენ ვუყურებთ, თუ რამდენად არის ამ ტრავმულ რაქციებში წარმოდგენილი ტრავმის შინაარსი (Friedman et al, 2007). დღევანდელ ქართულ რეალობაში ცხადად იკვეთება „სამართლიანობის აღდგენის“ თემა, ისევე როგორც ტოტალიტარული მატრავმირებელი სტრესორის შინაარსი: ურთიერთობა მსხვერპლს, აგრესორსა და გვერდიდან მაყურებელს შორის - მაგ., „ნაცი“, „ქოცი“ და „შუაშისტი“. იყო თუ არა სხვა სტრესორებიც ტოტალიტარულ პერიოდში? დიახ, იყო, მაგალითად, ბუნებრივ კატასტროფებთან დაკავშირებული სტრესორები. მაგრამ ამგვარი სტრესორები არ გულისხმობს მსხვერპლი-აგრესორი-გვერდიდან მაყურებლის სამკუთხედის არსებობას, და ამდენად, არ ემთხვევა დღევანდელ ქართულ საზოგადოებაში აქტუალიზებულ ტრავმულ შინაარსს. ტოტალიტარულ პერიოდში იყო, აგრეთვე, მეორე მსოფლიო ომის მატრავმირებელი გამოცდილება. მაგრამ, თუ კვლავ მოვიშველიებთ ფსიქოტრავმატოლოგიის საბაზო ცონდას მატრავმირებელი სტრესორის გამოგლოვების მექანიზმების შესახებ (Hopper, 2003; Volkan, 2006),

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საბჭოთა მოსახლეობაში ე.წ. „სამამულო ომის“ ტრავმა გამოგლოვებულია, რამდენადაც ეს სტრესორი და მასთან დაკავშირებული სტრესი არის ნარატივიზებული, მემორიზებული, რეფლექსიის საგანია და საერთაშორისო მართლმსაჯულების პროცესიც (ნიურნბერგის პროცესი) შედგა. უფრო დაწვრილებით:

- მეორე მსოფლიო ომი და მასთან დაკავშირებული დანაკლისი არის რელფექსიის საგანი სხვადსხვა დონეზე: ურიცხვი რაოდენობის სამეცნიერო და არასამეცნიერო პუბლიკაციები, დოკუმენტური ფილმები, საჯარო შეხვედრები და დისკუსიები მიეძღვნა;
- საზრისი, რომელიც ჩაიდო „სამამულო ომის“ ტრავმაში - არის გამარჯვება, დაღუპულთა სიკვდილში - გმირობა. ამაზე მეტყველებს მთელი მასივი ლიტერატურული ნაწარმოებებისა, მხატვრული ფილმებისა და ა.შ. ტრავმულ გამოცდილებაში პოზიტიური საზრისის ჩადება ტრავმის გამოგლოვების აუცილებელი პირობა და ამავე დროს, ინდიკატორია (Neimeyer, 2002);
- მეორე მსოფლიო ომი ინტენსიურად მემორიზებულია კოლექტიურ მეხსიერებაში: გამარჯვების დღე, გამარჯვების პარკი, საბჭოთა ჯარისკაცების მონუმენტები, მხატვრული ფილმები ომზე, ლიტერატურული ნაწარმოებები, ლექსები, პოემები და ა.შ. ეს არის მოვლენა, რითიც ხალხი ამაყობს, განსხვავებით რეპრესიების ტრავმისა, რისიც ხალხს სრცხვენია (რაც, ასევე გამოვლინდა კვლევის პირველ კომპონენტში, ჩაღრმავებული ინტერვიუებიდან);
- ომის ტრავმისგან განსხვავებით, რეპრესიების ტრავმა არის სიჩუმის შეთქმულების საფარქვეშ და ამდენად, გამოუგლოვებელი: ახალგაზრდა თაობას არა აქვს ცოდნა მის შესახებ, სკოლებში ის არ ისწავლება, სამეცნიერო შრომები ამ საკითხზე მწირია და მხოლოდ ახლახანს დაიწყო, პუბლიკაციები თითებზე ჩამოსათვლელია, მხატვრული

ნაწარმოებების რაოდენობა მწირია (Хвадагиани, 2016, იუნგე და სხვ. 2015).

გამომდინარე ზემოთ მოყვანილი დასაბუთებიდან, განსხვავებით მეორე მსოფლიო ომის ტრავმული გამოცდილებისგან, ტოტალიტარულ რეჟიმთან დაკავშირებული სტერსორების ზემოქმედებით მიღებული ტრავმა არ არის გამოგლოვებული ქართული საზოგადოების მიერ და აქედან გამომდინარე, მეტ გავლენას ახდენს ქვეყნის სოციო-პოლიტიკურ დინამიკაზე. ქვევით შევეცდები გავაანალიზო ის ფორმები, რომლითაც ტოტალიტარული ტრავმა იჩენს თავს საქართველოს დღევანდელ სოციო-პოლიტიკურ ცხოვრებაში.

4.6.2. საბაზო დაშვებებზე დაფუძნებული სოციო-პოლიტიკური დინამიკა ქართულ საზოგადოებაში

გამოუგლოვებელი დანაკლისი და გადაუმუშავებელი ტრავმული გამოცდილება ჯგუფში იწვევს უსუსურობის ზიარ განცდას, იდენტობის დაკარგვისა და შესაბამისად, გაქრობის შიშს (fear of annihilation) (Hopper, 2003; Volkan, 1997; Volkan, 2002; Volka, 2004; Volkan 2006; Volkan, 2013; და სხვ.). ამას ვაკვირდებით საქართველოშიც, მაგ., საჯარო სივრცეში ინტენსიურად და ხშირად დომინირებს დისკურსი „ქართველობას გვართმევენ“. როდესაც ჯგუფი ვერ უმკლავდება ამგვარ გრძნობებსა და შიშებს კონსტრუქციულად, ის რეგრესირებს განვითარების უფრო ადრეულ სტადიებზე და კარგავს „რეალობასთან ეფექტურ კონტაქტს“ - რასაც Volkan-ი განმარტავს, როგორც დიდი ჯგუფის ნარცისტულ რეგრესს (Volkan, 2004), ხოლო Bion-ი - როგორც ჯგუფის ფსიქოტურ მდგომარეობას, რომლის დროსაც ჯგუფის ფსიქოდინამიკას განსაზღვრავს სამი საბაზო დაშვება, რომელიც კალეიდოსკოპურად ცვლის ერთმანეთს. ესენია: დაქვემდებარების (1), შებრძოლება-გაქცევის (2) და გამრავლების (3) საბაზო დაშვებები (Bion, 1961). Earl Hopper-ი ამ სამ დაშვებას უმატებს არაკოჰესიურობის (არაშეჭიდულობის)

(4) საბაზო დაშვებას, რომელიც თავის მხრივ იყოფა ორ ქვედაშვებად - მასსიფიკაცია (4ა) და აგრეგაცია (4ბ) (Hopper, 2003).

დამოკიდებულების საბაზო დაშვების შემთხვევაში, ჯგუფის წევრები საკუთარი უსუსურობის განცდას უმკლავდებიან ლიდერის იდეალიზაციით და აღიქვამენ მას, როგორც ომნიპოტენტურს. ამავე დროს, ჯგუფი განიცდის შურს რესურსებით აღჭურვილი ლიდერის მიმართ (შურის, როგორც იმანენტური ფენომენის Klein-ისეული გაგებით). ლიდერის მიმართ მოლოდინები იმდენად მაღალია, ხოლო საკუთარი პასუხისმგებლობის გრძნობა იმდენად დაბალი, რომ ჩვეულებრივ, ლიდერი ვერ ახერხებს ჯგუფის მოლოდინების დაკმაყოფილებას. შედეგად, არაცნობიერი შური ტრანსფორმირდება რისხვაში ლიდერის წაინააღმდეგ და ჯგუფი მის ჩანაცვლებას ცდილობს ახალი ლიდერით. *შებრძოლება-გაქცევის* საბაზო დაშვება თავს იჩენს სწორედ ამ მომენტში და ხლეჩს ჯგუფს: ის, შესაძლოა, შეესაბამებოდეს გარდამავალ პერიოდს, როდესაც ჯგუფი იყოფა ძველი და ახალი ლიდერის მომხრეებად, ზოგიერთი წევრები ჩხუბობენ ერთმანეთში, ხოლო ზოგიერთები კი ტოვებენ ჯგუფს. *გამრავლების* საბაზო დაშვება ცდილობს გაუმკლავდეს იდენტობის გაქრობის შიშს გამრავლების მოთხოვნილების დაკმაყოფილებით. ეს შესაძლოა განხორციელდეს ჯგუფის წევრთა გამრავლებაზე მიმართული სხვადასხვა პროექტით, ფლირტისა და დაწყვილების წახალისებით, ამვდროულად, წახალისებული ჯგუფის წევრებისთვის ჯგუფის ინტერესებისთვის საკუთარი თავის გაწირვის მოთხოვნის წაყენების ფონზე. *არაკოჰესიურობის* (არაშეჭიდულობის) საბაზო დაშვება ჯგუფის რეგრესის კიდე უფრო პრიმიტიული ფორმაა და მოიცავს გაქრობის შიშისგან დაცვის ორ პოლარულ სტრატეგიას: *მასსიფიკაციას*, რომელიც გულისხმობს ჯგუფის ქცევას ჰომოგენურ მასად, სადაც ინდივიდუალური ავტონომია ქრება და მის ადგილს ანონიმურობა და როლთა მინიმალური დიფერენციაცია იკავებს. ამ შემთხვევაში ადგილი აქვს რწმენათა

უნიფიცირებას, ხოლო ჯგუფის ფასეულობებიდან და ნორმებიდან გადახვევის ნებისმიერი მცდლობა განიხილება, როგორც საფრთხე ჯგუფის იდენტობისათვის და ამიტომ, შეუწყნარებელია. აქ, Volkan-ის გამოთქმას თუ მოვიშველიებთ, „მცირე განსხვავებები დიდ საკითხად განიხილება“ “minor differences become major issues”(Volkan, 2009a, გვ.207). მასიფიცირებულ ჯგუფში აფექტები გადამდებია, გავრცელებულია მაგიური აზროვნება (სასწაულის დაჯერება) და ფსევდო-მორალი. რაც შეეხება *აგრეგაციის* საბაზო დაშვებას, ის ჯგუფს აქცევს ფრაგმენტებად დახლეჩილი ურთიერთდაპირისპირებული ქვეჯგუფების კონგლომერატად, მაღალი როლური დიფერენციაციით, პოლარიზებით, ურთიერთზეწოლით, სოლიდარობისა და გაზიარებული ნორმების დეფიციტითა თუ იგნორირებით (Hopper, 2003).

მიუხედავად იმისა, რომ Bion-მა შეიმუშავა საბაზო დაშვებების თეორია მცირე ჯგუფებთან მუშაობის საფუძველზე, Hopper-მა შესაბამისი პროცესები შეისწავლა და გამოავლინა შედარებით უფრო დიდი ზომის ჯგუფების (150 ადამიანი) შესწავლის საფუძველზე. Volkan-მა „პარაზიტული დაქვემდებარების“ საბაზო დაშვება აღწერა უკვე ეროვნული მასშტაბის ჯგუფების ფონზე, რომლებიც აერთიანებს მილიონობით ადამიანს. Volkan-ის თანახმად, ეს შესაძლოა ახსნილ იქნას დიდი ჯგუფის რეგრესით განვითარების ადრეულ სტადიებზე, რასაც დიდი ჯგუფის ფსიქოდინამიკა დაყავს მცირე ჯგუფის ან, სულაც, ინდივიდის ინტრა-ფსიქიკური ცხოვრების ფსიქოდინამიკაზე (Volkan, 2009a).

მოცემული კვლევის ფარგლებში განხორციელებული ანალიზის საფუძველზე, თანამედროვე საქართველოს სოციო-პოლიტიკურ ცხოვრებაში, გამოდიფერენცირებულ იქნა ყველა ზევით აღწერილი საბაზო დაშვების შესაბამისი პატერნები, რომელსაც ქვევით დავახასიათებ.

დაქვემდებარების საბაზო დაშვება საქართველოს სოციო-პოლიტიკურ ცხოვრებაში განსაკუთრებით თვალსაჩნოდ ჩანს არჩევნების პერიოდში.

კერძოდ, ქართველი ამომრჩევლისთვის ჩვეულია, საკუთარი კეთილდღეობის მისაღწევად, „ფსონის დადება“ ერთ კონკრეტულ პოლიტიკურ ლიდერზე, საკუთარი პასუხისმგებლობის გრძნობის მინიმიზაცია და მომავლის იმედების სრულად დაკავშირება ლიდერის მმართველობასთან. რაღაც მომენტში ხდება იმედგაცრუება იმის გამო, რომ ლიდერი ვერ ახერხებს არარეალისტური მოლოდინების გამართლებას და იწყება *შებრძოლება-გაქცევის* საბაზო დაშვებით მართული ფსიქოდინამიკა. დაქვემდებარების საბაზო დაშვების ცვლილებას შებრძოლება-გაქცევის საბაზო დაშვებით შესაძლოა გავადევნოთ თვალი დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე, საქართველოში, ქვეყნის უკლებლივ ყველა პოლიტიკური ლიდერისა და საზოგადოების ურთიერთქმედებაში: გამსახურდია - ყოფილი საბჭოთა დისიდენტი და ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის ლიდერი, ქვეყნის პრეზიდენტად არჩეულ იქნა ხმათა უმრავლესობით (აქტიურ ამომრჩეველთა ხმების 87.03%) 1991 წელს. მისი მმართველობის პირველ ეტაპზე ამომრჩევლების უმრავლესობის მხრიდან ადგილი ჰქონდა მის გაიდეალებას. გამსახურდიას მმართველობის დაახლოებით ერთწლიან პერიოდში, ადამიანის საბაზო საჭიროებების (Neef, 2011) ფრუსტრაციის პირობებში, საზოგადოებაში გაჩნდა და გაიზარდა მკვეთრი უკმაყოფილება პოლიტიკური ლიდერით, რამაც დაქვემდებარების საბაზო დაშვება ჩაანაცვლა *შებრძოლება-გაქცევის* საბაზო დაშვებით (რომლის უკანაც „ძველი ახალი“ ლიდერი, შევარდნაძე იყო). შებრძოლება-გაქცევა გადაიზარდა სამოქალაქო ომში, რომელიც შევარდნაძის მხარემ მოიგო და, გამსახურდია და მისი მომხრეები იძულებული გახდნენ დაეტოვებინათ ქვეყანა. ამ ფონზე, ქართული საზოგადოება დაიყო „ზვიადისტებად“ (ასე ეძახდნენ შევარდნაძის მომხრეები გამსახურდიას მხარდამჭერებს) და „პუტჩისტებად“ (ასე ეძახდნენ გამსახურდიას მომხრეები შევარდნაძის მხარდამჭერებს). კონფლიქტმა გახლიჩა არა მარტო საზოგადოება, არამედ ოჯახებიც, სადაც ერთი მხარე (მაგ,

ცოლი) „ზვიადისტი“ იყო, ხოლო მეორე მხარე (მაგ., ქმარი) „პუტჩისტი“. ბრძოლა შევარდნაძესა და ზვიად გამსახურდიას შორის გაგრძელდა 1993 წლამდე, გამსახურდიას დაღუპვამდე სამეგრელოს ერთერთ სოფელში. ძალაუფლებისთვის ბრძოლაში შევარდნაძეს დაეხმარა რუსული საჯარისო ფორმირებები, რაც თვალსაჩინოდ აჩვენებს, რომ მოვლენათა აღწერილ განვითარებაში კრიტიკულ როლს თამაშობდნენ გეო-პოლიტიკური ფაქტორები, რომელიც ჩვენი ანალიზის საგანი არ არის. თუმცა, შიდა და გარე პოლიტიკური ფაქტორების პარალელურად, საბაზო დაშვებების ფსიქოდინამიკამ დიდი წვლილი შეიტანა მოვლენათა დესტრუქციულ განვითარებაში.

შევარდნაძემ, როგორც *შებრძოლება-გაქცევის* საბაზო დაშვებით დაყოფილი საზოგადოების ნაწილის ლიდერმა, ხელისუფლებაში ყოფნის ლეგიტიმაციისთვის დაიხმარა საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი. კერძოდ, იგი მოინათლა პატრიარქის მიერ 1992 წელს, ხოლო 1993 წელს, როდესაც პარლამენტში განვითარებული კონფლიქტის გამო საჯაროდ განაცხადა, რომ ტოვებდა ქვეყნის ხელმძღვანელის თანამდებობას, დარჩენის გადაწყვეტილება გამოაცხადა კათალიკოს-პატრიარქის შემდეგ სიტყვებზე საპასუხოდ: „მე მაქვს უფლება, როგორც საქართველოს სულიერი მამას, და პირადად თქვენს სულიერ მამას, მოგცეთ ლოცვა-კურთხევა, რომ მთელ საქართველოს განუცხადოთ, რომ თქვენ ბრძანდებით საქართველოს მეთაური.“ (მაისურაძე, 2013).

შევარდნაძის მიმართ იმედგაცრუებამ პიკს 2003 წლის ნოემბერში, კვლავ ქვეყნის მოსახლეობის საბაზო ადამიანური საჭიროებების ტოტალური ფრუსტრაციის ფონზე, მიაღწია. 2003 წელს მოხდა *შებრძოლება-გაქცევის* საბაზო დაშვების ინტენსიფიკაცია - ახლა უკვე პრეზიდენტ შევარდნაძესა და მიხეილ სააკაშვილს შორის, რაც გადაიზარდა უსისხლო რევოლუციაში, მოძრაობა „კმარასა“ და დასავლური მხარდაჭერის ფონზე. მმართველობის

დასაწყისში სააკაშვილმა მიიღო ხმათა 96%, რაც კვლავ აქტუალიზებული *დაქვემდებარების* საბაზო დაშვების ინდიკატორად შეიძლება ჩაითვალოს. უკვე 2008 წელს მისი რეიტინგი საგრძნობლად (53%-მდე) დაეცა. ამის მიზეზი მთელი რიგი ფაქტორებია: რუსეთთან წაგებული ომი, ავტორიტარული მართვის სტილი და რეპრესიული პოლიტიკა (საქართველოს ციხის პოპულაცია 2003-2012 წლებში 300%-ით გაიზარდა), ორმაგი სტანდარტები კანონის უზენაესობის პრინციპის დაცვის საქმეში, გარე გეო-პოლიტიკური ფაქტორები და სხვ. - რაც ჩემი ანალიზის საგანს არ წარმოადგენს.

მიუხედავად მთელი რიგი ეფექტურად გატარებული რეფორმებისა (პოლიციის რეფორმა, უსაფრთხოების სიტუაციის გაუმჯობესება, და ა.შ.), რაც იმ პერიოდში საქართველოს, Bion-ისა და Hopper-ის გაგებით, *მუშა ჯგუფის* მდგომარეობაში ყოფნის ინდიკატორად შეგვიძლია ჩავთვალოთ (Bion, 1961; Hopper, 2003), 2012 წლისათვის, ზევით ჩამოთვლილი მიზეზების გამო, და ახალი პოლიტიკური ლიდერის - ბიძინა ივანიშვილის ასპარეზზე გამოჩენის ფონზე, სააკაშვილის რეიტინგი მნიშვნელოვანწილად დაეცა. ივანიშვილის ხელმძღვანელობით შექმნილმა პოლიტიკურმა კოალიცია „ქართულმა ოცნებამ“ 2012 წლის არჩევნებზე 54.97% მოიპოვა, ხოლო ნაციონალურმა მოძრაობამ - 40.34%, რაც *შებრძოლება-გაქცევის* საბაზო დაშვების აქტუალიზების ინდიკატორია. *შებრძოლება-გაქცევა* განსაკუთრებულად დაუნდობელ წინასაარჩევნო ბრძოლას დაედო საფუძვლად. ორივე მხრიდან იქმნებოდა სპეციალური ჯგუფები, რომლებიც, ფატქობრივად, მხარეთა ერთმანეთის მიმართ სიძულვილის გამტარები გახდნენ (მაგ., ე.წ. „მედია-ჯგუფის“ ჟურნალისტები ენმ-ს მხრიდან და ქართველ თეატრალურ მოღვაწეთა ჯგუფი „ქართული ოცნების“ მხრიდან, უკვე ხელისუფლების ცვლილების შემდგომ - ე.წ. „თავისუფალი ზონა“ და „თავისუფალი თაობა“ და ა.შ.). არაოფიციალური ინფორმაციით, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ზოგიერთი მღვდელი ამ პერიოდში კოალიცია ქართული ოცნების

სასარგებლოდ და სააკაშვილის საწიმააღმდეგოდ ქადაგებდა. *შებრძოლება-გაქცევა* არ დასრულებულა არჩევნების შემდგომ, რამაც შეუძლებელი გახადა პოლიტიკური ოპონენტების კოჰაბიტაცია, და ხელი შეუშალა აღდგენითი სამართლის მიდგომის განხორციელებას მხარეთა, და ფაქტობრივად, საზოგადოების შესარიგებლად. კვლავ გაჩნდა დამამცირებელი ზედმეტსახელები და შეიკრა ერთგვარი სამკუთხედი: „ქოცი“ (ენმ-ს მხარდამჭერთა მიერ ქართული ოცნების წარმომადგენლებისთვის მინიჭებული სახელი), „ნაცი“ (ქართული ოცნების მხრიდან ენმ-ს წევრების აღსანიშნავად), და „შუაშისტი“ - ადამიანები, რომლებიც არც ერთ ექსტრემალურ მხარეს არ ემხრობოდნენ და ამდენად, შებრძოლება-გაქცევის საბაზო დაშვების ფონზე, ორივე მხარისთვის მიუღებელი გახდნენ. საზოგადოების ამგვარი ფრაგმენტაცია სამ ჯგუფად კვლავ ტოტალიტარული სამკუთხედის რეპორდუქციაზე მიუთითებს. შედეგად, სააკაშვილმა და მისმა გუნდმა დატოვა ქვეყანა, ხოლო გუნდის რამდენიმე წევრი დაპატიმრებულ იქნა.

ქართული ოცნების კოალიციის ლიდერი, საქართველოს ყველაზე მდიდარი მოქალაქე, რომელმაც კაპიტალი 90-იანების რუსეთში მოიპოვა, ძალაუფლებაში მოსვლამდე წლების მანძილზე საქველმოქმედო პროექტებს ახორციელებდა (რასაც ახლაც აგრძელებს - მაგ., ხელოვნებისა და მეცნიერების მუშაკების ნაწილისთვის რეგულარული ფინანსური დახმარების გადახდის სახით). ამან, უნდა ვიფიქროთ, როლი შეასრულა მისი და ამომრჩეველთა ურთიერთობის ფსიქოდინამიკაში კვლავ *დაქვემდებარების* საბაზო დაშვების აქტუალიზებაში. არჩევნებამდე მისი, როგორც ომნიპოტენტურის აღქმა ამომრჩეველში გადაჯაჭვული იყო არარეალისტურ (მაგ., „უფასო ფულის დარიგების“) მოლოდინებთან. ამგვარი მოლოდინები მოსახლეობას თავად ლიდერმა შეუქმნა: ტერმინით „უფასო ფული“ მან წინასაარჩევნოდ უპროცენტო საბანკო სესხებით უზრუნველყოფის დაპირება გასცა, რაც მთელ

რიგ სხვა წინასაარჩევნო დაპირებებთან ერთად, არ იქნა განხორციელებული). 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებიც *დაქვემდებარების* საბაზო დაშვების კიდევ ერთი ილუსტრაციაა: საპრეზიდენტო კანდიდატი მარგველაშვილი (ფილოსოფოსი, საქართველოს ერთერთი წარმატებული უნივერსიტეტის ყოფილი რექტორი, ხოლო კოალიცია ქართული ოცნების გამარჯვების შემდგომ - განათლების მინისტრი) ივანიშვილმა (იმხანად ქვეყნის პრემიერმინისტრმა) ამომრჩევლებს მედიის საშუალებით, დიდი წინა-საარჩევნო კონცერტის არენიდან, წარუდგინა, როგორც თავისი „საუკეთესო მეგობარი“, დაპირდა, რომ ის იქნებოდა „ძალიან საყვარელი პრეზიდენტი“ და ურჩია მის სასარგებლოდ ხმის მიცემა; მარგველაშვილმა აქტიური ამომრჩევლების ხმათა უმრავლესობა მიიღო.

დაქვემდებარებისა და *შებრძოლება-გაქცევის* საბაზო დაშვებების, და უფრო მცირედ გამოხატული *მუშა ჯგუფის* შესაბამისი ფსიქოდინამიკის კალეიდოსკოპური მონაცვლეობის ფონზე, საქართველოში შესაძლოა თვალი გავადევნოთ Bion-ისეული *გამრავლების* საბაზო დაშვების რეალიზებასაც. ისევე, როგორც *დაქვემდებარებისა* და *შებრძოლება-გაქცევის* საბაზო დაშვებების შემთხვევაში, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია აქაც აქტიურ როლს თამაშობს. ამ მხრივ, თვალსაჩინოა პატრიარქის მიერ 2008 წლიდან დაწყებული ყოველი მესამე და მომდევნო ბავშვის ნათლობის ინიციატივა, შობადობის წახალისების მიზნით. 2017 წლის მონაცემებით, პატრიარქს უკვე 31,000-ზე მეტი ნათლული ყავს. გამრავლების საბაზო დაშვების რეალიზაციის ილუსტრაციად შეიძლება განვიხილოთ, აგრეთვე, 2009 წელს საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ხელშეწყობით განხორიცელებული საქართველოში მცხოვრები ბაგრატიონების ოჯახისა და ესპანეთში მცხოვრები ბაგრატიონების ოჯახის წარმომადგენელთა ქორწინება, რომელიც პატრიარქის მიერ ქვეყანაში მონარქიის აღდგენის საჭიროებაზე საუბრის ფონზე განხორციელდა (2007-2009 წლები). 2011 წელს წყვილს

გაუჩნდა ვაჟი, რომელიც პატრიარქმა მონათლა და გამოაცხადა სამეფო ტახტის მემკვიდრედ, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სამეფო არ არსებობს უკვე რამდენიმე საუკუნეა.

დაქვემდებარების, შებრძოლება-გაქცევისა და *გამრავლების* საბაზო დაშვებების რეალიზაცია ქვეყანაში ხდება Hopper-ის მიერ აღწერილი მეოთხე - *არაკოჰესიურობის* ანუ, *არაშეჭიდულობის* საბაზო დაშვების აქტუალიზაციის სპეციფიკურ პირობებში. კერძოდ, ქართული საზოგადოების უმრავლესობის ცხოვრება მიმდინარეობს ორ პარალელურ რეალობაში: ერთი - როგორც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მრევლი, რომელიც *არაშეჭიდულობა/მასიფიკაციის* დაშვების ფსიქოდინამიკას ექვემდებარება. აქ ინდივიდი ჩაკარგულია მასაში, ნორმები ყველასთვის სავალდებულოა, განსხვავებებისა და განსხვავებულის შეწყნარება არ ხდება, მასა გამხოლოვებულია, გაზიარებული ფასეულობები განიხილება, როგორც სავალდებულო. *არაშეჭიდულობა/მასსიფიკაციის* საბაზო დაშვების ილუსტრაციას წარმოადგენს 2013 წლის 17 მაისს საქართველოს ეკლესიის წარმომადგენელთა მიერ მრევლის მობილიზება სექსუალურ უმცირესობათა მშვიდობიანი დემონსტრაციის დასარბევად.

არაშეჭიდულობა/აგრეგაციის დაშვება აქტუალიზებული არის ქვეყნის სოციო-პოლიტიკური ცხოვრების ასპარეზზე. აქ დაპირისპირება სცდება ტრივიალური „ნაცი-ქოცი-შუაშისტის“ სამკუთხედს და შესაძლოა დავაკვირდეთ საზოგადოების ფრაგმენტაციის კიდე უფრო პრიმიტიულ ფორმებს, ფრაგმენტების მიერ ერთმანეთის შეუწყნარებლობასა და ურთიერთდაპირისპირებას. მაგ.: სხვადასხვა უმცირესობა vs უმრავლესობა, სამთავრობო vs არასამთავრობო სექტორი, საჯარო მოსამსახურები vs „ენჯიოშნიკები“ (გავრცელებული სტიგმა სამოქალაქო ორგანიზაციებში მომუაშავე ადამიანების აღსანიშნავად), და ა.შ. *აგრეგაციისთვის* დამახასიათებელი ნორმების იგნორირება თვალსაჩინოდ იკვეთება ქართული

ოცნების პოლიტიკური ლიდერის მიერ პრემიერ-მინისტრის პოსტის დატოვების შემდგომ „ფარდის მიღმა“ პოლიტიკური მმართველობის გაგრძელებით, 2018 წლის იმ მომენტამდე, როდესაც ის კვლავ ლეგალიზდა, როგორც ქართული ოცნების პარტიის ლიდერი.

აგრეგაციისთვის დამახასიათებელ ურთიერთდაპირისპირებებში საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია კვლავ ერთერთი აქტიური დაინტერესებული სუბიექტია. ამის ინდიკატორია სახელმწიფოს მართვაში მისი ჩარევა, რასაც თავად ეკლესია იდენტობის დაკარგვის საფრთხესთან ბრძოლის აუცილებლობით ხსნის. უკანასკნელ წლებში ამის ერთერთი ილუსტრაციაა 2014 წელს ანტიდისკრიმინაციული კანონის საპარლამენტო მოსმენებში ეკლესიის მესვეურთა აქტიური მონაწილეობა და დიდი წინააღმდეგობა, რის გამოც კანონის ზოგიერთი ფორმულირება შეიცვალა. კანონის მიღების შემდგომ, ეკლესიის ზოგიერთმა წარმომადგენელმა მოახდინა მასიფიცირებული მრევლის მობილიზაცია კანონის საწინააღმდეგოდ ხელმოწერების შეგროვებისათვის, თბილისის ქუჩებში ამ მიზნით სპეციალურად დამონტაჟებულ კარვებში.

აგრეგაციისა და *მასსიფიკაციის* ურთიერთმონაცვლეობის ერთერთი მაგალითია სალოსი ბერის, მამა გაბრიელის გადასვენებასთან დაკავშირებული შემთხვევა, რომელსაც 2014 წელს ჰქონდა ადგილი. მამა გაბრიელის შემთხვევა განსაკუთრებით საინტერესოა, რამდენადაც მისი ცხოვრების ისტორია თითქოს ერთ წრედში კრავს საქართველოს ტოტალიტარული წარსულისა და პოსტტოტალიტარული აწმყოს პროცესების ურთიერთქმედებას:

მამა გაბრიელის შესახებ საჯარო სივრცეში ხელმისაწვდომი ინფორმაციის თანახმად, იგი (იმ ხანად გოდერძი ურგებაძე) დაიბადა 1929 წელს, საბჭოთა რეჟიმისათვის მომსახურე მამის (ვასილ ურგებაძისა) და რელიგიური დედის ოჯახში. მამა დედას უკრძალავდა რელიგიურ ცხოვრებას ფიზიკური ძალადობის მუქარით, სანამ საბჭოთა წყობის წინააღმდეგ

მებრძოლთა ხელით დაიღუპეპოდა 1931 წელს. თავად მამა გაბრიელმა, რომელსაც მამის გარდაცვალების მერე მამის სახელს (ვასიკოს) ეძახდნენ, სასულიერო კარიერა ჯარში მსახურობიდან დაბრუნების შემდგომ, 1950-იანებში დაიწყო. მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ სტალინის მმართველობის პერიოდი იყო, მან 1951 წელს თავისივე ეზოში ააშენა პატარა ეკლესია. ის გახდა პირველი, რომელიც ბერად აღიკვეცა ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში. ხრუშჩოვის მმართველობის პერიოდში, 1965 წელს, პირველი მაისის დემონსტრაციაზე, მან თბილისის მერიის შენობაზე მიმაგრებული, ლენინის დიდი (12 კვადრატული მეტრი) პორტრეტი მისცა ცეცხლს. ის მაშინვე დააკავეს და მიუსაჯეს სიკვდილით დასჯა; მოგვიანებით მას ფსიქიკურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული დიაგნოზი დაუსვეს და ციხიდან სამკურანლოდ გადაიყვანეს ფსიქიატრიულ კლინიკაში, სადაც მან რამდენიმე წელი გაატარა. ამან ის სიკვდილით დასჯას გადაარჩინა. ფსიქიატრიულიდან გამოწერის შემოდგომ მან მონასტერში დაიწყო ცხოვრება, და ხალხის მკურნალობა სახალხო მედიცინის (თავის მიერ შემუშავებული) მეთოდებით. შედეგად, მან დიდი პოპულარობა მოიხვეჭა მოსახლეობაში. იგი ერთგვარად დისტანცირებული იყო ქართული მართლმადიდებელი ეკლესიიდან, გამომდინარე მისი უკომპრომისო ხასიათიდან და შესაბამისად, ტოტალიტარულ სახელმწიფოსთან ეკლესიის თანამშრომლობის შეუწყნარებლობიდან. 90-იანებში, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ, მან ცხოვრება სამთავროს მონასტერში განაგრძო, სადაც ხალხს ეხმარებოდა და გაურბოდა კომფორტულ ცხოვრებასა და ბრძოლას ძალაუფლებისთვის, რომელიც დამკვიდრდა ქართულ ეკლესიაში. მისი პოპულარობა დღითიდღე იზრდებოდა. 1995 წელს ის გარდაიცვალა, და თავისი დანაბარების თანახმად, დაკრძალულ იქნა მონასტრის ეზოში. მისმა საფლავმა ქართველი ხალხისთვის წმინდა ადგილის დატვირთვა შეიძინა, იქ ბევრი მომლოცველი დადიოდა. ბერ-მონაზონი დედა პარასკევა, რომელიც მამა გაბრიელზე გარდაცვალებამდე

ზრუნავდა, ბერის გარდაცვალების შემდგომ გახდა მისი საფლავის, პირადი ნივთების, და სიმბოლურად - მამა გაბრიელის - ერთგვარი „კარიბჭის მცველი“. გარდაცვალების შემდგომ მამა გაბრიელის პოპულარობა კიდევ უფრო გაიზარდა. 2012 წელს, საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ მოახდინა მისი, როგორც წმინდანის კანონიზირება, რითიც, ფაქტობირვად, მისი სიმბოლური „სამართალმემკვიდრე“ გახდა. წმინდა სინოდის იმავე კრებაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება მამა გაბრიელის გადასვენების შესახებ სამთავროს დედათა მონასტრის ეზოდან ტაძარში. 2014 წლის იანვარში დედა პარასკევამ გარშემომყოფებს ამცნო, რომ მას დაესიზმრა, რომ თუ ადამიანი 7 იანვრამდე ეწვეოდა მამა გაბრიელის საფლავს, მას ორი სურვილი შეუსრულდებოდა. ათეულობით ათასი ადამიანი დაიძრა მამა გაბრიელის საფლავისკენ, სასწაულის მოლოდინში, ისე, რომ რეგიონისკენ მიმავალი გზის მონაკვეთში, სადაც ხალხი მოძრაობდა, იმ დღეებში მანქანების მოძრაობა შეჩერებული იყო. ამ ინცინდენტიდან სწრაფად, თებერვალში, ქართულმა მართმადიდებელმა ეკლესიამ მამა გაბრიელის ნეშტი ამოიღო მონასტრის ეზოში მდებარე საფლავიდან, მოატარა რამდენიმე ტაძარი და შედარებით დიდი ხნით (რამდენიმე კვირით) სამების საკათედრო ტაძარში დაასვენა. ეკლესიის ინფორმაციით, ამ რამდენიმე კვირის განმავლობაში, ყოველდღიურად, 70,000-მდე მომლოცველი მიდიოდა ახლა უკვე სამების საკათედრო ტაძარში. საფლავის გახსნის ცერემონიაზეც დიდი რაოდენობით ხალხს უნდოდა დასწრება, მაგრამ ეკლესიამ, სახელმწიფოსთან თანამშრომლობით, ტერიტორია რკინის ბარიერებით შემოღობა და თავად განსაზღვრა, თუ ვინ დასწრებოდა ცერემონიას და ვინ არა. მთავრობის წევრებზე ეკლესიამ საშვები დაარიგა. ყოველივე ამის დასრულების შემდგომ, მამა გაბრიელი დაკრძალეს სამთავროს ტაძარში. ამ მოვლენებიდან მალე დედა პარასკევას, როგორც მან ტელეინტერვიუში გააჟღერა, დაატოვებინეს

მონასტერი. ამდენად, დედა პარასკევას ნაცვლად ეკლესია გახდა მამა გაბრიელის დანატოვარის „კარიბჭის მცველი“.

აღწერილი შემთხვევა კარგად ასახავს საბაზო დაშვებების შესაბამისი ფსიქოდინამიკის რამდენიმე მომენტს: დედა პარასკევას სიზმარს აყოლილმა მასსიფიცირებულმა ხალხმა, სასწაულის მოლოდინში, დაიწყო მოძრაობა მამა გაბრიელ საფლავზე. მამა გაბრიელის მომლოცველებზე ამგვარი უშუალო ზემოქმედებით, დედა პარასკევამ, ფაქტობრივად, კონკურენცია გაუწია ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიას, რომელიც 2012 წლიდან მამა გაბრიელის სიმბოლური სამართალმდმკვიდრე გახდა მისი კანონიზაციის ფაქტით. ეკლესიამ დაიბრუნდა მამა გაბრიელის კარიბჭის მცველის ფუნქცია მამა გაბრიელის გადასვენებით, გადასვენების ცერემონიაზე საშვების დარიგებით, სამების საკათედრო ტაძარში მისი რამდენიმე კვირიანი დასვენებითა და იქ მომსვლელ მომლოცველთა ფაქტობრივი მასპინძლობით. საშვების დარიგების ფაქტიდან იკვეთება ეკლესიისთვის ჩვეული მრევლის მასიფიცირებიდან მისი აგრეგაციის მდგომარეობაში გადანაცვლება („საშვიან“ და „უსაშვო“ მრევლის ჯგუფებს შორის მკვეთრი ზღვარის გადებით).

როგორც ვხედავთ, ქართული მართლმადიდებელი ეკლესია აქტიურია ოთხივე საბაზო დაშვების რეალიზაციაში, რაც მიუთითებს მის განსაკუთრებულ როლზე ქართული საზოგადოებისთვის, რასაც ქვევით გავშლი:

ინტერნალიზებული ტოტალიტარული ობიექტი

კვლევის პირველ კომპონენტში ჩატარებული ჩაღრმავებული ინტერვიუებიდან კარგად ჩანს, თუ რამდენად შემოჭრითი (intrusive) იყო სტალინის ხატი („სტალინთან ერთად ვიღვიძებდით, ვიძინებდით, ვმღეროდით, ვცეკვავდით...“). ეს ქმნიდა პირობებს აგრესორთან იდენტიფიკაციისთვის (Freud, A., 1936). აგრესორთან იდენტიფიკაციის დაცვის მექანიზმი, აგრეთვე, კარგად ჩანს სტალინის სიკვდილზე რესპონდენტთა

პარადოქსული რეაქციიდან (განთავისუფლების განცდა თანმხლები გლოვით), რომელიც გამოიკვეთა არა მარტო მოცემული კვლევიდან, არამედ ასევე სხვა საჯარო ნარატივებიდან. ჩეხი ფსიქოანალიტიკოსი Michal Sebek-ი ტოტალიტარულ სისტემაში ტოტალიტარულ ლიდერთან იდენტიფიკაციის აღსანიშნავად გვთავაზობს *ინტერნალიზებული ტოტალიტარული ობიექტის* ცნებას, რომელიც ჩემი აზრით, უფრო ზუსტი ცნებაა ტოტალიტარულ ლიდერთან პარადოქსული ბმის აღსანიშნავად (ვიდრე „აგრესორთან იდენტიფიკაცია“). Sebek-ის მიხედვით, ტოტალიტარული ობიექტი ეს არის „ინდივიდის სოციალიზაციის პროცესში ინტერნალიზებული ძლიერი ავტორიტეტები. ტოტალიტარული ობიექტები, როგორც შიდა [ინტერნალიზებული, დ.ჯ.], ასევე გარე [გარემოში არსებული, დ.ჯ.], არიან შემოჭრითი (intrusive). მათ აქვთ სხვისი ფლობის და მისით მანიპულირების ტენდენცია. ისინი პატივს არ სცემენ ინდივიდუალობას, სოციალურ და ინდივიდუალურ განსხვავებებს. ინდივიდუალური ფასეულობების ნაცვლად ყველასთვის სავალდებულო იდეოლოგიის დამკვიდრებას ცდილობენ. ტოტალიტარული ობიექტი შემაშინებელია, თუმცა მის ჩრდილში შესაძლებელია უსაფრთხოების მოძიება, თუ ინდივიდი მასთან თავს გააიგივებს.“ (Sebek, 1996).

ზევით მოყვანილ მსჯელობაზე დაყრდნობით შესაძლებელია ითქვას, რომ ტოტალიტარულ პერიოდში, სტალინი, რომელიც წარმოადგენდა ტოტალიტარული რეჟიმის ერთგვარ სიმბოლოს (Gill, 1980 და სხვ.), იყო როგორც გარე, ასევე შიდა ტოტალიტარული ობიექტი მოსახლეობისათვის. მისი გარდაცვალების შემდგომ, ტოტალიტარული იდეოლოგიის დასუსტების პერიოდში, რეჟიმის მასიმბოლოვებელი ამგვარი ძლევამოსილი უნივერსალური სახე აღარ არსებობდა. ანუ, მოსახლეობას აღარ ყავდა უნივერსალური გარე ტოტალიტარული ობიექტი ინტერნალიზაციისთვის. ამის ინდიკატორი, სხვა ფაქტებს შორის, ისიცაა, რომ დღევანდელ პუტინის

რუსეთში, რომელიც საბჭოთა კავშირისა და ტოტალიტარული პოლიტიკური რეჟიმის რეანიმაციას ცდილობს, არც ერთი საბჭოთა ლიდერი არ არის პოპულარული სტალინის გარდა (https://www.golos-ameriki.ru/a/web-russia-stalin-putin/3112551.html).

გამომდინარე პატრიარქისა და ეკლესიის აქტიურობიდან ყველა საბაზო დაშვების რეალიზაციაში, შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ სტალინის შემდგომ, მის სიკვდილთან დაკავშირებით განთავისუფლებული უნივერსალური (მოსახლეობისთვის საერთო) ექსტერნალური ტოტალიტარული ობიექტის ნიშა ქართულ საზოგადოებაში ქართულმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ - პატრიარქმა, ზოგადად ეკლესიამ და ეკლესიის მესვეურებმა დაიკავეს. ამ დაშვების სასარგებლოდ შემდეგი მეტყველებს:

- ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის მსოფლმხედველობა დაფუძნებულია ღვთის შიშზე და არა ღვთის სიყვარულზე. თეოლოგი ბექა მინდიაშვილი პირდაპირ ეძახის ამას „სტალინურ მართლმადიდებლობას“ (https://www.amerikiskhma.com/a/stalinistic-orthodoxy/4430808.html); ასევე, ფილოსოფოსი გიორგი მაისურაძე საუბრობს იმაზე, რომ საბჭოთა იდეოლოგიური აპარატი (მათ შორის, საქართველოშიც) მოწყობილი იყო ბიზანტიური მართლმადიდებელი საეკლესიო მოდელის მიხედვით, ხოლო საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდგომ საქართველოში მართლმადიდებელმა ეკლესიამ თანდათანობით დაიბრუნა ტოტალიტარული მუხტი და ჩაანაცვლა კომპარტია (https://www.youtube.com/watch?v=850fMM18CEk);
- 90 წლებიდან დღემდე ქართულ მოსახლეობაში ტოტალურად გავრცელდა ახალი - ე.წ. „ეკლესიური“, იგივე „მრევლის“ იდენტობა, რომლის ერთერთ ძირითად მახასიათებელს „სულიერი მამის“ (ეკლესიის წარმომადგენელი მღვდლის/მოძღვრის) მორჩილება წარმოადგენს;

- NDI-ს გამოკვლევების თანახმად, პატრიარქს სტაბილურად მაღალი რეიტინგი აქვს წლების მანძილზე - 80%-ზე მეტი (NDI, 2014, 2015, 2016). 2015 წელს იგი რიგით მეორე რეიტინგულ ფიგურას (ქვეყნის პრეზიდენს) 50%-ით უსწრებდა (NDI, 2015);
- ქართულ სუფრაზე უკანასკნელ ათწლეულში გაჩნდა პატრიარქის სადღეგრძელო, რაც ექსპერტების აზრით არ შეესაბამება ქართულ ტრადიციებს (გოცირიძე, 2013);
- ტოტალიტარული სიმბოლიკისთვის დამახასიათებელი დაჟინებით, ქვეყანაში დიდი სიმჭიდროვით შენდება ეკლესიები, რომელსაც რიგი მკვლევარებისა განიხილავენ, როგორც ეკლესიის მიერ ძალაუფლების არეალის მონიშვნა-დემონსტრირებას (Serrano, 2010);
- ეკლესიის მხრიდან მიდის იდეოლოგიის დამკვიდრება, რომელიც არ ტოლერირებს ინდივიდუალობასა და განსხვავებულს. ამის მაგალითებია:
- 2013 წლის 17 მაისს ეკლესიის მესვეურების მიერ მობილიზებულ მრევლთან ერთად სექსუალური უმცირესობების ქუჩის აქციის დარბევა (მაისურაძე, 2013) და მისი შემდგომი გაგრძელება ოჯახის სიწმინდის დღის დაწესებითა და ა.შ.;
- პატრიარქი/ეკლესია ერევა საკანონმდებლო ხელისუფლების საქმიანობაში (მაგ, ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღებისას 2014 წელს);
- პატრიარქი/ეკლესია ერევა არჩევნების პროცესში (მაგ., ქადაგება გარკვეული პოლიტიკური ძალის წინააღმდეგ და სხვა პოლიტიკური ძალის სასარგებლოდ; წყარო: მრევლში ჩატარებული მცირე მასშტაბის თვისებრივი კვლევა სოციალური ტრავმის კურსის ფარგლებში);
- სხვადასხვა სამინისტროები/მინისტრები (განათლების, იუსტიციის და ა.შ.) საერო საქმეებზე პატრიარქთან/ეკლესიასთან გადიან

კონსულტაციას (მაგ., იუსტიციის მინისტრის საჯარო გამონათქვამი იდენტობის ბარათების თაობაზე საპატრიარქოსთან კონსულტაციების გავლის განზრახვასთან დაკავშირებით; ეკლესიის წარმომადგენელთა მონაწილეობა და დომინირება საგანი „მე და საზოგადოების“ განხილვაზე განათლების სამინისტროში და ა.შ.);

- ეკლესია/პატრიარქი ცდილობს რელიგიური ნაციონალიზმის ყალიბში ჩასვას ეროვნული იდენტობა საქართველოში და ამ მხრივ ორიათასიანი წლების პირველ ათწლეულში ძალთა ჭიდილში იყო საერო ხელისუფლებასთან, რომელიც სეკულარულ ნაციონალურ პროექტს ახორციელებდა (Zedania, 2011);
- და ა.შ.

4.7. შედეგების ინტერპრეტაცია/დისკუსია

4.7.1. ტრავმის თაობიდან თაობაში გადაცემის ფსიქო-სოციო-პოლიტიკური მოდელი

ტრავმის თაობიდან თაობაში გადაცემის ფსიქო-სოციო-პოლიტიკური მოდელი კვლევის სიახლეს წარმოადგენს. კვლევის პირველი და მეორე კომპონენტის შედეგების ერთიანობაში განხილვა გვიჩვენებს, რომ რეპრესიების ტრავმა და მისი თაობიდან თაობაში გადაცემა მრავალგანზომილებიანი ფენომენია, რომელიც ურთიერთმიმართებათა რთულ სისტემას მოიცავს და შესაბამისად, საჭიროებს კომპლექსურ მრავალდონიან ხედვასა და მიდგომას. ამ რთული ურთიერთმიმართებათა სისტემის ერთ სივრცეში გასააზრებლად, კვლევის შედეგების საფუძველზე, შემუშავებულ იქნა ტრავმის თაობიდან თაობაში გადაცემის მოდელი, რომელიც თვალსაჩინოდ ხდის გადაცემაში ჩართული სხვადასხვა დონის ფაქტორების დინამიკურ ურთიერთქმედებას (იხ.დიაგრამა 2:):

დიაგრამა 2:


რეპრესიების ტრავმის თაობიდან თაობაში გადაცემის მოდელი
საზოგადოებრივი კონტექტი
ტრავმული გამოცდილებისგან დისოციაცია
პირველი თაობის ტრავმა
ეროვნული
ოჯახური
ინდივიდუალური
ოჯახური
ინდივიდუალური
ეროვნული
ოჯახური
ინდივიდუალური
ეროვნული
ოჯახური
ინდივიდუალური
ეროვნული

- გადაურჩა თუ არა მშობელი/გადურჩნენ თუ არა მშობლები დაღუპვას;

- დაღუპვის შემთხვევაში, როდის და როგორ გაიგეს ოჯახის წევრებმა დაღუპვის ამბავი. მათ, ვინც 37 წელს დახვრეტილი ოჯახის წევრის დაღუპვის ამბავი მხოლოდ 50-იანებში გაიგეს, თითქმის ოცი წელი დაყვეს *ორაზროვანი დანაკლისის* მდგომარეობაში და ამ მდგომარეობიდან გამომდინარე ფსიქოსოციალური პრობლემების ზემოქმედებას განიცდიდნენ (Boss, 2000);

- ვინ იყო რეპრესირებული - რეჟიმთან აქტიური მებრძოლი, რეჟიმის პასიურად წინააღმდეგი, რეჟიმის წარმომადგენელი, თუ ნეიტრალური რეჟიმის მიმართ. იმის მიხედვით, თუ ვინ იყო რეპრესირებული, ოჯახი მის რეპრესიას განსხვავებულ კვალიფიკაციას აძლევდა (გმირი რომელიც იბრძოდა, საწყალი ადამიანი რომელიც რეჟიმს ემსახურებოდა და გაუგებრობამ იმსხვერპლა და ა.შ.). ეს კვალიფიკაცია საკვანძო როლს თამაშობდა ტრავმული გამოცდილებისათვის საზრისის მინიჭებაში და შესაბამისად, ტრავმის გადამუშავებაში, ამიტომ კრიტიკულად მნიშვნელოვანია.

რეპრესიის ტრავმის გავლენა მეორე თაობაზე

როგორც სქემიდან ჩანს, რეპრესიის ტრავმის მეორე თაობაზე გავლენის ანალიზისას, უაღრესად მნიშვნელოვანია სამი რიგის - ინდივიდუალური, სოციალური და ოჯახური - ფაქტორების გათვალისწინება:

მეორე თაობაზე მოქმედი ინდივიდუალური დონის ფაქტორები. აქ მნიშვნელოვანია ასაკი, რომელშიც იყო მეორე თაობის წარმომადგენელი, როდესაც განხორციელდა რეპრესია. თუ პირველი თაობის წარმომადგენლები იყვნენ ზრდასრულ ასაკში რეპრესიის მომენტში, მეორე თაობის რესპონდენტები იყვნენ ჩვილობიდან დაწყებული მოზარდობამდე (10 წლამდე) ასაკობრივ პერიოდში. რამდენადაც ბავშვის რეაქცია მატრავმირებელ სტრესორზე დამოკიდებულია მშობლის რეაქციაზე (Cohen et al, 2006), ხოლო

რეპრესიების შედეგად მშობლებიდან ერთი (ან ორივე) ქრებოდა ოჯახიდან, და მეორე მძიმედ განიცდიდა ამას, ფაქტობრივად, მეორე თაობის რესპონდენტები უფრო მოწყვლადები იყვნენ რეპრესიის ტრავმის მიმართ, ვიდრე პირველი თაობის წარმომადგენლები, რაც ეხმიანება ლათინოამერიკელი ფსიქოტრავმატოლოგების კვლევის შედეგებს რეპრესიული პოლიტიკური რეჟიმის პირობებში რეპრესირებული ოჯახების სხვადასხვა თაობის ტრავმირების თავისებურებებზე (Becker & Diaz, 1998).

გამომდინარე სტრესორების ზევით აღწერილი მრავლობითი ზემოქმედებიდან, მეორე თაობის რესპონდენტების შემთხვევაში ჩვენ შეგვიძლია საუბარი ე.წ. *ბავშვობის მძიმე გამოცდილებებზე* (Adverce Childhood Experiences, (Felitti et al, 1998)) და, შესაბამისად, *ბავშვობის ტრავმის* (Childhood Trauma) ან, უფრო ზუსტად, *განვითარების ტრავმის* (Developmental Trauma, (Van Der Kolk, 2007)) სერიოზულ რისკზე. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ როგორც მეორე, ასევე მესამე თაობის რესპონდენტები აღწერენ მეორე თაობის ზოგიერთ რესპონდენტში შეუპოვარ (persistent) ზესიფხიზლის სიმპტომებს, დეპრესიულობას, ემოციური რეგულაციის სირთულეებს, ქარაქტეროლოგიურ პრობლემებს, ჩვენ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ რიგ შემთხვევებში ადგილი ჰქონდა კლინიკურ კონდიციას. ამავე დროს, რესპონდენტების მიერ გაზიარებული ინფორმაციიდან ჩანს, რომ ეს კონდიცია თავის დროზე არ იქნა იდენტიფიცირებული და მიხედილი, რაც ასვამდა დაღს მათი ცხოვრების ხარისხს.

მიუხედავად მაღალი რისკისა, მეორე თაობის ყველა წარმომადგენელს არ განუვითარდა ფსიქიკურ თუ ფიზიკურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები, რამდენადაც, ინდივიდუალურის გარდა, მათზე, ასევე, ოჯახური და სოციალური ფაქტორები ზემოქმედებდა. ის, თუ როგორი იქნებოდა რეპრესიის გავლენა, დამოკიდებული იყო ყველა ამ ფაქტორის დინამიკურ ურთიერთქმედებაზე.

მეორე თაობაზე მოქმედი ოჯახური ფაქტორები. ოჯახურ დონეზე მოქმედი ფაქტორებიდან ზეგავლენა ჰქონდა შემდეგს:

- რამდენად ფუნქციური იყო ოჯახი რეპრესიამდე. ოჯახის რეპრესიამდელი ფუნქციურობა რეპრესიის შემდგომ მეორე თაობის ტრავმატიზაციის თვალსაზრისით დაცვითი ფაქტორის როლს ასრულებდა იმ შემთხვევაში, თუ ერთი მაინც მშობელი რჩებოდა ბავშვთან;

- რა შემადგენლობის გახდა ოჯახი რეპრესიის შემდგომ: დარჩა თუ არა ერთი მაინც მშობელი, და/ან სხვა წევრ(ებ)ი (ბებია, ბაბუა), ყავს თუ არა რესპონდენტს სიბლინგ(ებ)ი. ოჯახის სხვა წევრების არსებობა ოჯახურ სისტემაში, ასევე, დამცველობითი ფაქტორის როლს ასრულებდა;

- როგორი იყო ოჯახური ატმოსფერო რეპრესიის შემდგომ: ზოგადად, შიშის ატმოსფერო, როგორც ოჯახის მუდმივი თანმდევი აღწერა უკლებლივ ყველა რესპონდენტმა. მაგრამ, პარალელურად შიშისა, ოჯახები განსხვავდებოდნენ იმის მიხედვით, თუ რამდენად ახერხებდნენ რეპრესიების ფაქტზე ერთმანეთთან კომუნიკაციას;

- მნიშვნელოვანი იყო, თუ რამდენად ჰქონდა შესაძლებლობა მეორე თაობის წარმომადგენელს, რეფლექსია გაეკეთებინა პირველი თაობის წარმომადგენელთან ერთად რეპრესიის ფაქტზე. ასევე, მნიშვნელოვანი იყო, თუ რა გზავნილებს იღებდა მეორე თაობის წარმომადგენელი მამის რეპრესიის მიზეზის შესახებ - მაგ., გზავნილი „ცოდოა, გაუგებრობა მოხდა“ დამაბრკოლებელი იყო რეპრესიის გამოცდილებაში საზრისის ჩადებისა და, შესაბამისად, ტრავმასთან გამკლავების თვალსაზრისით;

- აღზრდის სტილი ასევე კრიტიკულად მნიშვნელოვანია: კვლევაში გამოვლინდა პარადოქსული პატერნი მშობლის (პირველი თაობის) მხრიდან ზემეურვეობისა შვილის მხრიდან პარენტიზაციის ფონზე, რაც მეორე თაობის წარმომადგენლებისათვის სეპარაციის, ინდივიდუაციისა და ავტონომიის

მიღწევისათვის დამაბრკოლებელი ფაქტორი იყო. რამდენადაც ეს პარადოქსული პატერნი მესამე და მეორე თაობების ურთიერთდამოკიდებულებაშიც გამოვლინდა, უნდა ვიფიქროთ რომ მისი თაობიდან თაობაში გადაცემა მოხდა.

მეორე თაობაზე მოქმედი სოციალური ფაქტორები. კვლევის თანახმად, მიკროსოციალური გარემოს დონეზე მოქმედი ფაქტორებიდან მნიშვნელოვანია შემდეგი:

- როგორი იყო ოჯახის სოციალური კაპიტალი რეპრესიამდე და რა დარჩა მისგან: რამდენი იყო მათ გარშემო ადამიანი, ვინც ბედავდა სალმის მიცემას, რამდენი იყო ვინც ეხმარებოდა გაჭირვებაში (თუნდაც, კვირაში ერთხელ ასადილებდა, როგორც ერთერთ ჩემს რესპონდენტს) - ამ ადამიანების მხარდაჭერის აღქმა, ფაქტობრივად, მეორე თაობის რესპონდენტების ერთერთი წამყვანი დაძლევის სტრატეგიაა;

- მნიშვნელოვანი იყო, იყვნენ თუ არა მეორე თაობის წარმომადგენლის გარშემო ადამიანები, ვინც ბედავდნენ და უვლენდნენ დადებით დამოკიდებულებას რეპრესირებული მამის მიმართ (წინააღმდეგ მის ფოტოზე სახის წაშლისა) - ეს რესპონდენტებს თვითსტიგმის და მასთან დაკავშირებული იდენტობის პრობლემების გადალახვაში ეხმარებოდა;

- არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო, თუ რამდენი „ხალხის მტრის შვილი“ იყო მეორე თაობის წარმომადგენლის კლასში და „ხალხის მტრის ცოლი“ სკოლაში, მასწვლებლებს შორის. ეს მეორე თაობის წარმომადგენლებს „ხალხის მტრის“ სტიგმასთან (და კვლავ, თვითსტიგმასთან) დაკავშირებული პრობლემების *ნორმალიზებაში* ეხმარებოდა.

რეპრესიების ტრავმის გავლენა მესამე თაობაზე

რამდენადაც კვლევამ გამოავლინა, რომ მეორე თაობა უშუალოდ არის ტრავმირებული, ტრავმის თაობიდან თაობაში გადაცემაზე ვსაუბრობთ მხოლოდ მესამე თაობის შემთხვევაში.

ჩვენი მოდელის თანახმად, მესამე თაობას რეპრესიის სტრესორის ზემოქმედება გადაეცემა პირველი და მეორე თაობების „გავლით", რაზეც კვლავ ოჯახური, ინდივიდუალური და სოციალური დონის ფაქტორები ზემოქმედებს. ქვემოთ დავახასიათებთ თითოეული ამ დონის ფაქტორებს:

მესამე თაობაზე მოქმედი ოჯახური დონის ფაქტორები. ამ დონეზე კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ მნიშვნელოვანია შემდეგი:

- კვლავ, ოჯახური ატმოსფერო: შიში, მშობლების ფსიქიკური და ფიზიკური ჯანმრთელობის პრობლემების გამო არსებული შფოთვა და სხვ. ;

- აღზრდის სტილი, რაც, როგორც კვლევამ გამოავლინა, ხშირ შემთხვევაში იმეორებს მეორე და პირველ თაობას შორის განვითარებულ პარადოქსულ პატერნს: ზემეურვეობისა და პარენტიზაციის თანაარსებობას, რაც აბრკოლებს ახლა უკვე მესამე თაობის სეპარაციასა და ინდივიდუაციას. ეს ეხმიანება Bar-On-ისა და მისი კოლეგების მეტა-ანალიზის შედეგებს (Bar-On et al, 1998). მაგრამ, დამატებით Bar-On-ის კვლევისა, ჩემს კვლევაში გამოვლინდა, რომ მესამე თაობის წარმომადგენლ(ებ)ის თანატოლებთან დაჯგუფებისა და ემანსიპაციის რეაქცია მშობელთან ამ პრობლემური სიმბიოზის საპირწონე ფაქტორია და ზოგ შემთხვევაში მას ძალუძს გაუწიოს წინააღმდეგობა ამ სიმბიოზს და დაეხმაროს მესამე თაობის წარმომადგენელს გამოვიდეს ამ მანკიერი წრიდან. ჩვენი რესპონდენტების ნაწილში თანატოლთა წრე, ფაქტობრივად, გამოვიდა მნიშვნელოვანი დაცვითი ფაქტორის როლში მესამე თაობის რესპონდენტების ავტონომიის მიღწევის თვალსაზრისით. თუმცა, ასევე არანაკლებ მნიშვნელოვანია ის, თუ რა ფასეულობები და ნორმები აქვს გაზიარებული თანატოლთა წრეს. ერთი რესპონდენტის შემთხვევაში ეს

რესპონდენტის ალკოჰოლზე დამოკიდებულების რისკ ფაქტორი გახდა, ხოლო მეორე შემთხვევაში კი კრიმინალურ აქტივობაში ჩართვის რისკ-ფაქტორი;

- მნიშვნელოვანია რეპრესიის თაობაზე ოჯახში ინფორმაციის გაზიარების სტილი. Maerker-მა და Hecker-მა გამოყვეს გაზიარების 3 სტილი: რეფლექსიური, ემოციური და სიჩუმის შეთქმულება (Maerker & Hecker, 2016), ჩემი კვლევის საფუძველზე ამ ტიპოლოგიას დაემატა ემოციურ-რეფლექსიური სტილი. თუ Maerker-ისა და Hecker-ის თანახმად გაზიარების ემოციური სტილი და სიჩუმის შეთქმულება ყველაზე ყველაზე უფრო სარისკოა ტრავმის თაობიდან თაობაში გადატანის თვალსაზრისით, ხოლო რეფლექსიური სტილი კი ამცირებს გადატანის ალბათობას, ჩვენი კვლევის მიხედვით ყველაზე ოპტიმალური აღმოჩნდა ემოციურ-რეფლექსიური სტილი. ამ განსხვავებას Maerker-ისა და Hecker-ის შედეგებსა და ჩვენი კვლევის მიგენებას შორის, შესაძლოა, კულტურული განსხვავებები ედება საფუძვლად.

- კვლევამ გამოავლინა ოჯახური სისტემის ჩაკეტილობა-ღიაობის მნიშვნელობა (და, შესაბამისად, სოციალური გარემოცვის მიმართ ნდობა-უნდობლობისა), რაც ოჯახურ სისტემაში ახალი ადამიანის - მესამე თაობის მეგობრის, შეყვარებულის - შემოსვლის შესაძლებლობას ზრდის ან ამცირებს. თუ ოჯახური სისტემა არ არის დახშული ახალი ადამიანების მიმართ, ეს, როგორც ზევით აღვწერეთ, აკომპენსირებს ზემეურვეობა-პარენტიზაციის პარადოქსულ სიმბიოზს და მესამე თაობის წარმომადგენლის ინდივიდუაციისთვის დაცვითი ფაქტორის როლს ასრულებს.

- მესამე თაობის რესპონდენტების ნაწილმა ისაუბრა ბებიების (პირველი თაობის წარმომადგენლების) პიროვნულ ზრდაზე, გადატანილ ტრავმულ გამოცდილებასთან დაკავშირებით. ეს ის ბებიებია, რომლებიც, მეორე თაობის რესპონდენტების მონაყოლებიდან, ერთი მხრივ, შეშინებული, დეპრესიული, ფიზიკური ჯანმრთელობის პრობლემებით გაწვალებული არიან; მეორე მხრივ, მათ დაიკავეს „ოჯახის თავის“ ნიშა, თავდაუზოგავად შრომობდნენ, და ამით

ძლიერები იყვნენ. მესამე თაობის აღქმით, ეს ქალები უკვე დამოუკიდებელი, თავდაჯერებული, ზოგ შემთხვევაში - „ოჯახის ქარიზმატული ლიდერის“ როლში არიან. ამ სიტუაციამ, სავარაუდოდ, წვლილი შეიტანა გენდერული სტერეოტიპების ცვლილებაში, სულ ცოტა, საკუთარ ოჯახებში მაინც. ეს ეხმიანება Benzo-სა და Magi-ს კვლევას ჰოლოდომორის გავლენაზე უკრაინაში, რომლის მიხედვითაც ჰოლოდომორის დროს კაცების დაღუპვამ და ქალების მიერ მათი ადგილების დაკავებამ გამოიწვია გენდერული როლების ცვლილებები სოციეტალურ დონეზე (Benzo & Magi, 2015ბ).

ოჯახური დისფუნქციის სპეციფიკური ტიპი, როგორც ტრავმის გადაცემის ერთერთი მექანიზმი. კვლევის სიახლეს წარმოადგენს აგრეთვე ის, რომ მის საფუძველზე მოვახდინეთ იდენტიფიცირება და აღვწერეთ რეპრესიების ტრავმის გავლენით დაზიანებული ოჯახური სისტემის დისფუნქციური ფსიქოდინამიკის სამი ტიპი, რომლებიც, ფაქტობრივად, ტრავმის თაობიდან თაობაში გადატანას განაპირობებენ. აქედან ორი ტიპი ეფუძნება *დაქვემდებარების* საბაზო დაშვებას (ე.წ. „პრიოვნების კულტისა“ და „დაკარგული სამოთხის“ სცენარით განვითარებული ოჯახური სისტემები), ხოლო მესამე - *შებრძოლება-გაქცევის* საბაზო დაშვებას (ე.წ. „ოჯახი - ბრძოლის ველი“). ოჯახური დისფუნქცია ამგვარ ოჯახებში უნდა განვიხილოთ, როგორც ტრავმის თაობიდან თაობაში გადაცემის სისტემური მექანიზმი.

ის, თუ რა გავლენა ექნება ოჯახის დისფუნქციურ სისტემას მესამე თაობის წარმომადგენელზე, დამოკიდებულია, ერთი მხრივ, აღდგენისუნარიანობის იმ სტრატეგიებზე, რომლებსაც იყენებენ მესამე თაობის წარმომადგენლები (და ინდივიდუალური დონის ფაქტორებზე ზოგადად), ხოლო მეორე მხრივ - მათ მიკროსოციალურ და მაკროსოციალურ გარემოში მოქმედ დაცვით და რისკის ფაქტორებზე; დაბოლოს, ყველა ამ ფაქტორის დინამიკურ ურთიერთქმედებაზე.

მესამე თაობაზე მოქმედი სოციალური დონის ფაქტორები. კვლევის თანახმად, აქ განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, ყავს თუ არა მესამე თაობის წარმომადგენელს ახლო მეგობრების წრე, გარკვეული ასაკიდან - შეყვარებული. გამოვლინდა, რომ რიგ რესპონდენტებს ოჯახის წევრები წინააღმდეგობას უწევდნენ მეგობრებისა თუ შეყვარებულის გაჩენაში. ამიტომ, მესამე თაობის რესპონდენტისთვის მნიშვნელოვანია, რომ გააკეთოს ოჯახიდან „გარღვევა“ და შევიდეს ახალ ურთიერთობებში. მეგობრების წრის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია, თუ რამდენად მოახერხა მან მასში ინტეგრირება, რამდენად კონსტრუქციული ფასეულობებია ამ სამეგობროში და ა.შ.

რამდენადაც უკანასკნელი გამოკვლევები მიგვითითებენ იმაზე, რომ აღდგენიუსნარიანობა არ არსებობს იზოლირებულად და ინდივიდისა და მისი სოციალური გარემოცვის ურთიერთქმედების ფუნქციაა (Maerker & Hecker, 2016), უშუალო სოციალური გარემოცვის დონე, ასევე, მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად აძლევს მესამე თაობის რესპონდენტს აღდგენისუნარიანობის ინდივიდუალური სტრატეგიების აქტუალიზება-რეალიზების საშუალებას.

მესამე თაობაში ტრავმის გადაცემაზე მოქმედი ინდივიდუალური დონის ფაქტორები. ინდივიდუალური დონის ფაქტორებიდან მნიშვნელოვანია შემდეგი:

- რა ასაკში გაიგო მესამე თაობის წარმომადგენელმა ოჯახის წევრის რესპრესიის თაობაზე. კვლევის თანახმად, ძალიან გვიან (მაგალითად, სრულწლოვანებაში, ან გვიანდელ მოზარდობაში) გაგება ხელს უშლის მესამე თაობის წარმომადგენელს ოჯახის რეპრესიის გამოცდილებაში საზრისის ჩადებაში;

- ასევე მნიშვნელოვანია, რამდენად აქვს მესამე თაობის წარმომადგენელს იუმორის გრძნობა და რამდენად შეუძლია მისი გამოყენება რეპრესიის ტრავმისგან დისტანცირებისათვის. ეს უკანასკნელი მიგნება ეხმიანება ბრაზილიაში ჰოლოკოსტს გადარჩენილი ოჯახების კვლევის შედეგებს (Braga et al, 2012);

- მნიშვენლოვანია, თუ აღდგენისუნარიანობის რა სტრატეგიებს იყენებს მესამე თაობის წარმომადგენელი. აქ განსაკუთრებით უნდა გამოიყოს ის, თუ რამდენად მოახერხა მან ოჯახის ტრავმულ გამოცდილებაში საზრისის ჩადება და ა.შ.

რამდენადაც ტრავმულ გამოცდილებაში საზრისის ჩადება მისი გამოგლოვებისა და შესაბამისად, დაძლევის ერთერთი მნიშვნელოვანი ინდიკატორია (lueger-Schuster, Bogensperger, 2014), მესამე თაობის წარმომადგენელთა მიერ ოჯახის წევრის რეპრესიაში საზრისის ჩადებაში წარმატება-წარუმატებლობა კვლევის შედეგების გააზრებისას ჩვენი განსაკუთრებული ყურადღების საგანი იყო.

კვლევის შედეგების თანახმად, მესამე თაობის რესპონდენტებისათვის, საზრისის ჩადებაში (განსაკუთრებით - მეორე საფეხურის, ანუ ოჯახის ტრავმული გამოცდილების პოზიტიური გადაფასების - მიღწევაში) წარმატების ხელშემწყობი ფაქტორებია: ოჯახის წევრის აღქმა, როგორც რეჟიმთან მებრძოლისა (წინააღმდეგ ნეიტრალურისა ან რეჟიმის მომხრესი), და ასევე, ბავშვობიდან ოჯახში რეპრესიების გამოცდილებაზე ღია საუბარი. საზრისის ჩადების დამაბრკოლებელი ფაქტორებია - „სიჩუმის შეთქმულება“, რეფლექსიის პირობების არქონა ოჯახის რეპრესირების გამოცდილებაზე და, რეპრესიის, როგორც „გაუგებრობის“ ხედვა.

ზევით მოყვანილი მიგნებები, ერთი მხრივ, ეხმიანება Maerker-ისა და Hecker-ის კვლევის შედეგებს იმის თაობაზე, რომ ტრავმულ გამოცდილებაზე პირველი თაობის მხრიდან გამოყენებული გაზიარების სტილი მოქმედებს

მეორე თაობის ტრავმატიზაციაზე (Maerker & Horn, 2013; Maerker & Hecker, 2016). მეორე მხრივ, ჩვენი კვლევა, Maerker-ისა და Hecker-ის დასკვნების მიღმა, კიდევ უფრო ღრმად მიდის, შემდეგი თვალსაზრისით: ჩვენი კვლევის მიხედვით, მიუხედავად მეორე თაობის წარმომადგენლის უკიდურესი ტრავმირებულობისა და ზეჭარბი ემოციური გაზიარებისა, მესამე თაობის წარმომადგენელს ეს ეხმარება ოჯახის ტრავმულ გამოცდილებაში საზრისის ჩადებაში იმ შემთხვევაში, თუ რეპრესირებული ოჯახის წევრი წარმოჩენილია, როგორც რეჟიმისთვის წინააღმდეგობის გამწევი. საზრისის ჩადების თვალსაზრისით, განსაკუთრებით მოწყვლადი აღმოჩნდნენ ის ოჯახები, რომელთა რეპრესირებული წევრები თავად ემსახურებოდნენ მარეპრესირებელ აპარატს და მათ დაღუპვას ოჯახმა „გაუგებრობის“ კვალიფიკაცია მისცა. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში მიღებულ ტრავმასთან გამკლავებისთვისაა დამახასიათებელი რეჟიმის შესუსტებისა თუ უკვე პოსტ ტოტალიტარულ პირობებში (რამდენადაც, ამ შემთხვევაში, ტოტალიტარულ რეჟიმთან მებრძოლი ადამიანის ხატი პოზიტიურად არის განმტკიცებული).

დაძლევის ინდივიდუალურ სტრატეგიებზე ოჯახური და სოციალური დონის ფაქტორების ამგვარი ზეგავლენა კარგად გვიჩვენებს, რომ ტრავმის თაობიდან თაობაში გადაცემის საკითხზე მსჯელობისას უნდა განვიხილოთ როგორც მიკრო-, ასევე მაკროსოციალურ დონეზე მოქმედი ფაქტორები ერთობლიობაში და აგრეთვე, მათი ურთიერთქმედება.

პირველ, მეორე და მესამე თაობებზე მოქმედი საზოგადოებრივი და სახელმწიფო დონის ფაქტორები

საზოგადოებრივ დონეზე მოქმედი ფაქტორები. მოდელის ზედა ნაწილი ასახავს სოციეტალურ დონეზე ტრავმის თაობიდან თაობაში გადაცემის ფაქტორებს. აქ მნიშვნელოვანია, თუ რამდენად აღიარებს სოციუმი

რეპრესიების რეალობას და აკეთებს ტრავმირებული ოჯახების მტკივნეული გამოცდილების ვალიდიზაციას, რამდენად ქმნის რეპრესიების ტრავმის ავთენტური გამოგლოვების საშუალებას (ხელოვნების, მეცნიერების, სოციალური აქციების, რელიგიური თუ სხვა კულტურული რიტუალების სახით და სხვ.), დაბოლოს, რამდენად არის სოციუმი მუშა ჯგუფის მდგომარეობაში (Bion-ისა და Hopper-ის გაგებით) წინააღმდეგ ტრავმული საბაზო დაშვებებით განპირობებული ფსიქოდინამიკისა. თუ სოციუმი აღიარებს რეპრესიების ტრავმას, მუშაობს მის ავთენტურ გამოგლოვებაზე და მუშა ჯგუფის (Bion-ისეული და Hopper-ისეული გაგებით: Bion, 1961; Hopper, 2003) მდგომარეობაშია, ეს ქმნის სოციეტალურ დაცვით ფაქტორებს რეპრესიების ტრავმის გადასალახავად ოჯახურ და ინდივიდუალურ დონეზე. თუ საქმე პირიქით არის, ეს ქმნის რისკ ფაქტორებს ტრავმის გადალახვის თვალსაზრისით.

სახელმწიფო დონეზე მოქმედი ფაქტორები. სქემის ქვედა ნაწილი ასახავს ტრავმის თაობიდან თაობაში გადაცემის თვალსაზრისით მნიშვნელოვან სახელმწიფო დონის ფაქტორებს. კერძოდ, რამდენად აღიარებს სახელმწიფო რეპრესიების უსამართლობას და საპასუხოდ რამდენად აამოქმედებს მართლმსაჯულების მექანიზმებს, ჩაატარებს ლუსტრაციას, გაასამართლებს და დასჯის დამნაშავეებს, უზრუნველყოფს აღდგენითი მართლმსაჯულების სერვისებს (მაგ., ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისებს მეორე თაობის იმ წარმომადგენლებისათვის, ვისაც მთელი სიცოცხლე, როგორც კვლევიდან გაირკვა, ზესიფხიზლის სიმპტომები აწუხებს). ყოველივე ჩამოთვლილის ფონზე, რამდენად წარმართავს სახელმწიფო სამართლიან, პროცედურულად და ინსტიტუციურად გამართულ რეაბილიტაციის პროცესს, რომელიც რეპრესირებულთა მორალურ და მატერიალურ კომპენსაციას მოემსახურება. თუ ეს განხორციელდა, ხელს შეუწყობს ტოტალიტარული ტრავმის გადალახვას როგორც ინდივიდუალურ, ასევე ოჯახურ და სოციეტალურ

დონეზე. სხვა შემთხვევაში, ქვეყანაში შექმნილია ტრავმული საბაზო დაშვებების შესაბამისი ფსიქოდინამიკის, ტოტალიტარული ობიექტის რეპროდუქციისა და, ტოტალიტარულ სამკუთხედში დაყოვნებისათვის ხელსაყრელი პირობები, რასაც დღევანდელი საქართველოს სოციო-პოლიტიკური პროცესების დინამიკა ადასტურებს.

4.7.2. პარადოქსი, როგორც გადარჩენის მოდუსი ტოტალიტარულ პერიოდში, და როგორც განვითარების ბარიერი პოსტ-ტოტალიტარულ პერიოდში

კვლევის სიახლეს რეპრესიების ტრავმის ინდივიდუალურ დონეზე გავლენის თვალსაზრისით წარმოადგენს ის, რომ მან გამოავლინა რეპრესირებულთა მეორე და მესამე თაობის აღდგენისუნარიანობის სტრატეგიების პარადოქსულობა.

კვლევის პროცესში ჩემი განსაკუთრებული ყურადღებისა და ცნობისმოყვარეობის საგანი გახდა ის მრავლობითი პარადოქსები, რომლებიც გამოჩნდა კვლევის პირველი კომპონენტის რესპონდენტების საუბრიდან. ამიტომ, ამ საკითხზე მოცემულ ქვეთავში ცოტა უფრო დაწვრილებით შევჩერდები და შევეცდები მის გააზრებას.

რეპრესირებული ოჯახების მეორე და მესამე თაობებში ადგილი აქვს მთელ რიგ პარადოქსულ, ურთიერთსაწინააღმდეგო ტენდენციებს:

- მოცემული პარადოქსი უკვე იყო განხილვის საგანი წინა თავში, მაგრამ, განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო (ტრავმის თაობიდან თაობაში გადაცემის თვალსაზრისით), აქაც მოკლედ დავახასიათებ: პირველი თაობის წარმომადგენლები, გამომდინარე რეპრესიასთან დაკავშირებული შფოთვიდან, ანხორციელებენ ზემეურვეობით აღმზრდელობით სტრატეგიას და მნიშვნელოვანად ზღუდავენ მეორე თაობის ინდივიდუაციისა და სეპარაციის

პროცესს, ავტონომიურობის მიღწევის შესაძლებლობებს. ამავე დროს, მეორე თაობის წარმომადგენლები, გამომდინარე რეპრესირებული (პირველი) თაობის ტრავმასთან დაკავშირებული მაღალი შფოთვიდან, ახდენენ პარენტიზაციას. ეს ეხმიანება Dan Bar-On-ისა და კოლეგების მეტა-ანალიზური გამოკვლევის შედეგებს;

- მეორე თაობის რესპონდენტები რეპრესიას გადარჩენილ მშობელს აღიქვამენ, როგორც უსუსურსა და სუსტს, და ამავდროულად, როგორც ოჯახის ერთპიროვენულ ავტორიტარულ ლიდერს (და, ამდენად, ძლიერ ფიგურას);

- მეორე თაობის წარმომადგენლების აღდგენისუნარიანობის სტრატეგიები ემყარება სწავლასა და პროფესიულ დახელოვნებაში მაღალი მიღწევის მოთხოვნილებას. ამავე დროს, ისინი ცდილობენ იყვნენ უჩინარნი, რამდენადაც „ხილვადობა“ რეპრესიის მუქარის შემცველად აღიქმება;

- ერთერთი საკვანძო აღდგენისუნარიანობის სტრატეგია მეორე თაობისათვის არის ტოტალიტარულ სისტემაში ინტერგაცია და საბჭოთა „ფაბრიკის“ ყველა საფეხურის გავლა (პიონერობა, კომკავშირლობა, პარტიის წევრობა და ა.შ.). ამავე დროს, ისინი ფარულად ცდილობენ სისტემისგან გამიჯვნას და მიმართავენ ამისთვის სასულიერო პრაქტიკებს (მაგ., ლოცვას);

- მესამე თაობა ლოიალურია სისტემის მიმართ და ნორმად იღებს კომკავშირში გაწევრიანებას, ამავდროულად კრიტიკული დამოკიდებულება აქვს სისტემის მიმართ;

- მესამე და მეორე თაობის ურთიერთმიმართებაში კვლავ მეორდება ზემეურვეობა-პარენტიზაციის პარადოქსული პატერნი;

- და ა.შ.

გამომდინარე ზემოთ აღწერილიდან, როგორც მეორე, ასევე მესამე თაობა ერთგვარი სხიზისის მდგომარეობაშია, ერთდროულად ორ ურთიერთსაწინააღმდეგოდ მიმართულ სტრატეგიას ახორციელებს. ამას ემატება ის, რომ სოციალური სინამდვილე როგორც პირველ თაობას, ასევე

მეორე თაობას (მშობლების ნარატივების წყალობით) დაყოფილი აქვთ „კარგებად“ და „ცუდებად“. ამდენად, რესპონდენტები „დიხოტომიზებული“ არიან როგორც შიგნიდან, ასევე გარემოს აღქმის თვალსაზრისით, რაც მათ, ფაქტობრივად, Klein-ისეულ პარანოიდულ-შიზოიდურ პოზიციაში ამყოფებს.

ორმაგ დაბმას იყენებს, აგრეთვე, სახელმწიფოც მათ მიმართ:

ერთი მხრივ, ოჯახის წევრის რეპრესირება, და მეორე მხრივ ოჯახის სხვა წევრის დაჯილდოვება საბავშვო ბაღსა, სკოლაში თუ სამსახურში ლენინისა და სტალინის სიგელებითა და ორდენებით;

ერთი მხრივ, საბჭოთა რეაბილიტაციის წლებში რეპრესირებული ადამიანის უდანაშაულობის აღიარება და მეორე მხრივ, სისტემის დანაშაულის არ აღიარება (და შენიღბვა გარკვეული ჯგუფის - სტალინი, ბერია და ა.შ. - დანაშაულის ქვეშ);

კვლევამ გამოავლინა სახელმწიფოს მხირდან სარეაბილიტაციო პროცესების მიმართ ორმაგი სტანდარტი დამოუკიდებელი საქართველოს პირობებშიც, ტოტალიტარული რეჟიმისგან განთავისუფლების შემდეგაც: ერთი მხრივ, რეაბილიტაციის განხორციელება და მეორე მხრივ, ამისთვის ინსტიტუციური მექანიზმების შექმნაზე ძალისხმევის დაზოგვა.

Gregory Bateson-მა თავის დროზე აღწერა ორმაგი დაბმის კომუნიკაციის ალგორითმი: ერთ სუბიექტს აქვს მეტ-ნაკლები ძალაუფლება მეორე სუბიექტზე (1); ამის გამო, მეორე სუბიექტს არ შეუძლია გასვლა კომუნიკაციის ველიდან (2); პირველი სუბიექტი მეორეს აძლევს ერთდროულად ორ ურთიერთგამომრიცხავ მითითებას (3); შედეგად, მეორე სუბიექტი ან შეშდება და დაისწავლის უსუსურობას, ან შინაგანად იხლიჩება, ან ამ ორივე რეაქციას ერთდროულად აქვს ადგილი - როგორც, მაგალითად, აგრესორთან და მსხვერპლთან ერთდროული იდენტიფიკაციისას (4) (Bateson, 2000). Bateson-ის მიერ აღწერილი ეს ფენომენი, ფაქტობრივად, ტოტალიტარულ სიტუაციაში არსებულ კომუნიკაციის პატერნსა და შესაძლო რეაქციებსაც აღწერს, სადაც

თვითგადარჩენისათვის ოპტიმალური გამოსავალი, შესაძლოა, სწორედ სისტემის კონგრუენტულობა და შესაბამისად, სხიზისია.

გამომდინარე აქედან, უნდა ვიფიქროთ, რომ ტოტალიტარულ პერიოდში რესპონდენტების აღწერილი პარადოქსულობა და სხიზისი, სახელმწიფოს მხრიდან ორმაგი დაბმის სტრატეგიების განხორციელების ფონზე, რეპრესირებული ოჯახების შთამომავლობის თვითგადარჩენისათვის ოპტიმალური სტრატეგია იყო. თუ მივუდგებით ფსიქოტრავმატოლოგიის ცნობილი ფორმულით, ეს იყო „ნორმალური რეაქცია არანორმალურ გარემოებებზე“ (Marmar et al, 1993). ეს დასკვნა ეხმიანება Dan Bar-On-ის მიერ სამ სხვადასხვა ქვეყანაში (ჰოლანდია, ისრაელი და კანადა) განხორციელებული ჰოლოკოსტის სამი კვლევის მეტა-ანალიზის შედეგად გამოტანილ დასკვნას. კერძოდ, კვლევების ანალიზის საფუძველზე მან გამოავლინა ორი პარადოქსი (ერთერთი მათგანი იდენტური ჩვენს მიერ გამოვლენილისა: ზემეურევობა და ამავდროული პარენტიზაცია, ხოლო მეორე - მშობლის მხრიდან ტრავმის დაფარვა შვილის დაზოგვის მიზნით და შვილში საპასუხოდ აღმოცენებული დაუცველობის განცდა). მათ მიღმა მან დაუცველი (ამბივალენტური და დეზორგანიზებული) მიჯაჭვულობა იგულისხმა და დააასკვნა, რომ, ფაქტობრივად, ამგვარი მიჯაჭვულობა წარმოადგენდა ადაპტურ სტრატეგიას ჰოლოკოსტის ტრავმის ტვირთით დამძიმებული ოჯახური ატმოსფეროს პრიობებში (Bar-On, 1998). Bar-On-ი მიჯაჭვულობის ამ ტიპის პრობლემურობას მხოლოდ სტრესული სიტუაციებისადმი მოწყვლადობაში ხედავს.

Bar-On-ისგან განსხვავებით, ჩვენს კვლევაში პარადოქსი რესპონდენტების ფსიქოსოციალური ფუნქციობის თითქმის ყველა დონეზე გამოვლინდა (საკუთარი თავის მიმართ დამოკიდებულება, დამოკიდებულება მშობლებთან, დამოკიდებულება სოციუმთან, ურთიერთსაწინააღმდეგო აღდგენიუსნარიანობის სტრატეგიები და ა.შ.). გამოვლენილი მრავლობითი

პარადოქსებით განპირობებული სხიზისი, თუ ტოტალიტარული სისტემის პარანოიდულ-შიზოიდურ კონტექსტში ადაპტაციის ოპტიმალურ სტრატეგიას წარმოადგენდა, უნდა ვიფიქროთ, რომ პოსტ ტოტალიტარულ პერიოდში ხელის შემშლელია არა მხოლოდ სტრესის პირობებში, არამედ ზოგადად ინდივიდისა და ოჯახის ფსიქოსოციალური ფუნქციონირებისათვის.

ქვეყნის მოსახლეობის ნაწილში ამაგვარ შინაგან გახლეჩას, უნდა ვიფიქროთ, შეაქვს წვლილი დესტრუქციული საბაზო დაშვებების შესაბამისი საზოგადოებრივი ფსიქოდინამიკის აქტუალიზებაში და, საზოგადოების რეგრესში. ანალოგიურად, სახელმწიფოსა და საზოგადოების მხრიდან რეპრესიების ტრავმის მიმართ დამკვიდრებული და პოსტ საბჭოთა პერიოდშიც გაგრძელებული მიყრუებისა და ორმაგი სტანდარტების ინერცია ვერ ეხმარება რეპრესირებული ოჯახების შთამომავლობას რეპრესიების ტრავმის დაძლევაში. ეს ყოველივე მანკიერ წრედ იკვრება, რომელიც ინტერნალიზებული ტოტალიტარული ობიექტის რეპროდუქციისთვის ხელსაყრელ პირობებს ქმნის და ტოტალიტარულ სამკუთხედში აყოვნებს ქართულ საზოგადოებას.

4.7.3. როგორ ვლინდება რეპრესიების ტრავმის გავლენა მეორე და მესამე თაობებზე და კონკრეტულად რა გადადის თაობიდან თაობაში

რეპრესიების ტრავმის გავლენა მეორე თაობის რესპონდენტთა ნაწილში თავს იჩენს უშუალოდ პათოფსიქოლოგიური სიმპტომატიკის სახით, რაც არ არის გასაკვირი, იმიტომ რომ ისინი თავად დაექვემდებარნენ მატრავმირებელ სტრესორთა სისტემის ზემოქმედებას, რაც ზევით აღვწერეთ.

სიმპტომებს შორის, მეორე თაობის რესპონდენტებში პრევალირებს, უპირველეს ყოვლისა, ზესიფხიზლე, შემდგომ განრიდება და ნეგატიური კოგნიციები საკუთარი თავისა და გარემომცველი სოციალური სინამდვილის მიმართ. ეს ეხმიანება Nathan Kellerman-ის მიერ ჰოლოკოსტს გადარჩენილთა კვლევების სისტემური ანალიზის შედეგად გამოყოფილი პრობლემების

პატერნს ჰოლოკოსტს გადარჩენილთა შვილებში (Kellerman, 2001), და ასევე, ლათინოამერიკელი კოლეგების მიერ ჩილესა და არგენტინაში ჩატარებულ კლინიკური შემთხვევების ანალიზის შედეგებს, რომლებიც უშუალოდ ტრავმირებულ მეორე თაობას ეხებოდა (Becker & Diaz, 1998; Edelman et al, 1998).

მესამე თაობის რესპონდენტებში ჩვენს კვლევას ფსიქოპათოლოგიური სიმპტომები არ გამოუვლენია. ამ ეტაპზე ჩვენ მიზნად არც დაგვისახავს მათი ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასება - არ ჩაგვიტარებია შესაბამისი სქრინინგული გამოკვლევა, ხოლო მეორე თაობისგან განსხვავებით, პათოფსიქოლოგიური სიმპტომები აქ „შეუიარაღებელი თვალით“ არ გამოჩნდა. შესაძლოა, მესამე თაობის წარმომადგენლებს არც აქვთ ფსიქოპათოლოგიური პრობლემები - და ამის ახსნა, ალბათ, ჩვენს მიერ წარმოდგენილი მოდელის მიხედვით გაკეთებული კვლევის საფუძველზე იქნება შესაძლებელი - სხვადასხვა დონეზე მოქმედი დაცვითი ფაქტორებისა და მათი ურთიერთქმედების შესწავლის გზით. შესაძლოა პირიქით, მათ აქვთ ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები, მაგრამ ოჯახში - მშობლების თაობაში - ტრავმასთან დაკავშირებული ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების ნიველირების ხანგრძლივი ტრადიციის ფონზე (რაც ზევით აღვწერეთ), ეს პრობლემები ნორმალიზებულია და რესპონდენტებს ვერ წარმოუდგენიათ, რომ შესაძლოა თავი უკეთ იგრძნონ. ასეთი ფენომენი აღწერილია საქართველოს დევნილთა პოპულაციის კვლევის საფუძველზე (Makhashvili, 2014). ყველა შემთხვევაში, ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად, საჭიროა შემდგომი კვლევა.

როგორც მეორე, ასევე მესამე თაობის რესპონდენტებში კვლევამ გამოავლინა მშობელთან მიჯაჭვულობის პრობლემები - ზემურვეობა-პარენტიზაციის პარადოქსული თანაარსებობის ფონზე, რაც სეპარაციის, ინდივიდუაციისა და ავტონომიის მიღწევის სირთულეებს ქმნის. ეს

საფუძვლად ედება ქარაქტეროლოგიურ პრობლემებსა და პრობლემებს სოციალურ ურთიერთობებში, რაც ეხმიანება Rieck-ის, Magids-ისა და Liceto ჰოლოკოსტს გადარჩენილთა მეორე და მესამე თაობებში სხვადასხვა დროს ჩატარებულ კვლევებს (Rieck, 1994; Magids, 1998, Liceto et al, 2011). რამდენადაც ზემეურვეობა-პარენტიზაციის პარადოქსული პატერნი გამოვლინდა როგორც მეორე, ასევე მესამე თაობის რესპონდენტებში, შეგვიძლია საუბარი მიჯაჭვულობის პრობლემების თაობიდან თაობაში გადაცემის თაობაზე, რაც კვლავ ეხმიანება Bar-On-ისა და მისი კოლეგების მეტა-ანალიზის შედეგებს (Bar-On et al., 1998).

ჩემი კვლევის თანახმად, რეპრესიებთან დაკავშირებული ტრავმის გავლენა ყველაზე თვალსაჩინოა ცხოვრებისეულად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების მოტივაციის, პროფესიული არჩევანის გაკეთების, პარტნიორის არჩევის დროს. ეს კი იმის მაჩვენებელია, რომ რეპრესიის გავლენა, რესპონდენტების როგორც მეორე, ასევე მესამე თაობის ცხოვრებაზე, ვლინდება ცხოვრების იმ ტრაექტორიაში, რომელსაც ოჯახის რეპრესიის გამოცდილება/გავლენა, აღდგენიუსნარიანობის სტრატეგიები, მათზე მოქმედი სოციალური ფაქტორები და ამ ფაქტორების დინამიკური ურთიერქმედება აყალიბებს.

კვლევაში, განსხვავებით ტრავმირებული ადამიანების აღდგენიუნარიანობის შემსწავლელი ყველა სხვა ცნობილი კვლევისგან (მაგ.,Carmil & Breznitz, 1991; Major, 1996; Sigal, 1998; Valent, 1998; Greene, 2002; Shrira, 2011; Braga et al, 2012, და სხვ.), გამოვლინდა, რომ მეორე თაობის წარმომადგენლები იყენებენ პარადოქსულ აღდგენისუნარიანობის სტრატეგიებს: მიღწევა და წარმატება (სწავლასა და შრომაში) vs მიღწევის დაფარვისა და უჩინარობისა, აღქმული სოციალური მხარდაჭერა vs აღქმული მტრული დამოკიდებულება სოციალური გარემოს მხრიდან, ტოტალიტარულ სისტემაში ინტეგრაცია vs ტოტალიტარული სისტემისგან გამიჯვნისა,

ტოტალიტარული ობიექტის სიყვარული vs ტოტალიტარული ობიექტის სიძულვილი.

4.8.კვლევის შეზღუდვები

კვლევის პირველი ნაწილის შეზღუდვად უნდა ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ რესპონდენტების აბსოლუტური უმრავლესობა უმაღლესი განათლების მქონე თბილისში მაცხოვრებელი ადამიანები არიან. ამდენად, კვლევის რეზულტატები ვერ განზოგადდება რეპრესირებულთა ყველა ოჯახზე, და (მეორე თუ მესამე) თობაზე რეპრესირებულთა ოჯახებისა. მაგრამ ამას არც ვისახავდი მიზნად - ჩემი კვლევითი ინტერესი რეპრესიების გავლენის გაგებაზე იყო; იმის გაგებაზე, თუ რა გავლენას ახდენს ოჯახის რეპრესიის გამოცდილება რეპრესირებულთა შვილებისა და შვილიშვილების ცხოვრებაზე, რა იყო, არის და როგორ მუშაობს მათი აღდგენისუნარიანობის (resilience) სტრატეგიები. აქედან გამომდინარე, განზოგადების საშუალების არქონა უფრო სპეციფიკაა მოცემული კვლევისა, ვიდრე შეზღუდვა. ამიტომ, რესპონდენტების შერჩევისას გამოყენებულ იქნა არა-ალბათური შერჩევის მეთოდი; ანუ, გამიზნულად მოხდა რესპონდენტთა შერჩევა კონკრეტულ კრიტერიუმებზე დაყრდნობით, იმის დაშვების გარეშე, რომ კვლევის რეუზლტატებმა უნდა ასახონ საქართველოში საბჭოთა რეჟიმის დროს რეპრესირებული ოჯახების მეორე და მესამე თაობის მთელი შერჩევა.

კვლევის პირველი ნაწილის შეზღუდვად, აგრეთვე, შესაძლოა ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ მეორე თაობის რესპონდენტთა მაღალი ასაკიდან გამომდინარე, კვლევაში ჩართული მეორე თაობის ყველა რესპონდენტი იყო 10 წლამდე ასაკისა რეპრესიის მომენტში. შესაძლოა, რეპრესიების მომენტში უფრო მაღალ ასაკობრივ საფეხურზე მყოფ ადამიანებზე (მაგ., მოზარდებზე) რეპრესიის ტრავმის ზეგავლენას განსხვავებული ნიუანსები ჰქონოდა, მაგრამ ამას უკვე ვეღარ დავადგენთ, რამდენადაც რეპრესიებისას მოზარდობის ასაკში მყოფი

ადამიანების თაობა უკვე აღარ არის მისაწვდომი კვლევისათვის. მეორე მხრივ, კვლევით გამოვლენილი ფაქტი, რომ მეორე თაობის რესპონდენტები, მოზარდობამდელ ასაკში, დაექვემდებარნენ მატრავმირებელი სტრესორების კომპლექსურ სისტემას, მნიშვნელოვანი ინფორმაციაა, რათა რეპრესირებული ოჯახების მეორე თაობის მოწყვლადი მდგომარეობა გავიაზროთ და ამ მოწყვლადი მდგომარეობის მესამე თაობაზე ზეგავლენის შედეგები გავაანალიზოთ. აქედან გამომდინარე, რესპონდენტების ეს ასაკობრივი შეზღუდვა, ფაქტობრივად, ჩვენი კვლევის უფრო სპეციფიკას წარმოადგენს, ვიდრე ლიმიტს.

რაც შეეხება კვლევის მეორე (სოციეტალურ დონის ანალიზის) კომპონენტის ლიმიტებს, შემთხვევის ყველა ანალიზი, რომელსაც დავეყრდენი ნაშრომის ამ ნაწილში, ეყრდნობა მოცემულ შემთხვევებზე საჯარო სივრცეში ხელმისწავდომ სტატისტიკურ, ტექსტუალურ და აუდიო-ვიზუალურ ინფორმაციას. არ განხორციელებულა თითოეულ შემთხვევაში ჩართული საკვანძო დაინტერესებული სუბიექტების ინტერვიურება, რაც შესაძლოა კვლევისათვის დამატებით ინფორმაციას მოგვაწვდიდა. მაგრამ, რამდენადაც ჩემი ამოცანა, მოცემულ შემთხვევებთან მიმართებაში, საჯაროდ ხელმისაწვდომი დისკურსების ანალიზი იყო, კვლევის მეორე კომპონენტში გამოყენებული მეთოდი შესაბამისობაშია კვლევის ამოცანასთან.

5. დასკვნა და რეკომენდაციები

საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის მიერ მოსახელობისთვის მიყენებული ტრავმა საქართველოში არ არის გამოგლოვებული და შესაბამისად, დაძლეული. ტოტალიტარული რეჟიმის პერიოდში მთელი საზოგადოება ექვემდებარებოდა სტრესორთა კომპლექსურ სისტემას - მათ შორის *ტოტალიტარული ობიექტის ინთრუზიას* (Sebek, 1996), *ორმაგ დაბმას* (Bateson, 2000), პასუხად განვითარებულ სხიზისსა და რეგრესიას. მაგრამ, ტოტალიტარული კონტექსტისათვის დამახასიათებელი ამ საყოველთაო სტრესორების ზემოქმედების პარალელურად, რეპრესიას დაქვემდებარებული ოჯახები ბევრად უფრო მძიმე ტრავმატიზაციასა და დანაკლისს განიცდიდნენ: ახლობელი ადამიანის დაპატიმრებასა და ეგზეკუციას, „ხალხის მტრის“ სტიგმის ტარებასთან დაკავშირებულ ფსიქოსოციალურ პრობლემებს და ა.შ. შედეგად, ისინი, ფაქტობრივად, ტოტალიტარული საზოგადოების ყველაზე მოწყვლად ჯგუფად იქცნენ. ამის საფუძველზე, მათ შესაძლოა პირობითად ვუწოდოთ ტოტალიტარული რეჟიმის „იდენტიფიცირებული მსხვერპლი“.

იმ შემთხვევაში, თუ რეპრესირებული ოჯახები პოსტ-ტოტალიტარულ პერიოდში გახდებოდნენ სახელმწიფოსა და საზოგადოების მხრიდან ზრუნვის ობიექტი, ისინი შესაძლოა გადაქცეულიყვნენ სწორედ იმ „შესასვლელ წერტილად“ (entry point), რაც საზოგადოების გაჯანსაღებაზე მუშაობასა და ამ მიმართულებით ერთობლივი ძალისხმევის მობილიზაციას დაუდებდა სათავეს. მაგრამ ეს არ მოხდა. არ განხორციელდა ლუსტრაცია, არ ამოქმედდა წარსულთან გამკლავებაზე მიმართული მართლმსაჯულების პროცესი, არ შეიქმნა რეჟიმის დროს რეპრესირებულთა რეაბლიტაციის ადექვატური ინსტიტუციური მექანიზმები. შედეგად, ტოტალიტარული ტრავმის დისოცირებული, ინკაფსულირებული, ფრაგმენტირებული წარსული გამოცდილება ამა თუ იმ ფორმით ცოცხლდება საქართველოს დღევანდელ

სოციო-პოლიტიკურ, ოჯახურ თუ კონკრეტული ადამიანების ცხოვრების სინამდვილეში. როგორც წერს Earl Hopper-ი, „ტრავმირებულ საზოგადოებაში, ადამიანებს აქვთ ტენდენცია გაიმეორონ ტრვმული გამოცდილება თავის ოჯახებში, სკოლებში, სამხედრო, პოლიტიკურ და რელიგიურ ინსტიტუტებში და ორგანიზაციებში და ზოგადად, თავის ჯგუფებში“ (Hopper, 2003, გვ.63), და ამ მხრივ არც საქართველოა გამოაკლისი.

სოციო-პოლიტიკურ დონეზე გადაუმუშავებელი ტოტალიტარული ტრავმა თავს იჩენს იდენტობის განადგურების შიშისა და მასზე საპასუხოდ, საქართველოს მოსახლეობის, როგორც დიდი ჯგუფის (Vamik Volkan-ისეული გაგებით, Volkan, 2009a), რეგრესითა და, ტრავმულ (დაქვემდებარების, შებრძოლება-გაქცევის, გამრავლებისა და არაშეჭიდულობის) საბაზო დაშვებებზე დაფუძნებული სოციო-პოლიტიკური ფსიქოდინამიკის სახით. შედეგად, ერი დახლეჩილია „კარგებად“ და „ცუდებად“ („ნაცებად“ და „ქოცებად“, „ზვიადისტებად“ და „პუჩისტებად“ და ა.შ.), საქმეში ირთვება პრიმიტიული დაცვის მექანიზმები და საზოგადოება, ფაქტობრივად, იმყოფება Melanie Klein-ის მიერ აღწერილ პარანოიდულ-შიზოიდურ, ინფანტილურ პოზიციაში.

რეპრესირებულთა ოჯახების დონეზე, ჩვენი კვლევის თანახმად, იმ შემთხვევაში, თუ მოხდა მანკიერი განვითარება (რაც მთელ რიგ ფაქტორებზეა დამოკიდებული), ტოტალიტარული ტრავმა თავს იჩენს სამი ტიპის მანკიერი ოჯახური სისტემის ჩამოყალიბების სახით, რომელთაგან ორი კვლავ *დაქვემდებარების* ტრავმულ საბაზო დაშვებას ეფუძნება (ე.წ. „პიროვნების კულტის“ სცენარით მცხოვრები ოჯახი და, „დაკარგული სამოთხის“ სცენარით მცხოვრები ოჯახი); ხოლო მესამე (ე.წ. „ოჯახი - ბრძოლის ველი“) *შებრძოლება-გაქცევის* საბაზო დაშვებაზეა დაფუძნებული.

ინდივიდუალურ დონეზე, კვლევის თანახმად, რეპრესირებული ოჯახების მეორე თაობის წარმომდგენლების ნაწილს ტრავმასთან

დაკავშირებული ფსიქოპათოლოგიური სიმპტომები აწუხებთ (ყველაზე ხშირია ზესიფხიზლე); მესამე თაობის წარმომადგენლებში ფსიქოპათოლოგიური სიმპტომატიკა არ გამოვლინდა. სამაგიეროდ, როგორც მეორე, ასევე მესამე თაობის წარმომადგენლებისათვის, ოჯახურ სისტემაში ტრავმული გამოცდილებიდან გამომდინარე მაღალი შფოთვის ფონზე, გამოვლინდა დედა-შვილის დიადაში პარადოქსული თანაარსებობა ზემეურვეობისა დედის მხრიდან და პარენტიზაციისა შვილის მხრიდან, რაც მათ, ფაქტობრივად, ტრავმული ბმის სიმბიოზში ამყოფებს და შვილის სეპარაციას, ინდივიდუაციას და ავტონომიის მიღწევას საფრთხის ქვეშ აყენებს.

რეპრესირებული ოჯახების მეორე და მესამე თაობის წარმომადგენლებში კვლევამ გამოავლინა აღდგენისუნარიანობის პარადოქსული ურთიერთსაწინააღმდეგოდ მიმართული პატერნებისა და სტრატეგიების მთელი რიგი, რომლებიც, უნდა ვიფიქროთ, მათში სხიზისს, სინამდვილის „ცუდ“ და „კარგ“ ობიექტად დაყოფასა და კვლავ, Klein-ისეულ პარანოიდულ-შიზოიდურ პოზიციას ამყარებდნენ. ეს სასარგებლო იყო თვითგადარჩენისთვის ტოტალიტარული რეჟიმის პერიოდში, რეჟიმიდან მომდინარე ორმაგი დაბმის კონტექსტში, მაგრამ პრობლემად იქცა პოსტ-ტოტალიტარულ პერიოდში და აბრკოლებს განვითარებას.

კვლევის ფარგლებში, ფსიქოტრავმატოლოგიური პერსპექტივიდან რეპრესირებული ოჯახების მეორე და მესამე თაობების შესწავლისა და თანამედროვე საქართველოს სოციო-პოლიტიკური ცხოვრების ანალიზის საფუძველზე, შემუშავებულ იქნა ტრავმის თაობიდან თაობაში გადაცემის ფსიქო-სოციო-პოლიტიკური მოდელი. ეს მოდელი გვაჩვენებს, რომ რეპრესიების ტრავმის თაობიდან თაობაში გადაცემა არის მრავალგანზომილებიანი, მრავალდონიანი, კომპლექსური, სისტემური პროცესი. ის, თუ როგორ გამოვლინდება ოჯახის რეპრესიის „მემკვიდრეობით მიღებული“ ტრავმა მესამე თაობის ამა თუ იმ კონკრეტულ წარმომადგენელში,

დამოკიდებულია ინდივიდუალური, ოჯახური, სოციალური, საზოგადოებრივი, კულტურული და პოლიტიკური ფაქტორების მთელ რიგსა და მათ ურთიერთქმედებაზე. თავის მხრივ, ერთი ინდივიდის რეპრესიის ტრავმას აქვს პოტენციალი იმოქმედოს მთელს სისტემაზე. კიდევ უფრო მაღალი ზემოქმედების პოტენციალი გააჩნია ადამიანების დიდი ჯგუფის - მთელი თაობის ტრავმას გარემომცველ სოციო-პოლიტიკურ სინამდვილეზე. ტრავმირების ციკლის შესაწყვეტად საჭიროა ამ მოდელის ყველა დონეზე კონკრეტულ ცვლილებებზე მუშაობა და შესაბამისი პროცესების კატალიზაცია. კვლევის საფუძველზე შემუშავებული მოდელი იძლევა საშუალებას ჩამოვაყალიბოთ რეკომენდაციები, საქართველოში შექმნილი ზემოთ აღწერილი მანკიერი წრის გასარღვევად.

ტრავმის თაობიდან თაობაში გადაცემის მოდელს თუ მოვიშველიებთ, ტოტალიტარული ტრავმის გადამუშავებაზე მუშაობა ჩვენი ქვეყნის ცხოვრების მოცემულ ეტაპზე უნდა კონცენტრირდეს სქემის ზედა ნაწილში, სოციეტალურ დონეზე, ამავდროულად, სახელმწიფოს ხელშეწყობით. სქემის ქვედა ნაწილზე კონცენტრაციისათვის (ლუსტრაცია, აღდგენითი მართლმსაჯულება, რეაბილიტაციის ინსტიტუციური მექანიზმების დახვეწა) ამჟამად არც საზოგადოება, არც სახელმწიფო მზად არ არიან. არც ერთს არა აქვს გაცნობიერებული ტოტალიტარულ წარუსლზე მუშაობის მნიშვნელობა დღევანდელი სიტუაციის გაჯანსაღებისთვის.

გამომდინარე ზემოთქმულიდან, საზოგადოებრივი ცნობიერებიდან განდევნილ ტოტალიტარულ წარსულთან გამკლავებაზე მუშაობა მასზე გაცნობიერების დონის ამაღლებით უნდა დაიწყოს. ეს ხელს შეუწყობს საზოგადოებას დაიწყოს ტოტალიტარული პერიოდის ავთენტური გამოგლოვება. ავთენტურ გამოგლოვებაში საზოგადოებრივ დონეზე ვგულისხმობთ წარსულის ინტელექტუალურ და სიმბოლურ გადამუშავებას, მაგ.:

- ტოტალიტარული წარსულის შესწავლას მეცნიერთა - ისტორიკოსების, ფსიქოლოგების, სამართლის სპეციალისტების და ა.შ. მიერ, და, შესაბამისი გაკვეთილების გამოტანას;

- სასურველია, რომ მეცნიერებმა ტრავმული გამოცდილების გადამუშავებაზე იმუშავონ მულტიდისციპლინურ ფორმატში, რამდენადაც რეპრესიების პრობლემა კომპლექსურია და საჭიროებს კომპლექსურ შესწავლასა და რეაგირებას;

- სასურველია, კონკრეტული შემთხვევები (მაგალითად, მწერალთა კავშირში 30-იან წლებში მიმდინარე პროცესები, და სხვ.) შესწავლილ იქნან მულტდისიციპლინური გუნდების მიერ არა მარტო მეცნიერთა, არამედ ხელოვნებისა და მედიის წარმომადგენელთა მონაწილეობით, რაც ერთობლივი მუშაობის საფუძველზე შემუშავებული ინფორმაციის სხვადასხვა ფორმატით (მედია, აუდიო-ვიზუალური, ბეჭდური და ა.შ.) გავრცელების საშუალებას მოგვცემს;

- სასურველია, რომ ტოტალიტარული პერიოდის სამეცნიერო შესწავლაზე მატერიალური რესურსები გამოყოს არა მარტო უცხოელმა (მაგ., ჰაენრიხ ბიოლის) ფონდმა, არამედ საქართველოს მთავრობამ. ეს იქნება როგორც რეალური, ასევე სიმბოლური - ტოტალიტარულ წარსულთან გამკლავების პოლიტიკური ნების გამომხატველი ჟესტი;

- იმისთვის, რომ ისტორიკოსებმა სრულფასოვნად იმუშავონ საქართველოში რეპრესიების ისტორიის შესწავლაზე, სახელმწიფომ უნდა შექმნას შესაბამისი საკანონმდებლო გარემო. სრულიად აუცილებელია მოხდეს ცვლილება საქართველოს კანონში „ეროვნული არქივის და საარქივო ფონდის შესახებ“, რომელიც დღესდღეობით კრძალავს ეროვნულ არქივში დაცულ შესაბამის დოკუმენტებზე წვდომას „მესამე პირის მიერ“, დოკუმენტის შექმნიდან 75 წლის მანძილზე. ეს ისტორიკოსებს, პრაქტიკულად, არ აძლევს

შესაბამის ისტორიულ დოკუმენტებთან მუშაობის საშუალებას და ამდენად, დაუშვებელია;

- მნიშვნელოვანია ახალგაზრდა თაობის ხელოვანთა ცნობიერების ამაღლება ტოტალიტარულ წარსულზე, მათი ჩართულობისთვის რეპრესიების მსხვერპლთა მემორიზაციასა და რეპრესიებთან დაკავშირებული ტრავმის სიმბოლიზაციაში;

- სასურველია რეპრესიების ტრავმის სიმბოლიზაციაზე ფიქრი, ასევე, რელიგიური ცერემონიების კუთხით;

- აუცილებელია შედგეს უწყებათაშორისი (მეცნიერებისა და განათლების, კულტურის, იუსტიციის, და სხვა სამინისტროების და, ასევე, ადგილობრივი მმართველობის სტრუქტურების) თანამშრომლობა რეპრესიებთან დაკავშირებული წარსულის გააზრებისა და მემორიზაციის ფორმების შესამუშავებლად, საექსპერტო თემთან ერთად. აქ შესაძლებელია ძალისხმევის მიმართვა როგორც სპეციალური მუზეუმის შექმნაზე, ასევე, გერმანიის წარსულთან გამკლავების გამოცდილების გათვალისწინებით, მცირე მასშტაბის მემორიალების ინსტალაციაზე;

- უნდა მოხდეს იმის გააზრება, თუ რა ფორმით უნდა ისწავლებოდეს ტოტალიტარული წარსულის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, უმაღლეს სასწავლებლებში - რათა მოზარდი თაობის ცნობიერებიდანაც არ იყოს განდევნილი ეს მონაკვეთი საქართველოს ახალი ისტორიიდან.

ეს ყველაფერი ნიადაგას მოუმზადებს ტოტალიტარული წარსულის გადამუშავებას პოლიტიკურ დონეზე (მოდელის სქემის ქვედა ნაწილი) და ტოტალიტარული ტრავმის ავთენტურ გამოგლოვებას. Hopper-ის თანახმად, თუ ტრავმა ავთენტურად არის გამოგლოვებული დიდი ჯგუფის მიერ, ეს ჯგუფს აჯანსაღებს. ამ შემთხვევაში საბაზო დაშვებების ფსიქოდინამიკის მანკიერი ციკლის გარღვევა ხდება და სოციალური სისტემა გადადის ე.წ. *მუშა-ჯგუფის* მდგომარეობაში, რაც სოციუმის წევრებს აძლევს „პირადი

ავტონომიის გაზრდილ შეგრძნებას,...უნარს ენდო და ოპტიმიზმს, კანონისა და წესრიგის მიმართ განახლებულ ერთგულებას... პირადი და კოლექტიური ცხოვრების ამ მახასიათებლებს მივყავართ უფრო დამაკმაყოფილებელ სოციალურ შეგუებამდე - რომლის ქვეშაც მე ვგულისხმობ არა დაქვემდებარებასა და დათმობას გაბატონებული სოციალური, კულტურული და პოლიტიკური პირობების მიმართ, არამედ შეცვლის მცდელობებს იმ პირობებისა, რაც მიუღებლად აღიქმება - ანუ, კარგ მოქალაქეობამდე". (Hopper, 2003, გვ.62-63).

რეკომენდაციები შემდგომი კვლევისათვის

ჩემს მიერ განხროციელებული ფენომენოლოგიური კვლევა, ფაქტობრივად, ერთგვარი კარტოგრაფირებაა ტოტალიტარული პერიოდის რეპრესიების ფსიქოლოგიური ზეგავლენის „შეუსწავლელი ტერიტორიისა". რეპრესიების ზეგავლენის ფენომენოლოგიურმა შესწავლამ ინდივიდის, ოჯახისა და საზოგადოების დონეზე მომცა საშუალება შემემუშავებინა *ტრავმის თაობიდან თაობაში გადაცემის ფსიქო-სოციო-პოლიტიკური მოდელი.* ეს მოდელი შესაძლოა განვიხილოთ, როგორც კონცეპტუალური ჩარჩო ტრავმის თაობიდან თაობაში გადაცემის კვლევათა სერიის ჩასატარებლად. სქემის ცენტრალური ნაწილის ყოველ დონეზე იდენტიფიცირებული გამაშუალებელი ფაქტორები, ფაქტობრივად, ის ჰიპოთეზებია, რომელიც შემდგომი კვლევის საშუალებით შემოწმებას უნდა დაექვემდებაროს. სქემის გარე ზედა და ქვედა ნაწილები იძლევიან რეპრესიების ტრავმის მულტიდისციპლინური შესწავლის საშუალებას, ისტორიკოსებთან, სამართლის სპეციალისტებთან, სოციოლოგებთან, პოლიტიკური მეცნიერების წარმომადგენლებთან ერთად. ამდენად, ჩვენი კვლევა, ვინსტონ ჩერჩილის სიტყვები რომ გამოვიყენო, მხოლოდ „დასაწყისის დასაწყისია". იმედი მაქვს, რომ ის ფსიქოლოგიურ პროფესიულ თემში რეპრესიების ტრავმის თაობაზე ერთგვარ პროფესიულ

„სიჩუმის შეთქმულება“ გაარღვევს და, შემოთავაზებული მოდელის სავერიფიკაციო კვლევათა სერიას დაუდებს საფუძველს.

6. გამოყენებული ლიტერატურა

გოცირიძე, ი. (1990). სიმართლის კვალდაკვალ. 9 აპრილის ტრაგედია. საქართველო, თბილისი, 94 გვერდი;

დე ვაალი, თ. (რედ) (2013). სტალინის თავსატეხი. პოსტსაბჭოთა საზოგადოებრივი აზრის ანალიზი, თბილისი.

ენდელაძე, თ. (2004). ტრაგიკული 1924, თბილისი.

იუნგე, მ. (2015 ა). შინსახკომის მასობრივი ოპერაციები. იუნგე, მ., თუშურაშვილი, ო., ბონვეჩი, ბ. (2015/I). დიდი ტერორი კაკასიის პატარა რესპუბლიკაში, პირველი ტომი. თბილისი, გვ.31-38

იუნგე, მ. (2015 ბ). სტატისტიკა. იუნგე, მ., თუშურაშვილი, ო., ბონვეჩი, ბ. (2015/I). დიდი ტერორი კაკასიის პატარა რესპუბლიკაში, პირველი ტომი. თბილისი, გვ.38-43

იუნგე, მ. (2015 გ). შინსახკომის მასობრივი ოპერაციების რაოდენობრივი ანალიზი. იუნგე, მ., თუშურაშვილი, ო., ბონვეჩი, ბ. (2015/I). დიდი ტერორი კაკასიის პატარა რესპუბლიკაში, პირველი ტომი. თბილისი, გვ.43-62;

იუნგე, მ. (2015 დ). მასობრივი ოპერაციების თვისებრივი ანალიზი. იუნგე, მ., თუშურაშვილი, ო., ბონვეჩი, ბ. (2015/I). დიდი ტერორი კაკასიის პატარა რესპუბლიკაში, პირველი ტომი. თბილისი, გვ.63-80;

იუნგე, მ., ბონვეჩი, ბ. (2015). მასობრივი რეპრესიები საქართველოში. იუნგე, მ., თუშურაშვილი, ო., ბონვეჩი, ბ. (2015/I). დიდი ტერორი კაკასიის პატარა რესპუბლიკაში, პირველი ტომი. თბილისი, გვ.173-180;

იუნგე, მ., ბონვეჩი, ბ., მიულერი, დ. (2015/III). ეთნოსი და ტერორი. ინტელექტი, თბილისი.

იუნგე, მ., თუშურაშვილი, ო., ბონვეჩი, ბ. (2015/I). დიდი ტერორი კაკასიის პატარა რესპუბლიკაში, პირველი ტომი. თბილისი.

იუნგე, მ., თუშურაშვილი, ო., ბონვეჩი, ბ. (2015/II). დოკუმენტები დიდი ტერორი შესახებ საქართელოში, მეორე ტომი. თბილისი.

იუნგე, მ., კანდელაკი, დ., ბონვეჩი, ბ. (2015). ინტერვიუ. იუნგე, მ.,

თუშურაშვილი, ო., ბონვეჩი, ბ. (2015/I). დიდი ტერორი კაკასიის პატარა რესპუბლიკაში, პირველი ტომი. თბილისი, გვ.149-173;

იუნგე, მ., რაისნერი, ო., ბონვეჩი, ბ. (2015). თოვლის ქვეშ. იუნგე, მ., თუშურაშვილი, ო., ბონვეჩი, ბ. (2015/I). დიდი ტერორი კაკასიის პატარა რესპუბლიკაში, პირველი ტომი. თბილისი, გვ. 10-30;

კაჭკაჭიშვილი, ი. (2009). საზოგადოებრივი აზრის ცვლილება რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომის და 2009 წლის საგაზაფხულო კრიზისის შუქზე. კვლევითი ანგარიში, ხელმისაწვდომი: http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-------0-1l--10-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-01-1-0utfZz-8-00&cl=CL2.16&d=HASH019fc50d99ded66334486372.11&x=1

მაისურაძე, გ. (2013). დაკარგული კონტექსტები. თბილისი: არჩილ სულაკაურის გამომცემლობა;

მაისურაძე, გ. (2013). მართლმადიდებლური ეთიკა და არათავისუფლების სული. თბილისი: ფავორიტი სტილი. გვ.: 175-181;

მარგველაშვილი, ა. ხვადაგიანი, ი. შაიშმელაშვილი, გ., ცოცხალაშვილი, მ. (2012). დაკარგული ისტორია. მეხსიერება რეპრესირებული ქალების შესახებ. SOVLAB, თბილისი;

ქურხული, ა. (2004). ...და რომ გახსოვდეს. თბილისი.

ჩარკვიანი, გ. (2013). ინტერვიუ მამასთან. კანდიდ ჩარკვიანი სტალინის, ბერიასა და გვიანდელი სტალინური ეპოქის საქართველოს შესახებ. თბილისი;

ჩარკვიანი, კ. (1985). განცდილი და ნააზრევი. წიგნი პირველი, თბილისი;

ჩოლოყაშვილი, რ., ჩხეიძე, ე., რატიანი, ნ., ყველაშვილი, ირ. (2010). ანტისაბჭოთა სიტყვიერება. ნეკერი, თბილისი;

ჯიქია, ლ. (2011). 1924 წლის აჯანყება დასავლეთ საქართველოში. თბილისი, უნივერსალი.

Ahmadzadeh, G. H., & Malekian, A. (2004). Aggression, anxiety, and social development in adolescent children of war veterans with PTSD versus those of non-

veterans. Journal of Research in Medical Sciences, Vol.9, Pp: 33–36;

Aleksandrowicz, D. (1973). Children of concentration camp survivors. In: Anthony. E. and Koupernik, C. (eds.). The Child and His Family. New York: John Wiley, Pp.385-392;

Alexander, G., Eyerman, R., Giesen, B., Smelser, ., Sztompka, P., Wittrock, B. (2004). Cultural Trauma and Collective Identity. University of California Press;

Alexander, J.C. (2004). Toward a Theory of Cultural Trauma. In: Alexander, J.C. (ed), Cultural Trauma and Collective Identity. Berkeley: University of California Press, Pp: 1–30;

Alexander, J.C. Trauma: A Social Theory. (2012). Cambridge: Polity.

Alexander, T., Oesterreich, R. (2013). Development and Evaluation of Post Traumatic Growth Inventory. In: Psychology, Vol.4(11), Pp. 831-844;

Almagor, M. and Leon, G.R. (1989). Transgenerational Effects of the Concentration Camp Experience. In: Marcus, P. and Rosenberg, A. (eds.), Healing Their Wounds: Psychotherapy with Holocaust Survivors and Their Families, Praeger, New York, Pp: 183-195.

American Psychiatric Association/APA (1980). Diagnostic and Statistical Manual of Mental Disorders, 3d Edition;

American Psychiatric Association/APA (1987). Diagnostic and Statistical Manual of Mental Disorders, 3d Edition, revised;

American Psychiatric Association/APA (2000). Diagnostic and Statistical Manual of Mental Disorders, 4th Edition;

American Psychiatric Association/APA (2013). Diagnostic and Statistical Manual of Mental
Disorders, 5th Edition;

American Psychological Association/APA (2012) The road to resilience. http://www.apa.org/helpcenter/road-resilience.aspx.

Annan, J., Brier, M., & Aryemo, F. (2009). From ‘‘rebel’’ to ‘‘returnee’’: Daily life and reintegration for young soldiers in northern Uganda. Journal of Adolescent Research,

Vol. 24(6), Pp: 639-667;

Austin, B. (2017). Dealing with the Past, Berghof Foundation Policy brief;

Baker, K. & Gippenreiter, J. (1998). Stalin's Purge and Its Impact on Russian Families. A Pilot Study. In: Danieli, Y. (ed) International Handbook of Multigenerational Legacies of Trauma. Springer Science, Business Media, LLC. New York. Pp. 403-434

Balint, M. (1969). Trauma and object relationship. International Journal of Psychoanalysis, Vol. 50, Pp: 429–436;

Baron L, Reznikoff M, Glenwick, D.S.(1993). Narcisism, interpersonal adjustment and coping in children of Holocaust survivors. Journal of Psychology, Vol.127, Pp:257–269;

Bar-On, D., Eland,J., Kleber, R.J., Krell, R., Moore, Y., Sagi, A., Soriano, E., Suedfeld, P., van der Velden, P.G., van Jzendoorn, M.H. (1998). Multigenerational Perspectives on Coping with the Holocaust Experience: An Attachment Perspective for Understanding the Developmental Sequelae of Trauma across Generations. In: International Journal of Behavioral Development, Vol. 22 (2), Pp: 315–338;

Basoglu, M., Paker, M., Paker, O., Ozmen, E., Marks, I., Incesu, C., Sahin, D., Sarimurat, N.(1994). Psychological effects of torture: a comparison of tortured with nontortured political activists in Turkey, American journal of psychiatry, Vol. 151, Pp: 76–81;

Bateson, G. (2000) [1972]. Steps to an Ecology of Mind: Collected Essays in Anthropology, Psychiatry, Evolution, and Epistemology. Chicago, Illinois: University of Chicago Press.

Bateson, G., Jackson, D. D., Haley, J. & Weakland, J. (1956). Towards a Theory of Schizophrenia. In: Behavioral Science, Vol 1, Pp: 251–264;

Batiashvili, N. (2017). The Bivocal Nation, Springer;

Becker, D., Diaz, M. (1998). The Social Process and Transgenerational Transmission fo Trauma in Chile. In: Danieli, Y. (ed) Intrenational Handbook of Multigenerational Legacies of Trauma. Springer Science, Business Media, LLC. New York. Pp: 435-445;

Bergmann, M., & Jucovy, M. (1982). Generations of Holocaust. New York: Basic Books;

Bezo, B., Magi, S. (2015 a). Living in "survival mode": Intergenerational transmission of trauma from the Holodomor genocide of 1932-1933 in Ukraine. Social Science and Medicine, Vol.134, Pp:87-94;

Bezo, B., Magi, S. (2015 b). The Intergenerational Impact of the Holodomor Genocide on Gender Roles, Expectations and Performance: The Ukrainian Experience. Annals of Psychiatry and Mental Health 3(3): 1030.

Bion, W.R. (1961). Experiences in Groups, London: Tavistock.

Bisson JI, Shepherd JP, Joy D, Probert R, Newcombe RG. (2004). Early cognitive-behavioral therapy for post-traumatic stress symptoms after physical injury. British Journal of Psychiatry, Vol. 184, Pp: 63–69;

Bogensperger, J., Lueger-Schuster, B. (2014) Losing a child: finding meaning in bereavement, European Journal of Psychotraumatology, Vol.5(1), 22910;

Boss, P. (2000). Ambiguous Loss. Learning to Live with Unresolved Grief. Harvard University Press;

Bowen, M. (1976). Family reaction to death. In P. J. Guerin (Ed.), Family therapy: Theory and practice New York: Gardner, Pp. 335–358;

Braga, L.L., Mello, M.F., Fiks, J.P. (2012). Transgenerational transmission of trauma and resilience: a qualitative study with Brazilian offspring of Holocaust survivors. In: BMC Psychiatry, Vol.12 (134), Pp:1-11;

Brewin, C.R, Andrews B, Valentine JD. (2000). Meta-analysis of risk factors for posttraumatic stress disorder in trauma-exposed adults. In: Journal of Consulting Clinical Psychology. Vol: 68, Pp:748–766;

Brewin, C.R., Holmes, E.A. (2003). Psychological Theories of Posttraumatic Stress Disorder. Clinical Psychology Review, Vol. 23, Pp: 339-376;

Bryant RA, Guthrie RM. (2005). Maladaptive appraisals as a risk factor for posttraumatic stress. Psychological Science, Vol. 16, Pp:749–52;

Burri, A., & Maercker, A. (2014). Differences in prevalence rates of PTSD in various European countries explained by war exposure, other trauma and cultural value orientation. BMC Research Notes, Vol. 7(1), Pp: 407;

Carmen, E.H, Reiker PP, Mills T (1984). Victims of violence and psychiatric illness. American Journal of Psychiatry, Vol. 141, Pp: 378–383;

Carmil, D, Breznitz S. (1991). Personal trauma and world view – Are extremely stressful experiences related to political attitudes, religious beliefs, and future orientation? Journal of Traumatic Stress, Vol.4, Pp:393–405;

Chertoff, J. (1998). Psychodynamic Assessment and Treatment of Traumatized Patients. In: The Journal of Psychotherapy Practice and Research, Vol.7(1), Pp:35-46;

Cicchetti, D., Blender, J.A. (2006). A multiple-levels-of-analysis perspective on resilience: Implications for the developing brain, neural plasticity, and preventive interventions. Annals of the New York Academy of Sciences, Vol. 1094(1), Pp: 248–258;

Clitre, M., Stolbach, B.C., Herman, J.L., Van Der Kolk, B., Pynoos, R., Wang, J., Petkova, e. (2009). A Developmental Approach to Complex PTSD: Childhood and Adult Cumulative Trauma as Predictor of Symptoms Complexity. In: Journal of Traumatic Stress, Vol.00, Pp: 1-9;

Cohen, J., Mannarino, A.P., Deblinger, E. (2006). Treating Trauma and Traumatic Grief in Children and Adolescents. New York & London: The Guilford Press;

Connor, K.M., Davidson, R.T. (2003). Development of a new resilience scale: The Connor-Davidson Resilience Scale (CDRISC). Depression and Anxiety, Vol. 18(2), Pp: 76–82;

Conquest, R., 1986. The Harvest of Sorrow: Soviet Collectivization and the Terrorfamine. Oxford University Press, New York;

Cook, A., Spinazzolla, J., Ford, J., Lanktree, C., Blaustein, M., Cloitre, V., De-Rosa, R., Habbard, R., Kagan, R., Liautaud, J., Mallah, K., Olafson, E., van der Kolk, B. (2005). Comples trauma. In: Psychiatric Annals 35 (5);

Danieli, Y. (1981). Differing adaptational styles in families of survivors of the Nazi Holocaust: some implications for treatment. Child Today 1981, Vol.10(6-10), Pp:34–35;

Danieli, Y. (1998). Intrenational Handbook of Multigenerational Legacies of Trauma. Springer Science, Business Media, LLC. New York;

Danieli, Y. (2009). Massive trauma and the healing role of reparative justice, Journal of traumatic stress, Vol.22(5), Pp: 351–357;

Daud, A., Skoglund, D.A., Rydelius, P.A. (2005). Children in families of torture victims: Transgenerational transmission of parents' traumatic experiences to their children. International Journal of Social Welfare, Vol.14, Pp:23–32;

Davidsen, A.S. (2013). Phenomenological Approaches in Psychology and Health Sciences. In: Qualitative Research in Psychology, Vol: 10(3), Pp: 318-339;

Davidson, A.C., & Mellor, D. J. (2001). The adjustment of children of Australian Vietnam veterans: Is there evidence for the transgenerational transmission of war-related trauma? Australian and New Zealand Journal of Psychiatry, Vol.35, Pp: 345–351;

Dekel, R., Goldblatt, D. (2008). Is There Intergenerational Transmission of Trauma? The Case of Combat Veterans' Children. American Journal of Orthopsychiatry. 2008, Vol. 78 (3), Pp: 281–289:

Dilts, R. 1994. Strategies of Genius. Albert Einstein. Vol.2. Capitola, California: Meta Publications;

Dunmore E, Clark DM, Ehlers A. (2001). A prospective investigation of the role of cognitive factors in persistent posttraumatic stress disorder PTSD after physical or sexual assault. Behavior Research and Therapy, Vol. 39, Pp:1063–1084;

Dutra L., Callahan K., Forman E., Mendelsohn M., Herman J.(2008). Core schemas and suicidality in a chronically traumatized population. Journal of Nervous and Mental Disease, Vol.196(1), Pp: 71-74;

Edelman, L., Kordon, D., Lagos, D. (1998). Transmission of Trauma. The Argentine Case. In: Danieli, Y. (ed) Intrenational Handbook of Multigenerational Legacies of Trauma. Springer Science, Business Media, LLC. New York. Pp: 447-463;

Eitinger, L., Storm, A. (1973). Mortality and Morbidity After Excessive Stress: A Follow-up Investigation of the Norwegian Concentration Camp Survivors. New York: Humanities Press;

Epstein, H. (1979). Children of the Holocaust. New York: Putnam;

Erikson, E. (1968). Identity, Youth and Crisis. New York: Norton;

Fairclough, N. (2003). Analysing Discource. Textual Analysis for Social Research. London & New York: Routledge;

Felitti, V.J., Anda, R.F., Nordernberg, D., et al.(1998). Relationship of childhood abuse and Household Dysfunction to many of the leading causes of death in adults: the adverse childhood experiences (ACE) study. American Journal of Preventive Medicine. Vol.14(4), Pp: 245-258;

Figley C. (1988 a). A five-phase treatment of PTSD in families. Journal of Traumatic Stress, Vol. 1, Pp:127-141;

Figley C. (1988 b). Post-traumatic family therapy. In: Ochberg F (ed). Post-traumatic therapy and victims of violence. Philadelphia: Brunner/Mazel. Pp:83- 109;

Fischer, M. (2011). Transitional Justice and Reconciliation: Theory and Practice. In: Berghof Foundation Handbook, Pp: 406-430;

Foa, E. B., & Rothbaum, B. O. (1998). Treating the trauma of rape: cognitive behavioral therapy for PTSD. New York: Guilford Press.

Foa, E. B., Riggs, D. S., Massie, E. D., & Yarczower, M. (1995). The impact of fear activation and anger on the efficacy of exposure treatment for posttraumatic stress disorder. Behavior Therapy, Vol.26, Pp: 487–499;

Freud, A. (1936). The Ego and the Mechanisms of Defense. New York: International Universities Press;

Freud, A. (1967). Comments on trauma: psychic trauma. In: Furst. S. (ed.), Psychic Trauma, New York: Basic Books, pp 235–246;

Freud, S. (1917). Mourning and Melancholia. The Standard Edition of the Complete Psychological Works of Sigmund Freud, Volume XIV (1914-1916): On the History of the Psycho-Analytic Movement, Papers on Metapsychology and Other Works, Pp: 237-258;

Freud, S. (1920). Beyond the pleasure principle. In: J. Strachey (ed & trans.), The standard edition of the complete psychological works of Sigmund Freud, London,

Hogarth Press, Vol.18, Pp: 7-64;

Freud, S. (1921). Group psychology and the analysis of the ego. In Standard edition of the complete psychological works of Sigmund Freud, London: Hogarth Press.Vol.18, Pp: 63–143;

Freyberg, J.T. (1980). Difficulties in separation – individuation as experienced by offspring of Nazi Holocaust survivors. American Journal of Orthopsychiatry, Vol.50, Pp:87–95;

Friedman, JM., Keane, TM., Resick, PA. (2007). Handbook of PTSD. New York, London: The Guilford Press;

Gailiene, D., & Kazlauskas, E., 2005. (2005). Fifty years on: The long-term psychological effects of Soviet repression in Lithuania. In: D. Gailiene (ed). The Psychology of Extreme Traumatisation the Aftermath of Political Repression, Akreta, Vilnius (2005), 67-107.

Garland, C. and Hopper, E. (1980). Overview. In: Garland, C. (ed), Proceedings of the Survivor Syndrome Workshop 1979. Group Analysis, Special Edition, Pp: 93–97;

Garmezy, N. (1985). Stress-resistant children: The search for protective factors. In A. Davids (Ed.), Recent research in developmental psychopathology (pp. 213–233). Elmsford, NY: Pergamon Press;

Gersons, B., Dr. Meewisse, ML., Nijdam M.J., Olff M. (2011). Protocol Brief Eclectic Psychotherapy for Post Traumatic Stesss Disorder (BEPP). Third English version. Retrived from: http://www.ifp.name/pdf/BEP%20Protocol%20engl.pdf

Gill, G. (1980). The Soviet Leader Cult: Reflections on the Structure of Leadership in the Soviet Union. British Journal of Political Science, Vol.10, Pp: 167.

Gray, M. J., Schorr, Y., Nash, W., Lebowitz, L., Amidon, A., Lansing, A., et al. (2012). Adaptive disclosure: An open trial of a novel exposure-based intervention for service members with combat-related psychological stress injuries. Behavior Therapy, Vol.43(2), Pp: 407-415;

Greene, R.R. (2002). Holocaust survivors: A study in resilience. Journal of Gerontological Social Work, Vol. 37(1), Pp: 3–18;

Harkness, L. L. (1993). Transgenerational transmission of war-related trauma. In J. P. Wilson & B. Raphael (Eds.), International handbook of traumatic stress syndromes. New York: Plenum Press. Pp: 635–643;

Hecker, T., Fetz, S., Ainamani, H., & Elbert, T. (2015). The "cycle of violence": Associations between exposure to violence, trauma-related symptoms and aggression. Findings from Congolese refugees in Uganda. Journal of Traumatic Stress, Vol. 28(5), Pp: 448-455;

Herman, J.L. (1992). Complex PTSD: A Syndrome in Survivors of Prolonged and Repeated Trauma. In: Joumal of Traumatic Stress, VoL 5, No. 3, Pp: 377-377;

Herman, J.L. (2007). Shattered Shame States and their Repair. The John Bowlby Memorial Lecture March 10, 2007;

Hopper, E. (2003). Traumatic Experience in the Traumatic Life of Groups: The Forth Basic Assumption: Incohession: Aggregation/Massification or (ba) I:A/M. London & New York: Jessica Kingslay Publishers;

Horowitz, M. J. (1986). Stress response syndromes (2nd ed.). Northvale, NJ: Jason Aronson;

Jacobs. J. (2011). The Cross-Generational Transmission of Trauma: Ritual and Emotion among Survivors of the Holocaust. Journal of Contemporary Ethnography. Vol. 40(3), Pp: 342-361;

Jacobsen, L. K., Sweeney, C. G., & Racusin, G. R. (1993). Group psychotherapyбfor children of fathers with PTSD: Evidence of psychopathology emerging in the group process. Journal of Child and Adolescent Group Therapy, Vol.3, Pp: 103–120;

Janoff-Bulman, R. (1992). Shattered Assumptions: Towards a New Psychology of Trauma, New York: Free Press;

Javakhishvili, J.D. (2011). Soviet Trauma among Family Members of the Victims of Stalinist Repressions. Presentation at the Symposium "Post-Soviet Country as A Case Study: Trauma & Responses". In: Abstracts Book of The 12th Conference of the International Society for Traumatic Stress Studies (ESTSS), P: 56. Vienna, Austria;

Javakhishvili, J.D. (2013 a). Utilization of Societal Trauma in Post-Conflict Societies: Contemporary Version of 'Enemy of the People' Image in the South Caucasus.

Presentation at The 13th Conference of The European Society for Traumatic Stress Studies, Bologna, Italy;

Javakhishvili, J.D. (2013 b). The Past Repeating in Present: Dealing with the Soviet Trauma in Post-Communist Societies. Presentation at the Symposium "Human Rights and Mental Health in Former Soviet Republics", at The World Psychiatric Congress (WPA), Yerevan, Armenia;

Javakhishvili, J.D. (2014). Soviet Legacy in Contemporary Georgia: A Psychotraumatological Perspective. In: Identity Studies, Vol.1(5), Pp:20-40;

Javakhishvili, J.D. (2015). Tracking Totalitarian Trauma in Contemporary Georgia: A Case Study. Presentation at The 14th Conference of the European Society for Traumatic Stress Studies, Vilnius, Lithuania;

Javakhishvili, J.D. (2016 a). Stones Speaking: Reading Conflicting Discourses in Urban Environment. In: Caucasus Analytical digest. Vol.80, Pp: 8-12;

Javakhishvili, J.D. (2016 b). Time Collapse: When Past Becomes A Present. Intergenerational Transmission of Trauma. Presentation at The 6th Annual Conference of the Ukrainian Psychiatrists Association. Lviv, Ukraine;

Jones, J. C., & Barlow, D. H. (1990). The etiology of posttraumatic stress disorder. Clinical PsychologyReview, Vol.10, Pp: 299–328;

Jordan, B. K., Marmar, C. R., Fairbank, J. A., Schlenger, W. E., Kulka, R. A., Hough, R. L., et al. (1992). Problems in families of male Vietnam veterans with posttraumatic stress disorder. Journal of Consulting and Clinical Psychology, Vol.60, Pp: 916–926;

Jung, C.G. (1939). Concerning Rebirth [Online]. Retrieved from: http://www.the16types.info/vbulletin/content.php/269-Concerning-Rebirth-by-C-G-Jung;

Kardiner, A. (1941). The Traumatic Neurosis of War. New York: Hoeber;

Katz, C., Keleman, F.A. (1980). The Children of Holocaust Survivors: Issues of Separation. Journal of Jewish Communal Service, Pp. 257-263;

Kazlauskas et al, 2017). A history of political violence in the family as a resilience factor. In: D. Ajdukovic, S. Kimhi, & M. Lahad (Eds.), NATO Science for Peace and

Security Series: Human and Societal Dynamics: Vol. 119. Resiliency: Enhancing coping with crisis and terrorism pp. 141-148;

Keane, T.M., Marshall, A.D., Taft, C.T. (2006). Post Traumatic Stress Dirorder: Etiology, Epidemiology, and Treatment Outcome. Annual Review of Clinical Psychology. Vol. 2, Pp: 161-197;

Keilson, H. (1992). Sequential traumatization in children (English Ed.). Jerusalem: Magnes Press, Hebrew University;

Kellermann, N. (2001) Transmission of Holocaust Trauma - An Integrative View. Psychiatry, Vol. 64:3, Pp: 256-267;

Kernberg, O. (1980). Internal world and external reality: Object relations theory applied. New York: Jason Aronson;

Kernberg, O. (1998). Ideology, Conflict, and Leadership in Groups and Organizations. New Haven: Yale University Press;

Kernberg, O. (2003). Socially Sanctioned Violence: The Large Group as Society. In S. Schneider and H. Weinberg (eds) The Large Group Re-visited: The Herd, Primal Horde, and Masses. London: Jessica Kingsley Publishers;

Kira, I. (2004). Secondary trauma in treating refugee survivors of torture: Assessing and responding to secondary traumatisation in the survivors' families. In: Clinical Knowledge. Torture Volume 14, Pp: 38-45;

Klein, M. (1940). Mourning and its relation to manic-depressive states. In Mitchell, J. (ed.), The Selected of Melanie Klein. New York: The Free Press. Pp.146-174;

Klein, M. (1946). Notes on Some Schizoid Mechanisms. In: Envy and Gratitude and Other Works 1946-1963 (1984). The Writings of Melanie Klein, Vol.3. New York: The Free Press;

Klein, M. (1984 a). Envy and Gratitude and Other Works 1946-1963. The Writings of Melanie Klein. The Free Press. New York;

Klein, M. (1984 b). Love, Guilt and Reparation and Other Works 1921-1945. The Writings of Melanie Klein. The Free Press. New York;

Klymenko, L. (2016) The Holodomor law and national trauma construction in

Ukraine, Canadian Slavonic Papers, Vol.58(4), Pp:341-361;

Koutrouli, N., Anagnostopoulos, F., Potamianos, G. (2012). Posttraumatic stress disorder and posttraumatic growth in breast cancer patients: a systematic review. Women & Health. Vol. 52, Pp:503–516;

Krystal, H. (1978). Trauma and effects. In: Psychoanalytic Study of the Child, Vol. 33, Pp:81-116;

Kuodytė, D., Traumatising history (2005). In: D. Gailiene (ed). The Psychology of Extreme Traumatisation the Aftermath of Political Repression, Akreta, Vilnius (2005), 3-25.

Lang, P.J. (1979). A bio-informational theory of emotional imagery. Journal of Psychophysiology, Vol. 16, Pp: 495–512;

Layne C., Warren J., Watson P., Shalev A. (2007). Risk, Vulnerability, Resistance and Resilience: Towards an Integrative Conceptualization of Post Traumatic Adaptation. In: Friedman, M., Keane, T., Resick, P. (eds.), The Handbook of PTSD. The Guilford Press. Pp: 497-521;

Lee, D.A., Scragg, P., Turner, S. (2001). The role of shame and guilt in traumatic events: A clinical model of shame-based and guilt-based PTSD. In: Psychology and Psychotherapy: Theory, Research and Practice. Vol. 74 (4). Pp: 451–466;

Leon GR, Butcher JN, Kleinman M, Goldberg A, Almagor M (1981). Survivors of the Holocaust and their children: current status and adjustment. Journal of Personality and Social Psychology, Vol. 41, Pp:502–516;

Lev-Wiesel R, Amir M. (2003) Posttraumatic growth among Holocaust child survivors. Journal of Loss and Trauma, Vol. 8, Pp:229–237;

Lichtman, H. (1984). Parental communication of Holocaust experiences and personality characteristics among second-generation survivors. Journal of Clinical Psychology, Vol. 40(4), Pp: 914-24;

Linden, M., Maercker, A. (2011), Embiterment: Societal, Psychological and Clinical Perspectives. Springer-Verlag. Wien, New York: Springer;

Linderman, P. (2017). Unpublished EMDR Manual;

Lloyd DA, Turner RJ. (2003). Cumulative adversity and posttraumatic stress disorder: evidence from a diverse community sample of young adults. American Journal of Orthopsychiatry, Vol. 73. Pp: 381–391;

Maercker, A., Brewin, C.R., Bryant, R.A., Cloitre, M., Reed, G.M., van Ommeren, M., Humayun, A., Jones, L.M., Kagee, A., Llosa, A.E., Rousseau, C., Somasundaram, D.J., Souza, R., Suzuki, Y., Weissbecker,I., Wessely, S.C., First, M.B., Saxena, SH. (2013). Proposals for mental disorders specifically associated with stress in the International Classification of Diseases-11. The Lancet. Vol: 381(9878), Pp:1683–1685;

Maercker, A., & Horn, A. B. (2013). A socio-interpersonal perspective on PTSD: The case for environments and interpersonal processes. Clinical Psychology and Psychotherapy, Vol.20, Pp: 465-481;

Maercker, A., Forstmeier, S., Wagner, B., Glaesmer, H., & Brahler, E. (2008). Post-traumatic stress disorder in Germany: Results of a nationwide epidemiological study. Nervenarzt, Vol. 79, Pp: 577-586;

Maercker, A., Hecker, T. (2016). Broadening perspectives on trauma and recovery: a socio-interpersonal view of PTSD. European Journal of Psychotraumatology, Vol.7(1), 29303, Pp: 1-9;

Maercker, A., Povilonyte, M., Lianova, R., & Po¨hlmann, K. (2009). Is acknowledgment of trauma a protective factor? The sample case of refugees from Chechnya. European Psychologist, Vol.14(3), Pp: 249-254;

Magids, D.M. (1998). Personality comparison between children of hidden Holocaust survivors and American Jewish parents. Journal of Psychology,Vol.132, Pp:245–254; Major E.F. (1996). The impact of the Holocaust on the second generation: Norwegian Jewish Holocaust survivors and their children. Journal of Traumatic Stress, Vol.9, Pp:441–454;

Makhashvili, N., Chikovani, I., Mckee, M., Bisson, J.I., Patel, V., Roberts, B. (2014). Mental Disorders and Their Association With Disability Among Internally Displaced Persons and Returnees in Georgia. In: Journal of Traumatic Stress, Vol. 27(5), Pp: 509-518;

Makhashvili, N., Javakhishvili, J., Pinchuk, I., Roberts, B. (2017). Mental Health Conditions and Co-morbiditie among Internally Displaced Persons in Ukraine. IN: European Psychiatry, Vol.41, Pp: S245;

Maning, P (2007). The City of Balconies: Elite Politics and the Changing Semiotics of Post-Socialist Cityscape, manuscript;

Marples, D.R., 2012. Scholarship. In: Klid, B., Motyl, A.J. (Eds.), The Holodomor Reader: A Sourcebook on the Famine of 1932-1933 in Ukraine. Canadian Institute of Ukrainian Studies Press, Edmonton, Alberta, pp. 52-54.

Marsee, M. A. (2008). Reactive aggression and posttraumatic stress in adolescents affected by Hurricane Katrina. Journal of Clinical Child and Adolescent Psychology, Vol.37(3), Pp: 519-529;

Masten AS (2014) Global perspectives on resilience in children and youth. Child Development, Vol.85(1), Pp: 6–20;

Max-Neef, M.A. (1991). Human Scale development. New York & London: The Pex Press;
McCann l, Pearlman, L.A. (1990). Vicarious traumatization: A framework for understanding the psychological effects of working with victims, Journal of Traumatic Stress, Vol. 3(1), Pp: 131–149;

McFarland, C., & Alvaro, C. (2000). The impact of motivation on temporal comparison: Coping with traumatic events by perceiving personal growth. Journal of Personality and Social Psychology, Vol.79, Pp: 327-343;

Menzies-Lyth, I.E.P. (1981). Bion's Contribution to Thinking about Groups. In: Grotstein, J. (ed), Do I Dare Disturb the Universe? Beverley Hills: Caesura Press;

Merriam, S.B. (1998). Qualitative Ressearch and Case Study Applications in Education. San-Francisco: Jossey-Bass;

Michélsen, H., Therup-Svedenlöf, Ch., Backheden, M., Schulman, A. (2017) Posttraumatic growth and depreciation six years after the 2004 tsunami, European Journal of Psychotraumatology, Vol.8(1), 1302691;

Miri, Sch. (2007). Long-term effects of trauma: Psychosocial functioning of the second and third generation of Holocaust survivors. In: Development and Psychopathology, Vol. 19, Pp: 603–622;

Mueller, J., Morgeli, H., & Maercker, A. (2008). Disclosure and social acknowledgement as predictors of recovery from posttraumatic stress: A longitudinal study in crime victims. Canadian Journal of Psychiatry, Vol: 53(3), Pp: 160-168;

Murray, C.L., Toth, K. and Clinkinbeard, S.S. (2005). Death, Dying and Grief in Families. Chapter In: McKenry, P.C., Price, S.J. (eds), Families and Change: Coping with Stressful Events and Transitions. Sage Publications, Pp.473-492;

NDI, CRRC (2014). Public attitudes in Georgia. Retrieved at: https://www.ndi.org/sites/default/files/NDI_Georgia_August-2014-survey_Public-Issues_ENG_vf.pdf

NDI, CRRC (2015). Public Attitudes in Georgia. Retrieved at: https://www.ndi.org/sites/default/files/NDI_Winter%20poll_2015_Public%20presentation_ENG_version%20FINAL_0.pdf

NDI, CRRC (2016). Public Attitudes in Georgia. Retrieved at: https://www.ndi.org/sites/default/files/NDI_November%202016%20poll_Issues_ENG_vf.pdf

Neimeyer, R. A., Prigerson, H. G., Davies, B. (2002). Mourning and meaning. American Behavioral Scientist, Vol.46, Pp: 235-251;
Neimeyer, R.A., Baldwin, S.A., Gillies, J. (2006). Continuing bonds and reconstructing meaning: Mitigating complications in bereavement. Death Studies, Vol.30, Pp: 715-738;

Norman Solkoff, (1981). Children of Survivors of the Nazi Holocaust: A Critical Review of the Literature. American Journal of Orthopsychiatry. Vol.51(1), Pp: 29-42;

Norris FH, Kaniasty K, Conrad ML, Inman GL, Murphy AD. (2002). Placing age differences in cultural context: a comparison of the effects of age on PTSD after disasters in the United States, Mexico, and Poland. Journal of Clinical Geropsychology Vol. 8, Pp:153–173;

Norris FH, Murphy AD, Baker CK, Perilla JL. (2003). Severity, timing, and duration of reactions to trauma in the population: an example from Mexico. Biological Psychiatry, Vol. 53, Pp: 769–778;

Norris, FH & Slone, FB (2007). The Epidemiology of Trauma and PTSD. In: Friedman, M., Keane, T., Resick, P. (eds.), The Handbook of PTSD. The Guilford Press. Pp:78-99;

Ochberg, F. (1982). Victims of Terrorism. New York: Westview Press;

Ochberg, F. (1988). Post-traumatic Therapy and Victims of Violence. New York:

Brunner Mazel;

Olson, D. H. (1985). Circumplex modd and family health. In Ramsey, C.N. (ed.), The Science of Family Medicine, New York: Guilford Press.

Olson, D. H., Russell, C. S., and Sprenkle, D. H. (1983). Circumplex model VI: Theoretical pdate. Family Process 22: 69-93.

Ozer EJ, Best SR, Lipsey TL, Weiss DS. (2003). Predictors of posttraumatic stress disorder and symptoms in adults: a meta-analysis. Psychological Bulletin, Vol. 129, Pp: 52–73;

Pielmaier, L., Milek, A., Nussbeck, F. W., Walder, B., & Maercker, A. (2013). Trajectories of posttraumatic stress symptoms in significant others of patients with severe traumatic brain injury. Journal of Loss and Trauma, Vol. 18, Pp: 521-538;

Pitman RK, Sanders KM, Zusman RM, Healy AR, Cheema F, Lasko, N.B. (2002). Pilot Study of Secondary Prevention of Post Traumatic Stress Disorder with Propranolol. In: Biological Psychiatry, Vol: 51(2); Pp: 189–192;

Prati, G., & Pietrantoni, L. (2010). The relation of perceived and received social support to mental health among first responders: A meta-analytic review. Journal of Community Psychology, Vol.38, Pp: 403-417;

Rakoff, V., Sigal, J., Epstein, N. (1967). Working Through in Family Therapy. American Journal of Psychotherapy, Vol. XXI (4), Pp: 782-790;

Ravaitite, J. (2015). Evaluation of Lustration in Lithuania. Politologia 2015, 1(77). Retrieved from http://vddb.library.lt/fedora/get/LT-eLABa-0001:E.02~2012~D_20121227_090744-57295/DS.005.1.01.ETD

Rieck, M. (1994). The psychological state of Holocaust survivors' offspring: An epidemiological and psycho-diagnostic study. International Journal of Behavioral Devevelopment,Vol.17, Pp:649–667;

Rosenman, S. (2002). Trauma and posttraumatic stress disorder in Australia: findings in the population sample of the Australian National Survey of Mental Health and Wellbeing. Australian and New Zeeland Journal of Psychiatry, Vol. 36; Pp: 515–520;

Rowland-Klein, D., Dunlop, R. (1997) The transmission of trauma across generations:

identification with parental trauma in children of Holocaust survivors. In: Australian and New Zealand Journal of Psychiatry 1997. Vol.31, Pp: 358-369;

Rudnytskyi, O., Levchuk, N., Wolowyna, O., Shevchuk, P., Kovbasiuk, A. (2015) Demography of a man-made human catastrophe: The case of massive famine in Ukraine 1932–1933. Canadian Studies in Population, Vol. 42(1–2), Pp: 53–80;

Ruscio, A. M., Weathers, F. W., King, L. A., & King, D. W. (2002). Male war-zone veterans' perceived relationships with their children: The importance of emotional numbing. Journal of Traumatic Stress, Vol.15,Pp: 351–357;

Russell, C.S., Olson, D.H. (1983). Circumplex model of marital and family systems: Review of empirical support and elaboration of therapeutic process. In Bagarozzi, D.A., Jurich, A.P., and Jackson, R.W. (eds.), Marital and Family Therapy: New Perspectives in Theory, Research and Practice, New York: Human Sciences Press, Pp. 25-47;

Sagi-Schwartz, A., van IJzendoorn, M.H., Bakermans-Kranenburg, M.J. (2008). Does intergenerational transmission of trauma skip a generation? No meta-analytic evidence for tertiary traumatization with the third generation of Holocaust survivors. Attachment & Human Development, Vol.10, Pp:105–121;

Sagi-Schwartz, A., van IJzendoorn, M.H., Grossmann, K.E., Joels, T., Grossmann, K., Scharf, M., Koren-Karie, N., Alkalay, S. (2003). Attachment and Traumatic Stress in Female Holocaust Child Survivors and Their Daughters. In: American Journal of Psychiatry, Vol.160, Pp:1086–1092;

Saile, R., Ertl, V., Neuner, F., & Catani, C. (2014). Does war contribute to family violence against children? Findings from a two-generational multi-informant study in Northern Uganda. Child Abuse and Neglect, Vol. 38(1), Pp: 135-146;

Sarfati, GE. (2016). Meaning and Trauma. From Psychosocial Recovery to Existential Affirmation. A Note on V. Frankl's Contribution to the Treatment of Psychological Trauma. In: Logotherapy and Existential Analysis Proceedings of the Viktor Frankl Institute Vienna. Pp 237-243;

Scharf M. (2007). Long-term effects of trauma: psychosocial functioning of the second and third generation of Holocaust survivors. In: Developmental Psychopathology, Vol.19(2), Pp:603-22;

Schock, K., Böttche, M., Rosner, R., Wenk-Ansohn. M., Knaevelsrud, C. (2016).

Impact of traumatic or stressful life events on pre-existing PTSD in traumatized refugees: results of a longitudinal study. In: European Journal of Psychotraumatology. 2016 Nov 9;7:32106.

Schnurr, P.P., Lunney, C.A., Sengupta, A. 2004. Risk factors for the development versus maintenance of posttraumatic stress disorder. Journal of Traumatic Stress, Vol. 17, Pp: 85–95;

Schumm, J.A., Koucky, E. M., & Bartel, A. (2014). Associations between perceived social reactions to trauma-related experiences with PTSD and depression among veterans seeking PTSD treatment. Journal of Traumatic Stress, Vol. 27, Pp: 50-57;

Schwebel, M. (1998). It is children who pay: multigenerational effects of structural violence. Paper presented at Symposium: understanding and transforming structure of violence. American Psychological Association Annual Convention, San Francisco;

Serrano, S. (2010). De-Secularyzing National Space in Georgia. In: Identity Studies, Vol. 2, Pp: 37-58;

Shand, L.K, Cowlishaw S, Brooker JE, Burney S, Ricciardelli LA. (2015). Correlates of post-traumatic stress symptoms and growth in cancer patients: a systematic review and meta-analysis. Psychooncology. Vol. 24(6), Pp:624-634;

Shapiro, E.R. (2001). Grief in interpersonal perspective: Theories and their implications. In: Stroebe, M.S., Hansson, R.O., Stroebe, W., Schut, H. (Eds.), Handbook of bereavement research: Consequences, coping, and care. Washington, DC: American Psychological Association, Pp: 301–327;

Shrira, A., Palgi, Y., Ben-Ezra, M. (2011). Transgerational effects of trauma in midlife: evidence for resilience and vulnerability in offspring of Holocaust survivors. Psychological Trauma Theory Research, Practice & Police, Vol.3(4), Pp:394–402;

Sigal, J.J. (1998). Long-term effects of the Holocaust: Empirical evidence for resilience in the first, second, and third generation. Psychoanalytic Review, Vol. 85, Pp:579–585;

Sirikantraporn, S., Green, J. (2016). Introduction: Multicultural Perspectives of Intergenerational Transmission of Trauma. Journal of Aggression, Maltreatment & Trauma, Vol.25(60), Pp: 559-560;

Skowron, E.A., Van Epps J.J., Cipriano E.A. (2014). Towards a Greater Understanding

of Differentiation of Self in Bowen Family Systems Theory. In: Peter Titelman (ed), Differentiation of Self. Bowen's Family System Theory Perspective. Routledge, New York;
Sleijpen, M., Mooren, T., Kleber, R., Boije, R.H. (2017). Lives on Hold: A Qualitative Study of Young Refugees' Resilience Strategies. In: Childhood. Pp: 348-365.

Souzzia, J. M., & Motta, R. (2004). The relationship between combat exposure and the transfer of trauma-like symptoms to offspring of veterans. Traumatology, Vol.10, Pp: 17–37;

Subtelny, O., 2009. Ukraine: A History, fourth ed. University of Toronto Press, Toronto;
Sullivan, D., & Tifft, L. (2007). Handbook of restorative justice: A global perspective. London: Routledge;

Taft, C.T., Watkins, L. E., Stafford, J., Street, A. E., & Monson, C. M. (2011). Posttraumatic stress disorder and intimate relation problems: A meta-analysis. Journal of Consulting and Clinical Psychology, Vol.79(1), Pp: 22-33;

Tedeschi, R.G., & Calhoun, L. G. (2004). Posttraumatic growth: Conceptual foundations and empirical evidence. Psychological Inquiry, Vol.15, Pp: 1-18;

Tedeschi, R.G., & Calhoun, L. G. (2006). The foundations of posttraumatic growth: An expanded framework. In: L. G. Calhoun, & R. G. Tedeschi (eds.), Handbook of posttraumatic growth: Research and practice . Mahwah, NJ: Erlbaum, Pp: 3-23;

Terr, L.C. (1991). Childhood traumas: An outline and overview. American Journal of Psychiatry, Vol. 148, Pp: 10-20;

Terr, L.C. (1990). Too Scared To Cry: Psychic Trauma in Children. New York: Basic Books;
Tucker P, Pfefferbaum B, Nixon SJ, Dickson W. (2000). Predictors of post-traumatic stress symptoms in Oklahoma City: exposure, social support, peri-traumatic response. Journal of Behavioral Health Services and Research, Vol. 27:, Pp: 406–16;

Turquet, P. (1975). Threats to identity in the large group. In: Kreeger, L. (ed), The Large Group: Dynamics and Therapy. London: Constable;

Ungar, M. (2011). The social ecology of resilience: Addressing contextual and cultural ambiguity of a nascent construct. American Journal of Orthopsychiatry, Vol.81(1), Pp: 1-17;

Valent, P. (1998). Resilience in Child Survivors of the Holocaust: Toward the Concept of Resilience. Psychoanalitical Review, Vol. 85(4), Pp: 517-535.
Van der Kolk, B.A. (2007). In: Friedman, M.J., Keane, T.M., Reisick, P.A. (eds), Handbook of PTSD. Science and Practice. New York, London. The Guilford Press, Pp:19-36;

Van der Kolk, B.A. (ed) (1987). The psychological consequences of overwhelming life experiences, in Psychological Trauma. Washington, DC, American Psychiatric Press, 1987, pp 1–30;

Van der Kolk, B.A., The Developmental Impact of Childhood Trauma. (2007). In: Kirmayer, Laurence J., Lemelson, R., Barad, M. (eds.) Understanding trauma: Integrating biological, clinical, and cultural perspectives. New York: Cambridge University Press, Pp: 224-241;

Van Dijk, T.A. (1993). Critical Discourse Analysis. In: Discourse & Society, SAGE. Vol.4(2), Pp: 349-383;

Van IJzendoorn, MH, Bakermans-Kranenburg, MJ, Sagi-Schwartz, A. (2003) Are children of Holocaust survivors less well-adapted? No meta-analytic evidence for secondary traumatization. Journal of Traumatic Stress, Vol. 16, Pp:459–469;

Van Voren, R. (2009). On dissidents and madness: from the Soviet Union of Leonid Brezhnev to the "Soviet Union" of Vladimir Putin. Amsterdam—New York: Rodopi.

Vaskeliene, I. (2012). Long-term psychological effects of political repression in Lithuania to second generation (Summary of doctoral dissertation, Vilnius University, Vilnius, Lithuania).

Volkan, V.D. (1987). Six Steps in the Treatment of Borderline Personality Organization. Northvale, NJ: Jason Aronson;

Volkan, V.D. (1991). On Chosen Trauma. In: Mind and Human Interaction, Vol.4, Pp: 3-19;

Volkan, V.D. (1997). Bloodlines: From ethnic pride to ethnic terrorism. New York: Farrar, Straus and Giroux.

Volkan, V.D. (2002). September 11 and societal regression. *Group Analysis*, Vol.*35*(4), Pp: 456–483;

Volkan, V.D. (2004). Blind trust: Large groups and their leaders in times of crises and terror. Charlottesville, VA: Pitchstone Publishing;

Volkan, V.D. (2006). What Some Monuments Tell us about Mourning and Forgiveness. In: Barkan, E., Karn, A. (eds), Taking Wrongs Seriously: Apologies and Reconciliation. Stanford, CA: Stanford University Press. Pp:115-131;

Volkan, V.D. (2007). Societal Well Being after Experiencing Trauma at the Hands of "Others": Intertwining of Political, Economic and Other Visible Factors with Hidden Psychological Progress Affecting Victimized Populations. Speech delivered at the conference "Measuring and Fostering the Progress of Societies: Second OECD World Forum on Statistics, Knowledge and Policy", Istanbul, 27-30 June, 2007.

Volkan, V.D. (2009a). Large Group Identity, International Relations and Psychoanalysis. In: International Forum of psychoanalysis, Vol.18, Pp: 206-2013;

Volkan, V.D. (2009b). The Next Chapter: Consequences of Societal Trauma. In: Gobodo-Madikizela, P., Van Der Merwe, Ch. (eds), Memory, Narrative, and Forgiveness: Perspectives on the Unfinished Journeys of the Past. London: Cambridge Scholars Publishing;

Volkan, V.D. (2013). Large-Group-Psychology in Its Own Right: Large-Group Identity and Peace-making. In: International Journal of Applied Psychoanalytic Studies, Vol.10(3), Pp: 210–246;

Volkan, V.D., Ast, G., Greer, W.F. (2002). The Third Reich in the Unconscious: Transgenerational transmission and its consequences. New York, NY: Brunner-Routledge;

Volkan, V.D., Fowler, C. (2009). Large-group Narcissism and Political Leaders with Narcissistic Personality Organization. Psychiatric Annals, Vol: 39 (4), Pp: 2014-223;

Wardi, D. (1992). Memorial Candles: Children of the Holocaust. Routledge. London and New York;

Welsh, EA. (1996). Dealing with the Communist Past: Central and East European Experiences after 1990. In: Europe-Asia Studies, Vol, 48, no.3, Pp: 413-429;

WHO (1994). International Classification of Diseases and Related Health Problems, 10th Revision;

Yehuda, R., Halligan, S.L., Grossman, R. (2001). Childhood trauma and risk for PTSD: Relationship to intergenerational effects of trauma, parental PTSD, and cortisol excretion. Developmental Psychopathology, Vol.13, Pp:733–753;

Yehuda, R., Schmeidler, J., Wainberg, M., Binder-Brynes, K., Duvdevani, T. (1998). Vulnerability to posttraumatic stress disorder in adult offspring of Holocaust survivors. American Journal of Psychiatry, Vol.155, Pp:1163–1171;
Yehuda, R., Daskalakis, N.P., Bierer, L.M., Bader, H.N., Klengel, T., Holsboer, F., Binder, E.B. (2016). Holocaust Exposure Induced Intergenerational Effects on FKBP5 Methylation. In: Biological Psychiatry. Vol. 1(80), Pp: 372-380;

Young, J., Klosko, J., Wishaar, M. (2003). A Schema Therapy. Practyitioner's Guide. Guilford Press, New York;

Zedania, G. The Rise of Religious Nationalism in Georgia. In: Identity Studies in the Caucasus and Black See Region, Vol: 3; Pp: 120-128;

Zilberfein, F. (1996) Children of Holocaust survivors: Separation obstacles, attachments and anxiety. Social Work and Health Care, Vo.23(3), Pp: 35-55;

Zimmermann, P., Firnkes, S., Kowalski, J. T., Backus, J., Siegel, S., Willmund, G., & Maercker, A. (2014). Personal values in soldiers after military deployment: Associations with mental health and resilience. European Journal of Psychotraumatology, Vol. 5, 22939;

Буковский В., Глузман С. (1975). Пособие по психиатрии для инакомыслящих. Хроника защиты прав в СССР (13): 36–61;

Головаха, Е., Кроник, А. (1984). Психологическое время личности. Киев: Наукова Думка;

Хвадагиани, И. (2016). Жертвы политических репрессий в Грузии: отношение общества и процесс реабилитации. В: Рачинский, Я (сост.), Реабилитация и Память. Отношение к жертвам советских политических репрессий в странах бывшего СССР, Москва «Мемориал» – «Звенья»; стр. 152-192.

7. დანართები

დანართი #1: რესპონდენტების შერჩევა



დანართ #2: რესპონდენტების ცხრილი

კვლევის შერჩევის აღწერა

ინფორმაცია მეორე ეთაპის რესპონდენტის შესახებ					ოჯახის რეკონსტრუქციის ისტორია								ინფორმაცია მეორე ეთაპის რესპონდენტის შესახებ				
რესპონდენტის სარანდავი ფენომენი	სქესი	ასაკი ინტერვიუს მიმენტში	ოჯახური	ასაკი ინტერვიუს მიმენტში	ეთნიკური ფენომენი რესპონდენტის მიმენტში	ოჯახის ორმხრივ ნაგრძნობი რესპონდენტები	რესპონდენტების სიტუაციაში	რესპონდენტის ეროვნული ეკონომიკური კეთილდღეობა	ეკონომიკა ოჯ. ეკონომიკა	ოჯახის ფინანსური ოჯახის ფიზიკურ და ფიზიკურ ცხოვრება	ოჯახის ფენომენების რესპონდენტის მეზობლის	ეკონომიკა ოჯ. ეკონომიკა	რესპონდენტის სარანდავი ფენომენი	სქესი	ასაკი ინტერვიუს მიმენტში	ოჯახური	ოჯახის ეკონომიკა რესპონდენტის
1	ფეხბურთი ნაკვეთი	80	მარტოდენა	4 წელის	ინფორმაცია	ასაკის	ეთნოკულტურა	ეკონომიკური	არა	30 ინფორმაცია	ფიზიკა. ეფექტიანი და 19 ფა. 15 წელის	არა	17	ფეხბურთი. ეფექტიანი	17 წელის	მარტოდენა	ეკონომიკა მარტოდენაში
2	ქალი. მარტა	80	ინფორმაცია	8 წელის	ინფორმაცია	ასაკის	ბავშვობა	ეკონომიკა	არა	ინფორმაცია	ფიზიკა და რესპონდენტი	არა	18	ფეხბურთი. ეფექტიანი	18 წელის	ეკონომიკა	ეთნიკური მარტოდენაში
3	ქალი. მარტა	80	ინფორმაცია	8 წელის	ოჯახური ეკონომიკა	ასაკი	ბიუჯეტი	ეთნიკური	არა	ინფორმაცია	ფიზიკა. რესპონდენტი 7 წელის ასაკი 7 წელის და	არა	21	ფეხბურთი. ეფექტიანი	12 წელის	ეკონომ	ბავშვობიდან
													22	ქალი. ეფექტიანი	14 წელის	ინფორმაცია	ინფორმაციაში
													23	ქალი. ეფექტიანი	15 წელის	ეფექტიანი	მარტოდენაში
													25	ქალი. ეფექტიანი	14 წელის	ეთნიკ	ბავშვობიდან
5	ფეხბურთი ნაკვეთი	80	ეკონომ	8 წელის	ინფორმაცია	ასაკის	ეკონომ	ეკონომიკური	ეთნიკური		ფიზიკა და რესპონდენტი	არა	26	ფეხბურთი. ეფექტიანი	15 წელის	მარტოდენა	ბავშვობიდან
7	ქალი. მარტა	79	ეკონომ	2 წელის და 5 თვის	ოჯახური	ასაკის	ეკონომ	ეკონომიკური	არა	ფინანსურმენეჯმენტ 2 წელის მეზობლებისა ბენეფიციარ ეკონომიკურ ეკონომ. ბავშ. ეკონ	ფიზიკა. რესპონდენტი და ზეფიზიკა	არა	34	ფეხბურთი. ეფექტიანი	40 წელის	ეკონომ	ბავშვობიდან
8	ქალი. მარტა	80	ეკონომიკური	8 წელის	ინფორმაცია	ასაკის	ბავშვობა	ეკონომ	არა	ინფორმაცია	ფიზიკა. ნებისა ფეხბურთ ფეხბა და რესპონდენტი	არა	32	ქალი. ეფექტიანი	32 წელის	ეკონომიკა	ბავშვობიდან
					ინფორმაცია	ასაკი და ნებისა ფეხბურთ. ინფორმაციაში	ბავშვობიდან	ეკონომიკური	ასაკის ინფორმაციაში	ასაკის ეკონომ ეკონომ ბენეფიციარ ინფორმაციაში	4 და 10 წელის. ფეხბა. ინფორმაცია ინფორმაციაში	ეკონომიკურ	33	ქალი	38 წელის	ინფორმაციაში	ბავშვობიდან
													37	ფეხბურთ	36 წელის	ინფორმაციაში	ბავშვობიდან
9	ფეხბურთ	79	ეკონომიკური	3 წელის	ინფორმაცია	ასაკის	ეთნოკულტურა	ეკონომიკური	არა	ინფორმაციაში. ბავშვობა. ინფორმაციაში	ფიზიკა. რესპონდენტი და 4 წელის და	ეკონომიკურ					
10	ქალი	79 წელის	ეკონომ	3 წელის	ინფორმაცია	ასაკის	ეთნიკური	ეკონომიკური	არა	30 ინფორმაციაში ინფორმაციაში ეკონომ ეთნიკ ფინანსურმენეჯმენტ 2 ბენეფიციარ ეკონომიკური ეკონ. ბავშ. ეკონ	ფიზიკა. მარტა ფეხბა. რესპონდენტი 3 წელის და. ინფ. 35 ფეხბა. 37 წელის	არა					
11	ქალი	77 წელის	ეკონომ	1 წელის	ინფორმაცია	ასაკის	ეკონომ	ეკონომიკური	არა	30 ინფორმაციაში ინფორმაციაში ეკონომ ეთნიკ ფინანსურმენეჯმენტ ეკონ. ბავშ. ეკონ	ფიზიკა. რესპონდენტი და ეკონომ ეკონომ						
12	ფეხბურთ	80 წელის	ეკონომიკური	1 წელის	ინფორმაცია	ასაკის	ეკონომ	ეკონომიკური	არა	30 ინფორმაციაში ფინანსურმენეჯმენტ 2 ფეხბურთ ფინანსური	ფიზიკა და რესპონდენტი	არა					
13	ფეხბურთ	77 წელის	ეკონომიკური	1 წელის	ინფორმაციაში ეკონომ	ასაკის ინფორმაციაში	ეკონომ	ეკონომ	ეკონომ	ეკონომ ეკონ. ეკონ. ეკონ.

დანართი #3: ჩაღრმავებული ინტერვიუს გზამკვლევი მეორე თაობის წარმომადგენლებისთვის

1. რას მომიყვებოდით თქვენი ოჯახის ისტორიაზე?
2. რა გახსოვთ რეპრესიების თაობაზე?
   - როგორ მოხდა დაპატიმრება, დღე-ღამის რა დროს, სახლში მოხდა ეს თუ სხვაგან, თუ სხვაგან - რა და საიდან გაიგეთ დეტალების თაობაზე, როგორი იყო თქვენი რეაქცია, ოჯახის წევრთა რეაქციები? როგორ ახსენით თქვენ და ოჯახის წევრებმა ოჯახის წევრის დაპატიმრება/დახვრეტა?
3. რა გახსოვთ/იცით თქვენი ოჯახის ცხოვრების შესახებ ოჯახის წევრის რეპრესიამდე?
   - როგორი იყო ოჯახის შემადგენლობა, სად ცხოვრობდით, როგორი იყო ოჯახური ატმოსფერო, როგორ ურთიერთობაში იყავით ოჯახის რეპრესირებულ წევრთან, რა გახსოვთ/დაგამახსოვრდათ ყველაზე მეტად თქვენი ურთიერთობიდან? როგორი ოჯახური წესები გქონდათ რეპრესიამდე თუ გახსოვთ - როგორ და ვინ იღებდა გადაწყვეტილებებს, რა ოჯახური ტრადიციები და რიტუალები გქონდათ, რა ოჯახური ნარატივები გახსოვთ რაც რეპრესიებამდე იყო თქვენს ოჯახში?
4. რა შეიცვალა ოჯახში რეპრესიის (ოჯახის წევრის დაპატიმრების/დახვრეტის) შემდგომ?
   - რა შემადგენლობით დარჩით ოჯახში, შეიცვალეთ თუ არა საცხოვრებელი ადგილი, საუბრობდით თუ არა რეპრესიაზე, რეპრესირებულ ოჯახის წევრზე, შეიცვალა თუ არა ოჯახური ატმოსფერო და როგორ? ოჯახის რიტუალები?.. როგორი იყო ოჯახის

წევრთა ჯანმრთელობის მდგომარეობა, ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობა?

5. რა შეიცვალა მაშინ გარემომცველ ადამიანებთან ურთიერთობაში?
   - შეიცვალა თუ არა ოჯახის მეგობრების წრე, ვინ შეინარჩუნა თქვენთან ურთიერთობა, ვინ დაიკარგა, ვინ გეხმარებოდათ, ვინ არა, ვის აღიქვამდით როგორც მუქარას?
6. როგორი იყო თქვენი მდგომარეობის მიმართ დამოკიდებულება სხვადასხვა ინსტიტუტების და მათში მოღვაწე ხალხის მხრიდან?
   - სკოლაში? როგორი იყო დამოკიდებულება პედაგოგების და სკოლის ადმინისტრაციის მხრიდან?
   - უნივერსიტეტში?
   - სამსახურში?
7. იცით თუ არა რა არის სტრესზე საპასუხოდ აღდგენისუნარიანობა (resilience)? (განმარტება ინტერვიუერის მხრიდან)
   - რა სტრატეგიებს იყენებდით თქვენ და თქვენი ოჯახის წევრები?
8. როგორ ფიქრობთ, რა გავლენა იქონია ოჯახის წევრის რეპრესიამ თქვენს ცხოვრებაზე, თქვენს ამჟამინდელ ოჯახზე?
   - შეგიძლიათ მომიყვეთ თქვენს ცხოვრებაზე, თქვენი ცხოვრების გზაზე, იმ სტილზე და პრინციპებზე რომელზე დაყრდნობითაც აკეთებდით და აკეთებთ მნიშვნელოვან ცხოვრებისეულ არჩევანებს? რა წესებია თქვენს ოჯახში ამჟამად? როგორ იღებთ გადაწყვეტილებებს, როგორ აღზარდეთ შვილები, რა ფასეულობებს ეყრდნობით აღზრდაში, რა ფასეულობების გადაცემას ცდილობდით/ცდილობთ?
9. რა არის თქვენი „რეპრესიების თეორია“?

   - როგორ ხსნიდით რეპრესიებს მაშინ (არა მარტო თქვენი კონკრეტული ოჯახის, საერთოდ, თქვენს გარშემო, ქვეყანაში მიმდინარე რეპრესიებს)?

- როგორ ხსნით რეპრესიებს ახლა?

10. შეგიძლიათ შეხედოთ თქვენი ოჯახის რეპრესიის ისტორიას როგორ გამოცდილებას, რომელმაც შეგძინათ რაღაც?
    - გარკვეული სარგებელი მოგიტანათ - მაგალითად, პიროვენული ზრდის თვალსაზრისით (ინტერვიუერის მიერ პიროვნული ზრდის განმარტება), ცხოვრებისეული სიბრძნის დაგროვების თვალსაზრისით? ფასეულობების ჩამოყალიბების თვალსაზრისით? კონკრეტულად რა?
11. როგორ უყურებთ რეაბილიტაციას?
    - მიგაჩნიათ, რომ თქვენი რეპრესირებული ოჯახის წევრი რეაბილიტირებულია? საკმარისია თუ არა ის, რაც გაკეთდა სახელმწიფოს მხრიდან თქვენი ოჯახის რეაბილიტაციის თვალსაზრისით - მაგტერიალური, მორალური, პროცედურული თვალსაზრისით?
12. ხომ არ სურთ დაამატოთ რამე, რაც თქვენთვის მნიშვნელოვანია, მაგრამ ჩვენ ჯერ არ შევხებივართ საუბარში?

დანართი #4: ჩაღრმავებული ინტერვიუს გზამკვლევი მესამე თაობის წარმომადგენლებისთვის

1. რას მომიყვებოდით თქვენი ოჯახის ისტორიაზე?
2. თქვენ როდის და როგორ გაიგეთ რეპრესიის შესახებ?:
   - ვინ გითხრათ, როდის, როგორ, რა რეაქცია გქონდათ - რა იფიქრეთ, რა იგრძენით, რა გააკეთეთ? რამე შეიცვალა ამის გაგების მერე თქვენთვის, თქვენში?
   - გესაუბრებოდნენ ხოლმე ოჯახში ამ თემაზე? როგორ, ვინ, რა სტილში?
3. რა იცით თქვენი ოჯახის ცხოვრების შესახებ რეპრესიებამდე, რა ნარატივები მოვიდა თქვენამდე ოჯახის წევრებისგან/ნათესავებისგან?
   - საუბრობდნენ ხოლმე ოჯახში ამ თემაზე?.. ვინ, როგორ, რამდენად ხშირად?
   - როგორი იყო ოჯახის შემადგენლობა, სად ცხოვრობდნენ, როგორი იყო ოჯახური ატმოსფერო, როგორ ურთიერთობაში იყო დედათქვენი/მამათქვენი ოჯახის რეპრესირებულ წევრთან, რას გიყვებათ/გიყვებოდათ ამ ურთიერთობაზე? როგორი ოჯახური წესები ჰქონდათ რეპრესიამდე - როგორ და ვინ იღებდა გადაწყვეტილებებს, რა ოჯახური ტრადიციები და რიტუალები ჰქონდათ, რა იცით ამაზე ოჯახის/ნათესავების/ოჯახის მეგობრების ნარატივებიდან?
4. რა იცით რეპრესიების თაობაზე?
   - რა მიზეზით მოხდა რეპრესია?
   - რა მიუსაჯეს, გადარჩა თუ არა, თუ არა - როდის და როგორ გაიგო ოჯახმა ამის შესახებ?

- ოჯახური ისტორიებიდან, თუ იცით, როგორ მოხდა დაპატიმრება, დღე-ღამის რა დროს, სახლში მოხდა ეს თუ სხვაგან, თუ სხვაგან - საიდან გაიგო რეპრესიას გადარჩენილმა მშობელმა დეტალების თაობაზე, როგორი იყო მისი რეაქცია, სხვა ოჯახის წევრთა რეაქციები? როგორ ახსნეს მათ ოჯახის წევრის დაპატიმრება/დახვრეტა?

5. რა იცით იმის თაობაზე, თუ როგორ შეიცვალა დედათქვენის/მამათქვენის ოჯახის ცხოვრება რეპრესიის (ოჯახის წევრის დაპატიმრების/დახვრეტის) შემდგომ?
   - ვინ დარჩა ოჯახის შემადგენლობაში, შეიცვალეს თუ არა საცხოვრებელი ადგილი (გაასახლეს, ან მიგრაცია გააკეთეს)?
   - საუბრობდნენ თუ არა რეპრესიაზე, რეპრესირებულ ოჯახის წევრზე? შეიცვალა თუ არა ოჯახური ატმოსფერო და როგორ, როგორი იყო ოჯახის წევრთა ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობა?
   - როგორ უმკლავდეობდნენ ოჯახის შეცვლილ მდგომარეობას?
6. როგორი იყო თქვენი და თქვენი ოჯახის წევრების რეაქცია ოჯახის წევრის რეპრესიაზე?
   - რა იცით იმის, შესახებ, თუ რას ფიქრობდნენ და რას გრძნობდა დედათქვენის/მამათქვენის ოჯახი იმაზე რაც მოხდა, რას გრძნობდნენ, როგორ იქცეოდნენ?
7. რა შეიცვალა გარემომცველ ადამიანებთან მათ ურთიერთობაში?
   - შეიცვალა თუ არა ოჯახის მეგობრების წრე, ვინ შეინარჩუნა მათთან ურთიერთობა, ვინ დაიკარგა, ვინ ეხმარებოდა, ვის აღიქვამდნენ როგორც მუქარას? თქვენს ურთიერთობებზე სხვა ადამიანებთან თუ მოუხდენია ამას რაიმე გავლენა?

8. როგორი იყო მათი მდგომარეობის მიმართ დამოკიდებულება სხვადასხვა ინსტიტუტების და მათში მოღვაწე ხალხის მხრიდან?
   - სკოლაში? როგორი იყო დამოკიდებულება პედაგოგების და სკოლის ადმინისტრაციის მხრიდან?
   - უნივერსიტეტში?
   - სამსახურში?
9. იცით თუ არა რა არის სტრესზე საპასუხოდ აღდგენისუნარიანობა (resilience) (განმარტება ინტერვიუერის მხრიდან), და რა სტრატეგიებს იყენებდა დედათქვენი/მამათქვენი (მშობელი, რომელიც გადარჩა რეპრესიას) და სხვა ოჯახის წევრები რეპრესიასთან დაკავშირებული სტრესის დასაძლევად? თქვენ?
10. როგორ ფიქრობთ, რა გავლენა იქონია თქვენი ბაბუის/ბებიის რეპრესიამ თქვენს (როგორც მესამე თაობის წარმომადგენლის) ცხოვრებაზე, თქვენს მიერ შექმნილ ოჯახზე:
    - შეგიძლიათ მომიყვეთ თქვენს ცხოვრებაზე, თქვენი ცხოვრების გზაზე, რეფლექსია გააკეთოთ ბაბუის/ბებიის რეპრესიის გავლენაზე თქვენს ცხოვრებაზე, მსოფლმხედველობაზე, იმ სტილზე და პრინციპებზე რომელზე დაყრდნობითაც აკეთებდით და აკეთებთ მნიშვნელოვან ცხოვრებისეულ არჩევანებს?
    - რა წესებია თქვენს მიერ შექმნილ ოჯახში ამჟამად?
    - როგორ იღებთ გადაწყვეტილებებს?
    - როგორ ღზრდით შვილებს, რა ფასეულობებს ეყრდნობით აღზრდაში?
11. როგორ ხსნიდა რეპრესიებს თქვენი მშობლები და როგორ ხსნით თქვენ:
    - რა არის თქვენი „რეპრესიების თეორია“?
    - რა არის თქვენი მშობლების „რეპრესიის თეორია“?

12. შეგიძლიათ შეხედოთ თქვენი ოჯახის რეპრესიის ისტორიას, როგორც გამოცდილებას, რომელმაც თქვენს ოჯახს და თქვენ შეგძინათ რაღაც?:
    - შეგიძლიათ აღმოაჩინოთ სარგებელი, რომელიც გარკვეული თვალსაზრისით მოგიტანათ ბაბუის/ბებიის რეპრესიამ - მაგალითად, პიროვენული ზრდის თვალსაზრისით (ინტერვიუერის მიერ პიროვნული ზრდის განმარტება), ფასეულობების ჩამოყალიბების თვალსაზრისით? კონკრეტულად რა?
13. როგორ უყურებთ რეაბილიტაციას - გრძნობთ თუ არა, რომ თქვენი რეპრესირებული ოჯახის წევრი და თქვენი ოჯახსი რეაბილიტირებულია:
    - რა ინფორმაცია გაქვთ რეაბილიტაციის თაობაზე და საიდან/ვისგან გაქვთ?
    - საკმარისია თუ არა ის, რაც გაკეთდა სახელმწიფოს და საზოგადოების მხრიდან თქვენი ოჯახის რეაბილიტაციის თვალსაზრისით - მატერიალური, მორალური, პროცედურული თვალსაზრისით?
14. ხომ არ გსურთ დაამატოთ რაიმე, რაც თქვენი აზრით მნიშვნელოვანია, მაგრამ რასაც ჩვენ არ შევხებივართ საუბარში?